# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 49 (510) ◆ 6 – 12 დეკემბერი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „კრემლი უარს არც ბალაფშის ლიკვიდაციაზე იტყვის“

გვ.3



ყველაფრის მიუხედავად, დამოუკიდებელ ადამიანთან ურთიერთობა ბევრად უფრო იოლია, ვიდრე რომელიმე დიდი სახელმწიფოს მონობის მსურველთან. რუსეთის მონობაზე კი, აშკარად ჩანს, აფხაზები უარს ამბობენ...





## ტერორი, რომელიც „კვალს არ ტოვებს“

გვ.10,33 „მსხვერპლი იმ ადამიანის ხელით ზარალდება, რომელსაც უსაზღვროდ ენდობა“

## „ოპოზიცია ხელისუფლებასთან ღამის სერობებზე არ უნდა დაძვრებოდეს“

გვ.7



„ამერიკაში მივემგზავრები, რათა საქართველოში ერთპარტიული დიქტატურა არ დამყარდეს“

გვ.34

## „დინამოს“ გარშემო დიდი სკანდალი მწიფდება

გვ.20



## „კინაღამ ორივე ხელი გავუშვი შვეულმფრენზე ჩამოკიდებულ კიბეს“

„მიშიშილია კიდეც გასტროლებზე ყოფნისას...“

## გადმორეკეთ – ანუ ნუ დარეკავთ უცხო ნომერზე!

ყოველი ასეთი ზარი უცნობთან თქვენ 1 ლარი გიჯდებათ!

თაღლითობის ახალი მექანიზმი...

გვ.5

## ვინ მოიპარა დიდ ხელოვანთა მედლები?

ქალბატონი ნინო მაშინ გემიდან დააბრუნეს უკან. ბატონმა ილიკომ მარტომ იცეკვა. აღფრთოვანებულ ბრიტანეთის მთავრობას უინძორის სასახლეში მიუწვევია წვეულებაზე და დედა-დედოფალს თავისი ხელით გადაუცია მოცეკვავისათვის ოქროს მედალი.



გვ.17

## ვინ მფარველობდა იარაღის კონტრაბანდას საქართველოში?



### დაპატიმრებული სამართალდამცველის სკანდალური განცხადება

გვ.6

„შევარდნაძეს შვილივით ჰყავდა კობა კობალაძე. თავის დროზე, მისი დახმარებით კიტოვანი მოიცილა, სამაგიეროდ, თავის ნებაზე ჰყავდა მიშვებული... მე პირველი წყარო ვიყავი, რომელმაც იარაღის ბიზნესზე ინფორმაცია გასცა და ეს არ მაპატიეს...“



გვ.7

## „ახია მათზე, ვინც ახლა ფულს იხდის“

„როდესაც დიდი ფული აქვს დასაკარგი, ხელისუფლება იოლად თმობს ძალაუფლებას“

ვინც ცალკე თამაშს შეძლებს, ის იქნება პოლიტიკური ფიგურა...

**თემის გაგრძელება:**

## – თავი დამანებონ, თორემ უფრო მეტ ფაქტებს დავდებ...



„თუ ქობალია გონს არ მოეგება, დავაპირისპირებ ერთ მებრძოლთან“

გვ.11,13

„მე რომ ტყე-ღრეში პრეზიდენტს დავყვებოდი, ლოთი ქობალია ფოთის პორტიდან ფქვილისა და შაქრის ტომრებს აცილებდა...“

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## შეტაკებას არ გამორიცხავენ

თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა სერგეი ბაღაფშმა 6 დეკემბრისთვის ინაუგურაცია დანიშნა. რუსებმა მოსვენება დაკარგეს და ათასგვარი ხრიკით სცადეს რეგიონში სამოქალაქო ომის გაჩაღება. როგორც ჩანს, რუსები გააოგნა ბაღაფშისა და არჩევნებში მისი მეტოქის, რაულ ხაჯიმბას შორის ურთიერთგაგებამ და 6 დეკემბერს დაგეგმილი ინაუგურაციის ჩაშლის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელება 5 დეკემბრის თითქმის განთიადისას დაიწყეს. რუსულ საინფორმაციო პროვოკაციას სოხუმში არძინბას პრესსამსახური ახმიანებდა, რაზეც მოგვიანებით კომენტარი გააკეთა ბაღაფშის წარმომადგენელმა და განაცხადა, რომ არძინბას პრესსამსახურს ნერვებმა უმტყუნა და სისულელეებს როშავს. მისი თქმით, აფხაზეთში პრეზიდენტის ინაუგურაცია ჩატარდება და ბაღაფშსა და ხაჯიმბას შორის არანაირ გაუგებრობას აღარ აქვს ადგილი. აფხაზეთში ვრცელდება ინფორმაციები დესტაბილიზაციის გამომწვევი პროვოკაციის შესახებ, ავტორებად კი ქართველებს ასახელებენ. დასანანია, აფხაზებს ალღო რომ ღალატობთ და საფრთხეს იქით ეძებენ, საიდანაც მოსალოდნელი არ არის. 6 დეკემბრიდან, დე ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკას ბაღაფშის სახით ახალი პრეზიდენტი უნდა მოევლინოს. მასზე კი თურმე არძინბა გაიძახის, — პრეზიდენტის რეგალიებს არ მივცემო. ბოროტი ენები არც სისხლიან შეტაკებას გამორიცხავენ. ვნახოთ, რა მოხდება...

## საქართველოსკენ მობრუნება მოუწევთ

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ აღიარებს 3 ოქტომბერს აფხაზეთში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების ლეგიტიმურობას, იგი მზადაა დაიწყოს მოლაპარაკებები არჩევნებში გამარჯვებულ სერგეი ბაღაფშთან. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებას მყისვე გამოეხმაურა ბაღაფში და ცინიკურად განაცხადა, „ეგღა გვაკლია, ქართველებთან მოლაპარაკება დავიწყოთო“. როგორც ეტყობა, პოლიტიკოსი სერგეი ბაღაფში არაადეკვატურად აღიქვამს მოვლენებს — ის ვერ ან არ ხედავს, რომ რუსეთს აფხაზეთი თავისი ველიკოდერჟავული მადის დასაცხრობად უნდა და აფხაზი ხალხის ბედი სრულიად არ ანაღვლებს.

პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, აფხაზებთან დიალოგის დასაწყებად მოთმინება და რწმენაა საჭირო: „ალბათ, დაგვჭირდება მოთმინება არა თვეების, არამედ წლების განმავლობაში“. 6 დეკემბრისთვის დაგეგმილი ინაუგურაციის შემდეგ უფრო ნათელი გახდება, ვის რამდენ ხანს და რისთვის მოუწევს ლოდინი.

## კაზაკებს აფხაზეთი „ადარდებთ“

ყუბანის კაზაკები აფხაზეთის მოსახლეობას, ვლადისლავ არძინბას განკარგულების შესაბამისად, ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდებენ.

აფხაზი ხალხისათვის გაგზავნილ მიმართვაში კაზაკები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ „აფხაზეთის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას რეალური საფრთხე შეექმნა“.

კაზაკების შეფასებით, შექმნილ ვითარებაში მათ ერთადერთ სწორ ვარიანტად პოლიტიკური პროცესების „კანონიერების ჩარჩოებში დაბრუნება, ანუ აფხაზეთში ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება მიაჩნიათ“.

ყუბანის კაზაკები აფხაზეთის მოსახლეობას შეახსენებენ, რომ აფხაზეთის ინტერესების დასაცავად ისინი ქართველების წინააღმდეგ მათთან ერთად იბრძოლებენ. საინტერესოა, რას მოიმოქმედებენ კაზაკები, თუ აფხაზებს რუსული აგრესია დაუპირისპირდება?!

## საინტერესო დამთხვევა პოლიტიკურ სივრცეში

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში საინტერესო დამთხვევა მოხდა — საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და ქვეყნის პირველი ლეიბორისტი თითქმის ერთდროულად გაემგზავრნენ აშშ-ში. ჟვანიას ვიზიტის მიზანია „სტრატეგიული პარტნიორობის“ კონცეფციის ფარგლებში საქართველოსა და აშშ-ის შორის დიალოგის გაღრმავება, დემოკრატიული და ეკონომიკური აღორძინების ახალი პროგრამების დამუშავება, უშიშროებისა და თავდაცვის სფეროში ახალი პროექტებისა და ქვეყნის რეგიონებში მიმდინარე პროცესების განხილვა. პრემიერ-მინისტრი აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველს ეროვნული უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისს შეხვდება. დაგეგმილია, ასევე, მნიშვნელოვანი შეხვედრები კაპიტოლიუმში, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ხელმძღვანელებთან. ჟვანიას ამერიკაში ვიზიტი მნიშვნელოვანი ფაქტით დაგვირგვინდება — „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ დაარსების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო იუბილეზე, დემოკრატიის დასაცავად ბრძოლისათვის, ზურაბ ჟვანიას ცნობილი ამერიკელი დიპლომატისა და საზოგადო მოღვაწის, ავერელ ჰარიმანის სახელობის ჯილდოს გადასცემენ. საზეიმო ცერემონიალს, რა თქმა უნდა, არ დაესწრება საქართველოს პირველი ლეიბორისტი, რომლის ოკეანის გაღმა სამკვირიან „საშობაო ტურნეს“ მასპინძლები დააფინანსებენ. აშშ-ში ნათელაშვილიც მრავალ ჩინოსანს შეხვდება და კოლუმბიის, ჯორჯ თაუნისა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტებში ლექციებსაც წაიკითხავს, სადაც ალბათ გაკვრით მაინც ახსენებს „საყვარელ“ მთავრობას.

## სანამ ურემი გადაბრუნებულა

„სულაც არ არის საჭირო, კატასტროფულ მდგომარეობაში დასარწმუნებლად უბედურ შემთხვევას დაელოდო. გამოსავალი მანამდეც კარგად ჩანს, სანამ ურემი გადაბრუნდება. ახლა მთავარია, დროულად აღვადგინოთ სარკინიგზო ხიდები და გვირაბები“, — აცხადებს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი დავით ონოფრიშვილი, რომელიც მის უწყებაში არსებულ ვითარებას კატასტროფულს უწოდებს. პარლამენტარებთან ერთად თბილისი-ხაშურის სარკინიგზო მონაკვეთისა და წიფის გვირაბის დათვალიერების შემდეგ ონოფრიშვილმა განაცხადა, რომ 100 წლის წინ აგებულ ხიდზე კაპიტალური რემონტი არასდროს არ ჩატარებულა, რასაც მისი თქმით, ახლა მილიონობით აშშ დოლარი დასჭირდება.

როგორც „მემარჯვენე ოპოზიცია აცხადებს, ასევე, დანგრევის პირასაა კახეთის რკინიგზა, რომელიც 1914 წლიდან არსებობს: „კახეთში სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტა დანაშაულია მაშინ, როცა რეგიონში დიზელის საწვავი გაძვირდა და მოსახლეობას არა მარტო მგზავრობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების თბილისში ტრანსპორტირებაც უჭირს. თუ რკინიგზის აღსადგენად თანხები გამოიყოფა, საავტომობილო ტრანსპორტს ალტერნატივა გაუჩნდება, რაც გავლენას მოახდენს როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ისე მგზავრობის გაიაფებაზე“. „საქართველოს რკინიგზა“, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებს წნორის, კარდენახის, მანავის, მუკუზნისა და წინანდლის სადგურების გახსნასთან დაკავშირებით.

## „ყველაფერი კარგად იქნება“...

ქვეყანაში კვლავ არსებული მძიმე ენერგეტიკული მდგომარეობის გამო ხალხში უკმაყოფილება დღითი დღე მატულობს — მოსახლეობას კრიზისის დაძლევის შესახებ მთავრობის დაპირებების აღარ სჯერა. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია იმედს იძლევა, რომ დეკემბრის შუა რიცხვებიდან „ყველაფერი კარგად იქნება“. „ამ თვეში უნდა დასრულდეს დასავლეთ საქართველოს გამრიცხველიანება. თვის შუა რიცხვებში უნდა ჩაირთოს „თბილსრესის“ მესამე ენერგობლოკი და ჰიდრორესურსებიდან დამატებითი ელექტროენერგია უნდა გამოვიმუშაოთ“, — აცხადებს ჟვანია. საინტერესოა, როგორ გამოიმუშავებენ დამატებით ელექტროენერგიას ჰიდროელექტროსადგურები, სადაც წყლის დონის კრიტიკული მდგომარეობაა. ენერგეტიკოსები გაუმართლებლად მიიჩნევენ ელექტროენერგიის იმპორტის იმედად ყოფნასაც, რის დასტურადაც სომხეთის მხრიდან ელექტროენერგიის მოულოდნელად შეწყვეტის ფაქტს ასახელებენ. ამის გამოც აღმოჩნდა ქვეყანაც და დედაქალაქიც კრიტიკულ მდგომარეობაში. ამ ფაქტით აღშფოთებულია „თელასიც“, სადაც აცხადებენ, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის სომხურ მხარეს საჯარიმო სანქციები დაეკისრება.

## სულ არქონას ეს ჯობს

საქართველოს გაზმომარაგებაში შეფერხებები დაიწყო. ამას ჩვენს გაზქურებზე ძლივს მბჟუტავი ცეცხლის ალიც მოწმობს, რომელსაც ბუნებრივი აირის დაბალი წნევით მიწოდება განაპირობებს. მეტიც, თბილისის ზოგიერთ უბანში ბუნებრივი აირი თითქმის აღარ მიეწოდებათ.

„თბილგაზის“ ხელმძღვანელობა ამას საგანგაშოდ არ მიიჩნევს და შექმნილ სიტუაციას იმით ხსნის, რომ თბილისის მილგაყვანილობა ჯერ კიდევ არ არის მზად, რომ ბუნებრივი აირით სრულყოფილად დაიტვირთოს. როგორც ირკვევა, ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებას „თბილგაზში“ დიდი დრო დასჭირდება და მომავალ წელსაც იგივე პრობლემები გვექნება, რაც წელს გვაწუხებს. რას ვიზამთ, სულ არქონას, ისევ ცეცხლის მბჟუტავი ალი ჯობს.

## გაუფრთხილდით ჯანმრთელობას

სანიტარული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მოსახლეობას მოწამვლით ემუქრება არა მარტო ავტომობილების გამონაბოლქვი, მტვერი და ჰაერში არსებული სხვა მავნე ნივთიერებები, არამედ ხიდან ჩამოცვენილი ფოთლები და საყოფაცხოვრებო ნარჩენებიც. თუმცა, მხოლოდ მაშინ, თუ მათ დასახლებული პუნქტების ტერიტორიებზე წვავენ.

სანიტარული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის განცხადებით, ფოთლები და ნარჩენები არასრულად იწვება, რის შედეგად სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერება და კანცეროგენები გამოიყოფა და ორგანიზმის ძლიერ მოწამვლას იწვევს. ინსპექცია მოსახლეობას სთხოვს, აღკვეთონ მსგავსი ქმედებები და გაუფრთხილდნენ საკუთარ ჯანმრთელობას.

## დაბეგვრის ახალი ვარიანტები

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შექმნილი ექსპერტთა საბჭო მთავრობას ქონების გადასახადის საკუთარ ვარიანტს სთავაზობს. როგორც საბჭოს წევრი ვახტანგ ხმალაძე აცხადებს, „ქონების გადასახადით უნდა დაიბეგროს 200 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართი. შემცირდება გადასახადის განაკვეთები და კოეფიციენტები, რასაც ქონების გადასახადის განსაზღვრის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს“.

მისივე თქმით, კომიტეტს საკუთარი ვერსია აქვს ავტომობილების იმპორტის დაბეგვრის რეჟიმთან დაკავშირებითაც: „ავტომობილების იმპორტის დაბეგვრა აქამდე არსებული რეჟიმით უნდა განხორციელდეს, რაც მანქანის ძრავის სიმძლავრის მიხედვით დაბეგვრას ითვალისწინებს, თუმცა, გაიზრდება გადასახადის განაკვეთები“. მისივე თქმით, საავტომობილო პარკის განახლების მიზნით, შეღავათიანი რეჟიმით დაიბეგრება არა 8-10 წლის ავტომანქანები, არამედ 6-7 წლის ავტომანქანები და იმპორტიორებს შესაძლებლობა ექნებათ შედარებით ახალი მანქანები ნაკლები განბაჟებით შემოიყვანონ საქართველოში.

## საელჩოებს საკუთარი შენობები ექნებათ

2005 წლიდან საქართველოს ხელისუფლება უცხოეთში აკრედიტებული საელჩოებისთვის შენობების შესყიდვას აპირებს. ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელის, სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, საამისოდ სახელმწიფო ბიუჯეტში თანხები გათვალისწინებული არ არის. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ შენობებს 2005 წელს საპრივატიზაციო პროცესისგან მიღებული თანხებით იყიდიან.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, საელჩოებისთვის შენობების ყიდვა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე დაქირავებული ოფისების ქირის გადახდა. აღნიშნულ საკითხზე ზეპირი შეთანხმება უკვე არსებობს.

## თურქებს ახალი ელჩი ჰყავთ

საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობების განმტკიცებაზე ამიერიდან დიპლომატიური პროტოკოლით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში თურქეთის ახალი ელჩი საქართველოში ერთან თეზგარი იზრუნებს. მან ამ პოსტზე 1-ელ დეკემბერს ყოფილი ელჩი ფატმა დიჯლე კოპუზი შეცვალა. სწორედ ამ დღეს გადასცა ბატონმა თეზგარმა რწმუნებათა სიგელი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელთან შეხვედრის დროსაც თურქეთის ახალმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა თურქეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობისა და შემდგომში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა.

## დასჯის სურვილი იმდენად დიდია...

აფხაზეთში მიმდინარე შიდაპოლიტიკური ბრძოლის გამო და რუსეთის მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ მოსკოვსა და სოხუმს შორის ახლახან ზარ-ზეიმით აღდგენილი სარკინიგზო მიმოსვლა უცერემონიოდ შეწყვიტა. ამ ფაქტმა ყველაზე მეტად რუსი დეპუტატები განარისხა. რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, სერგეი ბაბურინის თქმით, რუსეთმა სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტით ტვირთბრუნვა დიდად დააზარალა და საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებს „სასიცოცხლოდ აუცილებელი“ წყარო მოუსპო. ამ ფაქტით ქვეყნის ხელისუფლებამ საფრთხე შეუქმნა თავისსავე ხალხს(?!).

ექსპერტთა ვარაუდით, რუსეთის ეს გადაწყვეტილება რუსულ-აფხაზური ურთიერთობებისა და, საზოგადოდ, რუსეთის პოლიტიკის კრახს მოასწავებს.

## მოსმენა შეუძლებელი იქნება(?)

ამიერიდან სახელმწიფო მოხელეებისათვის სავალდებულო იქნება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მექანიზმით, სატელეკომუნიკაციო სისტემა დეფინიცით (სახელმწიფოს კუთვნილი დახურული სატელეფონო თუ კომპიუტერული ქსელი) სარგებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, სახელმწიფო საიდუმლოს დაუცველობის გამო მათი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხიც კი დაისვას.

საქართველოს ხელისუფლების პირველი პირები უკვე სარგებლობენ დეფინიცის სისტემით. როგორც ამბობენ, მათი საუბრის ვერც ერთ ბგერას ვერავინ მოისმენს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსა და თეთრ სახლში მოქმედი დეფინიცის ბაზაზე შექმნილი საქართველოს სახელისუფლებო სპეცკავშირი ერთადერთი იქნება მსოფლიოში.

საქართველოს სამთავრობო საკომუნიკაციო სისტემით ქვეყნის გარეთ აკრედიტებული ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლობებიც ისარგებლებენ. პროექტის განხორციელება 2006 წელს დასრულდება.

## კვიციანი ჯიპს შეეწირა?!

საქართველოს ხელისუფლებამ ვარდების რევოლუციის წლისთავზე კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის პოსტიდან გადააყენა ემზარ კვიციანი. გავრცელებული ინფორმაციით, რწმუნებულის უფლება-მოვალეობები აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მთავრობის ხელმძღვანელს, ირაკლი ალასანიას გადაეცემა. იმასაც ამბობენ, რომ კვიციანის პოსტი ახლახან მოსკოვიდან მოპარულ და მასთან აღმოჩენილი ავტომანქანის სკანდალურ ამბავს შეეწირა.

## პეისს 40 მლნ დოლარი მოჰყვება

საქართველოში ამერიკელ სამხედრო მაღალჩინოსანთა ვიზიტები გრძელდება. 5 დეკემბერს თბილისს აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე, ამერიკის თავდაცვის სისტემაში რიგით მეორე სამხედრო პირი გენერალი პიტერ პეისი ეწვია. სტუმარმასპინძლები, საქართველოს ხელისუფლებისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ამერიკული სამხედრო დახმარების ახალ, სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამას განიხილავენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე ქართული ბატალიონი კვლავ NATO-ს სტანდარტების შესაბამისად გაიწვრთნება. ამერიკელმა სამხედრო მაღალჩინოსანმა გულითადი მადლობა გადაუხადა მთავრობის წარმომადგენლებს ერაყში სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნებაში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილისთვის. სტაბილურობის შენარჩუნების ახალი პროგრამისთვის აშშ, სავარაუდოდ, 40 მლნ დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

## იუშჩენკო ოჯახს ხიზნავს




უკრაინაში პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურის განმეორებით ჩატარებამდე პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, ოპოზიციის ლიდერი ვიქტორ იუშჩენკო ოჯახის უსაფრთხოებაზე განსაკუთრებულ ზრუნვას იწყებს — ცოლ-შვილი ქვეყნის გარეთ გაჰყავს და აცხადებს, რომ მისი ოჯახი უკრაინაში დაუცველია.

იუშჩენკოს მოწინააღმდეგეები მის მეუღლეს, კატრინას, რომელიც ერთდროულად უკრაინის მოქალაქეც არის და ამერიკისაც, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის აგენტობაში ადანაშაულებენ.

ოპოზიციას კი პრეზიდენტ კუჩმას უმოქმედობა აშფოთებს. მათი აზრით, კუჩმა უმართებულოდ იქცევა, როცა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დაპირისპირებულ მხარეებს მოლაპარაკების მესამე რაუნდისკენ მოუწოდებს და პრემიერ-მინისტრის გადაყენებასა და ძველი საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შეცვლას არ ჩქარობს. სანამ კუჩმა დანაპირებს არ შეასრულებს, იუშჩენკო და მისი მომხრეები ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებენ და აცხადებენ, რომ სტაბილიზაციასა და პოლიტიკურ რეფორმებზე ზრუნვას არჩევნების შემდეგ დაიწყებენ.

### მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **25 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი,** III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **15 ლარს.** გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

*(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „გულაგის იდეის ავტორისა და ბელადის შეხვედრა“ — 111 ხმა
2. **იზო რიკაძე** — „პირობას ვდებ, მათი დაპირისპირებით ჭეშმარიტება დადგინდება“ — 47
3. **ზვიად სეხნიაშვილი** — „ხმა კატამონთან“ — 32

***მკითხველის პრემიის“ მფლობელები 340-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# „კრემლი უარს არც ბალაფშის ლიკვიდაციაზე იტყვის“

## „ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს“



მოგეხსენებათ, რომ ექსპერიმენტის წარმატებისთვის მთავარი გამბედაობა გახლავთ, იმას კი, რაც აფხაზეთში ხდება, ექსპერიმენტს ძნელად თუ დაარქმევს ადამიანი. არაერთხელ გვითქვამს, რომ წლების მანძილზე აფხაზეთი სახლიდან გაქცეული იმ ქალის როლში იყო, რომელიც ნამქეზებელ საყვარელს არც სახლში მიჰყავს და არც უკან დაბრუნების საშუალებას აძლევს. მოთმინებადაკარგული აფხაზები რუსებს უკვე სერიოზულ წინააღმდეგობას უწევენ — ის, რასაც კრემლი აფხაზეთთან მიმართებაში აკეთებს, მისი პოლიტიკისთვის ნიშანდობლივია. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და კრემლი კვლავაც ცდილობდა გავლენის შენარჩუნებას, საქართველოს, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და სხვათა მიმართ მას ანალოგიური ეკონომიკური სანქციებისთვის ხშირად მიუმართავს. როგორც წესი, ეს არის ერთ-ერთი ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი მეთოდი კრემლის მხრიდან მისგან დამოუკიდებლობის მსურველი პოლიტიკური სუბიექტის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში ბევრი რამ მეორე მხარეზეა დამოკიდებული — რამდენად პოლიტიკურ და სამოქალაქო მზაობას გამოიჩენს იგი ამ არცთუ დახვეწილი სტრატეგიის საპირისპიროდ. ყველაზე წარმატებით ეკონომიკურ ბლოკადას სწორედ რომ ასეთ მზაობაში მყოფმა ბალტიისპირეთმა დააღწია თავი. სცენარი მარტივია, ეკონომიკური ბლოკადა მკვეთრ სოციალურ ვარდნას იწვევს. პარალელურად, მიმდინარეობს მოსახლეობის პროპაგანდისტული დამუშავება სხვადასხვა საშუალებით — თუ რა კარგი იყო ბლოკადამდე, როდესაც რუსეთის კეთილგანწყობა არსებობდა. უკიდურესი გაჭირვების ფონზე ხდება იარაღის გადინება მოსახლეობაში, რასაც შედეგად მოჰყვება ყაჩაღობის მომრავლება და კრიმინოგენული ვითარების დამძიმება. ეს კი ბუნებრივია, ხელისუფლების გავლენას ასუსტებს. პარალელურად, რუსული სპეცსამსახურები აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებზე, მიმდინარეობს მათ შორის შეიარაღებული დაპირისპირების წაქეზება — ამ პროცესში უარს არც პოლიტიკურ მკვლელობათა იმიტაციაზე ამბობენ და „მონასტერიც ირევა“. ბუნებრივია, შექმნილ ვითარებაში ხელისუფლება დახმარებისთვის, გარკვეული პოლიტიკურ-სტრატეგიული კომპრომისების სანაცვლოდ, მეზობელ ძლიერ სახელმწიფოს მიმართავს ხოლმე. როგორც უკვე ვთქვით, რუსეთს ყველაზე ეფექტიანი წინააღმდეგობა ამ გეგმის განხორციელებაში უახლოეს წარსულში ბალტიისპირეთის ქვეყნებმა გაუწიეს, რადგან იქ სამოქალაქო საზოგადოება, ტრადიციულად, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. თუ რა ტრაგიკული შედეგები მოჰყვა ამ გეგმას საქართველოში, ყველას კარგად გვახსოვს. რასაკვირველია, სამოქალაქო საზოგადოება ძალიან დაბალ დონეზეა დღევანდელ აფხაზეთშიც, თუ ამას ადგილობრივი მოსახლეობის ემოციურობასაც დავუმატებთ, უახლოეს მომავალში, შესაძლოა, ზემოთ აღწერილმა სცენარმა ჩვენთვისაც და აფხაზებისთვისაც ძალიან ცუდი შედეგი გამოიღოს — მისი კულმინაციური დასაწყისი კი სწორედ 6 დეკემბერი აღმოჩნდება, მით უმეტეს, რომ არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემდეგ კრემლმა კიევში ერთგვარი ტაიმ-აუტი აიღო. ბუნებრივია, ფართო პროპაგანდისტულ-აგენტურული მუშაობა უკრაინაში გაათკეცებული ძალით გაიშლება, მაგრამ დიპლომატებსა და სამხედრო თუ სპეცსამსახურების ჩინოვნიკებს სოხუმისთვის ბევრად უფრო მეტი დრო ექნებათ...

შესაძლოა დიდად არა, მაგრამ საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობა მაინც განსხვავდება 90-იანი წლების დასაწყისისგან. განსხვავებულია ცივილიზებული მსოფლიოს შეხედულებები და დამოკიდებულებაც, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მიმართ. თუ რა შეიძლება მოიმოქმედოს შექმნილ ვითარებაში თბილისმა, ან რას გვიქადის უახლოეს მომავალში პოლიტიკური პერიპეტიების შესაძლო განვითარება, ამის შესახებ ეკონომიკის ექსპერტს, **ალექსანდრე თვალჭრელიძეს** ვესაუბრებით:

**— როგორც ცნობილია, რუსეთმა აფხაზეთის მიმართ აქტიური ეკონომიკური სანქციების გატარება დაიწყო, აფხაზეთის მოსახლეობისთვის განსაკუთრებით რთულ პერიოდში მათ კრასნოდარის მხარეში ციტრუსების გატანის საშუალებასაც კი არ აძლევენ. რა შეიძლება დაუპირისპიროს საქართველომ ამგვარ პოლიტიკას ანალოგიური ეკონომიკური მეთოდებით?**

— აფხაზეთში რუსეთის და ზოგადად, ეროვნული ფასეულობების მიმართ დამოკიდებულება მართლაც, კარდინალურად შეიცვალა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აფხაზი ხალხის „დამოუკიდებლობისთვის“ თავდადებულ მებრძოლს, ვლადისლავ არძინბასაც კი არ გაუწიეს შეღავათი და ე.წ. გენერალურმა პროკურორმა მის მიერ ბალაფშის საწინააღმდეგოდ გამოცემული განკარგულების შეჩერების მოთხოვნით სარჩელი აღძრა. ვინ ვინ, და დღეს ყველაზე უკეთ აფხაზებმა იციან, რომ არძინბა დამოუკიდებლობისთვის კი არა, საკუთარი ოჯახური კლანის ჩამოყალიბება-გამდიდრებისთვის იბრძოდა. დღეს მის კომპრომეტირებულ სახელს კრემლის ემისრები იყენებენ და ფაქტობრივ არჩევნებში გამარჯვებულ ბალაფშს ნაირგვარი მეთოდებით ებრძვიან. მეორე მხრივ, დღევანდელი გადასახედიდან, გამარჯვებული კანდიდატის, ბალაფშის მიერ გაკეთებული განცხადებები აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს ურთიერთობას კარგს არაფერს უქადის. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ რუსეთის მხრიდან გამოცხადებული ბლოკადის შემდეგ, თბილისმა პოლიტიკური არა, მაგრამ ეკონომიკური სახის ნებისმიერი საშუალებით, შესაძლოა, წლების მანძილზე აფხაზთა დამახინჯებული მენტალიტეტის ოდნავ შეცვლა მაინც მოახერხოს. ყოველ შემთხვევაში, დამოუკიდებელ ადამიანთან ურთიერთობა ბევრად უფრო იოლია, ვიდრე რომელიმე დიდი სახელმწიფოს მონობის მსურველთან. რუსეთის მონობაზე კი, აშკარად ჩანს, რომ აფხაზები უარს ამბობენ... 6 დეკემბერს, ბალაფშის ინაუგურაციის დღეს, სოხუმში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. ისტორიული გამოცდილება იმის თქმის უფლებასაც გვაძლევს, რომ აფხაზეთის დასამორჩილებლად კრემლი უარს არც ყველაზე რადიკალურ ზომაზე — ბალაფშის ლიკვიდაციაზე იტყვის. მისი პრეზიდენტად ინაუგურაციის შემთხვევაში, რუსულ-აფხაზურ და შესაბამისად, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებშიც, თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყება. საგულისხმოა ისიც, რომ აფხაზებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ ინაუგურაციაზე ჩრდილოკავკასიელ „მეგობრებს“ არ მიიწვევენ. ჩვენ მიერ გასულ წლებში გადატანილი დიდი გაჭირვებისა და უბედურების მიუხედავად, მაინც ფაქტია, რომ რუსეთის მიერ განხორციელებულმა ეკონომიკურმა ბლოკადამ საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია. მჯერა, ანალოგიური სიტუაცია იქნება აფხაზეთშიც და რა შეიძლება მოიმოქმედოს საქართველომ? რაიმე კონკრეტული და ოფიციალური ნაბიჯების გადადგმა ჯერ შეიძლება ძალიან ნაადრევი იყოს, მაგრამ ფრთხილად, გამოზომილად ჩვენ უკვე უნდა დავიწყოთ აფხაზთა დაინტერესება ეკონომიკური ურთიერთობებით. სხვადასხვა პროპაგანდისტული საშუალებით უნდა მოხდეს ერთგვარი რეკლამირება თუ აგიტაცია იმისა, რომ აფხაზებს ევროპასა და დანარჩენ ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობა სწორედ დანარჩენი საქართველოს მეშვეობით შეუძლიათ, ანუ შეუძლიათ რეალურად გააკეთონ ის, რასაც ამდენი წლის მანძილზე რუსეთის მეშვეობით ვერ ახერხებდნენ. თუ აფხაზ მოსახლეობას ხელშეუხებლობასა და მათი ეროვნული იდეალების შენარჩუნებაში დავარწმუნებთ, იოლად შევძლებთ მათ დარწმუნებას იმაშიც, რომ აფხაზეთში არსებული უმდიდრესი რესურსები მათ სასარგებლოდ იქნება გამოყენებული. ფაქტია, რომ დღემდე ეს რუსეთმა ვერ გააკეთა და ვერც გააკეთებდა საერთაშორისო პოლიტიკური რეალობის გამო. როგორც ფოთის ტრავერსზეა ნავთობი, ისეა სოხუმის ტრავერსზეც — ჩვენ უნდა დავიწყოთ მუშაობა ამ ბუნებრივი წიაღისეულის გამოყენებისთვის, უნდა დავიწყოთ კინდლისა და სხვა თერმული წყლების მოხმარებისთვის ზრუნვა, რათა მისი საშუალებით ელექტროენერგია გამოვიმუშაოთ. გარდა ამისა, აფხაზეთში არის ძალიან დიდი, უაღრესად ნოყიერი მიწები, სადაც შესაძლოა არანაკლები ხარისხისა და მნიშვნელობის საციტრუსე მეურნეობის გაშენება, ვიდრე ვთქვათ, კალიფორნიაშია, რომელსაც ესპანელები ამუშავებენ. შესაძლოა დღეს ამაზე ლაპარაკი ვინმეს ნაადრევი მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ შესაბამისმა უწყებებმა უკვე უნდა დაიწყონ ამაზე ზრუნვა, რათა დროულად მოხდეს საერთაშორისო საზოგადოებისა და კორპორაციების დაინტერესება. ჩემი აზრით, თუ დღეს საქართველო შეძლებს და სოციალურად დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილ აფხაზ მოსახლეობას ნებისმიერი, ლეგალური თუ არალეგალური საშუალებით დაეხმარება, ეს აფხაზებთან ურთიერთობის მოგვარებას გაგვიადვილებს. ვფიქრობ, რკინიგზის აღდგენასთან ერთად, აფხაზურ-ქართული დიალოგის რეალურად პოზიტიურ გზაზე დადგომა უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მეთოდებითა და საშუალებებით უნდა დაიწყოს. ზოგადად, მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეალური პოლიტიკური დიალოგის დაწყება მხოლოდ ეკონომიკური ინტერესების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი.

> **დღევანდელი გადასახედიდან, გამარჯვებული კანდიდატის, ბალაფშის მიერ გაკეთებული განცხადებები აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს ურთიერთობას კარგს არაფერს უქადის. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ რუსეთის მხრიდან გამოცხადებული ბლოკადის შემდეგ, თბილისმა პოლიტიკური არა, მაგრამ ეკონომიკური სახის ნებისმიერი საშუალებით, შესაძლოა, წლების მანძილზე აფხაზთა დამახინჯებული მენტალიტეტის ოდნავ შეცვლა მაინც მოახერხოს. ყოველ შემთხვევაში, დამოუკიდებელ ადამიანთან ურთიერთობა ბევრად უფრო იოლია, ვიდრე რომელიმე დიდი სახელმწიფოს მონობის მსურველთან.**

> **მსხვილი საერთაშორისო კორპორაციები და ბიზნესწრეები სწორედ ამ პერიოდში, დეკემბერში გეგმავენ მომავალი წლის საინვესტიციო პროგრამას. ამ ხალხს თუ არ ეცოდინება, როგორი იქნება საქართველოს კოდექსი, რა უფლებები და შეღავათები, ან პირიქით, რა შეზღუდვები ექნებათ, ბუნებრივია, საქართველოში კონკრეტულს არაფერს დაგეგმავენ და მომავალ წელსაც მხოლოდ კეთილი სურვილებისა და განზრახვების მოსმენა მოგვიწევს.**

> **მიმაჩნია, რომ ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება სწორედაც უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს – ეს ქვეყანაში სტაბილურობის გარანტი იქნება. სტაბილურობა კი თავის მხრივ, ცივილიზებულ სამყაროსთან ბიზნესურთიერთობების ერთადერთი მთავარი პირობა გახლავთ, რა თქმა უნდა, გონივრულად შედგენილ საგადასახადო კოდექსთან ერთად. ამგვარად არის აგებული ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარების სქემა და გვერდს მას ვერც ჩვენ ავუვლით, მით უფრო, ჩვენი სპეციფიკური გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე.**

**— ამისთვის მზად თავად საქართველოს ეკონომიკა უნდა იყოს, რომლის განვითარების მთავარ ხელშემწყობ ფაქტორს კანონმდებლობა წარმოადგენს. ძალიან ხომ არ გაჭიანურდა საგადასახადო კოდექსისა და ფინანსური ამნისტიის შემუშავება საქართველოს პარლამენტში?**

— დაგეთანხმებით, რომ ეკონომიკური კანონმდებლობის შემუშავება დროში მართლაც ძალიან გაიწელა. ეს თუნდაც იმით არის ცუდი, რომ შესაბამისად, იწელება 2005 წლის ბიუჯეტის საბოლოო შემუშავებაც, რადგან გაურკვეველია, როგორი იქნება საგადასახადო კოდექსი, რომელმაც სახელმწიფო შემოსავლები უნდა დაარეგულიროს. მისი დაგვიანება უარყოფითად აისახება ინვესტიციებზეც — მსხვილი საერთაშორისო კორპორაციები და ბიზნესწრეები სწორედ ამ პერიოდში, დეკემბერში გეგმავენ მომავალი წლის საინვესტიციო პროგრამას. ამ ხალხს თუ არ ეცოდინება, როგორი იქნება საქართველოს კოდექსი, რა უფლებები და შეღავათები, ან პირიქით, რა შეზღუდვები ექნებათ, ბუნებრივია, საქართველოში კონკრეტულს არაფერს დაგეგმავენ და მომავალ წელსაც მხოლოდ კეთილი სურვილებისა და განზრახვების მოსმენა მოგვიწევს. რაც შეეხება თავად კოდექსს, ის შესაძლებელია საუკეთესო არ იყოს, მაგრამ ძველს რომ აჯობებს, ფაქტია. სასკოლო შეფასებები რომ გამოვიყენოთ — თუ ძველი კოდექსი ორიანზე იყო დაწერილი, ახალი სამიანს იმსახურებს. ეს, რა თქმა უნდა, გასახარელი არ არის, მაგრამ წინას ჯობია. მთავარია, საქმე უკეთესობისკენ დაიძრას. მერე კი, დროთა განმავლობაში, ის კიდევ უფრო დაიხვეწება.

**— უკანასკნელ პერიოდში საზოგადოება სულ უფრო ხშირად გამოთქვამს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება ზედმეტად ბევრ ფინანსებს უთმობს სამხედრო შეიარაღების გაძლიერებას მაშინ, როდესაც ქვეყანაში უამრავი სოციალური პროექტი დაუფინანსებელი რჩება... რამდენად სწორად არის განსაზღვრული დღეს სახელმწიფოს ფინანსური პრიორიტეტები?**

— სამხედრო სფერო სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ იქ დიდი ინვესტიციების ჩადება რეგულარულ ხასიათს არ ატარებს, ანუ ჩვენ შეგვიძლია დღეს დავხარჯოთ ძალიან ბევრი ფული და შევიძინოთ ტანკები, შვეულმფრენები და იარაღი. ხვალ იმავეს გადახდა აღარ მოგვიწევს, მაგრამ დაგვჭირდება თანხები მათი მოვლა-შენახვისათვის. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება სწორედაც უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს — ეს ქვეყანაში სტაბილურობის გარანტი იქნება. სტაბილურობა კი თავის მხრივ, ცივილიზებულ სამყაროსთან ბიზნესურთიერთობების ერთადერთი მთავარი პირობა გახლავთ, რა თქმა უნდა, გონივრულად შედგენილ საგადასახადო კოდექსთან ერთად. ამგვარად არის აგებული ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარების სქემა და გვერდს მას ვერც ჩვენ ავუვლით, მით უფრო, ჩვენი სპეციფიკური გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე.

**— საქართველოს მომავალი მდგომარეობა გარკვეულწილად, უკრაინაში მოვლენების განვითარებაზეც არის დამოკიდებული, რადგან იუშჩენკოსადმი უკვე ლამის ოფიციალურად გამოცხადებული მხარდაჭერის შემდეგ რუსეთიც მოვიმდურეთ და მისი გავლენის ქვეშ მყოფი უკრაინელი პოლიტიკოსებიც...**

— არა მგონია, ვინმემ სერიოზულად თქვას, რომ რუსეთთან მანამდე დიდი სიამტკბილობა გვქონდა და იუშჩენკოს მხარდაჭერით ყველაფერი წყალში ჩაიყარა. ისიც ფაქტია, რომ უკრაინაში ცვლილებები ისეთივე გარდაუვალია, როგორიც ეს საქართველოში იყო. ამ ორი ქვეყნის უახლეს ისტორიაში უამრავი პარალელის გავლება შეიძლება, უბრალოდ, უკრაინაში გაცილებით დიდ მასშტაბებთან გვაქვს საქმე, გნებავთ ფინანსური და გნებავთ, პოლიტიკური თვალსაზრისით. ისიც ფაქტია, რომ დღევანდელი უკრაინა გაცილებით უფრო ტოტალიტარული სახელმწიფოა, ვიდრე რევოლუციამდელი საქართველო იყო. უკრაინას უახლოეს მომავალში მრავალი ლიბერალური რეფორმის გატარება მოუწევს, ბუნებრივია, ყველაფერი ისე უცბად არ შეიცვლება, როგორც ეს ხალხს შეიძლება სურდეს — საქართველოშიც ხომ ანალოგიური ვითარებაა. რაც შეეხება მომავლის პერსპექტივებს უკრაინასთან მიმართებაში, პირადად მე ამის არ მეშინია, პირიქით, მიხარია, რადგან ეს საქართველოს ბევრი სასიკეთო და უაღრესად მომგებიანი პროექტის განხორციელების საშუალებას მისცემს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სამხედრო თვალსაზრისით, თბილისს დემოკრატიული კიევის სახით საიმედო პარტნიორი ეყოლება კრემლთან იმ საკმაოდ რთულ და ავანტიურებით სავსე „დიალოგში“, რომელიც უახლოეს მომავალში აუცილებლად მოგვიწევს.

***დაჩი გრძელიშვილი***

გამოიწერეთ „ქვირის პალიტრა“ ტელ: 33-26-73; 42-43-40

# ნუგეში ნამდვილად არის!

„კვირის პალიტრის" №46-ში გამოქვეყნებული წერილი — „და მაინც არის ნუგეში" გახლდათ გამოხმაურება მკითხველის რამდენიმესიტყვიან ბარათზე, რომელიც დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო: — ჩემთვის არაფერი მინდა, გთხოვთ ჯიქიას ქუჩის უპატრონოთა თავშესაფარში რუსუდან კობახიძეს მოუსმინოთ. დიდად აღარაფრის მწამს, მაგრამ იქნებ სასწაული მოხდეს და ამ ადამიანს ვინმე დაეხმაროსო...

ასე აღმოვაჩინეთ პატარა ნიკა, რომლის გამოჯანმრთელებისთვის დედამისმა, ქალბატონმა რუსუდანმა სახლ-კარი გაყიდა და 3 წლის მკურნალობის შემდეგ ინვალიდი შვილი ფეხზე დააყენა (თუმცა, ნიკას კვლავ სერიოზული მკურნალობა ესაჭიროება). თავშესაფარში სხვა მიტოვებული ადამიანებიც ვნახეთ, მათ შორის, ჩვილბავშვიანი დედებიც. ჩაბნელებულმა, ფანჯრებამოლებულმა და ლამის პირუტყვის სადგომად ქცეულმა „თავშესაფარმა" ისეთი ტკივილი მოგვაყენა, კარგა ხანს რომ ვერ დავივიწყებთ...

მაგრამ გული გაგვითბეს იმ ადამიანებმა, რომლებიც წერილს გამოეხმაურნენ. საბედნიეროდ, მთავარია სიკეთის გვწამდეს და იგი ყოველთვის გამოჩნდება — უცნობი ადამიანები, როგორც შეეძლოთ ისე დაეხმარნენ უპატრონოთა თავშესაფარს და პატარა ნიკასაც... ერთმა ტანსაცმელი აუტანა, მეორემ — ფული, რომელიც იქაურებმა შუაზე გაყვეს, ნახევარი ნიკას მკურნალობისთვის, ნახევარი უმამო ბავშვებისთვის... ერთხელაც ისეთი სუფრა გაუშალეს თურმე, როგორიც არასოდეს ჰქონიათ...

საჭირო არ არის ახსნა, თუ რას განვიცდიდით, როცა რედაქციაში გვირეკავდნენ — ასეთ ზარებს დიდი ძალა აქვს. ჩვენც თქვენთან ერთად ვრწმუნდებით, რომ მართლაც არის ნუგეში, — როგორც არ უნდა გაუჭირდეს ჩვენს ქვეყანას, მაინც გამოჩნდებიან ადამიანები, გაჭირვებულს საკუთარ ლუკმასაც რომ გაუნაწილებენ. ამ ხალხიდან მხოლოდ „საქავტომაგისტრალის" თანამშრომელთა სახელები ვიცით, ისიც ჩვენი დაჟინებული თხოვნის შემდეგ გაგვიმხილეს და გვთხოვეს აფიშირება არ მოგვეხდინა.

ცხადია, ერთჯერადი დახმარებები შრომისუნარდაკარგულ ადამიანებს დიდხანს არ ეყოფათ. თანაც, მთავარი ჯერ კიდევ გასაკეთებელია — თავშესაფარში არ არის შუქი და სითბო, მაგრამ იქაურ დედებს ნამდვილად შეუძლიათ მომავალში შვილებს უთხრან, რომ რაც არ უნდა მძიმე იყოს ცხოვრება, ვიღაც მაინც გამოჩნდება ხელის შემშველებელი. მადლობა გვინდა გადავუხადოთ ადამიანებს, ვისაც სიკეთის კეთება შეუძლიათ, ხოლო ჯიქიას ქუჩაზე მდებარე უპატრონოთა თავშესაფრის ანგარიშის ნომერს თქვენი თხოვნით ისევ გავიმეორებთ: — სახალხო ბანკი — 45060757, კოდი — 220101412. ნიკა ქვრივიშვილისათვის.

ქალბატონი რუსუდან კობახიძე (ნიკას დედა):

— სიტყვები ნამდვილად არ მყოფნის, მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც ჩვენმა გაჭირვებამ ააფორიაქა და დახმარების ხელი გამოგვიწოდა. ალბათ უკვე შევძლებ ნიკას უამრავი აუცილებელი სამედიცინო პროცედურა ჩავუტარო. ნიკამ თავისივე ხელით დაუნაწილა აქაურ ბავშვებს იმ ფულის ნახევარი, რომელიც უცნობმა ქველმოქმედმა გვაჩუქა. თავშესაფარში ამბობენ, ეს თანხა ამ თვეში მაინც გვიხსნის შიმშილისგანო... ჩვენთან ერთი მოხუცია, ხელები დამიკოცნა, როცა ფული გადავეცი... უდიდეს მადლიერებას გამოვთქვამ თქვენი გაზეთისა და იმ ხალხის მიმართ, ვინც ჩვენი ვარამი გაიზიარა. იმედი მაქვს, ყოველივე კეთილი საქმის მადლი, რაც საზოგადოებისთვის გიკეთებიათ, წინ დაგხვდებათ...

***ეთერ ერაძე***

# „მინდა მოვუბოდიშო ახვლედიანის ქუჩის მცხოვრებლებს"

## დააგე... აყარე! ისევ დააგე!..



„ბერმუდის სამკუთხედის" შემდეგ თბილისის მერიას მავანთა დაუდევრობისა და უცოდინარობის გამო ახალი თავსატეხი გაუჩნდა.

ახვლედიანის ქუჩაზე წამოწყებულმა „გზათმშენებლობამ" ისე გააღიზიანა და გადარია ამ ქუჩის მკვიდრნი, ლამის შიმშილობის აქცია მოაწყვეს — ამ ავადსახსენებელ სამკუთხედს საშინელი ქვაფენილისა და ხმაურის დამატება უნდოდაო, აყარეთ, თორემ რაც მოგივათ, საკუთარ თავს დააბრალეთო, — გაისმა მცხოვრებელთა მოთხოვნა!

ახვლედიანის ქუჩაზე მოსახლეობის დაწუნებული ქვაფენილი აყარეს და უკვე მამაპაპურ ასფალტს აგებენ. მაგრამ ვინ აგებს პასუხს ბიუჯეტის თანხების განიავებასა და გაფუჭებულ საქმეზე? ამის გარკვევა თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსთან, **ტარიელ ხიზანეიშვილთან** ვცადეთ.

— არ ვიცი, ვისი იდეა იყო ახვლედიანის ქუჩაზე ქვაფენილის დაგება (სამსახურის უფროსად რომ დამნიშნეს, სამუშაოები უკვე დაწყებული იყო), მაგრამ რატომ გაგვიხდა ასაყრელი, ეს ვიცი. ქვაფენილი სამშენებლო ფირმა „მარი-ეკამ" დააგო. ამ ფირმასთან ჯერ კიდევ ჩემს მოსვლამდე იყო გაფორმებული ხელშეკრულება. (საინტერესოა, ვინ გააფორმა? — ამ საკითხზე პასუხი ჩვენ ჯერჯერობით ვერ მოვიპოვეთ. — მ.ზ.)

ფირმამ სამშენებლო ნორმები დაარღვია, რის გამოც ამ ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვება შეუძლებელი გახდა. ახვლედიანის ქუჩაზე ბინების უმეტესობა მიწისძვრით არის დაზიანებული. ქვაფენილის დაგებამ ვიბრაცია გაზარდა და შენობებს დანგრევის საფრთხე შეექმნა. ამას დაემატა ხმაური, რომელიც, როგორც წესი, ქვაფენილზე გაცილებით მეტია, ვიდრე ასფალტზე. ამის გამო მოსახლეობამ სასტიკი, თუმც სამართლიანი უკმაყოფილება გამოხატა. ისინი ითხოვდნენ, დარჩეს ქუჩა ამ სახით, მაგრამ ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდესო. ეს ვერ მოხერხდება, რადგან სახანძრო და თუნდაც სასწრაფო დახმარების მანქანებს ვერ ავუკრძალავთ ამ ქუჩაზე გავლას.

**— რამდენი იზარალა დედაქალაქის ბიუჯეტმა ამ ქვაფენილის დაგების, შემდეგ აყრისა და ხელახლა ასფალტის საფრის დაგების გამო?**

— ქალაქის ბიუჯეტი ამით არ დაზარალდება. სამშენებლო ფირმა თვითონ ანაზღაურებს ხარჯებს — 120 ათას ლარს, რაც ჩვენს სამსახურს უნდა გადაერიცხა ფირმისთვის, აღარ გადავიხდით. დაგვიტოვეს სამშენებლო მასალაც. სულ 230 ათასი ლარის გალება მოუხდა ფირმას ჩვენი ბიუჯეტისთვის, ასე რომ, ქალაქს არაფერი დაუკარგავს. ასფალტის დაგებაც ახლა გაცილებით იაფი გვიჯდება. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მოვუბოდიშო ახვლედიანის ქუჩის მცხოვრებლებსა და მცირე მეწარმეებს, რომელთაც ხანგრძლივი დროის მანძილზე დისკომფორტი შეექმნათ...

***მარი ზანდუკელი***

# ლექსო თორაძე: მოხარული ვარ, რომ ორმაგი მოქალაქეობის უფლება მომცეს



ლექსო თორაძე საბჭოთა „რკინის ფარდას" ჯერ კიდევ მაშინ გაექცა, როცა ეს თითქმის წარმოუდგენელი იყო. ეს სარისკო ნაბიჯი აღიარებულმა პიანისტმა ესპანეთში გასტროლების დროს გადადგა... გაუმართლა! მოღვაწეობა ამერიკაში გააგრძელა... იყო ნოსტალგიის მძიმე წლები, მაშინ სამშობლოში დაბრუნებასა ან ახლობლების სტუმრობაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ამიტომ მან ამერიკაში თავისი პატარა საქართველოს შენება დაიწყო...

უამრავ ნიჭიერ ახალგაზრდა ქართველს დაულოცა მსოფლიო კარიერისკენ გზა. ფეხბურთის გუნდიც კი შექმნა, რომელიც საუზბენდის ინდიანის უნივერსიტეტის სამგზის ჩემპიონია. თავად მოთამაშე-მწვრთნელის „პოსტი" არჩია, თუმცა ხშირად ვერ უძლებს ცდუნებას და ერთხელ ხელიც კი მოიტეხა. ამასაც არ დასჯერდა, სავენახე ადგილი აიღო იჯარით, სადაც ამერიკული ჯიშის ვაზი დარგო, ჩვენებურ ადესას რომ ჰგავს. ყოველ წელს ლექსო თორაძის სტუდიის თითოეული წევრი საგანგებო რიტუალივით წურავს ღვინოს. პირველ სადღეგრძელოს კი, როგორც წესი, საქართველოს უძღვნიან.

...ლექსო თორაძე საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციაზე 13-წლიანი პაუზის შემდეგ ეწვია თბილისს შარშან... ის შეხვედრა ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა სამშობლომონატრებული ხელოვანისთვის... ამიტომაც წელს ყველა საქმე გადადო და 5 დეკემბერს, ოპერის სცენაზე თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად რახმანინოვის №3 საფორტეპიანო კონცერტი წარმოგვიდგინა.

**ვახტანგ კახიძე:**

— მიხარია, რომ როგორც იქნა, ნავსი გავტეხეთ და იმედია, ახლა უფრო ხშირად ჩამოვა ლექსო თბილისში. ჯერ კიდევ 1991 წელს მამაჩემს ჰქონდა დაგეგმილი ლექსოსთან ამ კონცერტის შესრულება. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ეს პატივი მემკვიდრეობით მერგო.

სხვათა შორის, იტალიის საგასტროლო ტურნედან ჩამოსული ვახტანგ კახიძისთვის ეს ერთგვარი საანგარიშო კონცერტი გახლდათ. იტალიაში კი ჩვენმა მუსიკოსებმა ნამდვილი ფურორი მოახდინეს — 30 დღეში 15 კონცერტი ჩაატარეს და თითქმის ყველა სოლიდური დარბაზის მსმენელებიც გააოგნეს. თბილისშიც, ლექსო თორაძესთან აკომპანემენტის დროსაც გასაოცარი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ.

**ლექსო თორაძე:**

— დღევანდელი დღე განსაკუთრებულია ჩემთვის. ასეთი ემოციების მოზღვავება და ღელვა არც არასდროს მიგრძნია და ალბათ, აღარც მექნება. ორკესტრმა პირველივე რეპეტიციაზე გამაოცა და დიდი კომფორტი შემიქმნა ამ ურთულესი ნაწარმოების შესრულებისას.

**— ბატონო ლექსო, დღეს არის საზღვარგარეთ მოღვაწე ხელოვანების საქართველოში დაბრუნების ტენდენცია. თქვენ თუ გაქვთ რაიმე გეგმები ამასთან დაკავშირებით?**

— იცით, ყველგან, ამერიკასა თუ საქართველოში, ვცდილობ, ყველანაირად ჩემს სამშობლოს დავეხმარო. მომავალში მინდა საქველმოქმედო კონცერტებიც გავმართო თბილისში. ამჯერად უაღრესად დაკავებული ვარ საზღვარგარეთული ტურნეებით. აქედან მივემგზავრები რომში, სადაც ჩემი სტუდენტების 7-საათიანი კონცერტი-მარათონი იგეგმება, პროგრამაშია მხოლოდ რახმანინოვი, იქიდან პორტუგალიაში, შემდეგ გერმანიასა და სხვა ქვეყნებში მივემგზავრებით. მოხარული ვარ, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებით ორმაგი მოქალაქეობის უფლება მომცეს და ახლა საქართველოს მოქალაქეც ვარ... ვეცდები, აქაც გავზარდო კონცერტების რაოდენობა. მოკლედ, საკმარისად მოგაბეზრებთ თავს!..

**— თქვენი შვილები თუ აპირებენ მუსიკოსობას?**

— ჯერ არ ვიცი, დათო 13-ისაა, ალექსანდრე 11-ის. ვნახოთ, აქ ცოტა სხვა პრობლემებია — მიდის ამერიკის ზეგავლენისა და ქართული გენების ჭიდილი.

**— რას ფიქრობთ დღევანდელ საქართველოზე?**

— ძალიან მტკივა გული იმაზე, რაც უკვე მოხდა: აფხაზეთის და ოსეთის ამბავი პირად ტრაგედიად მიმაჩნია. ჩემი მეგობარი დირიჟორი ვალერი გერგიევი ოსია. ამ კონფლიქტის დროს ჩვენ პირიქით, უფრო დავახლოვდით. გვინდა, გერგიევი ჩამოვიყვანოთ თბილისში და ჩვენი სათქმელი მუსიკის ენაზე ვუთხრათ მოძმე ხალხს.

P.S. როგორც შევიტყვეთ, ბატონი ლექსო თორაძის თბილისში ჩამობრძანება დაემთხვა დედის, ყველასათვის საყვარელი მსახიობის, ქალბატონ ლიანა ასათიანის დაბადების დღეს და ჩვენც მკითხველთან ერთად ვულოცავთ ქალბატონ ლიანას ამ დღეს.

***ალექსანდრე ბერიძე***




# რატომ მოკლეს ინგლისის მოქალაქე?!

## „საქართველოში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ინტერესთა კონფლიქტი რეალურია“

უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში თბილისსა და მის შემოგარენში ორი იდუმალებით მოცული მკვლელობა მოხდა. კოჯორში წყვილის (ქალ-ვაჟის გვამი ტყეში იპოვეს) მკვლელობა ჯერ კიდევ არ გახსნილა, თბილისში კი საიდუმლო ვითარებაში მოკლეს უცხოეთის მოქალაქე.

2 დეკემბერს თბილისში ინგლისელი ნაიჯელ ოქენდენის გვამი მეზობლებმა აღმოაჩინეს. ინგლისელის ბინის ღია კარი ჩიქოვანის ქუჩის მობინადრეთ უჩვეულოდ ეჩვენათ, რადგან ოქენდენი კარს ღია არასოდეს ტოვებდა და არც მეზობლებთან ჰქონდა ურთიერთობა.

27 წლის ნაიჯელ ოქენდენი საქართველოში სექტემბერში ჩამოვიდა „საერთაშორისო სახლის“ მოწვევით. ეს ორგანიზაცია საერთაშორისო დანიშნულებისაა და ენების სწავლებას უზრუნველყოფს. ორგანიზაციის შტაბბინა ლონდონში მდებარეობს, თუმცა უცხოელ სპეციალისტებს გასამრჯელოს „საერთაშორისო სახლის“ ქართული ფილიალი აძლევს.

რატომ უნდა მოეკლათ ინგლისის მოქალაქე, რომელიც რიგითი ინგლისური ენის მასწავლებლის სტატუსით იყო ჩამოსული საქართველოში, ჯერჯერობით, საიდუმლოებით არის მოცული. ძარცვის ან ყაჩაღობის ვერსია გამორიცხულია. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გაირკვა, რომ ნაიჯელ ოქენდენის ბინიდან, სადაც უამრავი ძვირფასი ნივთი და თანხაც ინახებოდა, წაღებული არაფერია. შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს მაგიდაზე 100 დოლარიც ხელუხლებელი დახვდათ. ბრიტანელს საქართველოში მეგობრებიც არ ჰყავდა, რადგან იგი ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ სამი თვის წინ ჩამოვიდა და თანაც, თანამშრომლებისა და მეზობლების თქმით, კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. ოქენდენის ცხოვრებისეულ დეტალებზე თითქმის არაფერი იციან დიდი ბრიტანეთის საელჩოშიც. როგორც ამბობენ, ოქენდენს მათთან ურთიერთობა არ ჰქონია და საელჩოსთვის არც რაიმე პრობლემატური განცხადებით მიუმართავს. დიდი ბრიტანეთის მოქალაქის გვამს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა 3 დეკემბერს ჩაუტარდა. ექსპერტთა დასკვნით, ოქენდენს ერთი ბრმა ტყვია ზურგის მხრიდან გულმკერდის არეში აქვს მოხვედრილი. ჭრილობა სასიკვდილოა და დროული დახმარების შემთხვევაშიც კი მისი გადარჩენა ვერ მოხერხდებოდა. ცეცხლსასროლი იარაღის ტიპი, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის. მეზობლებს გასროლის ხმა არ გაუგიათ, მათ ოქენდენის ბინიდან მხოლოდ უჩვეულო ხმაური გაიგეს. ინგლისის მოქალაქე, სავარაუდოდ, 2 დეკემბერს, დილის 11-დან 12 საათამდე უნდა იყოს მოკლული.

როგორც „საერთაშორისო სახლის“ დირექტორი ამბობს, ნაიჯელ ოქენდენი იმ დღეს სამსახურში არ უნდა მისულიყო, ამიტომ მისი ძებნა არავის დაუწყია.

უცხოელი მოქალაქის მკვლელობა საქართველოში, მით უმეტეს, როცა საქმე ძარცვას ან ყაჩაღობას არ ეხება, ყოველთვის ბადებს ეჭვს. ასეთი იდუმალებით მოცული მკვლელობები ხშირად უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ინტერესთა კონფლიქტს უკავშირდება. სავარაუდოდ, ოქენდენმა მკვლელს კარი თავად გაუღო. სამართალდამცველთა განცხადებით, იმ ბინის კარს, სადაც მოკლული ცხოვრობდა, დაზიანება ან ძალადობრივი კვალი არ ემჩნევა. ცხადია, კარჩაკეტილი ცხოვრების წესის მქონე ადამიანი უცხო პირს კარს არ გაუღებდა და შინ არ შეუშვებდა. და მაინც, რატომ ჩამოვიდა მაღალი დონის (რამდენიმე უცხო ენის მცოდნე) სპეციალისტი საქართველოში? საკმარისი იყო თუ არა ინგლისის მოქალაქისთვის საქართველოში აღებული ხელფასი? როგორც „საერთაშორისო სახლის“ დირექტორი **ირაკლი თოფურია** ამბობს, ოქენდენს საქართველოში მიღებული ხელფასი სავსებით აკმაყოფილებდა(?!).

— **ლონდონის სათავო ოფისი მას დამატებით გასამრჯელოს უხდიდა?**

— არა, ხელფასს მთლიანად ჩვენ ვუხდიდით.

— **ვინ გირჩიათ ან რა კრიტერიუმებით მოხდა ოქენდენის შერჩევა და საქართველოში ჩამოყვანა?**

— იგი მაღალი რანგის სპეციალისტი იყო, ჰქონდა მაგისტრის წოდება. საქართველოში ჩვენ მოვიწვიეთ.

— **ოქენდენის სპეცსამსახურებთან კავშირზე რას იტყვით? როგორც წესი, სხვადასხვა სტატუსს ამოფარებული უცხოელები საქართველოში სწორედ ამ მიზნით ჩამოდიან.**

— ოქენდენი სპეცსამსახურების აგენტიც რომ ყოფილიყო, ამას მე არავინ მეტყოდა. ჩვენ იგი ინგლისური ენის მასწავლებლად მოვიწვიეთ... საერთოდ, ძალზე კარჩაკეტილი კაცი იყო. ეს არის და ეს, რაც მასზე ვიცი.

„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა ქართული სპეცსამსახურების თანამშრომელს კობა გიორგაძეს. მისი განმარტებით, ოქენდენის მკვლელობის ვერსიებზე საუბრისას უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესთა კონფლიქტი რეალურია და სერიოზულ განხილვას მოითხოვს.

**კობა გიორგაძე:**

„საქართველო ის ქვეყანაა, სადაც უცხო ქვეყნების: ინგლისის, ამერიკის, ირანისა და რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესები ერთმანეთს ხშირად კვეთს. თუმცა, ოქენდენის მკვლელობა მაინც ბადებს უპასუხო კითხვებს. მკვლელმა ცხადად მიგვანიშნა, რომ მას არ აინტერესებდა ფული ან ძვირფასეულობა. როგორც წესი, სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული ოპერაცია „ძარცვის“ თანხლებით მიმდინარეობს — ყოველთვის აკეთებენ ძარცვის ან უბედური შემთხვევის ინსცენირებას, რასაც ოქენდენის მკვლელობის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. შესაძლოა, მკვლელს სურდა, დაეფიქსირებინა, რომ მკვლელობა იმ სპეცსამსახურის მიერ იყო დაგეგმილი და შესრულებული, რომელიც მოწინააღმდეგის სპეცსამსახურებს (კონკრეტულ შემთხვევაში, ინგლისის) სერიოზულ მეტოქედ არ მიიჩნევდა და ამიტომ დანაშაულის შენიღბვაც აუცილებლობად არ მიიჩნია.

P. S. ნაიჯელ ოქენდენის მკვლელობას ვაკე-საბურთალოს პროკურატურა იძიებს, მასში აქტიურად არის ჩართული გენერალური პროკურატურაც. თუმცა, ჯერჯერობით, რაიმე კონკრეტულის თქმა მკვლელობასთან დაკავშირებით მათ არ შეუძლიათ.

*ხათუნა პაიჭაძე*

# 700.000 თავისუფლების სანაცვლოდ?!

## ვლადიმერ გუცაევი: „ნუკრი კაკილაშვილს დავეხმარები“...



ეროვნული სტადიონის დირექტორი, ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი ნუკრი კაკილაშვილი 25 ნოემბერს დააკავეს. როგორც ამბობენ, კაკილაშვილი „ლოკომოტივის“ სტადიონიდან თბილისის „დინამოსა“ და ლისაბონის „სპორტინგის“ მატჩის დროს ისე კონსპირაციულად აიყვანეს, რომ ამის შესახებ კარგა ხანს ვერავინ ვერაფერი გაიგო. კაკილაშვილის დაპატიმრების ფაქტს ძალოვან უწყებებში დღესაც მკაცრად ასაიდუმლოებენ. ასე იყო ორი თვის წინათაც, როცა ნუკრი კაკილაშვილის ვაჟი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მამის ნაცვლად დააკავეს. მისი ვაჟი სამ დღეში გაათავისუფლეს, კაკილაშვილი კი უკვე ათი დღეა, შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში იმყოფება.

როგორც „კვირის პალიტრისთვის“ გახდა ცნობილი, შინაგან საქმეთა სამინისტრო აღკვეთის ღონისძიების დადასტურების მოთხოვნით, კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში ათი დღის წინ შევიდა. აქამდე კაკილაშვილი უკვე რამდენიმე თვეა, თურმე ძებნილი ყოფილა(?!). მისი დაპატიმრების სანქცია კი რამდენიმე თვის წინ გაუცია სასამართლოს.

ნუკრი კაკილაშვილი, რომელიც 80-იანი წლების თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, „დინამოს“ სტადიონზე დასამონტაჟებელი სკამების საქმეს „ემსხვერპლა“. კაკილაშვილი ბრალდებულია თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და თანხების მითვისებაში. „დინამოს“ სტადიონის სკამების თემა ხუთ წელზე მეტია, განხილვის საგანია. სტადიონის სკამებისთვის გამოყოფილი თანხების ბედით, თავის დროზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის აწ უკვე გარდაცვლილი თავმჯდომარე კახი ასათიანიც „დაინტერესებულა“. თუმცა... ეს ინტერესი მალე გაქრა და სკამების ბედს ახლა უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროში განიხილავენ. „დინამოს“ სტადიონზე, ჯერჯერობით, 20 ათასი სკამია დამონტაჟებული, 60 ათასი სკამი კი ეტაპობრივად ახლა მონტაჟდება. როგორც „კვირის პალიტრისთვის“ გახდა ცნობილი, კაკილაშვილს „დინამოს“ სტადიონზე არსებული მაღაზიების (ავეჯის ბაზრობა) შემოსავლებთან დაკავშირებული გადასახადების დაფარვაზეც ედავებიან. მიუხედავად იმისა, რომ კაკილაშვილის დაკავება საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, შინაგან საქმეთა სამინისტროში ინფორმაციას საგულდაგულოდ ბლოკავენ.

ინფორმაციულ ვაკუუმში არიან კაკილაშვილის ოჯახის წევრებიც. მათი თქმით, ისინი არც ბრალდებას იცნობენ და, აქედან გამომდინარე, მისთვის არც ადვოკატი აუყვანიათ.

ნუკრი კაკილაშვილის დაკავების შესახებ ყოფილმა თანაგუნდელებმაც რამდენიმე დღის განმავლობაში ვერაფერი გაიგეს. „კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, პარლამენტარ **ვლადიმერ გუცაევს**:

— ნუკრის დაკავების სამწუხარო ამბავი გუშინ შევიტყვე. ევროპაში ვიყავი წასული და არაფერი ვიცოდი. ბიჭებმა დამირეკეს და მითხრეს, რომ კაკილაშვილი დაუპატიმრებიათ. თუმცა, რაში ედება ბრალი, ჩემთვის, ჯერჯერობით, უცნობია. ვეცდები, ყველაფერი უახლოეს დღეებში გავარკვიო.

— **„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ბრძანდებით, ყოფილ თანაგუნდელს დაეხმარებით?**

— თუკი რაიმე შესაძლებელი იქნება, დავეხმარებით, აბა, რას ვიზამთ... ჯერ გავიგებ, რაშია საქმე, რა მოხდა... თუკი ჩემზე იქნება რაიმე დამოკიდებული, ცდას არ დავაკლებ...

„კვირის პალიტრის“ ინფორმაციით, კაკილაშვილის დახმარებას ყოფილი თანაგუნდელები და სხვა ვეტერანებიც აპირებენ. მით უმეტეს, რომ საქართველოს ახალი კანონმდებლობა ამის საშუალებას იძლევა — საპროცესო გარიგება ხომ თანხის ანაზღაურების შემთხვევაში პირის პატიმრობიდან გათავისუფლებას ითვალისწინებს. კაკილაშვილს გამოძიება დაახლოებით 700.000 ლარს ედავება.



ნუკრი კაკილაშვილი

P. S. „კვირის პალიტრის“ ინფორმაციით, კაკილაშვილს შინაგან საქმეთა სამინისტროში თანხის გადახდის ვადა რამდენიმე თვის წინ დაუთქვეს, ვეტერანმა ფეხბურთელმა კი მისი გადახდა ვერ შეძლო, რის გამოც დააპატიმრეს. სწორედ ამიტომაც დაიზღვია თავი შსს-მ და მასზე ძებნა, ოფიციალურად, რამდენიმე თვის წინ გამოაცხადა.

*რატი შელეგია*

# გადმორეკეთ — ანუ ნუ დარეკავთ უცხო ნომერზე



მიუხედავად იმისა, რომ მობილური ტელეფონებით თაღლითობით დღეს ვეღარავის გააკვირვებ, თაღლითებმა აბონენტების გატყავების ახალი და მეტად ორიგინალური ხერხი მაინც გამოიგონეს. ეს მეთოდი იმდენად დახვეწილია, რომ მისი მეშვეობით თვით ყველაზე გამოცდილი აბონენტებიც კი ტყუვდებიან. მობილურ ტელეფონზე ზარის შემოსვლის შემთხვევაში, ხშირად თქვენ უკან, ამ ნომერზე რეკავთ, რადგან, სავარაუდოდ, ნაცნობ-მეგობარი გირეკავთ, რომელსაც ანგარიშზე ფული არ აქვს. დარეკავთ თუ არა უცხო ნომერზე, თქვენ არავინ გიპასუხებთ ან თავაზიანად მოგიბოდიშებენ და გეტყვიან, რომ ნომერი შეეშალათ... კვირის ბოლოს კი აღმოაჩენთ, რომ ანგარიშზე თანხა აღარ დაგრჩათ, მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ბევრი ილაპარაკეთ...

საქმე ის არის, რომ ყოველი ასეთი ზარი უცნობთან თქვენ 1 ლარი გიჯდებათ! მექანიზმი საკმაოდ მარტივია: ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიის სათავო ოფისში მიდის პირი, რომელიც წერს განცხადებას და ითხოვს ფასიან ნომრებს ამა თუ იმ საქმიანობისათვის (ვთქვათ, სოციოლოგიური გამოკვლევისთვის და ა.შ.). სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, ნომრის აღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ფასიან ნომრებს „ჯეოსელი“ გასცემს (არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში). კომპანიის მესვეურთა განმარტებით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა თაღლითებისთვის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. როგორც „მაგთის“ მესვეურები აცხადებენ, მათი კომპანია ამგვარ მომსახურებას აბონენტებს არ სთავაზობს.

თაღლითებმა კომპანიის ფასიან ნომერზე დარეკვის მექანიზმი მშვენივრად მოიფიქრეს და აამუშავეს კიდეც.

იმისათვის, რომ მათ ნომერზე დაირეკოს, თაღლითები ნებისმიერ ნომერზე ზარს უშვებენ და სამსხვერპლოს ელოდებიან! უმეტესობა რეკავს კიდეც... ლარიანი დანაკლისი აბონენტისთვის, შესაძლოა, განსაზღვრულ დრომდე სულაც შეუმჩნეველი დარჩეს, ამ კომბინაციის ავტორები კი ჯიბეს ისქელებენ. ასე რომ, ნუ დარეკავთ უცხო ნომერზე!

*ხათუნა პაიჭაძე*




# ვინ მფარველობდა იარაღის კონტრაბანდას საქართველოში?



## დაპატიმრებული სამართალდამცველი სკანდალურ განცხადებას აკეთებს

## „ეტყობა, შევარდნაძეც დაინტერესებული იყო, იარაღის კონტრაბანდის საქმე „ჩაეკლა“

რამდენიმე ნომრის წინ „კვირის პალიტრა“ აზიიდან ევროპაში ნარკოტიკების გადატანის საკითხზე წერდა. მაშინ აღვნიშნეთ, რომ გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველოს მნიშვნელოვანი ნარკოსატრანზიტო ქვეყნის როლი ენიჭება, მაგრამ როგორც კომპეტენტური წყაროები მიიჩნევენ, საქართველოზე გავლილი „აბრეშუმის გზა“ არა მარტო ნარკოდილერებისთვის წარმოადგენს ხელსაყრელ გადასაადგილებელ საშუალებას. წლების მანძილზე ამ გზაზე კონტრაბანდული იარაღიც დაუბრკოლებლად გადიოდა.

ასეთი ბრალდება წინა ხელისუფლების დროს ხშირად გაისმოდა, თუმცა, მაშინვე მტრულად განწყობილი მეზობელი ქვეყნიდან წამოსულ პროვოკაციად ითვლებოდა და ჯეროვან ყურადღებასაც არავინ უთმობდა. მაშინდელ ძალოვანთა თავკაცებს დამშვიდების საბაბი შეიძლება ჰქონდათ კიდეც: საქართველოში იარაღის დიდი პარტია არავის დაუჭერია; ანუ თუ არ იყო კონკრეტული დამნაშავე, არც იარაღით უკანონო ვაჭრობა არსებობდა. მაგრამ ამის მიუხედავად, 2002 წლის ბოლოს საქართველო ლამის საერთაშორისო სკანდალის წინაშე აღმოჩნდა. 2002 წლის ნოემბერში თურქეთის სპეცსამსახურებმა საქართველოდან გატანილი იარაღის დიდი პარტია დააკავეს. ჩვენი გაზეთი მაშინ ამ საკითხზე დაწვრილებით წერდა. თუმცა, ოფიციალური ინფორმაციის სიმწირის გამო მხოლოდ იმის დადგენა მოხერხდა, რომ თურქეთის საზღვარზე, ვალესთან დაკავებული იარაღი მარნეულის რაიონიდან გადიოდა. ეს იყო და ეს. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებული იარაღი დიდ პარტიად შემოდიოდა, საქართველოში ამ კუთხით ძიება არავის უწარმოებია და სკანდალიც ჩაიფარცხა. ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, რომლის სამსახურიდანაც ეს იარაღი გავიდა, დაპატიმრებიდან მოკლე ხანში გაათავისუფლეს. სამაგიეროდ, დღემდე პატიმრობაში იმყოფება ორი კაცი, რომლებმაც უშიშროების სამინისტროს პირველადი ინფორმაცია მიაწოდეს. ერთი მათგანი მარნეულის უშიშროების თანამშრომელია, მეორე კი ამავე რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსი მერაბ შუბითიძე. ერთსაც და მეორესაც ადამიანის გატაცება ედებათ ბრალად(!), ხოლო როგორ აღმოჩნდა მარნეულიდან გატანილი იარაღი თურქეთში, ეს საკითხი მაშინდელმა ხელისუფლებამ ცხრაკლიტულში გამოკეტა. არადა, მერაბ შუბითიძე, რომელსაც საოლქო სასამართლოში შევხვდით, „კვირის პალიტრასთან“ სკანდალურ განცხადებას აკეთებს. იგი ამბობს, რომ ამ გზით კონტრაბანდული იარაღი მთელი ცხრა წლის მანძილზე გადიოდა, რის უკანაც მაშინდელი თავდაცვის სამინისტროს ჩინოსნები იდგნენ.

**მერაბ შუბითიძე:** — როცა მარნეულში კრიმინალური პოლიციის უფროსად ვმუშაობდი, სოფელ ორჯონიკიძესთან არსებული წისქვილკომბინატის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მომაკითხა და მითხრა, — კომბინატში იარაღის დიდი პარტია ვნახე, რომელიც დროდადრო ავტომანქანებით გააქვთო. როგორც შემდეგ შევიტყვე, წისქვილკომბინატი შესანიღბად აუშენებიათ. აქ წარმოებული ერთი ტომარა ფქვილი 24 ლარი ჯდებოდა, მაშინ, როცა ერგნეთიდან შემოტანილი ფქვილი 21 ლარი ღირდა. ამის გამო დაიბადა ეჭვი, რომ აქ ფქვილის წარმოება მხოლოდ საფარველი უნდა ყოფილიყო რაღაც უფრო მნიშვნელოვანი საქმისა. ინფორმატორს დავავალე, ეთვალთვალა. მალე გავარკვიეთ, რომ იარაღი წისქვილკომბინატიდან და მის გვერდით არსებული ფერმიდან თურქებს გაჰქონდათ. ჯერ ოპერაციის დაგეგმვა დავაპირე — მინდოდა, იარაღით დატვირთული თურქები წისქვილკომბინატიდან გამოსვლისთანავე დამეკავებინა. მერე ვიფიქრე, ეს რომ საკუთარი ძალებით გავაკეთო, ერთი ამბავი ატყდება-მეთქი და მარნეულის უშიშროების განყოფილებას შევატყობინე — უფროსის მოადგილეს ვთხოვე, ისე გააკეთე ეს საქმე, ჩემს აგენტს ნუ გაშიფრავ-მეთქი. მეშინოდა, არაფერი დაეშავებინათ მისთვის და აგენტი შევახვედრე. პერიოდულად ვხვდებოდი და მეუბნებოდა, რომ იარაღის გატანა დადასტურდა და დამნაშავეთა ასაყვანად სპეცოპერაცია იგეგმებაო. სპეცოპერაცია 2002 წლის ნოემბრის დასაწყისში უნდა ჩატარებულიყო. გვქონდა ინფორმაცია, რომ 14 დეკემბერს იარაღის დიდი პარტია უნდა გაეტანათ. როცა უშიშროების უფროსის მოადგილემ ეს შეატყობინა სამხარეო განყოფილებას, უპასუხეს, ჩამოდი და აქ გადავწყვიტოთ როგორ მოვიქცეთო. ჩავიდა ისიც... ჩამოართვეს იარაღი და ხელბორკილები დაადეს — შენი თანამშრომელი გყავს გატაცებული და უნდა დაგაპატიმროთო. ერთი სიტყვით, ასე ჩაიშალა თურქების დაპატიმრების ოპერაცია.

— **წისქვილკომბინატიდან გამოსული იარაღი არ ამოიღეს?**

— ხელიც არავინ ახლო. როგორ ამოიღებდნენ, როცა წისქვილკომბინატის ერთ-ერთი მეპატრონე, თამაზ არშაკის ძე მუმლაძე და თავდაცვის მაშინდელ მინისტრთან, დავით თევზაძესთან დაახლოებული პირი, გენერალი კობა კობალაძე ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან... ამაზე მერე მოგახსენებთ. იარაღის პარტიამ კი მშვიდობიანად დატოვა მარნეული, ადიგენით თურქეთში გადავიდა. ეტყობა, ინფორმაციამ მაინც გაჟონა და საქონელი თურქეთის სპეცსამსახურებმა ვალესთან დააკავეს. როცა თურქებმა მძღოლი დაჰკითხეს, მან აღიარა, რომ მარნეულში თამაზ მუმლაძისგან შეიძინა ეს იარაღი. მასვე ამოუღეს მუმლაძეზე გაფორმებული მობილური ტელეფონი, რომლითაც მარნეულთან ჰქონდა კავშირი.

— **რა სახის იარაღი იყო სატვირთო მანქანაში?**

— დიდი რაოდენობით ტროტილი, დეტონატორები, „ზემლია-ზემლიას“ ტიპის რაკეტები და ავტომატები. ამასთან, მძღოლი დაუდ იორმიზი ქურთი აღმოჩნდა, მას იარაღი ქურთი სეპარატისტებისთვის მიჰქონდა. თურქეთის სპეცსამსახურმა თხოვნით მიმართა საქართველოს მხარეს, დაეპატიმრებინათ მუმლაძე. იგი მართლაც დააპატიმრეს, მაგრამ არა ნოემბერში, არამედ ოთხი თვის შემდეგ — მარტში.

— **ასე რატომ გაჭიანურდა მუმლაძის დაკავება?**

— შევარდნაძეს შვილივით ჰყავდა კობა კობალაძე. თავის დროზე, მისი დახმარებით შევარდნაძემ კიტოვანი მოიცილა, სამაგიეროდ, თავის ნებაზე ჰყავდა მიშვებული. როგორც შევიტყვე, თევზაძე და კობალაძე შესულან შევარდნაძესთან და დახმარება უთხოვიათ. შევარდნაძემ მათ თხოვნა შეუსრულა. ამის შემდეგ აღარავის მოუკლავს თავი იმის ძიებით, ვინ იყვნენ მუმლაძის თანამზრახველები. თუმცა, არც მუმლაძე ამოულპიათ ციხეში, რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს. მარტში ანტიტერორისტულმა ცენტრმა გაჩხრიკა თამაზ მუმლაძის ბინა, საიდანაც ორი ავტომატი და ტყვია-წამალი ამოიღეს.

— **კი, მაგრამ მუმლაძეს საქმე ჩაწყობილი რომ ჰქონოდა, ამ იარაღს ხომ არ აღმოუჩენდნენ?**

— სწორი შენიშვნაა, მაგრამ ამით უფრო დიდი დანაშაულის ჩაფარცხვა უნდოდათ. სახლის გაჩხრეკის შემდეგ წისქვილკომბინატსა და ფერმაში გადავიდნენ. ფერმა უზარმაზარია. მის საფუძვლიან გაჩხრეკას რამდენიმე დღე მაინც სჭირდება. როგორც კი ჩხრეკა დაიწყეს, მაშინვე გამოჩნდა კობა კობალაძე და მათ ხელმძღვანელებს რაღაცაზე მოელაპარაკა. მათაც სასწრაფოდ მოხსნეს ხალხი და თქვეს: ყველაფერი გადავქექეთ და ვერაფერი ვიპოვეთო. ეს იყო და ეს. მეორე დილით წისქვილკომბინატისა და ფერმის ადგილზე ფერფლიღა იყო დარჩენილი. ასე რომ, 26 მარტს თამაზ მუმლაძე არა წისქვილკომბინატში, არამედ სახლში აღმოჩენილი ორი ავტომატის გამო დააკავეს, თუმცა, მისი დაპატიმრებაც კურიოზია — 26 მარტს, როცა დააკავეს, ხუთშაბათი იყო. პარასკევს შეუფარდეს სამთვიანი აღმკვეთი ღონისძიება და ციხეში გადაიყვანეს. შაბათ-კვირას ვითომ შეუმოწმეს ჯანმრთელობის მდგომარეობა, არადა, ციხეში ეს ოთხშაბათობით ხდება. დაადგინეს, რომ იგი სულიერად არის ავად და სამშაბათს შინ გაუშვეს იმ პირობით, რომ ფსიქიატრიულში უნდა დაწოლილიყო.

— **სხვათა შორის, როცა ჩვენმა გაზეთმა ეს ამბავი გააშუქა, მაშინ ფსიქიატრიული კლინიკის მთავარმა ექიმმა, აბელ მამარდაშვილმა თქვა, რომ თამაზ მუმლაძე ფსიქიკურად ჯანმრთელია.**

— საქმეც ის არის, რომ მუმლაძეს წინასწარ დაუსვეს დიაგნოზი. პატიმრის ფსიქიკური აშლილობა რომ დადასტურდეს, მას ჯერ ციხის სანნაწილში ათავსებენ. კარგა ხანი სჭირდება, რომ ფსიქიკური აშლილობა დაუდასტურონ, შემდეგ გადაჰყავთ „რეზბალნიცაზე“ და იქიდან კიდევ ათასი კომისიის გავლის შემდეგ, ექსპერტიზის ჩასატარებლად ასათიანზე მიჰყავთ. ერთი სიტყვით, პროცედურა, რასაც თვეები სჭირდება, მუმლაძემ ციხეშივე გაიარა შაბათ-კვირას. ასე ჩაიფარცხა ვალესთან დაკავშირებული ტვირთის საქმე. არადა, ჩემი აგენტების საშუალებით დავადგინე, მარნეულში საიდან ხვდებოდა იარაღი.

— **მაინც?**

— არსებობდა ოთხი მანქანა. ერთი „კრაზი“ და სამი „კამაზი“. მათი ნომრები ჩაწერილი მაქვს. ეს მანქანები თვეში ორჯერ(?!) მიდიოდნენ სტავროპოლში, იქ იარაღით იტვირთებოდნენ, ზემოდან ხორბალს აყრიდნენ და ცხინვალის გამოვლით მარნეულში ჩამოჰქონდათ. ამავე რეგულარობით, შემდეგ, ხან ბათუმის, ხან ადიგენის გავლით იარაღი თურქეთში გადადიოდა. ეს სქემა მთელი რვა-ცხრა წლის მანძილზე მუშაობდა. მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ტვირთი „დაიწვა“ და ცხინვალიდან გამოსული მანქანები დააკავეს. მაშინ კობალაძემ დიდი ფული გადაიხადა და ტვირთი გამოიხსნა. ეს იყო ერთადერთი ინციდენტი, როცა იარაღის კონტრაბანდა თითქოს აღმოაჩინეს.

თამაზ მუმლაძეს ძლიერი „კრიშა“ რომ არ ჰყოლოდა, როგორ შეძლებდა ამხელა ბიზნესის დატრიალებას? მით უმეტეს, მაშინ, როცა ვინმეს ერთ „ლიმონკას“ რომ აღმოუჩენენ, ერთი ამბავი ატყდება და დამნაშავეს ციხეში გამოამწყვდევენ ხოლმე.

გავიდა ხანი და მარნეულში პოლიციის სახელზე მოვიდა წერილი, — გვიბრძანებდნენ, თამაზ მუმლაძე ფსიქიატრიულ კლინიკაში დაგვეწვინა. პოლიციის უფროსმა ეს საქმე მე დამავალა. მე ჩემს მოადგილეს გადავაბარე, ისიც მუმლაძე იყო. მას უნდა ჩაეყვანა თამაზი თბილისში და ფსიქიატრიულ კლინიკაში დაეწვინა. გასული წლის 2 ივნისს მუმლაძე კლინიკაში დააწვინეს, საიდანაც მისი შვილი ბაქარი გაიტაცეს. იცით, ეს როგორ გაიგეს? დაურეკეს კობა კობალაძის მამას და უთხრეს, გამოსასყიდი უნდა გადაიხადოთო.

— **თქვენ ამ დროს სად იყავით?**

— ზუსტად 2 ივნისს პოლიციაში თათბირი გვქონდა 6 თვის შედეგებზე...

ახლა ცოტა უკან დავბრუნდები: რამდენიმე წლით ადრე საკუთარი ავტომანქანები — „ნივა“ და „მერსედესი“ გავყიდე და აღებული ფული — 10 ათასი დოლარი ვასესხე ჩემს მეგობარს, ჯემალ ტაბატაძეს, რომელსაც ეს ფული ბიზნესში უნდა ჩაედო და მეც მოგებას მპირდებოდა.

— **რა ბიზნესზე იყო ლაპარაკი?**

— გერმანიიდან მანქანები უნდა ჩამოეყვანა და აქ გაეყიდა. საქმე, ასე თუ ისე, აეწყო. ამასობაში, გასული წლის ივნისში, მაშინ, როცა ეს ამბები ხდებოდა, დამირეკეს და შემომთავაზეს, სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ გადავსულიყავი. ამ სისტემაში ნამუშევარი ვარ და კარგად ვიცნობ. ამიტომ ბევრი არც მიყოყმანია, ისე დავთანხმდი. ეს ისეთი სამსახურია, დღედაღამ იქ უნდა იყო, შინ იშვიათად მივდიოდი. აქვე, „კრიტის“ გვერდით, ბინა იყიდებოდა 12 ათას დოლარად. მეპატრონეს დაველაპარაკე და მითხრა: 2 ათასს კიდევ დაგიკლებო. დასანგრევი სახლი იყო, მაგრამ ვაზისუბანში ჩემი ბინის გაყიდვას ვაპირებდი და ახალ სახლს ავაშენებდი. ერთი სიტყვით, ჯემალ ტაბატაძეს ჩემი ფული მოვთხოვე. ეტყობა, თავიდან გაუჭირდა შოვნა, ფულის მოცემა გამიჭიანურა. ბოლოს, 15 აგვისტოს დამირეკა და მითხრა: ფული ვიშოვე, „პესკებზე“ გამოდი, აქ ვქეიფობ და მოგცემო. მეც გავედი და ფული გამოვართვი. შინ წაღება არ მინდოდა, სეიფში უფრო საიმედოდ იქნებოდა, დეპარტამენტი ისეა დაცული, ქურდი კი არა, ჩიტიც ვერ შეფრინდება. 10 ათასი დოლარი, პლუს მარნეულიდან ჩამოტანილი (ჩემი დანაზოგი) 5 ათასიც სეიფში შევინახე. სამი დღე ხელი არ მიხლია. 18 ნოემბერს კი ბაქარ მუმლაძის (თამაზ მუმლაძის შვილი) გატაცების ბრალდებით დამაპატიმრეს და ეს ფული ამოიღეს, როგორც გატაცებიდან მიღებული გამოსასყიდი.

— **ანუ თქვენ ამბობთ, რომ ყველაფერი ეს მოწყობილია?**

— მე პირველი წყარო ვიყავი, რომელმაც იარაღის ბიზნესზე ინფორმაცია გასცა და ეს არ მაპატიეს. წინა დღეებში ზუსტად ამავე ბრალდებით, ანუ ბაქარ მუმლაძის გატაცების ბრალდებით, დააკავეს „რეზბალნიცის“ ექიმი ჭანტურია. როგორ ფიქრობთ, „გამოსასყიდში აღებულ ფულს“ სეიფში დავტოვებდი? ამათ კი, რამდენიმე დღის შემდეგ რომ დამიჭირეს, მითხრეს — ჭანტურია შენი „პადელნიკიაო“. როგორც კი დამაპატიმრეს, მაშინვე მოვითხოვე, ჯემალ ტაბატაძე სასწრაფოდ მოძებნეთ და ის იტყვის, რომ ფული მან მომცა-მეთქი. მანაც დაადასტურა, რომ მართლაც ვალი დამიბრუნა. საქმეში კი ჩაიწერა, რომ ფული... მუმლაძეებმა შემომიტანეს.

— **მაშინ კიდევ რამდენიმე პირი დააკავეს.**

— ამ საქმისთვის კიდევ სამი კაცი დაიჭირეს — საჯაია, ხარბედია და შენგელია. როგორც შევიტყვე, ეს ხალხი ცემით კინაღამ მოუკლავთ — გატაცების ორგანიზატორად ჩემს დასახელებას სთხოვდნენ. ხარბედიამ და შენგელიამ ასეთი ჩვენება არ მისცეს: არ ვიცნობთ და კაცს ხელი როგორ დავადოთო. მხოლოდ ერთმა, დემურ საჯაიამ დაწერა, რომ ორგანიზატორი მე ვიყავი. ვითომ ადრე ფიზკულტურის ინსტიტუტში ერთად ვსწავლობდით. რის ფიზკულტურის ინსტიტუტი, მთელი სიცოცხლე ოპერატიულ სამსახურში ვმუშაობდი. შემდეგ, როცა საჯაიას ციხეში ვკითხე, ასეთი ჩვენება რატომ მიეცი-მეთქი, მითხრა, — ცემით მომკლეს და სხვა გამოსავალი აღარ დამიტოვესო. მოგვიანებით, მან მაშინდელ გენპროკურორს მიმართა წერილით...

...ამონაწერი დემურ საჯაიას წერილიდან (სტილი დაცულია): „ბატონო ნუგზარ (მაშინდელი გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე) ჩემ მიმართ გამოყენებული იქნა საწამებელი იარაღი, რომ დამებრალებინა დანაშაული ვინმე მერაბ შუბითიძისთვის, რომელიც მანამდე არასოდეს მინახავს. გთხოვთ, დამიცვათ შსს-ს ჯალათებისგან და წამების ქვეშ მიღებული ჩვენება გააბათილებინოთ“...

სამწუხაროდ, ამ წერილს რეაგირება არ მოჰყოლია, ან რაღა უნდა მოჰყოლოდა, როცა ხელთ მაქვს შევარდნაძის დადებული რეზოლუცია ჩემს საქმეზე, სადაც მაშინდელი პრეზიდენტი წერს: „ბატონო ნუგზარ, ბატონო კობა (კობა ნარჩემაშვილი. — დ. დ.), დროზე მივიყვანოთ(!) ეს საქმე ბოლომდე“. რომ დაეწერა, ბოლომდე მიიყვანეთო, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ შევარდნაძეც, ეტყობა, დაინტერესებული იყო, იარაღის კონტრაბანდის საქმე „ჩაეკლა“. ასევე გააჩუმეს ის აგენტი, რომლისგანაც ინფორმაცია მივიღეთ. მას ბავშვის საწოლიდან „ამოუღეს“ „ლიმონკა“. შემდეგ ძიებისას სწორედ ამან უშველა — ნორმალური კაცი თოთო ბავშვის ლეიბქვეშ ყუმბარას არ შეინახავდა. ამიტომ გამოუშვეს, ოღონდ დაემუქრნენ: იარაღზე თუ კიდევ ამოგიღია ხმა, დედას გიტირებთო...

ყველა თავიდან მოგვიცილეს, ვინც ინფორმაცია გასცა. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენ დაგვიჭერდნენ და არა იარაღის კონტრაბანდისტებს.

— **მას შემდეგ ხელისუფლება შეიცვალა, თქვენ კი იგივე ბრალდება გრჩებათ.**

— წელიწადი და ოთხი თვეა, რაც დამაპატიმრეს. ამ ხნის მანძილზე სასამართლო პროცესი მხოლოდ რამდენჯერმე მქონდა. მოვითხოვ, ჩემს „პადელნიკებთან“ ან ფულის გადმომცემებთან დაპირისპირებას, მაგრამ ამაოდ. ვიღაც ზემოდან აჭიანურებს საქმეს. იმ ხალხის უმრავლესობა, ვინც მე დამაპატიმრა, დღეს ისევ თანამდებობაზეა... ყველაფერს ამჯერად ვერ გეტყვით, მაგრამ მომავლისთვის მათ ვინაობასაც გაგიმხელთ. ბოლოს და ბოლოს, რატომ არავის აინტერესებს იარაღის კონტრაბანდის საკითხი? იმიტომ, რომ თავის დროზე დიდი მაყუთია გადახდილი და საქმე ერთხელ და სამუდამოდაა მიჩუმათებული...

„კვირის პალიტრა“ გენერალ კობა კობალაძეს დაუკავშირდა, რომელმაც მსგავს ბრალდებას აბსურდული უწოდა: „იმდენად დეტალურად აღწერს შუბითიძე იარაღით ვაჭრობის ამბებს, ეტყობა, თვითონ უფრო კარგად არის ჩახედული ამგვარ საქმიანობაში. მსგავს საქმეში მონაწილეობა რომ არ მიმიღია, ამის მტკიცება შეურაცხმყოფელია ჩემთვის. მარნეულში იმიტომ ჩავედი, რომ თამაზ მუმლაძეს შვილი მოსტაცეს და ამბის გაგება მინდოდა. ვალერი ხაბურძანიამ დამირეკა და მითხრა, რომ იქ იარაღზე ყოფილა ლაპარაკი. რაც შეეხება თამაზ მუმლაძეს, იგი ერთი პატიოსანი გლეხია. სხვათა შორის, დაკავებულმა ქურთმა მძღოლმა მისი ფოტოსურათი ვერ ამოიცნო. ასე რომ, მუმლაძე მაშინ ტყუილუბრალოდ დაადანაშაულეს.

P. S. ერთი სიტყვით, სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ციხეში გამოკეტილი ამავე დეპარტამენტის მაღალჩინოსანი წინა ხელისუფლების მისამართით სერიოზულ ბრალდებას აყენებს. საინტერესოა, რატომ არ აყენებენ ამ საკითხს დღევანდელი ძალოვანი უწყებები? აქ ხომ ლაპარაკია იმ დანაშაულზე, რომელიც წლების მანძილზე ხდებოდა და როგორც ჩვენი რესპონდენტი აცხადებს, მართლმსაჯულებას პასუხი არავისთვის მოუკითხავს. თუმცა, კულუარული ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, ეს საქმე მაინც ამოტივტივდეს და იარაღით ვაჭრობის საქმეში გარეული ბევრი დიდი „თავი“ გაგორდეს.

***დავით დევიძე***

# „ოპოზიცია ხელისუფლებასთან ღამის სერობებზე არ უნდა დაძვრებოდეს“



## „ამერიკაში მივემგზავრები, რათა საქართველოში ერთპარტიული დიქტატურა არ დამყარდეს“

**შალვა ნათელაშვილი** ოპოზიციური პარტიის პირველი ლიდერია, რომელთან შეხვედრაც აშშ-ში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოინდომეს. ლეიბორისტთა ლიდერი იქ სამ კვირას დაყოფს და სანამ გავიგებდეთ, იქიდან რას „ჩამოიტანს“, მანამდე ის შევიტყვეთ, ვისთან, რაზე და რის ლაპარაკს აპირებს ქვეყნის „მთავარი მშრომელი“, რომელმაც შორეული და ხანგრძლივი მოგზაურობის წინ გულისტკივილით გაგვიმხილა, — შესაძლოა, ხელისუფლებამ ისიც იკადროს, რომ ჩემი არყოფნით ისარგებლოს და ამ ბიძია თომას ქოხზე (ლეიბორისტთა ოფისზე) მიიტანოს იერიში.

— 10 წლის განმავლობაში ჟვანიამ და სააკაშვილმა სხვა პოლიტიკურ ძალებს ვაშინგტონისკენ მიმავალი გზა გადაუკეტეს. ყველა წარმოაჩინეს როგორც ფაშისტი, ნაციონალისტი, ფუნდამენტალისტი, ულტრამემარცხენე, ხალხისთვის მიუღებელი და ეს ისე ჩააპიარეს, რომ თვითონ მოეპოვებინათ მონოპოლიური მდგომარეობა აშშ-ის პოლიტიკურ წრეებთან ურთიერთობაში. შედეგმაც არ დააყოვნა, — ხელისუფლებაში მოვიდნენ. თუმც, აშშ-ის პოლიტიკური ელიტა, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, უკვე მიხვდა, ვისთან აქვს საქმე და ისიც გააანალიზა, რომ არ შეიძლება „ჩვენს კარზე“ მონოპოლიური მდგომარეობა ერთ პოლიტიკურ ძალას ჰქონდეს (როგორც ეკონომიკაში, პოლიტიკაშიც აუცილებელია კონკურენტუნარიანი გარემო). არ შეიძლება, საქართველოში ერთპარტიული დიქტატურა დამყარდეს, სადაც იქნება ერთპარტიული პარლამენტი, ერთპარტიული მთავრობა, ერთპარტიული სამხარეო ადმინისტრაციები, ერთპარტიული სოფლის საკრებულოები და ერთპარტიული აზროვნება, რადგან ამას უთუოდ მოჰყვება ერთუჯრედიანი ცხოვრების წესი, რომელსაც უკვე თავზე გვახვევს ხელისუფლება. რაკი ჩვენ დავრჩით იმ ოპოზიციურ ძალად, რომლის ჩაძირვა და დამარხვა ვერ შეძლო ხელისუფლებამ, ჩვენთან შეხვედრა მოინდომეს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა საერთაშორისო რანგის სტუმრის სტატუსით მიმიწვია და თავადვე დააფინანსა ჩემი ვიზიტი. დაგეგმილია შეხვედრები თეთრ სახლში, კონგრესში, უშიშროების საბჭოში, სხვადასხვა უნივერსიტეტში, ნიქსონის ცენტრში, სტრატეგიული გამოკვლევების ცენტრში, მშვიდობის ინსტიტუტში და ა.შ. მთავარი საკითხი, რომელსაც დავსვამთ, იქნება ის, რომ დახმარება, რომელსაც შტატები საქართველოში აგზავნის, ქართველ ხალხს, ქართული ეკონომიკის აღორძინებას უნდა მოხმარდეს და არ უნდა დაილექოს სამთავრობო კორუმპირებული ელიტის ჯიბეებში. ასევე, დავსვამთ საკითხს, რომ დასრულდეს საქართველოში ერთპარტიული დიქტატურა და დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. მოვითხოვთ, რომ კონგრესში შეიქმნას ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შემსწავლელი კომისია, რომელიც გამოიკვლევს უკანონო განკულაკებების, უკანონო დაპატიმრებებისა და პატიმართა წამების შემთხვევებს. აი, ამ საკითხებზე ვილაპარაკებ ამერიკელ მეგობრებთან. ვფიქრობ, ამერიკელები ყველა ღონეს იხმარენ, რომ აქ მდგომარეობა გამოსწორდეს.

— **აშშ-ის ელჩს საქართველოში რიჩარდ მაილსს ხომ არ უცდია რამენაირად დაერეგულირებინა გამწვავებული ურთიერთობები თქვენსა და ამჟამინდელ ხელისუფლებას შორის?**

— ამას არც საკუთარ თავს აკადრებს და არც — მე... მან იცის, რომ ოპოზიცია ოპოზიცია უნდა იყოს და ხელისუფლებასთან ღამის სერობებზე არ უნდა დაძვრებოდეს. ეს ჩვენთან არის არეული ოპოზიცია-ხელისუფლება... აქ ოპოზიციონერს თავს ის უწოდებს, რომლის ოჯახის წევრი ამ ხელისუფლების მინისტრია. ჩვენთან ისინიც ოპოზიციონერობენ, ვინც პარლამენტში, როგორც მმართველი პარტიის ლიდერები, ისე მოხვდნენ. დღეს ხელისუფლებაში ან ოპოზიციაში ყოფნა განისაზღვრება იმის მიხედვით, ვინ რამდენს ჭამს ბიუჯეტიდან. თუ ცოტას ჭამ, ე. ი. ოპოზიციაში უნდა გადახვიდე და არა იდეის ან კიდევ იმის გამო, რომ ხელისუფლების კურსია შენთვის მიუღებელი.

— **მაგრამ ოპოზიციონერობა ხელისუფლების წევრებისთვის ხმის არგაცემასა და ხელის არჩამორთმევასაც არ ნიშნავს...**

— ოპოზიციონერობა ჩემთვის არის ხელისუფლების შეურიგებელი ოპონირება გაუთვლელ, საშიშ და ქვეყნისთვის ზიანის მომტან ნაბიჯებზე. აქ თუ ვინმეს შეურიგდი და პირადი ურთიერთობების გამო კომპრომისი დაუშვი, მაშინ ხალხს მოატყუებ. ასეთ ოპოზიციონერობას, ჯობს, ოპონირებას თავი დაანებო და ხელისუფლებაში შეხვიდე. არ შეიძლება, აქაც კარგი იყო და იქაც.

— **ბევრმა თქვენი იმიჯის გვარიან შელახვად აღიქვა HTB-ის ეთერით პრეზიდენტ სააკაშვილზე გადაღებულ ფილმში მონაწილეობა... თავად არ გეხამუშათ კიტოვანისა და იგორ გიორგაძის გვერდით გამოჩენა?**

— რომ შემომთავაზონ, კიდევ ათჯერ გამოვალ ამ ტელევიზიაში. რა ვიცოდი, რა გადაცემას ამზადებდა HTB, ინტერვიუ უნდოდათ და სააკაშვილზე კარგს რომ არაფერს ვიტყოდი, გიკვირთ? სადღაც, ტყეში, გიორგაძე მოუძებნიათ, მერე ნიქსონის ცენტრის დირექტორი საიმსი უნახავთ, მერე ინტერვიუები ერთ გადაცემაში დაუმონტაჟებიათ და რა ვქნა ახლა? რომელიმე გადაცემაში სტალინსა და ჩერჩილთან ერთად რომ მაჩვენონ, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მათთან ერთად ვიჯექი სადმე ან მათთან კონტაქტი მქონდა? ყველაფერი დამიბლოკეს, გამიხსნან ქართული ტელევიზიები „მზე“, „იმედი“, არხი, „რუსთავი-2“ და აღარ მივადგები ევრონიუსს და HTB-ს.

**რა ვიცოდი, რა გადაცემას ამზადებდა HTB, ინტერვიუ უნდოდათ და სააკაშვილზე კარგს რომ არაფერს ვიტყოდი, გიკვირთ? სადღაც, ტყეში, გიორგაძე მოუძებნიათ, მერე ნიქსონის ცენტრის დირექტორი საიმსი უნახავთ, მერე ინტერვიუები ერთ გადაცემაში დაუმონტაქებიათ და რა ვქნა ახლა? რომელიმე გადაცემაში სტალინსა და ჩერჩილთან ერთად რომ მაჩვენონ, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მათთან ერთად ვიჯექი სადმე ან მათთან კონტაქტი მქონდა? ყველაფერი დამიბლოკეს, გამიხსნან ქართული ტელევიზიები და აღარ მივადგები ევრონიუსს და HTB-ს.**

— **სხვების ქომაგი და დამცველი ლეიბორისტები როგორ აპირებთ საკუთარი თავისა და ოფისის დაცვას? რამდენადაც ვიცი, აქედან გასახლებენ.**

— ამ ოფისზე დავა და სააკაშვილის მორალი მაიმუნობაა. ეტყობა, გამჩენი არ ასვენებს დავით მუმლაძეს, რომელმაც ცეკავშირის მილიარდიანი ქონება ჯიბეში ჩაიდო. ჰგონია, თუ ლეიბორისტებს ოფისს წავართმევ, პარტია დაეშლებათო. ვაფრთხილებ, ჩვენი ოფისის წართმევა და მისი კანცელარიიდან გამობრძანება ერთდროული აქტი იქნება, მაგრამ ტყუილად წვალობენ, მაინც ვერაფერს გახდებიან. ვერ დაგვშალეს, ვერ გვიყიდეს, საზღვარგარეთ ვერ გაგვაქციეს და უკანასკნელ ხერხს მიმართავენ, თორემ, რა თვალის დასადგამი და მოსაწონია ეს ოფისი — ბიძია თომას ქოხს ჰგავს... რას ვიზამთ, ვერ გვიტანენ, მაგრამ მათნაირ ხალხს, რომელიც ეროვნულ ცნობიერებას ანგრევს, მართლმადიდებლობას და განათლების სისტემას ებრძვის, არც უნდა უყვარდე. ამათ რომ ვუყვარდეთ, მაშინ იქნებოდა შავად ჩვენი საქმე...

ამათ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლონ, რომ ქვეყნის მშენებლობის ხარაჩოებთან მიუშვა — თორემ ან თავად ჩამოცვივდებიან ხარაჩოებიდან ან ჩვენ ჩამოგვყრიან... ეს მადარდებს, თორემ ჩემთვის სააკაშვილს არც მამული წაურთმევია, არც ქონება, ერთი ამ ოფისს მეცილება და ამასაც ვერ წაიღებს.

# „ახია მათზე, ვინც ახლა ფულს იხდის“

## ვინც ცალკე თამაშს შეძლებს, ის იქნება პოლიტიკური ფიგურა

**სოროსის ნაყიდი ვარდი ხელში არ ამილია და მისგან ერთ ლარსაც არ ავიღებ, იმიტომ, რომ პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწისთვის ამის გაკეთება სამარცხვინოა. აბა, სხვა რა უნდა ვუწოდო, როდესაც მისი მინისტრები, მილიონერი ბენდუქიძეც კი, სოროსისგან იღებენ ფულს?!**

პირველი, ვინც რევოლუციური გუნდიდან წავიდა, **აკაკი ასათიანი** იყო. ერთი წლის წინ ვარდების რევოლუციის აქტიური მონაწილე მოზეიმეებს შორის წელსაც ვერ ვიხილეთ. რატომ არ იზეიმა აკაკი ასათიანმა ვარდების რევოლუციის წლისთავი, როგორ აფასებს ერთი წლის წინანდელ მოვლენებს და რა მიაჩნია ქართველი საზოგადოებისთვის სათაკილოდ და რა — ღირსებად, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ:

— რევოლუციაში არათუ ვმონაწილეობდი, მისი ერთ-ერთი მომწყობიც ვიყავი. ამასთან, იმიტომ კი არა, რომ შევარდნაძე მძულდა, არამედ იმის გამო, რომ ქვეყანაში იყო მიუღებელი ვითარება. ვითარება შევარდნაძემ არ შეცვალა და ამიტომ თვითონ ვითარებამ შეცვალა ის. ეს რევოლუცია მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩემს ცხოვრებაში. მაშინ არ ველოდი სისხლის ღვრას, რადგან როდესაც დიდი ფული აქვს დასაკარგი, ხელისუფლება, როგორც წესი, იოლად თმობს ძალაუფლებას და მხოლოდ იმას ფიქრობს, რომ



**„როდესაც დიდი ფული აქვს დასაკარგი, ხელისუფლება იოლად თმობს ძალაუფლებას“**

როგორმე თავისი ფული გადაარჩინოს. გავრცელდა კიდეც ხმა — შევარდნაძემ უახლოესი გარემოცვის გადასარჩენად მთელი თავისი გუნდი გაწირა. ამათ გაურიგდა (ახალ ხელისუფლებას. — ი. რ.) და ყოფილი თანამშრომლები ჩააბარაო. ახია მათზე, ვინც ახლა ფულს იხდის. ე. ი. მოუპარავთ, ხომ?.. ვიცოდი რევოლუციის შემდეგ რაც დაიწყებოდა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ ხალხმა არ იცოდა, რა უნდა ეკეთებინა. იყო „გარედან“ ინსტრუქციების რამდენიმე ვარიანტი (რა თქმა უნდა, იყო დაფინანსებაც) და ამათ მაინცდამაინც უარესი აირჩიეს.

— **საიდან იყო ეს ინსტრუქციები?**

— ძირითადად, შტატებიდან (და არა მარტო იქიდან, რუსებიც იყვნენ ამ საქმეში გარეული), მაგრამ აშშ-შიც არ არის დალაგებული ყველაფერი. იქაც დიდი საფრთხე ემუქრება იმ ფასეულობებს (შრომა, პატიოსნება, სარწმუნოება, ოჯახი), რაზეც ეს ქვეყანა აღმოცენდა. იქაც დგას განათლების პრობლემა და ყველაზე სასაცილო ისაა, რომ ჩვენ განათლების იმ სისტემას გვახვევენ თავს, რომელიც თვითონ ამერიკელებს არ მოსწონთ... ზოგიერთი რევოლუციონერის ზედმეტი ეგზალტაცია მათ გოიმობას ადასტურებს. მე გოიმები არ მიყვარს(!), იმიტომ, რომ ჩემი ხალხი ბუნებით არისტოკრატია. ვეცდები, საზოგადოების გონიერი და ღირსეული ნაწილის მობილიზებას, რათა ეს ხელისუფლება მშვიდობიანად წავიდეს... ესენიც მშვიდობიანად წავლენ, ესენიც ფულისკენ გაიქცევიან.

დასავლეთის გამტყუნებას არ ვაპირებ. ჩვენ თუ ჩვენს საქმეს მივხედავთ და სწორად მოვიქცევით, ხელს ვერავინ შეგვიშლის. სოროსის ნაყიდი ვარდი ხელში არ ამილია და მისგან ერთ ლარსაც არ ავიღებ, იმიტომ, რომ პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწისთვის ამის გაკეთება სამარცხვინოა. აბა, სხვა რა უნდა ვუწოდო, როდესაც მისი მინისტრები, მილიონერი ბენდუქიძეც კი, სოროსისგან იღებენ ფულს?!

ქვეყნის ინტერესები უპირველესი უნდა იყოს ყველასთვის. როდესაც ნატოს გენერალური მდივანი ამბობს, საქართველოს სადავო ტერიტორიების გარეშე მივიღებთო, ეს ხომ დიდი პროვოცირებაა? თუ მაინცდამაინც ნატო გინდათ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაანებეთ თავიო. მე კიდევ არც ნატო მჭირდება, არც ევროკავშირი და არც დედამიწა, თუკი სამაჩაბლო და აფხაზეთი ჩემი არ იქნება.

— **ამ ერთ წელიწადში კარგი ვერაფერი დაინახეთ?**

— ამბობენ, საპატრულო სამსახური შევქმენით და ავტოინსპექცია გავაუქმეთო — მერე სად გაუშვეს ის ხალხი, ქუჩაში გაყარეს, ხომ? როგორიც უნდა ყოფილიყო ის ავტოინსპექტორი, მაინც ჩემი არ არის? არ უნდა ეფიქრათ, სად უნდა წაეყვანათ ეს ხალხი? თუ უმუშევრობა 80%-მდე ავარდა, 10%-ს წვალებით ფული აშოვნინეს, დანარჩენ 10%-ს კი ხელფასს გაუზრდიან ისევ თავიანთი სამსახურისთვის, ეს არის პრობლემის გადაწყვეტა? ამბობენ, მილიარდამდე დოლარია ამოღებულიო, მაშ, რატომ არის მაინც წყვდიადი მთელ საქართველოში, ამ ფულის დიდი ნაწილი რომ არ მოეპარათ, ხომ გადაიხდიდნენ ელექტროენერგიის საფასურს და გაანათებდნენ ქვეყანას?

— **კულუარებში ითქვა, სამომავლოდ ტრადიციონალისტები და ნინო ბურჯანაძე გაერთიანებას აპირებენო.**

— ერთი წელია, ნინოს არ შევხვედრივარ. გულწრფელად გეტყვით, ჩემი აზრით, ამ ხელისუფლებაში ნინო ბურჯანაძეს ყველაზე ღირსეულად უჭირავს თავი. თუმც, საკამათო და სადავო მასთანაც ბევრია, ის ჯერ არ ჩამოყალიბებულა პოლიტიკურად, მაგრამ იმედი მაქვს, ჩამოყალიბდება.

სახელისუფლებო გუნდში ერთმანეთზე ჩამოკიდებული ხალხია, — მთვრალები რომ ერთმანეთს ეკიდებიან, არ წავიქცეთო, ისე არიან. მათგან ცალკე თამაშს თუ ვინმე შეძლებს, ის იქნება პოლიტიკური ფიგურა... სხვათა შორის, ზვიადის დროს მესმოდა, ესენი დიდხანს ვერ გაძლებენ ხელისუფლებაშიო, მაგრამ ზვიადს მიაჩნდა, რომ შეუპოვარი ეროვნული ბრძოლის მაგალითი უნდა გვეჩვენებინა ქართველი ხალხისთვის, თუნდაც შევწირვოდით ამ ბრძოლას, და ეს ღირდა თავგანწირვად. ზვიად გამსახურდია ფულისთვის და სხვა რამისთვის არ დაღუპულა, მან თავგანწირვის მაგალითი მისცა ხალხს. ეს ხელისუფლება კი რატომ, რა იდეისთვის სწირავს თავს, არავინ იცის. როდესაც ხელისუფლებას ვაკრიტიკებ, კაციშვილი არ მეუბნება, რას ერჩიო. ერთი ეგ იყო, ექვსი თვის წინ მეუბნებოდა ზოგი — ცოტა აცალეო, ახლა კი უკვე ისინიც ჩუმად არიან.

ქართველებს უტეხობა გვჩვევია — სისულელესა და მონობას დიდხანს ვერ ვიტანთ და იმ ხალხის ბრბოდ გადაქცევა, რომელიც ძლივს საზოგადოებად იქცა, არ გამოუვათ. ტელეეკრანიდან ხელისუფლება რაღაც უხილავ წარმატებებზე ლაპარაკით გვმოძღვრავს და ლამის ცხინვალში განვითარებული მოვლენებიც გამარჯვებად გაასაღეს. მეუბნებოდნენ, — რატომ ხმას არ იღებო, — ჯერ ერთი, ტელევიზიით გამოსვლის საშუალებაც აღარ არის. ამასთან, მიმაჩნია, რომ რაგინდ დიდებული იდეაც უნდა გქონდეს, თუ საზოგადოება მზად არ არის მის მისაღებად, ძალად თავს ვერ მოახვევ. მაინტერესებს, აქვს საზოგადოებას იმის უნარი, ეიფორიიდან გამოვიდეს და კრიტიკულად შეაფასოს ის, რაც ქვეყანაში ხდება? ბევრს აღიზიანებდა კორუფცია და ხალხის ფულით გაქსუებული ჩინოვნიკები, მაგრამ, როდესაც ტელევიზიით ნახა სასამართლოს სანქციის და პროცესის გარეშე დაპატიმრებები, პროტესტის გრძნობა გაუჩნდა და ეს უკვე კარგის ნიშანია. ჩამოიყვანეს კოლომბო, ატარეს, აჩვენეს, — ამას ეს სახლი წავართვით და კიდევ წავართმევთო. რას ჰქვია, წაართვით, სასამართლო და განაჩენი სად იყო, ან ამოღებული ფული სად წაიღეთ, ყაჩაღები ხომ არ ხართო... წავიდა ის კაცი და თქვა კიდეც ეს ყველაფერი ინტერვიუში. არ არის სწორი პრინციპი, ქურდის ქურდი ცხონდაო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქურდის ქურდი ქურდი არ არის. სინამდვილეში, ერთიც დამნაშავეა და მეორეც. 2-3 წელიწადში ადამიანები იმის მიხედვით დაფასდებიან, ვის ეყო ღირსების გრძნობა და ვინ არ გაერია ამ უმსგავსობაში...

*გვერდი მოამზადა*
*იზო რკაძემ*

CMYK

# „სამპრეზიდენტიანი“ მმართველობები

## ის, რაც ხდება სოხუმსა და კიევში, ერთ თარგზეა მოჭრილი

6 დეკემბერი გადამწყვეტი გახდება იმ ბრძოლაში, რასაც აფხაზეთის თვითმარქვია ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია ჰქვია. 26 დეკემბერს კი უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ხელახალი ჩატარებაა მოსალოდნელი, რომელიც ალბათ საბოლოოდ გამოავლენს ქვეყნის მომავალ პრეზიდენტს.



იქ, სადაც პოლიტიკურ ინტრიგებში მარცხს განიცდის, კრემლი ღიად იწყებს სამხედრო ჩარევას — მას აფხაზეთში ეს უკვე დიდი ხანია დაწყებული აქვს... გაბედავს თუ არა მოსკოვი უკრაინის ორად გახლეჩას ძალის გამოყენებით?!

ამ ორ მოვლენას ძალიან ბევრი აქვს საერთო, თუმცა მთავარი განსხვავებაც სახეზეა — უკრაინა მსოფლიოს მიერ აღიარებული ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოა, რომელიც სულ ათიოდე წლის წინ ბირთვულ იარაღსაც კი ფლობდა, აფხაზეთი კი არავის უღიარებია და მას გაერო საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

მთავარი მსგავსება კი ის არის, რომ რუსეთი, უფრო სწორად კი, კრემლი, ერთნაირად ერევა როგორც უკრაინის, ისე აფხაზეთის საშინაო საქმეებში, მაგრამ როგორც მოვლენები გვიჩვენებენ, მოსკოვის ეს აგრესიული პოლიტიკა დასამარცხებლადაა განწირული.

კრემლს ვერ გაჰყავს სასურველი პრეზიდენტობის კანდიდატები — ხაჯიმბა აფხაზეთში და იანუკოვიჩი — უკრაინაში, უპირველესად იმის გამო, რომ მოსკოვის პოლიტიკური ზეწოლის მეთოდები მოძველდა და თან მას აქტიურად ეწინააღმდეგება დასავლეთი.

დასავლეთის მხარდაჭერა უფრო ნათლად უკრაინის მაგალითზე ჩანს, აფხაზეთთან დაკავშირებით კრემლი თავისსავე დაგებულ მახეში გაება — გადაიმტერა ის აფხაზებიც, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ რუსეთის მზეს ფიცულობდნენ. უკრაინაში (განსაკუთრებით დასავლეთ უკრაინაში) კი „მოსკალები“ გულზე არასოდეს ეხატებოდათ.

6 დეკემბერს ბაღაფშის პრეზიდენტად კურთხევა კიდევ უფრო დაძაბავს მდგომარეობას აფხაზეთში, რადგან ერთმანეთს აშკარად დაუპირისპირდებიან შეიარაღებული ჯგუფები — აფხაზეთის ომის ვეტერანები.

უკრაინაშიც თავის ინტერესს ადვილად არ დათმობს კრემლი, რომელიც ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში მცხოვრებ იმ რუსულენოვან მოქალაქეებს ეყრდნობა, რომლებიც უკრაინისთვის ერთგულ „მეხუთე კოლონას“ წარმოადგენენ. ეს პრორუსული ძალები უკვე აშკარად იმუქრებიან, რომ ხელს შეუწყობენ უკრაინის ორ ნაწილად — აღმოსავლეთ და დასავლეთად — გაყოფას.

დაახლოებით ამგვარ სცენარზე არაორაზროვნად მიუთითებენ სოხუმშიც — დაძაბულობის შემდგომი ესკალაციის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული აფხაზეთის ორ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად დაშლა. ჩრდილოეთს რუსეთი უკვე აშკარად გააკონტროლებს და მის შეერთებას შეეცდება, ხოლო სამხრეთის დასაბრუნებლად საქართველოს დიდი ბრძოლა მოუწევს, — ასე თვლიან სოხუმში.

დეკემბერი გადამწყვეტი იქნება იმ გაურკვეველ სიტუაციებში, რასაც „სამპრეზიდენტიანი“ მმართველობები ჰქვია — უკრაინაში კუჩმას, იუშჩენკოსა და იანუკოვიჩის და აფხაზეთში — არძინბას, ბაღაფშისა და ხაჯიმბას სახით.

P.S. ოფიციალური თბილისი ბოლო დრომდე დუმილს ინარჩუნებდა, თუმცა 3 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა უკვე საქვეყნოდ განაცხადა ის, რაც ისედაც ნათელი იყო — თბილისი მხარს უჭერს იუშჩენკოს გაპრეზიდენტებას უკრაინაში და მისაღებად თვლის ბაღაფშის ხელისუფლებასთან თანამშრომლობას.

# „წმენდა“ მესაზღვრეებში

## გენერალ ჩხეიძის კადრებს გენერალი ბიწაძე თანამდებობასატოვებინებს

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა ცალკე ფუნქციონირება შეწყვიტა და სტრუქტურულად შსს-ში გაერთიანდა, მესაზღვრეების ცხოვრება, ისე როგორც ქართული საზღვრების დაცვა, უკეთესობისკენ არ წასულა.

მაღალმთიან სასაზღვრო საგუშაგოებზე თბილი ქურთუკის გარეშე მდგარი ერთი მესაზღვრის დანახვაც კმარა იმის მისახვედრად, რომ ამ უწყებაში ძალიან ბევრი პრობლემა დაგროვდა.

ბოლო წლებში აშშ-მა და თურქეთმა ქართველ მესაზღვრეებს, საერთო ჯამში, ორ ათეულ მილიონ დოლარზე მეტი თანხის დახმარება გაუწიეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სათანადოდ დღემდე არ ასახულა ქართული საზღვრის საიმედო დაცვაში.

გასულ კვირას ამ უწყებაში პატარა „გადატრიალება“ მოხდა. ამის შესახებ საზღვრის დაცვის დეპარტამენტში 4 დეკემბრამდე ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებიათ, ამიტომ იძულებული ვართ, კულუარულ ინფორმაციებს დავეყრდნოთ — 3 დეკემბერს დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბადრი ბიწაძემ, თანამდებობის დატოვებაზე განცხადება დააწერინა თავის მოადგილეს, თენგიზ აბულაძეს, რომელიც დეპარტამენტში ლოგისტიკის (ზურგის), საფინანსო და კადრების სამმართველოების მუშაობას კურირებდა.

არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, თანამდებობის დატოვებაზე პატაკები დააწერინეს აგრეთვე ზურგისა და საფინანსო სამმართველოების მთელ პირად შემადგენლობასაც, რაც, თავისთავად, უპრეცედენტო შემთხვევაა. არ კონკრეტდება, თუ რა ბრალს უყენებს დეპარტამენტის თავმჯდომარე თავის, უკვე ყოფილ ქვეშევრდომებს, მაგრამ დეპარტამენტიდან გამოჟონილ ხმებს თუ ვენდობით, ლაპარაკია კვების პროდუქტების შეძენაზე გამოცხადებულ ტენდერში გამოვლენილ დარღვევებზე, კერძოდ, საქმე ეხება სოიის კონსერვებს, რომლებიც ტენდერში გამარჯვებულმა ფირმამ სასაზღვრო უწყებას მიაწოდა, მაგრამ იგი უხარისხო გამოდგა.

„ჩვენ ეს კონსერვები უკან დავუბრუნეთ მომწოდებლებს. მერწმუნეთ, ეს არ ყოფილა ჩემი გადადგომის მთავარი მიზეზი, მე პატაკი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ოჯახური პრობლემების გამო დავწერე და სულაც არ დავპირისპირებივარ დეპარტამენტის თავმჯდომარეს“, — გვითხრა ბრიგადის გენერალმა თენგიზ აბულაძემ.

გენერალი აბულაძე 5 წელი მუშაობდა სასაზღვრო უწყებაში. იგი მესაზღვრეებთან გენერალ ვალერი ჩხეიძის ხელმძღვანელობის დროს გადავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ სასაზღვრო უწყების დატოვების მსურველი გენერალი ამას არ აღიარებს, მაინც ჩნდება ეჭვი, რომ დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე თავისი წინამორბედის მიერ დატოვებულ კადრებს იცილებს.

მიუხედავად დასავლეთის უდიდესი დახმარებისა, ქართველი მესაზღვრეების ყოფა-ცხოვრება ბევრად არ გაუმჯობესებულა და შესაბამისად, საქართველოს საზღვარი კვლავ არასათანადო დონეზეა დაცული




აქსისი AXIS ახალი მშენებარე კომპლექსი ყაზბეგის გამზირზე
(მეტრო „დელისთან“)



არაყიშვილის ქ.№14 ტელ: 25 34 34; 91 25 34

# ახალგაზრდა პილოტები „ნიანგებს" ათვინიერებენ

## 5-წლიანი შესვენების შემდეგ ყულევის პოლიგონზე დამრტყმელი შვეულმფრენები გამოჩნდნენ

დეკემბრის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს და, კერძოდ, ფოთის სიახლოვეს გამოჩნდნენ დაბალ სიმაღლეზე მფრენი „მტაცებლის" ფორმის შვეულმფრენები, რომლებიც ყულევის პოლიგონის მიმართულებით დღეში რამდენჯერმე მიფრინავდნენ.

ამ „მტაცებლებს" მეტსახელიც შესაბამისი აქვთ — „ნიანგები", თუმცა ოფიციალურად Ми-24 ტიპის დამრტყმელ შვეულმფრენებად იწოდებიან. „კვირის პალიტრის" მუდმივ მკითხველს ემახსოვრება, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე წლების განმავლობაში სისტემატურად შუქდებოდა უკრაინაში გასარემონტებლად გატანილი და იქ უფულობის გამო ჩატოვებული 7 ქართული შვეულმფრენის, მათ შორის სამი Ми-24-ის, ორი ამფიბია Ми-14-ის და ორიც Ми-2-ის სევდიანი ამბავი.

ჩვენი მწვავე პუბლიკაციების „ბრალიც" იყო ალბათ და ახალმა ხელისუფლებამ ამ პრობლემას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია.

შედეგმაც არ დააყოვნა, უკვე 2 მაისს, ფოთთან გამართულ სამხედრო სწავლებებში, „დიოსკურია-2004", სწორედ საბრძოლო Ми-24-ებმა განახორციელეს რეალური სარაკეტო დარტყმები პოლიგონის მიმართულებით. არ არის გამორიცხული, რომ ძალის ასეთმა დემონსტრირებამ აიძულა აბაშიძის რეჟიმი, აეფეთქებინა ხიდები, რითაც დააჩქარა თავისი პოლიტიკური კრახი.

ბათუმის რევოლუციის დღეებში სამიდან ერთ-ერთმა Ми-24-მა აჭარის მაღალმთიან სოფელში ავარია განიცადა, მაგრამ, საბედნიეროდ, შვეულმფრენის ეკიპაჟი და მგზავრები (მათ შორის ერთი ტელეოპერატორი) ცოცხლები გადარჩნენ. თავად ნაავარიები შვეულმფრენი ამჟამად თბილისშია. მისი კაპიტალურად გარემონტება შესაძლებელია, მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად მისაღებია მის აღდგენაში არც ისე მცირე თანხის დახარჯვა.

დანარჩენი ორი Ми-24 კი განაგრძობს ფრენებს. 2 დეკემბერს ამ შვეულმფრენებით პირველი რეალური საბრძოლო დარტყმები განახორციელეს ახალგაზრდა ქართველმა პილოტებმა. მათ თავდაპირველი მომზადება უკრაინაში თვენახევარში გაიარეს, თუმცა იქ ერთსაათიანი საფრენოსნო მომზადება, ადგილობრივი მფრინავ-ინსტრუქტორის მონაწილეობით, ჩვენ სულ ცოტა, 1900 დოლარი გვიჯდებოდა. ამიტომაც, ბუნებრივია, უფრო მისაღებია, რომ ახალგაზრდა ქართველმა მფრინავებმა თავიანთი პილოტაჟის დახვეწა ქართულ ცაში განაგრძონ.

ყულევის პოლიგონზე, თითოეულ გაფრენაზე თითო ახალგაზრდა პილოტი (რომლის ინსტრუქტაჟს შვეულმფრენის მეორე კაბინაში მჯდომი გამოცდილი მფრინავები აკონტროლებდნენ) 30 მმ კალიბრიანი საავიაციო ქვემეხებით 20 ჭურვს ისროდა, ხოლო შვეულმფრენის ფრთებზე ჩამოკიდებული უნივერსალური ბლოკებიდან С-5 ტიპის 57 მმ კალიბრიან 4 უმართავ რაკეტას უშვებდა. მართალია, ყველა გასროლა არ აღწევდა მიზანს და ვერც შვეულმფრენები ახდენდნენ ენერგიულ ანტისაზენიტო მანევრებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ახალგაზრდა პილოტები ნელ-ნელა ითვისებდნენ საჰაერო დარტყმების ნიუანსებს.

იმედია, ქართველი პილოტები კვლავ აგრძნობინებენ საქართველოს მტრებს „მფრინავი ნიანგების" მრისხანებას. საგულისხმოა, რომ ცნობილი მფრინავის, ჯიმი მაისურაძის (რომელიც სწორედ Ми-24-ით საბრძოლო გაფრენის დროს დაიღუპა აფხაზეთის ომში) მესამე შვილი — იმედა მაისურაძე დღეს გულმოდგინედ ითვისებს Ми-24-ის საბრძოლო გამოყენებას და არ აპირებს, მამის ჯავრი მტერს შეარჩინოს.



**ჩვენი დოსიე:** ახლად შექმნილ ქართულ არმიას 1992 წელს თელავის რუსული საშვეულმფრენო პოლკიდან 6 ცალი საბრძოლო Ми-24 ტიპის შვეულმფრენი დარჩა. 3 მათგანი აფხაზეთის ომში ჩამოგვიგდეს. Ми-24-ის მაქსიმალური ასაფრენი მასა 12 ტ-ს უახლოვდება. მას უყენია ორი, თითოეული 2.200 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ტურბოხრახნიანი ძრავა. შვეულმფრენის მაქსიმალური სიჩქარე 300 კმ/სთ-ზე მეტია. შეუძლია წაიღოს 2.4 ტ საერთო მასის ბომბი და რაკეტა, მათ შორის Штурм-В — მართვადი ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური რაკეტები, რომლებიც რამდენიმე კმ-ის სიშორიდან თითქმის ყველანაირი ტანკის ჯავშანს ხვრეტენ ზემო პროექციაში.



ახალგაზრდა პილოტები რაკეტების სასროლად პოლიგონისკენ მიფრინავენ (ზემოთ) – წამიც და „მფრინავი ნიანგის" ფრთის ქვეშ ჩამოკიდებული უნივერსალური ბლოკიდან უმართავი რაკეტების ზალპი დაიწყება (ქვემოთ)

ფოტო ავტორისა

# უწყებრივი ქიშპობები კვლავ გრძელდება

## დღეს „პატრული" „იჭერს", ხვალ სასამართლო უშვებს...

დღე ისე არ ჩაივლის, რომ სატელევიზიო გადაცემა „პატრულმა" რამდენიმე სამხედრო არ ამხილოს ამა ქვეყნის ყველა ცოდვაში. მარჯვედ დამონტაჟებულ ვიდეორგოლებში საპატრულო პოლიციის ბრგე ვაჟკაცები ხელებგადაგრეხილ სამხედროფორმიანებს „ტენიან" მანქანებში, კადრს მიღმა ხმა კი მაყურებელს აუწყებს, რომ დაკავებულია თავდაცვის სამინისტროს მორიგი ოფიცერი, ზემდეგი თუ ჯარისკაცი, რომელიც ეჭვმიტანილია ყაჩაღობაში, ქურდობაში, ჯიბგირობაში და ა.შ.

გადის რამდენიმე დღე და „ის ქვეყნის დამაქცევარი", რომელმაც, სატელევიზიო გადაცემა „პატრულს" თუ ვენდობით, ციხის საკანი რამდენიმე წელი მაინც უნდა ხეხოს, უკვე გარეთაა და თავის მოვალეობას ასრულებს თავდაცვის სამინისტროში.

რა გამოდის — ან ჩვენი, ასე ნაქები მოსამართლეები ცოდავენ და დამნაშავეს, როგორც ეს „პატრულმა" ნათლად დაგვიხატა, გარეთ დაუმსახურებლად უშვებენ, ან მეორე და უარესი — თავად „პატრული", რბილად რომ ვთქვათ, ტყუის...

სხვაგვარად ვერ შევაფასებთ გასულ კვირას მომხდარ ყაჩაღობას. დაზარალებულმა მანქანის წამრთმევი ამოიცნო და პატრულმა ორ სამოქალაქო ეჭვმიტანილს ერთი, მათთან მდგომი სამხედროც ხელს „გააყოლა". გადის ორიოდ დღე და გენერალური შტაბის ლოგისტიკის ცენტრის ოფიცერ თურმანიძეს გარეთ უშვებენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი მხოლოდ ნაცნობი გახლდათ ეჭვმიტანილებისა და დაკავებისას შემთხვევით აღმოჩნდა მათ გვერდით.

თავდაცვის მინისტრის დაცვის ყოფილი წევრის, ოფიცერ ლიქოკელის საქმეც ბევრ კითხვას აჩენს — დაკავებისას „პატრულში" იგი წარმოადგინეს, როგორც ულმობელი ყაჩაღი, რომელსაც უკანონო იარაღი ედო ჯიბეში. ცოტა ხანში კი ირკვევა, რომ მას არც ყაჩაღობაში ედება ბრალი, არც ხულიგნობაში და, როგორც ამბობენ, პისტოლეტიც პრეზიდენტის ნაჩუქარი ჰქონია...

ცხადია, დამნაშავე, სამხედრო იქნება ის, თუ პოლიციისფორმიანი, უნდა დაისაჯოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო დროს იკვეთება სამხედროფორმიანებზე „ნადირობის" ტენდენცია, რომელიც, კერძოდ ამა თუ იმ პირის კი არა, მთლიანად თავდაცვის უწყების დისკრედიტაციისთვისაა გამიზნული.

ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან კი წარამარა ისმის — ქვეყანას ერთიანი სამთავრობო გუნდი მართავსო. ფიცი გვწამს, მაგრამ ბოლო გვაკვირვებს — ძალოვან სტრუქტურებს შორის ქიშპობის მაგალითები სახეზეა.

ის, რასაც პრეზიდენტი სააკაშვილი აკეთებს სამხედროფორმიანი ადამიანის ავტორიტეტის ასამაღლებლად, ქარწყლდება მათ მიმართ ხშირად იმ არაადეკვატური და უმართებულო ბრალდებებით, რომლებიც ზოგიერთი სატელევიზიო გადაცემიდან ისმის.

# „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" ნამდვილი „კალაშნიკოვების" შესრულებით

**ახმეტელის თეატრის სცენაზე ოთხი წლის განმავლობაში მაყურებელს საბრძოლო „კალაშნიკოვების" ლულებს უღერებდნენ**

სანამ ამ საინტერესო და ცოტა კომიკურ ამბავს მოგითხრობდეთ, ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. 1997 წელს მიწასთან გასწორებულ გროზნოში ჩასული ქართული დელეგაცია (რომლის შემადგენლობაშიც ამ სტატიის ავტორიც გახლდათ), აჰმად ზაკაევმა თეატრში დაპატიჟა. პიესის არსი, მოკლედ, ასეთი იყო — „ჩეჩენი ხალხის გმირული ბრძოლა რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ". რაკი სტატიის ავტორს ცოტა დააგვიანდა შესვლა წარმოდგენაზე, ერთმა შეიარაღებულმა ჩეჩენმა მას თავაზიანად დაუთმო თავისი ადგილი ბოლო რიგში. ამ დროს მსახიობები ჩეჩნეთის ომის დასაწყისის ამსახველ ეპიზოდს თამაშობდნენ და სცენაზე, არც მეტი, არც ნაკლები, ნამდვილი ყუმბარსატყორცნებით, „კალაშნიკოვებითა" და სნაიპერული შაშხანებით შეიარაღებული დარბოდნენ. ერთმა მსახიობმა განსაკუთრებით „იყოჩაღა" და ПКМ-ის ტიპის ტყვიამფრქვევი ისე დადგა სადგამზე, რომ მისი მრისხანე ლულა პირდაპირ უკანა რიგს დაუმიზნა. ნამდვილად არ არის სასიამოვნო, როდესაც იარაღის ლულა შენზეა მოშვერილი, მაგრამ ჩემი გაოცება მაშინ უნდა გენახათ, როდესაც წინ მჯდომმა წოწოლაფაფახიანმა მამაკაცმა თავი შემოატრიალა და მასში თვით ჩეჩნეთის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი შევიცანი — თურმე, მისი დაცვა ისე გვენდობოდა ქართველებს, რომ პრეზიდენტის უკანა სკამი „კვირის პალიტრის" სამხედრო მიმომხილველს უყოყმანოდ დაუთმეს. სკამზე ჩემი წრიალი მერე გენახათ, რადგან ПКМ-ის ლულა ჩეჩნეთის პრეზიდენტზეც ისევე იყო დამიზნებული, როგორც ქართველ ჟურნალისტზე და ვინმეს იქ ტერაქტის მოწყობა რომ მოენდომებინა (რა თქმა უნდა, პრეზიდენტ მასხადოვზე), მსხვერპლი უთუოდ დიდი იქნებოდა.

მას შემდეგ რატომღაც მიმაჩნდა, რომ ნამდვილი იარაღით სცენაზე სირბილი მხოლოდ ომისდროინდელი ჩეჩნეთის რეალობა იყო, მაგრამ თურმე ერთ-ერთი ცნობილი ქართული თეატრის მაყურებლები ასეთივე ცეცხლს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში „ეთამაშებოდნენ", — ახმეტელის თეატრის სცენაზე, „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლების" წარმოდგენაში მსახიობებთან ერთად ნამდვილი და თანაც საბრძოლო „კალაშნიკოვები" მონაწილეობდნენ. მსახიობების თქმით, ნამდვილი „კალაშნიკოვის" გადატენის მჭახე ხმას მაყურებელი რეალობასთან „ახლოს მიჰყავს"(!).

ყველაფერი კი 2000 წელს დაიწყო, როდესაც სპექტაკლის დამდგმელებმა თავდაცვის სამინისტროს სპექტაკლისთვის რეკვიზიტად იარაღი სთხოვეს. არ ვიცი, ვინ გასცა ამის ბრძანება, მაგრამ ორი „კალაშნიკოვი" — ერთი АКМ და ერთიც АК-74, თავიანთი მჭიდეებით, მსახიობებს მართლაც გადასცეს. კიდევ კარგი, ვაზნებიც არ მიაყოლეს, თორემ, მაშინ გენახათ, რა „ახლოს მივიდოდა" რეალობასთან მაყურებელი.

საბედნიეროდ, სანამ „კალაშნიკოვები" ახმეტელის თეატრის მუდმივი რეკვიზიტი გახდებოდა, ვილაც ჭკუადამჯდარმა კაცმა ავტომატებს ნემსები ამოაცალა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც საბრძოლო იარაღად ითვლებოდა, რადგან ნემსის ჩადებისთანავე ორივე სასროლად ვარგისი იყო.



არსებული წესის თანახმად, რაკი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ თეატრისთვის დიდსულოვნად გაიმეტა ორი „კალაშნიკოვი", მაშინ ისინი ჯერ უნდა გადაეკეთებინათ სასწავლოდ (გაეხვრიტათ ლულები და ა.შ.) და შემდეგ გადაეცათ კულტურის სამინისტროს ბალანსზე.

არადა, აქამდე ორივე „კალაშნიკოვი" დაკარგულად ითვლებოდა, — კონტროლის პალატის კომისია ყოველი შემოწმების შემდეგ მათ თავდაცვის სამინისტროს დანაკლისში უთვლიდა.

ასეა თუ ისე, გაარტისტებული „კალაშნიკოვების" საოცარი მოგზაურობა დასრულდა — ისინი ქართული არმიის არსენალს დაუბრუნდნენ.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*



# „ბებერი“ მაძებრის დაგებული ხაფანგში

დაახლოებით ღამის პირველი საათი იქნებოდა, უბანში რომ განგაში ატყდა. მეზობელი ქალების კივილმა სამართებელივით გადასერა ღამის სიბნელე და ლოგინიდან წამოყარა შრომით დაღლილი ადამიანები. ხმა სოფელში შარშან ჩამოსახლებული ჯიჯონაშვილების სახლიდან ისმოდა. ასეთ დროს სოფელი გუმანით გრძნობდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ახლა ყველა გაოცებული იყო. ოჯახში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობდა პატარა გოგონათი, არც სასიკვდილოდ გადადებული მოხუცი ჰყავდათ (შარშან, გაზაფხულზე, გარდაიცვალა მათი მარტოხელა დეიდა, რის შემდეგაც რუსეთიდან აქეთ გადმოსახლდა ცოლ-ქმარი). მეუღლეები სიამტკბილობაში ცხოვრობდნენ, ხმამაღალი სიტყვაც კი არავის გაუგონია ამ ერთი წლის განმავლობაში მათი ოჯახიდან და ახლა რა უნდა მოსვლოდათ? შეშფოთებული მეზობლები ახალგაზრდა ცოლ-ქმრის სახლისკენ მიიჩქაროდნენ.

— რა ვიცი, კაცო, რა უნდა მომხდარიყო? მეძინა და გელას ძახილმა გამომაღვიძა. ჯერ მკითხა, ამ საღამოს ჩემები ხომ არ გინახავთო. ვუთხარი, როგორ არ მინახავს, შებინდებულზე შენმა მეუღლემ, მაიამ ნახევარი ბოთლი ნავთი წაიღო ჩვენგან. მას მერე კარგა ხანს ენთო ლამპა და, ალბათ, ბავშვთან ერთად ჩაეძინა-მეთქი. მაგრამ შეშფოთებული ჩანდა ბიჭი — ჯერ არ ყოფილა, მაიას ჩემს პირველსავე დაძახებაზე რომ არ გაეღოს კარი. ახლა კი ვეძახი, ვაბრახუნებ კიდეც, მაგრამ არ მპასუხობს. შენი ჭირიმე, რაღაც ცუდს მიგრძნობს გული. მომეხმარე, იქნებ ფანჯარა გავაღო, რომ როგორმე შევაღწიო სახლში, თორემ, საცაა გავგიჟდებიო. ჩემი გრძელი კიბე მივადგით გვერდითა კედელს. გელა ფანჯარაში გადაძვრა. მერე სიბნელეში აივნიდან შესასვლელი კარი გააღო და შინ შემიპატიჟა. ის იყო, ასანთს გაჰკრა, რომ ორივემ ერთდროულად ვიღრიალეთ. უსულო ბავშვიც და ქალიც იატაკზე ეყარა. საცოდავმა გელამ გამეტებით მიახეთქა კედელს თავი და დახოცილი ცოლშვილის გვერდით ჩაიკეცა. პირველად ჩემი ცოლი და გოგო-ბიჭები გამომეხმაურნენ... — უამბობდა მეზობლებს ნანახისგან შეძრწუნებული და ერთიანად აკანკალებული ძია დავითი, თან მალიმალ გაჰყურებდა სახლს, საიდანაც დროდადრო ისეთი კივილი ისმოდა, რომ ძარღვებში სისხლი გაეყინებოდა კაცს.

ცოტა ხანში სასწრაფო დახმარების მანქანაც გამოჩნდა — დედა-შვილს ვეღარაფერს უშველით, ბიძიკო, ახლა გელაა მისახედი, ეგ მაინც გადაარჩინეთ. საცოდავს ორად აქვს თავი გაპობილი... — შეეგება დავითი მანქანიდან გადმოსულ ექიმს.

ღმერთო, რა დააშავა ამ ხალხმა ასეთი? რისთვის, რატომ? — ეს კითხვა აწვალებდა დიდსა და პატარას. მაგრამ მას შემდეგ, რაც პოლიციამ და რაიონის პროკურორმა სახლი დაათვალიერეს, ხმა გავრცელდა — მაიას ხელით დაწერილი ბარათი იპოვეს, სადაც წერს, ჩემი ნერვების გადამკიდე საკუთარი თავის და ბავშვის მოკვლას ვაპირებო.

— რა ნერვებზეა ლაპარაკი?! აგერ, ჩემ თვალწინ გაატარეს მთელი წელიწადი და მაგისთანა გუგულივით ქალი მეორე არ შემხვედრია. გელაც ხომ წყნარი ბიჭია და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ სახლიდან ბავშვის ტირილიც კი არ გაგვიგონია. ასეთ წყნარ ოჯახში რამ უნდა აუშალოს ნერვები ახალგაზრდა ქალს?.. თუმცა, კაცმა არ იცის სხვისი სატკივარი. ისეთი წლები გავიარეთ, ცოცხალი რომ ვარ, ის მაკვირვებს. ყველა კი ვერ უძლებს გაჭირვებას. კარგად რომ ყოფილიყვნენ, რატომ წავიდოდნენ რუსეთში, რა, იქ უკეთესი ჰავაა თუ ხალხი ცხოვრობს ჩვენზე აღმატებულად? — საფუძვლიანი ვარაუდი გამოთქვა ძია დავითმა. გაოგნებული სოფლელები კი არც მას შემდეგ დაშლილან, რაც გარდაცვლილები და ნახევრად გონდაკარგული გელა რაიონის გზას გაუყენა სასწრაფო დახმარების მანქანამ. დილამდე იდგა ქვადქცეული, შეძრწუნებული სოფელი, რომელიც აშკარად არ სჯერდებოდა ასეთ ბუნდოვან პასუხს და რაღაც ახლის მოლოდინში გარინდულიყო. არადა, ბუნებით ეჭვიანია სოფლელი კაცი, თორემ ქალი თავისსავე ხელით წერდა, ბავშვიც უნდა მოვკლა და თავიც მოვიკლაო, მეტი რაღა უნდოდათ.

— სოფლელებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ მეც მეპარება ეჭვი, რომ ეს თვითმკვლელობაა. მოდი, ჯერჯერობით, ნუ დავხურავთ ამ საქმეს. გავარკვიოთ, რა ნერვული დაავადება ჰქონდა ამ ახალგაზრდა ქალბატონს. ხვალ ან ზეგ კი, ცოტა რომ მოიკეთებს, მის მეუღლესაც დავკითხავ. გუშინდელს აქეთ ვფიქრობ, რაში სჭირდებოდა საკუთარ სახლში შესაღწევად მეზობლის დახმარება ან მისი კიბე, როცა ისეთივე კიბე იქვე, მისსავე ეზოში, მსხლის ხეზე იყო მიყუდებული — ძველი მაძებარი, გამოცდილი ოპერმუშაკი გენო თვაური თითქოს პროკურორს კი არა, საკუთარ თავს ელაპარაკებოდა.

— მეცოდებით, გენო, შენ და გამომძიებელი, ამ ქალის ავადმყოფობის ისტორია უნდა გამოიკვლიოთ და მისი მეზობლებიც დაჰკითხოთ. ახლა კი სხვა დროა. არც საჭიროებისამებრ მიმოსვლის საშუალება გვაქვს, არც მივლინების ფულს გვაძლევენ და ეს საქმეებიც ისე დაგვიგროვდა, რომ რომელს ვეცეთ, აღარ ვიცით. მაგრამ ამჯერად სამგზავრო ხარჯების ნაწილს მე გავიღებ, რადგან როგორც გამოცდილ, პროფესიონალ მუშაკს გენდობი და მჯერა, საქმეს სწრაფად გახსნი... — ახალგაზრდა პროკურორმა თანატოლივით მხარზე დაჰკრა ხელი მამამისის ტოლ მაძებარს და გზა დაულოცა...

...მარტი იწურებოდა და საქართველოში არც ისეთი სიცივე იყო. ეკატერინბურგი კი გენოს ისეთი ქარბუქით შეეგება, ძვლამდე ატანდა სიცივე. მისდა მოულოდნელად, კოლეგებმა თბილად მიიღეს, მანქანაც გამოუყვეს, ოპერატიული თანამშრომელიც დაახმარეს და გარანტიაც მისცეს — ყველაფერს გავაკეთებთ, ამომწურავი ინფორმაცია რომ მიიღოთო.

პირველად გენომ ის მოხუცი ქალბატონი მოინახულა, ვისი ბინაც ოდესღაც ჰქონდათ ნაქირავები ეკატერინბურგში ჩასულ ჯიჯონაშვილებს.

— მახსოვს, როგორ არა, მაიას რა დამავიწყებს? ცოდვაა იმ აფთარი ქმრის ხელში. საცოდავი გატანჯული ჰყავდა. ერთი-ორჯერ გოგომ თავის მოკვლაც კი დააპირა, მაგრამ სულ იმას დარდობდა, ჩემს გოგონას რა ეშველებაო...

გენომ ყურები ცქვიტა. იქ, საქართველოში, გელას სულ სხვაგვარად ახასიათებდნენ. არც მათ ოჯახში არსებულ კონფლიქტზე დასცდენია ვინმეს სიტყვა. აქ კი?..

— მაშ, თქვენ ამბობთ, რომ ცოლ-ქმარი ხშირად კამათობდა? — ჩაეკითხა მოხუცს.

— მარტო მე კი არა, ჩემი მეზობლებიც იმავეს გეტყვიან. ესეც სოფელია, ძველი ეკატერინბურგის რაიონი. ხომ ხედავთ, სულ კერძო ერთსართულიანი სახლებითაა გაშენებული. ყველას ებრალებოდა მაია, მაგრამ რაკი გვსმენოდა, რომ კავკასიელი მამაკაცები შეუბრალებლად ექცევიან ქალებს, ხმას არ ვიღებდით. თუ დაგაინტერესებთ, შემიძლია, მათი ნათესავი ბიჭის ტელეფონის ნომერი მოგცეთ. სადღაც აქ, ჩვენს ქალაქში ცხოვრობს. რაკი გელა ყოველთვის ქართულ ენაზე ეჩხუბებოდა ცოლს, ის უკეთ გეტყვით, რას ითხოვდა საბრალო ქალისგან.

გენო ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა ეკატერინბურგიდან.

— გავწამდი, ბატონო, პოლკოვნიკო. რვა დღე-ღამე აეროპორტში მეძინა, სკამზე, მაგრამ უქმად არ მივლია, — მოახსენა პოლიციის უფროსს.

— ის ბიჭი ნახე, ჯიჯონაშვილებს რომ ნათესავად ერგება? — ჰკითხა პოლკოვნიკმა, რომელიც მობილური ტელეფონის წყალობით ამ დროისთვის ნაწილობრივ საქმის კურსში იყო.

— დიახ, არაფრის თქმას არ აპირებდა, მაგრამ რომ ვუთხარი, მაია და ბავშვი ცოცხალი აღარ არიან-მეთქი, გადაირია. ყველაფერი გელას ბრალია, მაია აქაც აპირებდა თავის მოკვლას, წერილიც დაწერა, თვითონ ვნახე, მაგრამ მერე ბავშვის გამო გადაიფიქრაო. როცა ვკითხე, ხომ არ იცი, იმ წერილს რა ბედი ეწია-მეთქი, მითხრა, — ჩემ თვალწინ გელამ ჯიბეში ჩაიდოო. მერე კი, აი, რა მიამბო: ერთხანს გელამ აქ საქმე კარგადააწყო. ფული რომ გაუჩნდა, მადაც გაეზარდა — დაიწყო ქეიფი, დროს ტარება, ფულზე თამაშსაც შეეჩვია. თავდაპირველად, პატარ-პატარა თანხებს აგებდა და ეს ოჯახს არც დასტყობია. მერე და მერე დიდ თანხებზე ჩადიოდა ფსონს და ბოლოს იმდენი ვალი დაუგროვდა, გასტუმრებას ვეღარ აუდიოდა. ერთ დღესაც უზარმაზარი თანხა წააგო ერთ თავზე ხელაღებულთან. წაგებული რამდენიმე დღეში უნდა მიეტანა. მაიას საგვარეულო ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ჰქონდა. სწორედ მისი გაყიდვა დააპირა გელამ. ცოლმა ცივი უარი უთხრა და იმ დღიდან დაიწყო ჯოჯოხეთი მათ ოჯახში — დაუნდობლად სცემდა მაიას, არც ბავშვი ებრალებოდა. ისე გატანჯა, რომ ბოლოს ქალმა დათმო — გელამ ბეჭედი გაყიდა და ვალი გაისტუმრა, მერე კი სასწრაფოდ საქართველოში წამოვიდნენო...

— დღესვე გაგზავნეთ წერილი გრაფიკულ ექსპერტიზაზე. უნდა გავიგოთ, არის თუ არა იგი გარდაცვლილის ხელით დაწერილი და როდის. შეეცადე, გაარკვიო, რისთვის დასჭირდა გელას შინ შესასვლელად მეზობლის დახმარება. ამ საქმეს მართლაც ცუდი სუნი უდის და შენ რომ არა, შეიძლებოდა, გამოუსწორებელი შეცდომა დაგვეშვა და მკვლელი დაუსჯელი დარჩენილიყო... პოლკოვნიკმა მაშინვე პროკურორს დაურეკა:

— იცი, ნუგზარ, რა ამოქექა გენომ?

— ვიცი და ახლა წარდგინებას ვწერ თქვენი მინისტრის სახელზე, — ვთხოვ, წაახალისონ... — პოლკოვნიკმა თავი მაღლა ასწია. გენო ოთახიდან გასულიყო, — რაღა წაახალისონ, დღე-დღეზე მისი გათავისუფლების ბრძანებას ველოდები სამინისტროდან. შენს თანატოლებს ბებრები აღარ სჭირდებათ, ნუგზარ!

— ჰოდა, თუ გენოსნაირებს გვართმევენ, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. მე თვითონ მივწერ და ყველაფერს ავუხსნი მინისტრს. არა მგონია, არ დაგვეთანხმოს...

გრაფიკულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ წერილი მაიას ხელით იყო დაწერილი, დაახლოებით თვრამეტი თვის წინ. მოგვიანებით კი „ბებერი“ მაძებრის დაგებულ ხაფანგში გაბმული გელა ჯიჯონაშვილი ჩვენებაში წერდა, რომ მეუღლესთან მუდმივად კონფლიქტი ჰქონდა იმის გამო, რომ შინ ხშირად გვიან ბრუნდებოდა და ცოლის საყვედურებისაგან „დაღლილმა“ მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა. რაკი აღელვებულმა მაიამ ერთ-ერთი ჩხუბის შემდეგ დაწერა წერილი, რომლითაც აცხადებდა, თავისა და ბავშვის მოკვლას (რომელიც ამნაირი მამის ხელში უბედური იქნებოდა) ვაპირებო, წერილი შეინახა და მარჯვე შემთხვევას დაელოდა. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ყველანაირად ცდილობდა, მეზობლებში ერთი წყნარი კაცის სახელი დაეგდო — ალიბის იმზადებდა გარეწარი. ერთ დღეს კი, დედა-შვილი რომ დახოცა და წერილიც მაგიდაზე დადო, თვითონ მეზობელთან გაიქცა — არიქა, მიშველეთ, გული ცუდს მიგრძნობს და მარტო ნუ დამტოვებთო. სახლის გასაღები კი ჯიბეში ედო...

გელამ მაშინ, ჩვენების მიცემისას, ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ გამოძიება სწორ კვალზე იდგა და მკვლელობის ნამდვილი მიზეზი (ბრილიანტის ბეჭდის ამბავი) დაწვრილებით იცოდა...

ერთი სიტყვით, ეკატერინბურგში დაწყებული ტრაგედია საქართველოში გაგრძელდა. როგორც გელამ მოგვიანებით აღიარა, თურმე, მაია ქმარს საყვედურებით ავსებდა — ვერ მოენელებინა, რომ მისი ოჯახის რელიკვია გელას თავქარიანობას შეეწირა. მერე რაც მოხდა, მკითხველმა უკვე იცის...

— აი, ბატონო პროკურორო, საქმე თავიდან ბოლომდე აკინძულია. ახლა გამომძიებელს გადაეცით და მერე საალრიცხვო ბარათში მიუთითეთ, საქმის გამოძიება დასრულდა-თქო, — იხუმრა გენომ. თუმცა, რაც თქვა, სიმართლე იყო და ახალგაზრდა პროკურორიც ხვდებოდა ამდენს, მაგრამ ახლა ხუმრობის ხასიათზე არ იყო. ეს წუთია, პოლიციის უფროსს დაერეკა, სამინისტროდან გენოს თადარიგში გაშვების ბრძანება მივიღეთო.

*ვაჟა გავაშელი*



ფრთხილად, შხამიანია!

# ტერორი, რომელიც კვალს არ ტოვებს



## მსხვერპლი იმ ადამიანის ხელით კვდება, რომელსაც უსაზღვროდ ენდობა(!)

თანამედროვე მსოფლიო ტერორის ათასგვარ ფორმას იცნობს. შეიძლება ითქვას, რომ ანგარიშსწორების ეს ხერხი არსებობის ზუსტად იმდენ წელიწადს ითვლის, რამდენსაც თავად ჩვენი პლანეტა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად სულ უფრო იხვეწება და მრავალფეროვანი ხდება ადამიანთა განადგურების ხერხები. იდეისა და პოლიტიკური კარიერისთვის შეწირულთა ასეთი „უაზრო“ სიკვდილი კი სულაც არ შედის ხელისუფლების მაძიებელთა გეგმებში, რომელთაც საამისოდ სწორედ საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდებათ. ამიტომაც, თანამედროვე სამყარომ პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის შვა ტერორის ახალი სახეობა.

ერთ-ერთი მძლავრი პოსტსაბჭოთა ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებმა ცხადყო, რომ ხელისუფლებისთვის ბრძოლა მარტო საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაგდებას არ ნიშნავს და ამ ბრძოლის ფორმები ისევეა დამახინჯებული, როგორც პრეზიდენტობისთვის მოქიშპე ერთ-ერთი კანდიდატის ვიქტორ იუშჩენკოს ფიზიონომია. ერთ დროს მიმზიდველი და ბოლო ხანს უეცრად „დაბერებული“ „ნაშა უკრაინას“ ლიდერის იერი დღეს არაერთგვაროვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ამის თაობაზე უკრაინის რადას დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმირ სივკოვიჩმაც განაცხადა. მისი თქმით, იუშჩენკო უკრაინის უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნებს ერთ-ერთ აგარაკზე, მეგობრულ ვახშამზე ეწვია, მეორე დილით კი თავი შეუძლოდ იგრძნო. იგი გადაიყვანეს ავსტრიის „რუდოლფინერჰაუზის“ კლინიკაში, სადაც ვირუსული ინფექციის სიმპტომები აღმოუჩინეს. იუშჩენკოს მომხრეების ვარაუდით, ეს ტერორისტული აქტი სპეცსამსახურებმა მოაწყვეს. თუმცა, ჯერჯერობით, ევროპელი ექსპერტებიც მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამენ იუშჩენკოს მოწამვლის თაობაზე. „პოლიტიკურ წრეებში იმასაც ამბობენ, იუშჩენკო საკუთარმა გარემოცვამ მოწამლა, რათა ხალხის თვალში კუჩმას რეჟიმის მსხვერპლად მოენათლათ და გარკვეულწილად ამას მიაღწიეს კიდეცო. იუშჩენკომ თავადვე განაცხადა: — ჩემი სახე ზუსტად ისეთია, როგორც დღევანდელი უკრაინის მდგომარეობაო. ხმა დაირხა, საკუთარი გარემოცვის მიერ „მოწამლულ“ იუშჩენკოს სულ რამდენიმე თვის სიცოცხლე დარჩა და შემდეგ მის პოსტს იულია ტიმოშენკო დაიკავებსო“ („გაზ. „არგუმენტი ი ფაქტი“, №47)...

მოწამვლა, როგორც პოლიტიკური ანგარიშსწორების ხერხი, ბოლო წლებში რამდენჯერმე დაფიქსირდა. რუსული სპეცსამსახურების განცხადებით, საველე

**ხატაბი მოწამლეს რიცინით, რომელმაც მყისიერი სიკვდილი გამოიწვია...**





**60-იან წლებში ამერიკის სპეცსამსახურებმა სცადეს ფიდელ კასტროს მოწამვლა სპეციფიკური შხამით, რომელიც უნდა ჩაეყარათ მის ფეხსაცმელში, რასაც უნდა მოჰყოლოდა თმის ცვენა**

მეთაური ხატაბი მოწამლეს ძლიერმოქმედი შხამით, რიცინით, რომელმაც მყისიერი სიკვდილი გამოიწვია: ხატაბს მეტად დაახლოებულმა პირმა დაბეჭდილი წერილი გადასცა, კონვერტის გახსნისას კი უზომოდ ფრთხილმა არაბმა შხამი შეისუნთქა. მოწამვლითი ტერორის მსხვერპლთა შორის ასახელებენ ბერძენ ბიზნესმენს, კივილიდის — მომაკვდინებელი ნივთიერება ტელეფონში ჩაუყარესო. ახლახან გარდაცვლილი პალესტინის ლიდერის, არაფატის მოწამვლაზეც ლაპარაკობენ, მაგრამ არავის სმენია, ოფიციალურად ვინმეს დაედასტურებინოს ტერორის ამ სახეობის აღმსრულებელთა ვინაობა ან თუნდაც ვერსიის უტყუარობა. რატომ გახშირდა ბოლო დროს ტერორის ეს ფორმა და რით არის უპირატესი აფეთქებასა ან სნაიპერის გამოყენებაზე? უპირველესად, იმიტომ, რომ საწამლავი სისხლიან კვალს არ ტოვებს. იმავე რიცინით ადამიანი თვალის დახამხამებაში იღუპება. გარდა ამისა, ბუნებაში უამრავი ნივთიერება არსებობს, რომელიც ადამიანს ნელ-ნელა კლავს. მსხვერპლზე ფარული შეტევისთვის ისინი მეტად ხელსაყრელია, რადგან 3-4 თვის მანძილზე იმგვარად ეხამებიან ორგანიზმს, რომ სიკვდილის შემდეგ გვამის გაკვეთისას პათოლოგიების აღმოჩენა ვერ ხერხდება.

*(გაგრძელება იხ. გვ. 33)*

## თემის გაგრძელება

# „თავი დამანებონ, თორემ უფრო მეტ ფაქტებს დავუდებ“



**„თუ ქობალია გონს არ მოეგება, დავაპირისპირებ ერთ მებრძოლთან“**

**„მე რომ ტყე-ღრეში პრეზიდენტს დავყვებოდი, ლოთი ქობალია ფოთის პორტიდან ფქვილისა და შაქრის ტომრებს აცილებდა...“**

ნათქვამია, არ არსებობს გაუმჟღავნებელი საიდუმლოო და ეს ქართულ რეალობაში ცხადდება. ათი-თორმეტი წლის წინანდელ მოვლენებზე დღეს დაიწყეს ლაპარაკი, ლაპარაკობენ ისინი, რომელთაც აღარ შეუძლიათ გაჩუმება ან ბრალდებებზე უწევთ პასუხის გაცემა. ლაპარაკობენ ისინი, რომლებიც გარემოებებმა აიძულა დაფარულის გამჟღავნება ან კიდევ საიდუმლოს ტვირთს ვერ გაუძლეს. ლაპარაკობენ, უბრალოდ, სიმართლის მოყვარულნი, რომელთაც სურთ ყველაფერს თავისი სახელი ერქვას... რობიზონ მარგველანი, რომელმაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხედარი გროზნოში გადაასვენა, საზოგადოებისთვის უცნობ ფაქტებს ახმაურებს და იმ ოპონენტებსაც პასუხობს, რომელთა ბრალდებები „კვირის პალიტრის“ გასულ ნომრებში გამოქვეყნდა.

**რობიზონ მარგველანი**, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსი:

— როდესაც პრეზიდენტი გამსახურდია ზუგდიდში ჩამოვიდა, ბესარიონ გუგუშვილი ვინმე „ქოქოსთან“ (მისი სახელი და გვარი არ მახსოვს) ცხოვრობდა. პირველად პრეზიდენტიც იქ მივიყვანეთ, მაგრამ მახსოვს, ლოთი იმ საღამოსვე მოვიდა და უთხრა, — ჩემი სახლი უფრო დაცულიაო და თავისთან გადაიყვანა. ტყუის ლოთი ქობალია, რომ ამბობს, — სოფელი იბომბებოდა და ზვიად გამსახურდია ერთი დღით გავარიდე იქაურობასო (ჩემს სახლსო). თუ ასე იყო, მეორე დღესვე რატომ არ დააბრუნა პრეზიდენტი თავის სახლში? მან პრეზიდენტი არც კი გააფრთხილა, ისე აულაგა ნივთები და ოთახი, სადღაც, კუთხეში, სკამზე იყო მიგდებული პრეზიდენტის ტანსაცმელი და ჩანთა. წამოვკრიფეთ მისი ნივთები. ძალიან ჰგავდა ლოთის სახლიდან გამოსვლა ბუნკერიდან გამოსვლას. ლოთიმ ნათესავის სახლში წაგვიყვანა, იქ მანქანაც ვერ მიდიოდა. შეწუხდა ზვიადი და მითხრა, — აქ დასამალად არ ჩამოვსულვარ, ბინა მიშოვეო. ამის შემდეგ ზუგდიდში ჩემი ნათესავის სახლში მივიყვანე პრეზიდენტი. ოთხი დღე იქ ვიყავით, მაგრამ გურამ აბსანძემ და ლოთი ქობალიამ (ისინი ხელმძღვანელობდნენ პრეზიდენტის გადაადგილებას, მე მხოლოდ მისი დაცვა მევალებოდა) გადაწყვიტეს, — აფხაზეთში გადავიდეთ, იქ უფრო დაცული იქნება პრეზიდენტიო.

— **რაიმე გარანტიები ჰქონდათ აფხაზებისგან?**

— პრეზიდენტი გულხელდაკრეფილი არ მჯდარა, სხვადასხვა რეგიონში დადიოდა. ერთხელ ზუგდიდიდან ვიყავით გასული და რომ მოვბრუნდით, ლოთის სახლთან უამრავი უცხოური მანქანა დაგვხვდა. გვითხრეს, — აფხაზეთის ჯარის სარდლობაა, მზად არიან, გამსახურდიას მხარეს იბრძოლონ, დაგვეხმარებიან სამხედრო საბჭოს დამხობასა და ხელისუფლებაში მოსვლაშიო. ზვიადი ხუთი წუთით შევიდა მათთან და შეწუხებული მალევე გამობრუნდა. ლოთი და გურამი ეუბნებოდნენ, ცოტაოდენი საწვავი უნდათ, დავეხმაროთ და ხვალ, 10 საათზე, ჩვენთან მობრუნდებიანო. მაგრამ მეორე დღეს აფხაზები არ გამოჩნდნენ და ლოთიმ და გურამმა თქვეს, — ჩვენ შევიდეთ აფხაზეთშიო. გალსა და ოჩამჩირეს შორის აფხაზების კოლონა შემოგვხვდა. გავჩერდით, პრეზიდენტი არც გადმოსულა მანქანიდან, მათ გურამი და ლოთი ელაპარაკებოდნენ, მერე უკან მოვბრუნდით. იმ კოლონაში აფხაზების გარდა, ყაბარდო-ბალყარელები და ჩეჩნებიც იყვნენ, მაგრამ მათ ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ სამეგრელოში. ზუგდიდის მოედანზე გაათიეს ღამე ქეიფსა და ცეკვა-თამაშში. ამან ქართველ მეომრებში უკმაყოფილება გამოიწვია. პირველად ამის გამო პოზიციები აბსანძის დაცვის უფროსმა, სოსო ჯომიდავამ დატოვა (რომელიც სოხუმის ბატალიონის მეთაური იყო) — აფხაზების გვერდით არ ვიომებო. აფხაზებთან ერთად ბრძოლაზე უარი თქვა კაკო ელიავამაც. მასთან ღამით შინაც კი მივიდა პრეზიდენტი და რა ხდებაო, ჰკითხა. ელიავამ, სიცხე მაქვსო, მაგრამ იქვე ერთი-ორი სიტყვით ჩაიბუზღუნა, — იმ ხალხთან ერთად არ ვიომებო.

როდესაც ვითარება ძალზე დაიძაბა, პრეზიდენტმა დეპუტატებს გამოუცხადა, — ვისაც საშუალება გაქვთ, აქაურობას გაერიდეთო. მერე კი უკვე აღარ მახსოვს, ვინ როდის და რა მიზეზით გვშორდებოდა... მოგვიანებით ისევ დაიძაბა ვითარება ზუგდიდში და ისევ აფხაზეთში გადავედით. როდესაც გურამ აბსანძემ პრეზიდენტი საქართველოში ჩამოიყვანა, ლოთისთან ერთად მის უსაფრთხოებაზეც აიღო პასუხისმგებლობა... სანამ აფხაზეთში გადავიდოდით, პრეზიდენტს ვუთხარი, — რა გვინდა აფხაზეთში, აქედან წავიდეთ-მეთქი, მაგრამ პრეზიდენტმა მიპასუხა, — ყველაფერი გურამზეა დამოკიდებულიო. ამდენი წელი გავიდა და ხმა არ ამომიღია, გნებავთ, ჩემი ჩვენებები წაიკითხეთ — არც გურამზე მითქვამს რამე და არც ლოთიზე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჩემკენ დაიწყეს ტალახის სროლა. ბესარიონ გუგუშვილის სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ ცოტა ხანს გაჩუმდნენ და ახლა ისევ ახალი ძალით გააგრძელეს შემოტევა. რამდენსაც მეტს ამოქექავენ, მეტ ლაფში თავად გაისვრებიან. ისინი ვარაუდებით ლაპარაკობენ, მე კი ფაქტებს ვუდებ წინ, რომლის მოწმე რამდენიმე კაცი იყო. ჩემთან ეგენი ვერაფერს გახდებიან...

სულელური ბრალდება წამომიყენა ლოთიმ — მარგველანის ძმა ავთო მარგიანის დაცვაში იყოო. ცილისწამებისთვის ლოთი ღირსია, ვუჩივლო, მაგრამ ამას არ ვიკადრებ.

როდესაც მარგიანი სამეგრელოში ჩამოვიდა (ალბათ პირადი უსაფრთხოების მიზნით. — ი. რ.), თან იახლა ჩემი ცოლი და ძმა. ეს რომ შემატყობინა ლოთიმ, ვუთხარი, ჩემი ოჯახის წევრებს თავად მივხედავ, თუ საჭიროა, მარგიანი დავაპატიმროთ-მეთქი. იუარა, — მარგიანი ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას გვპირდებაო.

— **იცნობდნენ მარგიანი და თქვენი ოჯახის წევრები ერთმანეთს?**

— დასამალი არაფერი მაქვს — ჩემი სიმამრი და ავთო მარგიანის მამა ნათესავები არიან. თურმე, როდესაც ზუგდიდში მოდიოდა, მარგიანს უკითხავს ჩემი ძმისა და მეუღლისთვის — არ გინდათ, რობიზონი ნახოთო და ისინიც გამოჰყოლიან. მიუხედავად იმისა, რომ ნათესავები ვართ, მარგიანის გავლენის ქვეშ არასოდეს მოვქცეულვარ, იმიტომ, რომ შევარდნაძის მარჯვენა ხელი იყო.

როდესაც სამტრედიაში შევიდნენ ჩვენი მომხრეები, სამი დღე ეძებდა ზვიადი ლოთის. ამასობაში, ბათუმიდან წამოვიდა ჯავშანტექნიკა, პოზიციებიდან გვითვლიდნენ, ჭურვები არ გვაქვსო... მერე გაგვაგებინეს, ლოთი შინააო. მივედით მასთან, სიცილით გამოგვეგება, — შეუძლოდ ვარ, ვწევარ. თუ გინდათ, ბატონო ზვიად, ასლანთან დაგელაპარაკებთო... ზვიადმა თავი გადააქნია, უთხრა, — იცი მაინც, რას აკეთებო?.. მიხვდა, რაც ჰქონდა ჩაფიქრებული ლოთის. თუ ქობალია გონს არ მოეგება, დავაპირისპირებ ერთ მებრძოლთან, რომელმაც მითხრა, — პოზიციებზე ჩვენთან მოდიოდა ლოთი და გვეუბნებოდა — არიქა, თავს უშველეთ, გაიქეცითო. ამას არაერთი მეომარი ადასტურებს... როდესაც რუსული ტანკები შემოუშვა ბათუმიდან (იმ მოტივით, რომ რუს სამხედროებს უნდა გაეყვანათ თავიანთი ოჯახის წევრები ქუთაისიდან), ალბათ, ლოთი ქობალია 30 ვერცხლს არ დასჯერდებოდა. განა თავად არ ამბობდა, — ოთარ ფაცაცია (მაშინდელი პრემიერ-მინისტრი) ჩემი დანიშნულიაო. როგორ ნიშნავდა შევარდნაძის პრემიერ-მინისტრს გამსახურდიას გვარდიის მთავარსარდალი?!

— **ამბობენ, რომ თქვენი მეგობარი ბადრი ზარანდია ძალზე საეჭვოდ იქცეოდა — მან, გია გულუამ და კიდევ რამდენიმე კაცმა პრეზიდენტის ლიკვიდაცია გადაწყვიტესო...**

— თუკი ლოთიმ იცოდა, რომ ზარანდია საეჭვო იყო, რატომ არ გააგებინა პრეზიდენტს, რა ძალამ გააჩერა, რომ ხმა არ მიაწვდინა — შინაურებისგან საფრთხე გემუქრებაო. რატომ არ ასახელებს ლოთი იმ სამ კაცს, რომელიც ზარანდიას ხუთკაციანი ჯგუფის წევრები იყვნენ, რატომ ახსენებს მხოლოდ გარდაცვლილებს, გია გულუასა და ბადრი ზარანდიას?

არ ვმალავ, ბადრი ზარანდია ჩემი მეგობარი იყო... ის იყო „კოლხური საძმოს“ წევრი, რომელიც მე შევქმენი. როდესაც სამეგრელოსა და სვანეთში რამდენიმე ჯგუფი ერთმანეთს დაუპირისპირდა, სხვადასხვა დაჯგუფების 150 წევრი შევკრიბე. ფიცის ტექსტი შევადგინეთ. ზუგდიდის ღვთისმშობლის ტაძარში დავიფიცეთ, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ არ ვიბრძოლებდით და პრეზიდენტს ვუერთგულებდით, კანონიერი ხელისუფლების აღდგენაში დავეხმარებოდით.

როდესაც ჩქვალერის ტყეში ვიმალებოდით, მოვიდნენ ჩვენთან მეგზურები, წალენჯიხის პრეფექტ ზურაბ გუჩუასთან ერთად, და გვითხრეს, პრეზიდენტი უსაფრთხო ადგილას უნდა გადავიყვანოთ, ოღონდ ოთხ კაცზე მეტს ვერ წავიყვანთო. მაშინ ხუთი დღე-ღამით ჩამომაშორეს პრეზიდენტი. მეც ვაპირებდი გაყოლას, მაგრამ მეგზურებმა ცალკე გაიხმეს პრეზიდენტი, ცოტა ხანს ილაპარაკეს და ზვიადმა მითხრა, — შენ დარჩი, აქ მიხედე ბიჭებსო. მერე გამოვგზავნი კაცს, რომელიც ჩემთან მოგიყვანსო. მალე ზვიადმა მეგზური გამომიგზავნა და თავისი ადგილსამყოფელი შემატყობინა. სამი დღის შემდეგ ვნახე პრეზიდენტი ზარანდიას ბანაკში — გადამეხვია, მიხარია, ცოცხალი რომ ხარ, აქაურობა სასწრაფოდ უნდა დავტოვოთო. შევიტყვე, ჯერ ერთ-ერთ ოჯახში მიუყვანიათ ზვიადი, მერე კი უთქვამთ, გაცილებით უსაფრთხო ზარანდიას ბანაკია, ბადრის 300 მებრძოლი ჰყავსო და იქ გადასულან.

**(გაგრძელება იხ. გვ. 13)**


**საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია SOS-Kinderdorf International-ის ნამდვილი წევრი საქართველოს SOS-ბავშვთა სოფელი**

**აცხადებს კონკურსს საბავშვო ბაღის პედაგოგის ორ ვაკანტურ ადგილზე**

**დაინტერესებულ პირებს გიწვევთ სამუშაოდ!**

- გსურთ გახდეთ საქართველოს SOS-ბავშვთა სოფლის ოჯახის წევრი?
- გსურთ გაუწიოთ დახმარება ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს?
- გეძლევათ შანსი გქონდეთ სტაბილური ანაზღაურების მქონე სამუშაო ადგილი

**მოთხოვნები:**

**პირველი ვაკანსია - კორექციული პედაგოგი**

1. 25 - 40 წლის, ქალბატონი
2. უმაღლესი პედაგოგიური განათლება
3. ბავშვებთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების მქონე
4. გუნდური მუშაობის უნარით
5. მზადყოფნა საქმიანობისათვის საჭირო პროფესიული განათლების მიღებისა და მისი მუდმივი სრულყოფისათვის

**მეორე ვაკანსია - საბავშვო ბაღის პედაგოგი**

1. 25 - 40 წლის ქალბატონი
2. პედაგოგიური განათლება
3. „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამით მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება (2-3 წელი)
4. გუნდური მუშაობის უნარით
5. მზადყოფნა საქმიანობისათვის საჭირო პროფესიული განათლების მიღებისა და მისი მუდმივი სრულყოფისათვის

***დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:***

1. ავტობიოგრაფია; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა
3. დიპლომისა და სერტიფიკატის ასლები; 4. შრომის წიგნაკი

დაგვიკავშირდით საქართველოს SOS - საბავშვო ბაღში.
მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის პლატო 4 მკ/რ. ჰერმან გმაინერის ქ. №1
10 საათიდან 16 საათამდე; ტელ: 32-97-86
ელ.ფოსტა: kg-tbilisi@myoffice.ge საკონტაქტო პირი: გულიკო ხუციშვილი
საბუთების მიღების ვადა: 2004 წლის 20 დეკემბრამდე










# ოინბაზის სიკვდილი

**ეპიფანე კვიპრელი** (VIს.) იერუსალიმიდან თავის ქალაქში, კიპროსზე ბრუნდებოდა. გზაზე ორი ოინბაზი შეხვდა, რომლებმაც წმინდანის გამასხარავება მოინდომეს. ჯერ კიდევ შორიდან მომავალი რომ დაინახეს, ერთ-ერთი მათგანი მკვდარივით დაწვა. მოახლოებულ წმ. ეპიფანეს მეორე ტაკიმასხარამ მიმართა: „მამაო, მოხედე მიცვალებულს და დაფარე მისი სიშიშვლე“.

წმინდანი მიეახლა ძირს განრთხმულს, პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნა, გარდაცვლილისათვის ილოცა, ზემო სამოსი მოიხსნა და მიცვალებულს სხეული დაუფარა. შემდგომ მღვდელმთავარმა გზა განაგრძო.

ცოცხალმა მეგობარს უთხრა: „ადექი, ძმაო, ის არარაობა უკვე წავიდა“. მეორე არაფერს პასუხობდა. პირველმა კვლავ სცადა შეხმიანება, მაგრამ ძირს განრთხმული ნამდვილად მომკვდარიყო. შეშფოთებულმა ყველაფერი მიატოვა და წმ. ეპიფანეს დაეწია. მასთან მიახლოებული მუხლებზე დაეცა, დანაშაული აღიარა, შენდობა ითხოვა და წმინდანს ევედრებოდა დაბრუნებულიყო, შესამოსელი აელო და მიცვალებული გაეცოცხლებინა.

წმინდა ეპიფანემ მიუგო: „წადი, შვილო და დამარხე მიცვალებული, რადგან ის მანამდე გარდაიცვალა, სანამ შენ მის სამოსლით დაფარვას მთხოვდი“.



# ცილდაწამებული წმინდანი

ღირსი თეოდორა ეგვიპტის ერთ-ერთ მონასტერში მამაკაცის სახით ილვწოდა (VIს). აქ მას ბრალი დასდეს, ვითომ ერთი გოგონა შეაცდინა, რის შედეგადაც მას ბიჭი შეეძინა. ამ ცრუ ცოდვისათვის თეოდორა მონასტრიდან გამოაგდეს და ის ბიჭი მისცეს გასაზრდელად. მას სიკვდილამდე არავისთვის გაუმხელია თავისი უდანაშაულობა და ბიჭი შვილივით გამოზარდა.

იმ ღამეს, როდესაც ღირსი თეოდორა გარდაიცვალა, იმ მონასტრის იღუმენს, სადაც ადრე ცხოვრობდა, ხილვა ჰქონდა, მან მაშინვე გაანდო იგი მასთან მოსულ ძმებს: „შვილნო ჩემნო, ამ ღამით ჩავთვლიმე და გამომეცხადა ორი ნათლით-მოსილი კაცი, წამიყვანეს ზეციური სიმაღლისკენ, საიდანაც მომესმა ხმა: „მოდი და ნახე, რა სიკეთე მოვუმზადე მე ჩემს სასძლოს, თეოდორას“.

დავინახე გასხივოსნებული სამოთხე, რომლის სილამაზე და ნეტარება ენით აუწერელია. შემდეგ შიგნით შემიყვანეს, მაჩვენეს დარბაზი და მასში — დაგებული ოქროს სარეცელი, რომელთანაც ანგელოზი იდგა მცველად. ვიკითხე, ვისთვის არის ეს მომზადებული-მეთქი და მიპასუხეს: „ცოტა მოიცადე და ღვთის დიდებას დაინახავო“.

მოგვიანებით დავინახე ანგელოზთა დასი, მოწამეები და ღირსი მამები, რომელნიც მიდიოდნენ იმ დარბაზისკენ მშვენიერი საგალობლებით, რომელთა სიამე შეუძლებელია აღწერო. მათ შორს დიდი პატივით მიდიოდა მშვენიერი ქალი, რომელიც დარბაზამდე გალობით მიიყვანეს და სარეცელზე დასვეს.

შიშით თაყვანი ვეცი მას. მაშინ ყმაწვილმა მკითხა: „იცი ვინ არის ის?“ ვუპასუხე: „არა, არ ვიცი, ბატონო-მეთქი“. მან კი თქვა: „ეს შენი ბერია, რადგანაც ბუნებით იგი ქალი იყო და მხოლოდ შესახედაობით იყო მამაკაცი. მცირე ხანს იცხოვრა ცოლქმრული ცხოვრებით თეოდორამ, დატოვა ქვეყანა ღვთის გულისათვის და თქვენს მონასტერში შრომობდა. მას ბრალი დასდეს იმ გოგოს გულისათვის, რომელმაც ბიჭი გააჩინა. მაგრამ მას არ გაუმხელია, რომ იგი ქალია, მიიღო და აღზარდა ბავშვი, როგორც ჭეშმარიტმა მამამ.

როდესაც იგი გააძევეს თქვენი მონასტრიდან, ბევრი იტანჯა: იკვებებოდა ბალახით, სვამდა ზღვის წყალს, იტანდა სიცივესაც, სიცხესაც, სამოსის უქონლობასაც და ეშმაკთა ბევრი თავდასხმაც გადაიტანა. ყოველივე ამისათვის მიიღო იგი მოწყალე ღმერთმა, შეიყვარა როგორც თავისი სასძლო და ყველა წმინდანთან ერთად თავისი სამეფოს მემკვიდრედ აქცია, რამეთუ ნათქვამია საღვთო წერილში: „ნეტარ იყვნენ თქუენ, რაჟამს გყუედრიდნენ და გდევნიდნენ და თქუან ყოველი სიტყუაი ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთვის“ (მათ. 5,11).

მე ტირილი დავიწყე იმის გამო, რომ არ ვიცოდი ეს საიდუმლო, დავუჯერე სიცრუეს, შეურაცხვყავი წმინდანი მისი მონასტრიდან უპატიოდ გაგდებით და ამ ტირილში გამომეღვიძა.

ახლა, ჩემო ძვირფასებო, ჩემი გული სავსეა ლხენითაც და მწუხარებითაც. მიხარია, რომ მეღირსა მეხილა ისეთი დიდებული რამ, რომელიც არავის თვალს არ უნახავს და მოვისმინე წმინდა საგალობელთა საოცარი ხმები, რომელნიც არავის ყურს არ სმენია. ვწუხვარ და ვტირი იმიტომ, რომ ვერ შევიცანი მხევალი ღვთისა და მისი საყვარელი სასძლო, რომელიც ჩვენს შორის ცხოვრობდა და ძლიერ შეურაცხვყავი იგი“.



# რას გვეტყვი, მამაო?

**— როგორ უნდა დავარწმუნო ახლობლები, რომ არ დაიჯერონ ჩემ მიმართ ნათქვამი ცილისწამება?**

— თუ ვინმემ ცილი დაგწამოთ, ილოცეთ მისთვის და ევედრეთ უფალს, რომ მას სინანული მიანიჭოს. რამდენადაც მეტს ილოცებთ თქვენი მტრისთვის, რომელმაც ცილი დაგწამათ, მით უფრო გაფანტავს უფალი თქვენზე ყოველგვარ ეჭვს სხვების თვალში.

**— ვარ მარტოხელა დედა. მსურს ეს ცოდვა მოვინანიო. მითხრეს, რომ ეკლესია მკაცრად განსჯის მათ, ვინც შვილი ქორწინების გარეშე გააჩინა. ამის მეშინია და ტაძარში ვერ შევდივარ. ეს სიმართლეა?**

— ეს სიმართლე არ გახლავთ. მართალია ჩვენი ეკლესია ყოველი ღონით ცდილობს ქალი მრუშობის ცოდვას აარიდოს, მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როცა ღვთის უდიდესი სასწაული — ადამიანის ჩასახვა ხდება, ეკლესია უდიდეს თანადგომას უცხადებს მომავალ დედას. ზრუნავს, რომ აშოროს მრუშობაზე გაცილებით მძიმე ცოდვა — შვილის მკვლელობა, აბორტი.

ჩვენ გვაქვს საშუალება, მეთვალყურეობა გავუწიოთ მომავალ დედას ფეხმძიმობისას, ხოლო შემდეგ კი აღვზარდოთ და შევიფაროთ ბავშვი და როცა დედას სურვილი ექნება, მაშინ გავატანოთ.

**— ზოგჯერ კამათის დროს ვღიზიანდები და ვბრაზობ, ღირს თუ არა ასეთ შემთხვევაში საერთოდ კამათის გაგრძელება და სიმართლის მტკიცება?**

— როდესაც კამათის მოყვარულ ადამიანთან მოგიწევს დავა და ხედავ, რომ იგი სიმართლის საწინააღმდეგოს გიმტკიცებს, შეწყვიტე კამათი და განერიდე მას...

როგორც მდარე წყალი აფუჭებს საუკეთესო ღვინოს, ასევე ხრწნის ბოროტი საუბრები კეთილმორწმუნე და ზნეობრივ ადამიანებს.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# კათოლიკე მღვდლების გასაიდუმლოებული შვილები აპროტესტებენ

კათოლიკე სასულიერო პირს ოჯახის ყოლა ეკრძალება. ეს აკრძალვა ცელიბატის (სასულიერო პირის დაუქორწინებლობა) სახელითაა ცნობილი. იმის გამო, რომ ეს საკითხი უამრავ პრობლემას იწვევს, ის არაერთხელ გამხდარა განსჯის საგანი. ჟურნალ **„შპიგელის“** ერთ-ერთი სტატია სწორედ ამ თემას ეძღვნება (გთავაზობთ მცირედი შემოკლებით).

დადგენილი მონაცემების მიხედვით, 17000 გერმანელი კათოლიკე სასულიერო პირიდან ყოველ მესამეს ჰყავს შვილი, რაც რამდენიმე ათასი ბავშვის გასაიდუმლოებულ არსებობას ნიშნავს. დიდმა ნაწილმა საერთოდ არ იცის, ვინაა მისი მამა და ამას მხოლოდ მაშინ იგებს, როცა გაიზრდება. მას კი, ვინც მშობლის ვინაობა იცის, მისთვის მამას დაძახება ეკრძალება და სახელით მიმართავს... მამასთან და მეუღლესთან ახლოს რომ იყვნენ, ქალები თავის შვილებთან ერთად იძულებული არიან მომვლელის სტატუსით იცხოვრონ სააბატოში. ერთ-ერთი სასულიერო პირის, მარტინის თქმით, მისი ქალაქის მცხოვრებთა 70% ხვდება, რომ ის ქალი, რომელიც სააბატოში მომვლელად მუშაობს, მისი ცოლია, ბავშვები კი მისი შვილები, მაგრამ ისინი ამაში ცუდს ვერაფერს ხედავენ. „ხანდახან თვალის ჩაკვრით მეკითხებიან: „როგორაა შენი ცოლი“ და მეც ვპასუხობ: „კარგად, შენი?“ ოფიციალურად ამის შესახებ მხოლოდ მარტინის ერთმა სტუდენტობის მეგობარმა იცის, რომელიც მეზობელ სამრევლოში ცხოვრობს ასევე თავის ცოლ-შვილთან ერთად. ისინი კი, ვისაც ასეთ სახლში ცხოვრების შესაძლებლობა არა აქვთ, მხოლოდ ხანმოკლე შეხვედრებით იფარგლებიან, რაც უაღრესად დამამცირებელი, არაოფიციალური არსებობაა, როგორც ცოლის, ასევე ბავშვებისათვის.

„პროტესტანტ მოძღვრებთან სარეცხი ეზოშია გაფენილი, კათოლიკეებთან კი სახლში“, — ირონიულად ამბობს მოძღვრის ქალიშვილი, ოცი წლის ქრისტინა. ცხრა წლის იყო, როდესაც შეიტყო, რომ მამამისი მოძღვარი იყო. მისი და ნელე ეკლესიის მსახურია. დები მოითხოვენ, რომ დროა, მათი ამქვეყნად არსებობა ჩვეულებრივ მოვლენად იქნას აღქმული და ისე აღარავინ იქცეოდეს, მით უფრო ეკლესია, თითქოსდა ეს ბავშვები სამარცხვინო ანომალიები იყვნენ, არავის აღარ უნდა რცხვენოდეს, არც მოძღვრების შვილებს, აღარც მათ მამებსა და დედებს.

გარდა მორალურად მძიმე მდგომარეობისა, ქალებსა და ბავშვებს მატერიალურადაც ძალიან უჭირთ. დედებს, ძირითადად, მცირე შემოსავალი აქვთ, მამებს კი უკეთეს შემთხვევაში მათთვის მხოლოდ საიდუმლოდ შეუძლიათ თავიანთი ანგარიშიდან თანხის დედის ანგარიშზე გადარიცხვა, მაგრამ თუკი საქმე ორდენის ძმას ეხება, რომელსაც საკუთარი შემოსავალი არ გააჩნია, ასეთ შემთხვევაში ორდენი ალიმენტს ადვოკატის ან ნოტარიუსის ანგარიშზე რიცხავს იმ პირობით, რომ დედა და ბავშვი მამის შესახებ ხმას არ ამოიღებენ. არცთუ იშვიათად, ქალებს აიძულებენ, მავანთათვის არასასურველი ბავშვი არ გააჩინონ. ამას მოითხოვენ არა მარტო მომავალი მამები, არამედ სხვა სასულიერო პირებიც. როდესაც ერთ-ერთი სამონასტრო სკოლის დირექტორის ცოლმა, რომელიც მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ, თხოვნით მიმართა მონასტრის ერთ-ერთ უფროსს, ბავშვების გამო მატერიალური დახმარება გაეწია, ასეთი პასუხი მიიღო: „მე მხოლოდ ერთ რამეს გეტყვი: „შვილების გაჩენა საჭირო არაა“. ზოგიერთი კათოლიკე პოლიტიკოსი, ისევე, როგორც ცალკეული თეოლოგები, შიდასაეკლესიო სარეფორმო ჯგუფები და „გერმანელ კათოლიკეთა ცენტრალური



კომიტეტი“, ეჭვქვეშ აყენებენ ცელიბატს. I ცელიბატის გამო ბევრი მოძღვრის გულში დაიბუდა სიცრუემ, ორაზროვნებამ და პირმოთნეობამ.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მსოფლიოში თითქმის 100 000-მა კათოლიკე მოძღვარმა აქცია ზურგი ეკლესიას. სკანდალური იყო როგორც ირლანდიელი, ასევე შვეიცარიელი ეპისკოპოსის გადადგომა მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ მათი მამობის შესახებ შეიტყო.

ბრიტანელ, კანადელ, ბრაზილიელ თუ ავსტრალიელ ეპისკოპოსებს სავსებით შესაძლებლად და გონივრულად მიაჩნიათ ცელიბატის გაუქმება. როდესაც რამდენიმე წლის წინ კათოლიკე მოძღვრებისა და მათი ცოლების წინაშე სიტყვით გამოდიოდა, ერთ-ერთმა თეოლოგმა აღნიშნა, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ მარცხი უნდა აღიაროს და მოძღვრებს, რომლებმაც შესცოდეს და ცოლი შეირთეს, ეკლესიასთან შერიგების უფლება უნდა მიეცეთ. ცნობილმა პადერბორნელმა თეოლოგმა დრევერვანმა კი ასე მიმართა დამსწრეთ: „ნუთუ თქვენ გსურთ, ცოდვილად მიიჩნიოთ ქალი, რომელიც გვერდით გიზით? არ გინდათ, გულახდილად თქვათ: „ის ანგელოზივით შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში და ამისათვის მე ღმერთის მადლობელი ვარ“? მაგრამ ურყევია პაპ იოანე-პავლე მეორის პოზიცია: „ცელიბატის, როგორც ეკლესიისადმი უფლის საჩუქრის ღირებულება, გულმოდგინედ უნდა იქნას დაცული“.

P.S. მართლმადიდებლურ ეკლესიაში მღვდელს არ ეკრძალება ცოლშვილის ყოლა, ოღონდ უნდა დაქორწინდეს დიაკვნად კურთხევამდე, ცელიბატი კი მხოლოდ ბერებსა და მღვდელმთავრებზე ვრცელდება.

# „მაპოვნინეთ ნათლია“

1945-50 წლებში თბილისის ერთ-ერთ ოჯახში (სამწუხაროდ, მისამართი და გვარი დავიწყებულია) ცხოვრობდა სამი და-ძმა დედასთან ერთად. მათი სახელებია გულიკო, მერაბი და ომარი.

მათ მეზობლად ცხოვრობდა ქუთაისელი ახალგაზრდა, იმ დროს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ვახტანგ ბაკურაძე. მისი შვილი ასმათი მონათლეს გულიკომ და მერაბმა. ამ მწირი მონაცემებით, გამოგვეხმაურეთ: 899-27-60-44 ასმათ ბაკურაძე-ხაჭაპურიძე.

*გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ*




ჟურნალში საჩუქარია — 2005 წლის მართლმადიდებლური კალენდარი

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.**



# „თავი დამანებონ, თორემ უფრო მეტ ფაქტებს დავუდებ“

**„თუ ქობალია გონს არ მოეგება, დავაპირისპირებ ერთ მებრძოლთან“**



**„როცა ყოველ წუთს თავდასხმას ელოდები, ძნელია, ნერვებმა არ გიმტყუნოს“**

*(დასაწყისი იხ. გვ. 11)*

მე იქ 300 კაცის ნაცვლად, 15-20-ოდე ბიჭი ვნახე. მეორე დღესვე დავტოვეთ ბანაკი და პრეზიდენტმა გზაში მითხრა, — მგონი, ბადრი ზარანდია გია გულუას ხვდებაო. არ ვიცი, ვისგან შეიტყო ეს, მე ხომ მასთან არ ვყოფილვარ...

**— რატომ დატოვეთ ზარანდიას ბანაკში დაცვის ორი წევრი?**

— ზვიადმა მითხრა, — ორი ბიჭი დატოვე, ნახონ, დღეს და ხვალ რას მოიმოქმედებს ზარანდიაო. მეორე დღეს გოჩა კეკენაძე მივიდა ზარანდიას ბანაკში და იქ უთხრეს, — ბიჭები თბილისისკენ ცხენებით წავიდნენო(?!).

**— ამან არ დაგაეჭვათ?**

— კი გამიკვირდა, რატომ არაფერი შეგვატყობინეს, მაგრამ ვიფიქრე, ასე ჩათვალეს საჭიროდ-მეთქი. ორი დღის შემდეგ, მათი გამგზავრების ამბავი წალენჯიხის დაჯგუფების მეთაურმა, მეტსახელად „რაფომ“ დაგვიდასტურა, — გოგაძე და ჭინჭარაული ჩემმა ბიჭებმა ჩააცილეს ცხენებით სენაკამდეო. მხოლოდ თქვენი გაზეთის საშუალებით შევიტყვეთ ახლახან, ისინი ვიღაცებს დაუხოცავთ...

ზარანდიას ბანაკიდან წასულები ერთი მწყემსის კარავში ვიყავით შვიდი დღე და მერე ერთი ბრმის ოჯახში მიგვიყვანეს. იქ ხუთი დღე დავრჩით და იქაც მოვიდა ზარანდია ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს ორ თანამშრომელთან ერთად. რას შვრები-მეთქი? — ვუსაყვედურე, ესენი ჩვენი ძმები არიანო. პრეზიდენტს ჩემთან ერთად ელაპარაკა ზარანდია, უსაფრთხოების გარანტიები გვაქვს — სომხეთის ან აზერბაიჯანის საზღვრამდე უპრობლემოდ გაგაცილებთო. ბადრი, იცი, სომხეთი და აზერბაიჯანი სად არის, იქამდე როგორ გაგვაცილებ-მეთქი? ესენი, ჩვენი ძმები, ამის გარანტიას გვაძლევენო. ერთი სული მქონდა, ისინი გამესტუმრებინა. კარგი, მოვემზადებით-მეთქი, შევპირდი, ზვიადს კი ვუთხარი, — სასწრაფოდ უნდა დავტოვოთ აქაურობა-მეთქი. ღამის 12 საათი იქნებოდა, ბრმის ოჯახი რომ დავტოვეთ და გამთენიისას, 5 საათზე, ამ ოჯახს თავს დაესხნენ. ამის შემდეგ სოფელ პალაურში ჩავედით და იქაც მოგვადგა ბადრი ზარანდია. ისევ ელაპარაკა პრეზიდენტს.

**— ზარანდია ასე ადვილად როგორ გპოულობდათ?**

— კაცი კუდზე გვეჯდა, იცოდა, სადაც მივდიოდით და რა დიდი ამბავი უნდოდა ჩვენს მოძებნას? ზარანდიამ მითხრა, — გულუამ შემომითვალა, სპეცნაზია ჩამოსული, შენც დაგბრიდავ და ყველასაცო. თქვენ ჯალრაში ჩემი ბაბუის სახლში მიდით, მე რუსეთში უნდა გავიქცეო. შენს თავს მიხედე, ჩვენ რამეს მოვიფიქრებთ-მეთქი, ვუთხარი. ამის შემდეგ აღარ გვინახავს.

**— თქვენი ოპონენტები ამბობენ, ხუნტამ ჩვენ ციხეში გამოგვამწყვდია, რობიზონ მარგველანი კი მხოლოდ ჩვენების მიცემას დააჯერესო.**

— რაკი აბსანძეს 20 წელი მიუსაჯეს და ლოთი ქობალიას დახვრეტა, ეს არის მათი კაიკაცობის საზომი? მე იმიტომ არ დამიჭირეს, რომ არც რუსულ ტანკებს შემოვძღოლივარ ბათუმიდან, არც ბალტინის შემოსვლის შემდეგ მირბენია პოზიციებზე და არ გამიქცევია ბიჭები, არც ბანკებში მიფათურებია ხელი და არც ფოთის პორტის საწყობებში დავძვრებოდი ვირთხასავით. მე რომ პრეზიდენტს ტყეღრეში დავყვებოდი, ლოთი ქობალია ფოთის პორტიდან ფქვილისა და შაქრის ტომრებს აცილებდა...

თუ რამე შეცდომა დავუშვი, აღიარების არ შემეშინდება. საიმისო ვაჟკაცობა კი მაქვს, რომ შეცდომა მოვინანიო.

**— მოდი, პრეზიდენტის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გავიხსენოთ. ამბობთ, ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლაო, როგორ მდგომარეობაში იყო ან ხომ არ უთქვამს თავის განზრახვაზე რამე?**

— ალბათ, ჩემი შეცდომაა, რომ ვერ მივუხვდი, რის ჩადენას აპირებდა. თავის მოკვლაზე მას არაფერი უთქვამს, ორი თვე ტყეღრეში ვიყავით და ერთმანეთს ვუფრთხილდებოდით, — ბიჭებო, არ გაცივდეთო, გვეტყოდა. ახლა რომ ამბობენ, დაცვამ შეცდომა დაუშვაო, ვიყავით კი სათანადოდ აღჭურვილი, რომ პრეზიდენტი სრულყოფილად დაგვეცვა? ჩემს წილ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, მაგრამ არ იყო იქ პრეზიდენტის დაცვის პირობები. ფიზიკურადაც და სულიერადაც გატეხილი ვიყავით...

სიცოცხლის ბოლო დღეებში ზვიადი სუსტად იყო, სულ იწვა. ბოლო 10-12 დღის განმავლობაში იმდენად ცუდად იყო, ექიმიც კი მივუყვანეთ. გვისაყვედურა, — მეორედ ექიმი არ დამანახვოთო. მუცელს იტკივებდა საშინლად. 30 დეკემბრის საღამოს ჩვენი მეგზური ჩუხუა მოვიდა, საჭმელი მოგვიტანა. პრეზიდენტმა პირი არაფერს დააკარა, ჩვენ წავიხემსეთ, წვეთი სასმელი არ დაგვილევია. პრეზიდენტმა ჩუხუასთან მოინდომა განმარტოება. 20 წუთი ისაუბრეს. ჩუხუას წასვლის შემდეგ გვითხრა, ამაღამ დაისვენეთ, ხვალ ადგილსამყოფელი უნდა შევიცვალოთო. მეგზურის მოსვლამდე ჩვენთან, ახლოს, სროლა ისმოდა და მაშინ რაღაც უცნაურად გვითხრა, რამე თუ მოხდა, არ დაიბნეთ, არ შეშინდეთ, აქ დამმარხეთო. ჩუხუასგან შევიტყვეთ, რომ ხიბულიდან ორ კილომეტრში ჩვენი გვარდიელები დაუხოცავთ.

**— ქობალია კითხულობს, ღურწკაიების სახლში, სამი გზის გასაყარზე, რატომ მიიყვანა მარგველანმა პრეზიდენტი, არ იცოდა, რომ სახიფათო ადგილი იყოო.**

— საშიშროება რომ გვემუქრებოდა, ამიტომაც მიგვატოვეს და ახლა მე მედავებიან ხომ? ჩვენ არ გვქონდა არჩევანის საშუალება. იქ ღამით მივედით, ხეირიანადაც კი ვერ გავარჩიეთ სად ვიყავით. მეგზურმა გვითხრა, სანდო ოჯახიაო და ჩვენც დავუჯერეთ.

**— ჩუხუას წასვლის შემდეგ რა მოხდა?**

— ცოტა ხანს ვისაუბრეთ, ბესარიონი ბოლთას სცემდა — ჩვენი ოთახიდან პრეზიდენტის ოთახამდე. მერე ისიც წამოწვა. ჩვენც გაუხდელად მივწექით იქვე, პრეზიდენტისა და ბესარიონის ფეხებს ვხედავდით... პრეზიდენტის ოთახის კარფანჯარა ურდულით იყო ჩაკეტილი, გამორიცხულია, ვინმე გარედან შესულიყო... მე და ბაჩუკი ვსაუბრობდით. ამ დროს პრეზიდენტმა ჩაახველა, ვიფიქრეთ, ჩვენი ლაპარაკი ხელს უშლის-თქო და გავჩუმდით. არ ვიცი, რამდენი წუთი იქნებოდა გასული, რომ გამაყრუებელი ბრაგვანის ხმა გავიგე. წამოვხტი და ბესარიონიც შემეფეთა — რობიზონ, მგონი, პრეზიდენტი ცუდად არისო. ოთახში შევვარდი, უკან ბაჩუკი მომყვა. ლამპა ენთო. საწოლთან მივიჭერი და იდაყვზე მოვკიდე ხელი ზვიადს, ბატონო პრეზიდენტო-მეთქი. დავინახე, საფეთქელთან სისხლის ზოლი ჩამოსდიოდა ზვიადს... იარაღი ავართვი და ამ დროს ხელი განზე გადაუვარდა. ამასობაში, ჩვენი მასპინძელი ცოლ-ქმარიც შემოვიდა. ყველანი ვღრიალებდით, გვიშველეთ-თქო. რა ხდებოდა, ვინ რას აკეთებდა, აღარ ვიცი. კარლო ღურწკაიამ მითხრა მერე, — ზვიადი რომ გადმოვატრიალე, მაშინ ამოუვიდა სულიო. ამის მნახველი კაცი ვარ და ჩემკენ როგორ იშვერენ ხელს? თავი დამანებონ, თორემ უფრო მეტ ფაქტებს დავუდებ წინ. ნუ ცდიან ჩემს მოთმინებას.

**— გამორიცხავთ, რომ თქვენ დაგაძინეს, გაგთიშეს და პრეზიდენტი ვიღაცამ მოკლა?**

— რაც იქ მოხდა, იმას გიყვებით... სხვა ადამიანი, მკვლელი იქ როგორ უნდა შემოსულიყო, არ ვიცი. არც ისაა გამორიცხული, რომ შესაძლოა, მოგვწამლეს კიდეც... ამიტომ ვითხოვდი ექსპერტიზის ჩატარებას, რატომ არ ჩაატარეს ან ახლა რას უცდიან? ვის აძლევდა ხელს ამ თემით სპეკულაცია და ვაჭრობა? ლოთი იმასაც ამბობდა, მშიშარაა რობიზონიო, ტყე-ღრეში რომ დავეხეტებოდით და ზოგჯერ კარავთან მოსულ მგლების ხროვასაც რომ ვიგერიებდით, ამიტომ ვართ მშიშრები? თუ მეშინოდა, რატომ არ გავიქეცი?

**— პრეზიდენტის პირადი ნივთები, დღიური და იარაღი სად არის?**

— არ ვიცი, რომელ ბლოკნოტზე ლაპარაკობს ლოთი. პრეზიდენტის პირადი ნივთები და ტანსაცმელი ქალბატონი მანანას მიერ გროზნოდან გამოგზავნილმა ხალხმა შეაგროვა (ყველა იმ ოჯახში იყვნენ, სადაც ჩვენ ღამეს ვათევდით) და არ ვიცი, ჩაუტანეს თუ არა. რაღაც დოკუმენტებსა და საპრეზიდენტო ბლანკებს თავად ზვიადი ანადგურებდა გზადაგზა.

პრეზიდენტის იარაღი, ტყვიის მასრა და ბეჭედი ჯიხასკარში, კვარაცხელიების სახლთან, ტყეში დავმალე. მერე რომ მოვიკითხე ის ნივთები, კვარაცხელიებმა მითხრეს, — ქალბატონი მანანას ხალხს გავატანეთო.

**— იცით, სად არის პრეზიდენტის საფლავი?**

— დასაფლავებამდე დამესიზმრა ზვიადი და იმ სახლის ეზო მაჩვენა, სადაც თავად ცხოვრობდა გროზნოში. ეს სიზმარი რომ მოვყევი, გადაწყვიტეს, ზვიადი ეზოში დაესაფლავებინათ. იმის შემდეგ გროზნოში არ ჩავსულვარ. ზუსტად არ ვიცი, სად არის მისი საფლავი, მაგრამ ჩემი აზრით, ჯოჰარ დუდაევი და ზვიად გამსახურდია ერთ ადგილას უნდა იყვნენ დაკრძალული.

**— ხშირად ამბობენ, კაცი, რომელიც ბიბლიას კითხულობდა, თავს არ მოიკლავდაო.**

— ზვიადი ისე ცუდად იყო, კითხვა აღარ შეეძლო. სიკვდილამდე ერთი დღით ადრე ცუდად გახდა, დამიძახა, რობიზონ, ძალიან ცუდად ვარ, ბიბლია მომიტანეო და ბალიშის ქვეშ ამომადებინა. ორ წუთში გაუარა შეტევამ. ძალზე დაუძლურებული იყო, სულ თავდასხმას ელოდა. ყოველ წუთს რომ თავდასხმას ელოდები, ძნელია ნერვებმა არ გიმტყუნოს. მთაში გაზრდილი ვარ და თანაც სპორტსმენი, გზამ, რომლის გავლაც მოგვიხდა, მე გამტეხა, მე გამიჭირდა ამის ატანა და ზვიადს არ გაუჭირდებოდა?

**— ლოთი ქობალია ამბობს, მე დავიფიცე და რატომ არ იფიცებს მარგველანი, პრეზიდენტს რომ არ უღალატაო.**

— მოვიყვან თორმეტ კაცს, რომელთაც სიმართლე იციან და, აბა, მათთან თუ დაიფიცებს ლოთი ქობალია?! ის თუ ეკლესიაში სანთელს ანთებს, ეს დაფიცება არ არის. მე კი მთელი ქვეყნის წინაშე დავიფიცებ, მოვიდნენ ჟურნალისტები, კომპეტენტური იურისტები, სამღვდელოება, მოიყვანონ ლოთიც და ერთმაც და მეორემაც დავიფიცოთ ერისა და ბერის წინაშე...

მერაბ რაფავა რომ ამბობს, რობიზონი და გუგუშვილი ერთმანეთს დავაპირისპიროთო, ნებისმიერ დროს მზად ვარ ამისთვის. ბოლო დროს პრეზიდენტის დაცვის ერთმა წევრმა, სოსო თორიამაც წამოყო თავი. რატომ დარჩნენ კეკენაძე და ბურჯანაძე სადღაც, ან რატომ არ ახლდა პრეზიდენტს მეგრულად მოლაპარაკე დაცვის წევრიო? ამას მე რატომ მეკითხება, საკუთარ თავს ჰკითხოს. ზურაბ გუჩუას მეგრული ჩინურად ხომ არ ესმოდა, ის ხომ ბოლომდე ჩვენთან იყო?!

ზვიადი ხომ მიიყვანეს თვითმკვლელობამდე, ახლა უნდათ ჩვენც დაგვახოცინონ თავი, მაგრამ არ გამოუვათ. თუ არ გაჩერდებიან, სხვაც ბევრი მაქვს სათქმელი.

***იზო როკაძე***




# ეს უნდა იცოდეს ყველა მამაკაცმა

**„პროსტა სტრონგი”** – სპეციალიზებული, ნატურალური სამკურნალო პრეპარატი პროსტატის ჯირკვლის ფუნქციის აღდგენისათვის.




- ამცირებს პროსტატის ჯირკვლის ადენომის განვითარების რისკს
- არეგულირებს ადენომის დროს პროსტატის ჯირკვლის ზომებს
- ხელს უწყობს შარდის ნორმალურ გამოყოფას
- აჩქარებს პროსტატის ჯირკვლის აღდგენას მწვავე პროსტატიტის დროს
- ამცირებს ქრონიკული პროსტატიტის გამწვავების რისკს
- არეგულირებს მამაკაცის სასქესო ჰორმონების დონეს
- ხელს უწყობს მამაკაცის სექსუალურ ჯანმრთელობას

**„პროსტა სტრონგი“ – მამაკაცის ჯანმრთელობის მარტივი საიდუმლო**

**„ფლეჟა ფილი”** - ეფექტური ნატურალური სამკურნალო პრეპარატი ერექციის ინტენსივობის, ხანგრძლივობისა და სიხშირის გასაზრდელად.

- ასტიმულირებს სქესობრივ აქტიურობას
- აღადგენს და უნარჩუნებს სექსუალურ ლტოლვას
- აძლიერებს სექსუალურ ემოციებს
- გააჩნია ხანგრძლივი და არა მხოლოდ წუთიერი ეფექტი
- კლინიკურად გამოკვლეული და აპრობირებულია
- ეფექტურია როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვის.

**ამ ორი პრეპარატის კომპლექსური მიღება მოქმედებს ყველა იმ კომპონენტზე, რომელიც წარმოადგენს მამაკაცის სასიცოცხლო მექანიზმს**

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

მის. აღმაშენებლის 150 ☎ 95-65-03; 96-06-67
ყოველდღე კვირის გარდა 10.00 – 18.00

„ნუტრიმენტ ჰაუსი“ გთავაზობთ საახალწლო
**20%-იან**
ფასდაკლებას ყველა პრეპარატზე!!!

# „ჩვენ დაბოღმილი მეზობლები არ გვჭირდება“...

## ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან

**— ბატონო პრეზიდენტო, უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით ხშირად იხსენებენ საქართველოს ვარდების რევოლუციას. თქვენი წინამორბედი შევარდნაძე გერმანიის ახლო მეგობარი იყო, თქვენ და თქვენი მთავრობის წევრები აშშ-ში სწავლობდით. გერმანია ხომ არ კარგავს მნიშვნელობას საქართველოსთვის?**

— რევოლუციის მერე პირველმა გერმანიამ მიმიწვია. ეს გახლდათ იმის ნიშანი, რომ გერმანიისთვის საქართველო უფრო მეტია, ვიდრე ერთი კაცი. აშშ-ის შემდეგ სწორედ გერმანიაა ჩვენი უმნიშვნელოვანესი კრედიტორი.

**— თბილისსა და მოსკოვს შორის მეგობრობას რა უშლის ხელს?**

— გარკვეული ზღვრის შემდეგ დათმობა შეუძლებელია. ეს გახლავთ ჩვენი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთს ვერ გაურკვევია, სად გადის მისი საზღვრები. როცა რუსი პოლიტიკოსები ამბობენ, კავკასიას ვკარგავთო, გულისხმობენ ჩეჩნეთს, ჩრდილო ოსეთს, აფხაზეთს, საქართველოს — სწორედ ეს არის პრობლემა! თუ მათ სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობა სურთ, ამისთვის ურთიერთთანამშრომლობაა საჭირო.

**— ბესლანის ტრაგედიის შემდეგ პუტინმა განაცხადა, რომ ტერორისტებს რუსეთის საზღვრებს გარეთაც გაანადგურებს. ბევრმა ეს საქართველოსადმი აშკარა მუქარად მიიჩნია. თქვენც?**

— მგონი, ეს ემოციური რეაქცია იყო. მას შემდეგ რუსებთან ბევრჯერ გვქონდა მოლაპარაკება. მჯერა, ამგვარი სამხედრო რიტორიკა მათ ინტერესებში არ შედის. ამით რუსეთს უსაფრთხოება გარანტირებული ვერ ექნება. რუსეთმა, იმის მაგივრად, რომ ხანგრძლივი მოლაპარაკებებით კომპრომისამდე მისულიყო პატარა საქართველოსთან, ჩათვალა, რომ მარტო უკეთ მოუვლიდა ამ საქმეს. მაგრამ ის დრო წავიდა და ამას მოსკოვიც ხვდება...

**— დამკვირვებლები ფიქრობენ, რომ რუსეთს საქართველოს სტაბილურობა მხოლოდ და მხოლოდ თავისი კონტროლის ქვეშ სურს.**

— ჩვენ შორის დაძაბულობის ერთ-ერთი მიზეზი ეს არის. დღეს საქართველო უფრო სტაბილურია და უფრო ჰგავს სახელმწიფოს, ვიდრე ერთი წლის წინ იყო. ეტყობა, ზოგიერთი ამას არ ელოდა, მაგრამ რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობის და პუტინის ინტერესებში სწორედ სტაბილური საქართველო შედის. რასაკვირველია, რუსეთში არიან არარაციონალური ადამიანები, მაგრამ, ჩემი აზრით, მათ რუსულ პოლიტიკაში დიდი გასავალი არა აქვთ. არასტაბილურობას და ქაოსს არანაირი სიკეთე არ მოაქვს. სწორედ ეს ვნებდა რუსეთს მრავალი წლის მანძილზე.

**— სტრატეგიულად მნიშვნელოვან კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად რუსეთი და აშშ იბრძვიან. ვის დარჩება გამარჯვება საქართველოში?**

— გამარჯვება ქართველ ხალხს უნდა დარჩეს. ჩვენ არ გვინდა ვილაცების ინტერესების ბრძოლის ველად ვიქცეთ. საქართველო მშვიდობიანი ქვეყანაა, ჩვენ არ გვჭირდება დაბოღმილი, უკმაყოფილო და გულგატეხილი, იმედგაცრუებული მეზობლები, არ გვსურს პოლიტიკური თამაშის ნაწილი გავხდეთ...

***ბერლინერ ცაიტუნგი***
***იბეჭდება შემოკლებით***

# პანკისი — ჩეჩნების გარეშე

ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ საქართველოშიც ცოტა რამ იცოდნენ პანკისის ხეობაზე, დღეს კი მთელმა რუსეთმა და ამერიკამაც დაწვრილებით იცის, რა ხდება იქ.

კრემლის ბინადარნი გვაშინებენ: — ჩვენს საზღვართან თავმოყრილია „ბოევიკთა“ რაზმები, რომლებიც პროვოკაციებს გეგმავენ რუსეთის მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ. მათი მთავარი ბუდე კი პანკისის ხეობააო.

არადა, როგორც ჩვენმა კორესპონდენტმა გამოარკვია, პანკისის ხეობაში არათუ „ბოევიკები“, ჩეჩენი ლტოლვილებიც კი თითქმის აღარ არიან. სამაგიეროდ, ჩინელებმა ააშენეს იქ ჰესი. იქნებ ახლა რფ-ის თავდაცვის სამინისტრომ საქართველოდან მომავალი „ჩინური მუქარით“ დაგვაშინოს?

დუისის გამგებელი ჯარაპ ხანგოშვილი ამბობს, — 1999 წელს აქ ჩამოსახლებული 8 ათასი ჩეჩენიდან ზოგი თურქეთში წავიდა, ზოგიც ინგლისში, გერმანიაში, შვედეთსა და კანადაში. ათასი კაცი იქნება დარჩენილი და მათაც საბუთები უკვე წარდგენილი აქვთ ახმეტაში, გაეროს კომისარიატის წარმომადგენლობაში. საბუთებს ჯერ თბილისში გაგზავნიან, მერე კი ჟენევაში, იქ წყდება, ვინ რომელ ქვეყანაში წავა. ლტოლვილებს ბევრი არაფერი აბადიათ. ახალ სამშობლოში კი ყველაფრით უზრუნველყოფილი იქნებიან.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ პანკისის ხეობაში ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა. შემოდგომაზე ქისტებმა პირველად, ბოლო ოთხი წლის მანძილზე, ყურძნის უხვი მოსავალი აიღეს და ღვინოც დააყენეს. მანამდე კი აქ მყოფი ვაჰაბიტები ღვინის დაწურვას და დალევას სასტიკად კრძალავდნენ. სამაგიეროდ, მეჩეთი ააშენეს. როგორც ქისტები ამბობენ, ვაჰაბიტად მოქცევაში თითოეულ ქისტს 100 დოლარს



უხდიდნენ, მეჩეთში რეგულარული სიარულისთვის — თვეში 50 დოლარს. მაგრამ ქისტებს ორთოდოქს ვაჰაბიტებად გადაქცევა არ ემუქრებათ, წავა უკანასკნელი ლტოლვილი და ქისტებიც ძველებური, კახური წეს-ჩვეულებით ცხოვრებას დაუბრუნდებიან.

ვაჰაბიტებისგან განსხვავებით, ჩინელებს ბუდისტური სალოცავის შენება და ბუდიზმის ქადაგება არ დაუწყიათ. მათ სხვა გზა აირჩიეს, ტენდერში გაიმარჯვეს, ჰიდროელექტროსადგური ააშენეს, რომელმაც 25 ნოემბერს უკვე პირველი დენი გამოიმუშავა. სადგურის სიმძლავრე 2,5 მეგავატს აღწევს, მაგრამ ეს სრულიად საკმარისია კახეთის მეოთხედის გასანათებლად. ამგვარი ჰესი საქართველოში უამრავი შეიძლება აიგოს და მთლიანად უზრუნველყოს ქვეყანა ელექტროენერგიით.

ახლა რუსი გენერლები ახალი სამხრეთოსური კარტის გათამაშებას აპირებენ. ეტყობა, სწორედ აქ უნდა ველოდეთ ქართულ-რუსული სიყვარულისა და მეგობრობის ახალ გამოვლინებას.

***სოვერშენო სეკრეტნო***

# ნარინჯისფერი კარდინალი

*„ჩერნომორენერგოს“ ყოფილმა მეთაურმა, სერგეი ბაღაფშმა, პრეზიდენტად კურთხევის ჩატარება სადად განიზრახა. სიტუაცია ისედაც გართულებულია — ვლადისლავ არძინბა პოსტის დატოვებას არ აპირებს და განმეორებით არჩევნებს ითხოვს. ის, რომ არძინბას ხელისუფლების შენარჩუნება უნდა, აშკარაა, მაგრამ ბოლო დროს რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს ვერ მართავს. არჩევნებში ბაღაფშის გამარჯვების აღიარების შემდეგ, მის მთავარ მეტოქეს, რაულ ხაჯიმბას საპრეზიდენტო ამბიციები აღარ გამოუვლენია.*

*საარჩევნო ბატალიებითა და რესპუბლიკაში „სამხელისუფლებიანობით“ დაღლილ მოსახლეობას ახლა მანდარინების გასაღება უფრო აწუხებს — რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1-ელი დეკემბრიდან შეჩერებულია აფხაზეთიდან ყოველგვარი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანა, რასაც სანიტარული მიზეზით ხსნიან. რუსი მოხელეების მიერ აფხაზეთისთვის „ჟანგბადის გადაკეტვას“ არც იმან შეუშალა ხელი, რომ იქ მცხოვრებთა უმრავლესობას რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული. როგორც „ეხო მოსკვი“ აცხადებს, აფხაზები პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად ანადგურებენ რფ-ის პასპორტებს.*

ბაღაფში ხელისუფლებაში მარტო არ მიდის, ძლიერი გუნდი ჰყავს. ვიცე-პრეზიდენტის პოსტს ოპოზიციის „ტვინი“, ისტორიკოსი *სტანისლავ ლაკობა* დაიკავებს. ეტყობა, ის საგარეო პოლიტიკის საკითხებს გადაწყვეტს. *ალექსანდრ ანქვაბი* ალბათ პრემიერ-მინისტრი გახდება. აფხაზეთის შს ყოფილი მინისტრი, „აიტაირას“ ლიდერი, ოპოზიციის ბანაკის ყველაზე იდუმალი პერსონაჟია. ის თვალში არ მოსდით ოპონენტებს და, უპირველესად, არძინბას, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ანქვაბი აფხაზეთს უსათუოდ შეათრევს „ქართული სახელმწიფოებრიობის წიაღში“. „ანქვაბი ხალხის მტერია, — ამბობენ ხაჯიმბას მომხრეები, — ომის დროს ორჯერ დავუპირეთ დახვრეტა“.

ნეტა მართლა საშიშია ანქვაბი? ერთი კი ცხადია, მის გარეშე ბაღაფში არჩევნებში ვერ გაიმარჯვებდა არა მარტო იმიტომ, რომ ანქვაბი შესაშური ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩევა, არამედ იმ ელექტორატის წყალობით, რომელიც მან ბაღაფშს „გადაულოცა“. იმის გამო, რომ ანქვაბი უკვე ცხრა წელია მოსკოვში ცხოვრობს, უფლება არ ჰქონდა საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურის წარდგენისა. სულ ცოტა ხნის წინათაც დაცვის კორპორაცია „იმიჯუშიშროების“ დირექტორის მოადგილედ ითვლებოდა, მაგრამ ორი თვის წინ შსს-ს წარმომადგენლებმა ყველაფერი დალუქეს და ბრძანეს, თუ ანქვაბს არ გაათავისუფლებთ, ლიცენზიას ჩამოგართმევთო. ამტკიცებენ, რომ მას მოსკოვში რესტორნების და ბენზინგასამართების ქსელი აქვს. ოპოზიციონერი კი ამბობს, ბოლო ოთხი წელია ბიზნესს არ გავკარებივარო. ადრე ის ქვანახშირით, ხეტყით და ლითონით ვაჭრობდა. ეტყობა, სარფიანადაც, რადგან ოპოზიცია ფულის ნაკლებობას არ განიცდის. საიდან აქვთ ამდენი ფულიო, — ბობოქრობენ ოპონენტები. „კაპიკ-კაპიკ ვაგროვებთ, გვეხმარებიან მეგობრები, ბიზნესმენები. პირადად მე, წინასაარჩევნო კამპანიაზე სულ 6 მილიონი რუბლი დავხარჯე,“ — ამბობს ანქვაბი.

ანქვაბი რამდენიმე წელი საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. თავის მშობლიურ, გუდაუთის რაიონის სოფელ ხუაპში სკოლა და კინოთეატრი ააშენა, ხელფასს უხდიდა მასწავლებლებს, წლამდე ბავშვებს ყოველთვიურად ათას რუბლს აძლევდა, მათ დედებს კი ერთდროულ დახმარებას — სამი ათას რუბლს, აფინანსებდა აფხაზური მუსიკის დისკების და აფხაზი ავტორების წიგნების გამოცემას, თანაც მეტისმეტად „სეპარატისტულსაც“. თუ მართლა „საქართველოს აგენტია“, რატომ გამოსცემდა ასეთ წიგნებს?

ამბობენ, ანქვაბი ათი წელი ემზადებოდა ხელისუფლებაში მოსასვლელადო. მან ბევრი ისეთი რამე იცის, რაც შიშის ზარს სცემს არძინბას მთავრობას. მაგალითად, ოპოზიციის „სულიერი მამის“, ზურაბ აჩბას, ცნობილი ლიდერის, იური ვორონოვის და ოპოზიციონერ გარი აიბას მკვლელობების ამბები. მთელი სოხუმი ჩურჩულებს ანქვაბის მიერ მომზადებულ რაღაც სისხლის სამართლის საქმეებზე, რასაც არც ის უარყოფს. ეტყობა, სწორედ ეს აფრთხობს ზოგიერთს.



*ალექსანდრ ანქვაბი — აფხაზეთის ჩრდილოვანი ლიდერი*

ყველაზე გასაოცარი ალექსანდრე ანქვაბის უეცარი თანამდებობრივი წინსვლაა. ბოროტი ენები ირწმუნებიან, ეს შევარდნაძის ჩაურევლად არ მომხდარა — მაშ, გაგრელი მილიციელი საქართველოს შს მინისტრის მოადგილე როგორ გახდებოდაო? თუმცა საბჭოთა პერიოდში თბილისში ბევრი მომავალი „აფხაზი სეპარატისტი“ მუშაობდა. არძინბამაც იქ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ანქვაბმა თბილისში 9 წელი იმუშავა — 1981 წლიდან 1990 წლამდე. საქართველოს კპ ცკ-ის ინსტრუქტორობიდან მინისტრის მოადგილეობას მიაღწია. მაგრამ „აფხაზური ღირსება არ დაუკარგავს“. ომის წინ, 1992 წლის მაისში, ის აფხაზეთის შს მინისტრად დანიშნეს.

ამას წინათ პრეზიდენტმა არძინბამ ანქვაბს ბრალი დასდო — მინისტრობით ისარგებლა და სამშობლოს დასაცავად გულანთებულ მილიციელებს იარაღი არ მისცა. მისი ბრძანებით ეს იარაღი აფხაზეთის უშიშროების სამსახურს გადაეცა, რომელსაც მაშინ ავთანდილ იოსელიანი ხელმძღვანელობდაო. ანქვაბი ამბობს, ქართული ჯარის სოხუმში შემოსვლის შემდეგ იარაღი იოსელიანს განზრახ გადავეცი, რათა აფხაზი მილიციელების სიცოცხლე გადამერჩინაო. 18 აგვისტოს კი ამ იარაღიანმა ქართველებმა სოხუმი დატოვეს.

თავად ანქვაბი თვლის, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლა აშინებს კრიმინალურ კლანს, რომელიც ქართველ „კოლეგებთან“ ერთად იტაცებს ხალხს და კონტრაბანდას ეწევა.

წინა ხელისუფლებამ მათ ვერაფერი მოუხერხა, გამოუვა კი რამე ახალს?

***მოსკოვსკი კომსომოლეცი***

***გვერდი მოამზადა***
***თინათინ მარგველაშვილმა***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ბრძენობენ

პატარა **ეკა კვანტალიანს** მამა „ნაცარქექიას“ უყვება: — წავიდა საწყალი ნაცარქექია ლუკმაპურის საშოვნელად. გუდაში ჩადო ჭყინტი ყველი, ნაცარი და...

— მამიკო, ნაცარქექიას ჭყინტი ყველი თუ ჰქონდა, ლუკმაპურის საშოვნელად რაღას მიდიოდა? — შეაწყვეტინა ეკამ.

***

— ლელა, ტყუილზე არ დამიფიცო, თორემ მოვკვდები, — ეუბნება დედა პატარა **ლელას**.

— რამდენჯერ დაგიფიცე და ისევ რომ ხარ?

***

4 წლის **ნიტა მჭედლიშვილს** ბებო რუსულს ასწავლის:

— ყაყაჩო არის „მაკ“. ადვილია, ხომ იცი გოგონას სახელი მაკა.

რამდენიმე საათის შემდეგ ეკითხება:

— ნიტა, როგორ არის რუსულად ყაყაჩო?

— ეკ, — უპასუხა ნიტამ.

მოთხრობა

# ახია

ძია კოტემ ალიკოსა და გიას პატარა ბაჭია აჩუქა და თან უთხრა: თქვენ იცით, როგორ მოუვლითო. ბიჭებმა საიდანღაც გალია გამოუნახეს ბაჭიას და ჩიტის რძესაც არ აკლებდნენ. ალიკო რომ სტაფილოსა და კომბოსტოს დაუყრიდა, გია წყალს მოურბენინებდა. თავისუფლად ვერ უშვებდნენ გარეთ, რადგან ძია კოტემ გააფრთხილა, კურდღელი ჯერ უნდა შეიჩვიოთო.

ბაჭიას უცებ დაეტყო ალიკოსა და გიას ხელი: გასუქდა, გალამაზდა. ხშირად იბანდა თათებით პირს. გალიასთან მოსულ ბიჭებს რომ დაინახავდა, თათებზე დასკუპდებოდა და სულ ხელებში შესცქეროდა მათ: აბა, რა მომიტანეთო. თანდათან მიეჩვია თავის პატარა მეგობრებს და იმათაც იფიქრეს: უკვე შეიძლება ეზოში ცოტა ხნით გავუშვათო.

— მე გამოვიყვან გალიიდან, — თქვა ალიკომ.

— რატომ შენ, მე გამოვიყვან, შენი საკუთარი ბაჭია ხომ არ არის! — უპასუხა გიამ.

— გახსოვს, გუშინწინ რომ დაგეზარა გალიის გაწმენდა და შენ მაგივრად გავწმინდე? მაშინ ხომ კარგი იყო!.. — ნიშნის მოგებით წასძახა ალიკომ.

— სამაგიეროდ ბევრი კომბოსტო ხომ მივუტანე!.. ბაჭიას მე უფრო ვუყვარვარ, რომ დამინახავს, მცნობს კიდეც.

— როგორ არა, შენ უყვარხარ!.. მე რომ დამინახავს, სულ კუნტრუშობს, — გაბრაზდა ალიკო.

— მოდი და ბაჭია ჩვენ წინ დავსვათ, ვისთანაც პირველად მივა, ის უფრო ჰყვარებია, გინდა? — უთხრა გიამ.

ბიჭებმა ბაჭია გალიიდან გამოიყვანეს, მოშორებით დასვეს და თან ათას საალერსო სახელს ეძახდნენ. ბაჭია უკანა თათებზე დასკუპდა, ყურები ააცანცარა, ტუჩები ააწკლაპუნა, სასაცილოდ დააჭყიტა თვალები, ერთი ისკუპა, ღობეს გადაევლო და ტყისაკენ მოუსვა.

დარჩნენ ბიჭები პირში ჩალაგამოვლებული.

ახია ალიკოზე და გიაზე. აბა, ვის შეუყვარდებოდა მაჩხუბარი ბიჭები.

***ნინო აღნიაშვილი***

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„მიწაში რომ ჩავძვერი, განა რამე მაშინებს? რასაც ჩამომძახებენ, ვიმეორებ მაშინვე.“**




**II ციფრების ნაცვლად ჩასვით ფანჯრები ისე, რომ ყოველ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ რიგში აღმოჩნდეს სამი სხვადასხვა ფანჯარა**




### III ანა, გამოიცანი

**1) ამ ფრინველებიდან რომელი ანადგურებს გველებს?**

ა) ფარშავანგი; ბ) იხვი; გ) ჩხიკვი; დ) ქედანი.

**2) რომელი სიტყვაა გამოტოვებული ლოცვიდან. „... ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“?**

ა) ღვინო; ბ) ჰაერი; გ) პური; დ) წყალი.

**3) საქართველოს რომელ კუთხეში მდებარეობს ნიკორწმინდის ტაძარი?**

ა) კახეთში; ბ) სვანეთში; გ) რაჭაში; დ) სამეგრელოში.

**4) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია კომპოზიტორი?**

ა) სანდრო ახმეტელი; ბ) დოდო აბაშიძე; გ) ელენე ახვლედიანი; დ) ბიძინა კვერნაძე.

**5) რომელ საუკუნეში გაიმართა შამქორის ბრძოლა?**

ა) მე-10; ბ) მე-12; გ) მე-13; დ) მე-15.

**IV იპოვე 10 განსხვავება და დაფიქრდი, როგორ შეიძლება აღმოჩნდეს ჭიქა ხელსახოცის გარეთ**



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*



# კვირის «მინიკალენდარი»

„კვირის პალიტრა" დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების მინიკალენდარი კი ასეთია:



**6 დეკემბერი:**

**ანტონ ფურცელაძე,** მწერალი; **ჟოზეფ ლუი გეი-ლიუსაკი,** ქიმიკოსი, ფიზიკოსი; **ნიკოლას ლებლანი,** ქიმიკოსი.

**7 დეკემბერი:**

**სპარტაკ ბაღაშვილი,** მსახიობი; **აარონ კარტერი,** მომღერალი; **ელი უოლაჰი,** მსახიობი; **თეოდორ შვანი,** ბიოლოგი, უჯრედოვანი თეორიის ფუძემდებელი.

**8 დეკემბერი:**

**რევაზ ჩხეიძე,** რეჟისორი; **კიმ ბესინჯერი,** მსახიობი; **ჯიმ მორისონი,** ჯგუფ „The Doors"-ის ვოკალისტი; **ალისა ფრეინდლიხი,** მსახიობი.

**9 დეკემბერი:**

**ჯონ მალკოვიჩი,** მსახიობი; **ჯონ მილტონი,** პოეტი, სახელმწიფო მოღვაწე, მოაზროვნე; **მაიკლ ნური,** მსახიობი.

**10 დეკემბერი:**

**ნიკოლაი ნეკრასოვი,** პოეტი, პროზაიკოსი; **მაიკლ დუგლასი,** მსახიობი.

**11 დეკემბერი:**

**რობერტ კოხი,** მიკრობიოლოგი, თანამედროვე ბაქტერიოლოგიის და ეპიდემიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; **გიორგი პლეხანოვი,** ფილოსოფოსი, რუსეთის და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აქტიური მოღვაწე; **ალექსანდრ სოლჟენიცინი,** მწერალი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი; **ჟან მარე,** მსახიობი; **ლეონიდ ბიკოვი,** მსახიობი, რეჟისორ-სცენარისტი; **ჟან-ლუი ტრენტინიანი,** მსახიობი; **ბრენდა ლი,** პოპ-მომღერალი; **ანდრეი მაკარევიჩი,** მომღერალი.

**12 დეკემბერი:**

**რობერტ ნოისი,** კორპორაცია „Intel"-ის დამაარსებელი; **ფრენკ სინატრა,** მომღერალი; **ნიკოლაი კარამზინი,** მწერალი, ისტორიკოსი; **კლარა ნოვიკოვა,** მსახიობი.

# სიტყვათა კონა

**ლაბიანი** — კარგად მოხარშული, სქელი (ლობიო).

**ლაბიერი** — ჭერის კოჭებს ზევით აყვანილი კედელი.

**ლაბლაბო** — პარკოსანი მცენარე.

**ლაგაზი** — ნოტიო თიხნარი ნიადაგი.

**ლაგვანი** — დიდი ქვევრი.

**ლაგვინი** — პირფართო დოქი.

**ლავგარდანი** — 1. შენობის კედელზე ან ჭერზე შემოვლებული არშია — კარნიზი. 2. კლდის თავზე გადმოშვერილი გაყინული თოვლი.

**ლავრა** (ბერძ.) — ზოგიერთი დიდი მამათა მონასტრის სახელწოდება — მთავარი მონასტერი.

**ლაზარეთი** (ფრ.) — პატარა სამხედრო საავადმყოფო.

**ლათაია** (ძვ.) — 1. არაკი, იგავი, ანეკდოტი. 2. მიკიბულ-მოკიბული, მიდებ-მოდებული, მოჩმახული ამბები (ლათაიები).

**ლაინი** — შინ ნაქსოვი ბამბის თხელი ქსოვილი, ჩვეულებრივ მუქ ლურჯად შეღებილი.

**ლაკარტანა** (საუბ.) — თხელი, გამხდარი ადამიანი, წვრილი, წერწეტა.

**ლაკარტია** — სარეველა მცენარე. გლერტა.

**ლაკლაკი** — იგივეა, რაც ყარყატი.

**ლალა** (სპ.) (ძვ.) — გამზრდელი (ჩვეულებრივ მამაკაცი), მომვლელი, მზრუნველი.

**ლალაობა** (ძვ. და საუბ.) — ვისიმე მოვლა, პატრონობა, გამდლობა.

**ლალვა** — შუღლი, მტრობა.

**ლამი** — წყლის დანალექი წმინდა სილა.

# გახდება ლუბა ელიაშვილი აგათა კრისტი?!

**— საინტერესოა, ტელეკომპანია „იბერიის" საინფორმაციო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი ლუბა ელიაშვილი მართლაც გაემგზავრა (როგორც აცხადებდა ინტერვიუებში) საზღვარგარეთ თუ საქართველოშია? სად არის და რას საქმიანობს იგი ამჟამად?**

*თიკო ჩიხლაძე*

კითხვას უპასუხებს **ლუბა ელიაშვილი:**



— მას შემდეგ, რაც ქვეყანაში საფრთხე შეექმნა ადამიანთა უფლებებსა და თავისუფალ პრესას, საზღვარგარეთ წასვლაზე მართლაც დავიწყე ფიქრი. ალბათ, გახსოვთ ჩემს ბინაზე თავდასხმა რომ მოხდა, ეს საქმე დღემდე გამოუძიებელია. ისიც გეცოდინებათ, რა ხერხითა და მეთოდით დაიხურა ტელეკომპანია „იბერია". სწორედ ამ მოვლენებმა მაიძულა, სამშობლოდან გამგზავრებაზე მეფიქრა. ასეთ პირობებში შეუძლებელია, ადამიანმა თავი უსაფრთხოდ იგრძნოს. თუმცა, ოჯახმა არ მომიწონა განზრახვა. მეუღლე და შვილი მარწმუნებდნენ, რომ რადიკალური ნაბიჯის გადადგმა არ ღირდა. მეც დავყევი ჩემიანების ნებას.

ამჟამად რამდენიმე კოლეჯში ვკითხულობ ლექციებს. უკვე გახმაურდა და არც თქვენ დაგიმალავთ, რომ მალე ერთ-ერთ პოპულარულ ჟურნალში გამოქვეყნდება ჩემი დეტექტივი. გავიხსენე ახალგაზრდობა და დავიწყე წერა. მე და ჩემი მეგობრები ხშირად ვირთობდით თავს ამ ჟანრით. სამაგიეროდ, ჩემი ჰობი დღეს გამომადგა და გადავწყვიტე, სერიოზულად მომეკიდა ხელი ამ საქმისთვის. ჩემს დეტექტივს არ აქვს ღრმა ფსიქოლოგიურ მწერლობაზე პრეტენზია, — დავწერე ხალხის გასართობად და დროის გასაყვანად, გასახალისებლად და... დასაფიქრებლადაც. მიუხედავად ჟანრისათვის დამახასიათებელი სირთულისა, ვეცადე, დეტექტივი მკითხველისთვის მსუბუქად და ლაღად საკითხავი გამეხადა. მოვახერხე თუ არა ეს, ამას მკითხველი განსჯის.




# რატომ ვერ (არ) ჩამოვიდნენ რუსი მოჭიდავეები

**— სულ ცოტა ხნის წინ თბილისში ჩატარდა მსოფლიო თასის გათამაშება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. თასი საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა. მაინტერესებს, მოუპოვებია თუ არა ეს თასი საქართველოს ნაკრებს ადრე და რამდენჯერ? თბილისში ჩატარებულ მსოფლიო თასის გათამაშებაზე, რატომ მონაწილეობდა მხოლოდ 5 ნაკრები, როგორი წესით ხდება შერჩევა თასის გათამაშებისთვის?**

*გოჩა ვარდანია, მამუკა ინჯგია, დავით გუგუშვილი*

კითხვას უპასუხებს **ომარ შოშიტაშვილი,** საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი:



— მსოფლიო თასის გათამაშებაზე „ფილა" — ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია, წინა წლის შედეგებიდან გამომდინარე, ყოველწლიურად არჩევს ექვს უძლიერეს გუნდს. მართალია, საქართველო არაერთხელ მოხვედრილა ამ უძლიერეს ექვს ქვეყანას შორის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებდა გამგზავრებას. მხოლოდ შარშან მოგვეცა შესაძლებლობა, გავმგზავრებულიყავით მსოფლიო თასის გათამაშებაზე და დავიკავეთ მესამე ადგილი. წელს კი, როგორც იცით, პირველი ადგილი მოვიპოვეთ. რაც შეეხება შეკითხვას, თუ რატომ მონაწილეობდა თბილისში ჩატარებულ მსოფლიო თასის გათამაშებაზე მხოლოდ 5 ქვეყანა, გიპასუხებთ, რომ მე-6 გუნდი რუსეთი იყო. თასის გათამაშებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე მივიღეთ ფაქსი, რომელიც გვამცნობდა, რომ უსახსრობის გამო რუსეთის ეროვნული ნაკრები საქართველოში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაზე ვერ ჩამოვიდოდა. მართლაც, უსახსრობა იყო თუ სხვა მიზეზი არსებობდა კიდევ რუსეთის ნაკრებისთვის, ჩემთვის უცნობია. აღსანიშნავია, რომ რუსეთი ყველაზე ხშირად იყო მსოფლიო თასის მფლობელი ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობაში. ასევე, ფავორიტები არიან ამერიკელი და ირანელი ფალავნები.

# უბრალოდ ერთად ვცხოვრობთ და ერთმანეთს მეუღლეებს ვუწოდებთ...

**— როგორც გავიგე, ია ფარულავა არაბ ბიზნესმენს, ფადი ასლის გაჰყოლია ცოლად. მაინტერესებს როგორ და რა ვითარებაში გაიცნეს ერთმანეთი და როგორ უნდა დაქორწინდნენ — მუსლიმანური თუ მართლმადიდებლური წესით?**

*ნინო თვარაძე*



კითხვას უპასუხებს **ია ფარულავა,** მსახიობი:



— ფადი ქრისტიანია. ჩვენ ჯერ არ დავქორწინებულვართ. უბრალოდ, ერთად ვცხოვრობთ და ერთმანეთს მეუღლეებს ვუწოდებთ. რაც შეეხება ჯვრისწერასა და სამოქალაქო ქორწინებას, ამ ეტაპზე ეს არ მიგვაჩნია აუცილებლობად. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და ამიტომაც ერთად ვართ. ცივილიზებულ სახელმწიფოებში ეს ჩვეული ამბავია და საქართველოშიც მრავლად არის ასეთი წყვილი. ხალხი წლობით ცხოვრობს ერთად და მხოლოდ მაშინ ქორწინდებიან ოფიციალურად, როდესაც ამის სურვილი უჩნდებათ. ჩემს ქორწინებას ნამდვილად ვერავის გამოვაპარებ, — საქართველოში ცოტა რთულია ასეთი რამის დამალვა. ამიტომ, თუ გადავწყვეტთ სამოქალაქო ქორწინებას ან ჯვრისწერას, საზოგადოება ამას აუცილებლად შეიტყობს. ჩემთვის ჯვრისწერა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე სამოქალაქო ქორწინება.

მე და ფადიმ ერთმანეთი მეგობრების წრეში გავიცანით. დანარჩენი კი ჩემი და მისი პირადი ცხოვრება გახლავთ და მისი გახმაურება არ მსურს. პოპულარობის მიუხედავად, ხომ შეიძლება ადამიანმა საიდუმლოდ შეინახოს თავისი პირადი ცხოვრება? ამ ადამიანთან ურთიერთობა ჩემი და მხოლოდ ჩემი საქმეა. ამ ამბავს ვერ მოვყვები, სიტყვით ვერც გადმოვცემ, იმიტომ, რომ ამით ურთიერთობას გავაუბრალოებ.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე" ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**


ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი

# ვინ მოიპარა დიდ ხელოვანთა მედლები?


„ხანჯლური“

*„ქართული გენია — როკვით განფენილი“ უწინდებურად ატყვევებს მაყურებელს. ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სარეპეტიციო დარბაზში ისევ დოლისა და საბრძოლო ყიჟინის ხმა ისმის. ანსამბლი 60 წლის წინ ალებული გეზით აგრძელებს სვლას.*

*ჯერ კიდევ ათი წლის წინ სუხიშვილების (ასე უწოდებენ დღემდე ანსამბლს ქართველები) მოცეკვავეთა „ლაშქარს“ ნინო რამიშვილი უძღვებოდა. რეპეტიციის დროს ახლაც ისმის ქალის ხმა, თუმცა იგი ისეთი მკაცრი არ არის. ნინო რამიშვილის აღზრდილისა და რძლის, ინგა თევზაძის ხმა უფრო რბილია, მაგრამ მომთხოვნი. თუმცა, დღეს ანსამბლის წარმმართველი დიდი ილიკოს სეხნიაა. პატარა ილიკო ერთი შეხედვით ტინეიჯერს ჰგავს და ვერც კი წარმოიდგენ, რომ მოცეკვავეებს იგი წვრთნის. ბრძანებებსა და განკარგულებებს ნაკლებად ხმით და უმეტესად, ჟესტებით გასცემს, „წინამძღოლის“ მორჩილება კი მოცეკვავეების თითოეულ ილეთს ეტყობა. ეს თუ არ ნახე, ვერ წარმოიდგენ.*

ანსამბლი 60 წლის ხდება. აქ ყოველდღე საიუბილეო სამზადისში არიან. ვესაუბრებით ქალბატონ **ინგა თევზაძესა** და ბატონ **თენგიზ სუხიშვილს**:

**— 1995 წელს ანსამბლს 50 წელი შეუსრულდა. იმ დროს საქართველოში არცთუ სახარბიელო ვითარება იყო. ხომ არ გაგიჭირდათ მაშინ იუბილეს აღნიშვნა?**

**ინგა თევზაძე**: — ლამაზი საღამო გამოვიდა. რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთხელ ვნახე ვიდეოჩანაწერი. სევდა მომეძალა, რამდენი ხალხი წასულა ამ მოკლე ხანში — ქალბატონი ნინო რამიშვილი, კოტე მახარაძე, რომელსაც საიუბილეო საღამო მიჰყავდა, ჯანსუღ კახიძე, არადა, როგორ იცეკვა ზეიმზე. 60 წლის იუბილეზე აუცილებლად გავიხსენებთ მათ ფოტოკოლაჟით ან სხვა სახით.

**— გამიგია, შეუძლოდ მყოფმა ქალბატონმა ნინომ იმ დღისთვის საგანგებოდ მოიკრიბა ძალა.**

— სუსტად იყო. ნიანუმ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ძალით ჩააცვა. არადა, ქალბატონმა ნინომ სთხოვა, ნუ ჩამაცმევ ამას, ცეკვა გამიჭირდებაო. თუმცა, თავი მაინც შესანიშნავად ეჭირა. იმ დროს 85 წლის იყო...

**— რეპეტიციაზე გაკვირდებოდით, არ ჰგავხართ სიმკაცრით ქალბატონ ნინოს...**

— ნინო ძლიერი ადამიანი იყო. მისნაირი ქალები საუკუნეში ერთხელ იბადებიან. თუმცა, რამდენადაც დარბაზში იყო მკაცრი, იმდენად თბილი და დამთმობი გახლდათ ოჯახში. რეპეტიციების შემდეგ თენგიზი მოცეკვავეებთან ერთად ზოგჯერ საქეიფოდ მიდიოდა. მერე შინ ერთად მოდიოდნენ და გაოცებული იყვნენ ნინოთი, — სრულიად განსხვავდებოდა იმ მკაცრი პედაგოგისაგან, რომელიც რისხვას აფრქვევდა. დარბაზში ნინო იყო, შინ კი — დედა.

**— ბატონო თენგიზ, ბატონი ილიკო ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მისი საქმის გაგრძელება ახალგაზრდამ იტვირთეთ, გაგიჭირდათ თუ მამა ადრიდანვე გამზადებდათ საამისოდ?**

**თენგიზ სუხიშვილი**: — გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე ამომიყენა გვერდით. ყველგან დავყავდი, მოლაპარაკებებზე, შეხვედრებზე — იქნებოდა ეს მოსკოვში თუ სხვაგან. როცა ანსამბლი პირველად მარტომ წავიყვანე გასტროლებზე ინგლისში, მამა ავად იყო, საავადმყოფოში იწვა, დედაც მასთან დარჩა. უცხოეთში შემატყობინეს მამის გარდაცვალება, ჩამოვედი, დავკრძალეთ და ისევ უკან დავბრუნდი. რა თქმა უნდა, თავდაპირველად, მართლაც გამიჭირდა, მაგრამ დედა დამიდგა გვერდით.

**ინგა**: — ილიკო წინდახედული კაცი იყო. სულ მეუბნებოდა — მიდი, დაჯექი რამიშვილთან (რა თქმა უნდა, ნინოს გულისხმობდა), ისწავლე რამეო. მე კი, როგორც ყველა ახალგაზრდას, რეპეტიციის დამთავრებისთანავე თვალი გაქცევაზე მეჭირა, არადა, ილიკოს უნდოდა ანსამბლის მომავალი პატრონები თავისივე სიცოცხლეში აღეზარდა და გულდაიმედებული ყოფილიყო.

**— ბოლო იუბილე ერთად როდის აღნიშნეს ქალბატონმა ნინომ და ბატონმა ილიკომ?**

**თენგიზი**: — 40 წლის იუბილე აღნიშნეს ერთად. 1985 წელს გარდაიცვალა მამა, სწორედ იმ წელს შეუსრულდა ანსამბლს დაბადებიდან 40 წელი.

ყველაზე კარგად კი 20 წლის იუბილე მახსენდება, ოპერაში რომ ჩატარდა. დოდო ალექსიძე იყო რეჟისორი. სცენაზე დიდი ქაღალდის ეკრანი იყო გაკრული, სადაც ანსამბლის სხვადასხვა ქვეყანაში გასტროლებიდან ფრაგმენტებს უჩვენებდნენ. უცებ შუქი აინთო, ეკრანი გაიხა და მთელი ანსამბლი თითქოს ეკრანიდან გადმოხტა სცენაზე, მერე დერეფანი გააკეთეს და დედა და მამა კიბეზე ჩამოვიდნენ.

**— სასიამოვნოა, რომ ანსამბლს სუხიშვილების ოჯახის მესამე თაობა უდგას სათავეში. თურმე, მეოთხე თაობაც, უმცროსი ილიკოს ქალიშვილი დარია დიდი ბებიის მემკვიდრეობას აპირებს.**

**ინგა**: — ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. ნიჭიერია და ცეკვა უყვარს, თუმცა ჯერ არ ვასწავლით. ვფიქრობთ, ადრეა მისი დატვირთვა...

ქალბატონ ინგასა და ბატონ თენგიზთან შეხვედრის შემდეგ ანსამბლის საიუბილეო კონცერტის ორგანიზატორს, **ხატია ჯანიაშვილს** ვესაუბრეთ:

— „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, საიუბილეო პროგრამაში სრულიად ახალი ნიუანსები შევიტანეთ. მაგალითად, ახალი ცეკვა „ხანჯლური“. ნინო სუხიშვილმა კოსტიუმები ხუთჯვრიანი დროშის მოტივებით გააფორმა. ამ სამოსში გამოწყობილი მოცეკვავეები სცენაზე გაშლილი დროშის ეფექტს ქმნიან.

საიუბილეო პროგრამა დაიწყება ივნისის პირველი რიცხვებიდან და 11-ში საზეიმოდ დაიხურება.

**— ხატია, „ასსას“ შემდეგ სუხიშვილებს ფართომასშტაბიანი საკლუბო პროექტი აღარ შეუქმნია. როგორც რამდენიმე ხნის წინ ნინომ ინტერვიუში მითხრა, ილიკო ქორეოგრაფიული სპექტაკლის დადგმას აპირებდა. ხომ არ დაუწყია მუშაობა?**

— ჯერჯერობით, ეს პროექტი ისევ ჩანაფიქრია. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი იუბილესთვის სამზადისია.

**— კონცერტებზე, რომლებსაც ამჟერად ატარებთ, მიწვეული გყავთ ჯარისკაცები. ეს საქველმოქმედო აქციაა? მაინცდამაინც ერაყში ნამყოფ ჯარისკაცებზე რატომ შეაჩერეთ ყურადღება?**

— ანსამბლს აქვს თავისი ინტერნეტგვერდი. ერთ დღეს წერილი მივიღეთ ერაყიდან. ქართველი ჯარისკაცი გვთხოვდა, ჩვენი DVD-ს და CD-ს გაგზავნას — სტიმული რომ მოგვეცეს ერაყში სამსახურისთვისო, გვწერდა. ამიტომ მივმართეთ თავდაცვის სამინისტროს, ვთხოვეთ ერაყში ნამყოფი ჯარისკაცების სია და მოვიწვიეთ ისინი კონცერტებზე. რაღა თქმა უნდა, ინტერნეტთხოვნაც შევასრულეთ და რაც გვთხოვეს, გავგზავნეთ.

**— თურმე, „ასსას“ კომპაქტდისკები მსოფლიოში ცნობილ ბევრ ადამიანს უდევს შინ.**

— დიახ. ბევრს თვითონ შეუძენია. ბევრისთვის საჩუქრად გაგვიგზავნია. ინგლისის დედოფალს, პრემიერ-მინისტრს, პრინც უილიამსაც მათივე თხოვნის საფუძველზე გავუგზავნეთ ჩვენი რეპერტუარიდან ახალი ცეკვების ჩანაწერი. ინგლისის სამეფო ოჯახთან სისტემატურად გვაქვს მიმოწერა. ეს 1935 წლიდან დაიწყო, როცა დიდი ილიკო სუხიშვილი იყო ინგლისში ფესტივალზე. ბატონი ილიკო და ქალბატონი ნინო ერთად უნდა წასულიყვნენ, მაგრამ შინაგან საქმეთა კომისარიატში, როგორც მენშევიკი მამის ქალიშვილისათვის, საგანგებო „ლექცია“ ჩაუტარებიათ და უთქვამთ, იმ პირობით გაგიშვებთ, თუ თითოეულ მოცეკვავეზე ამბავს ჩამოგვიტანო. ქალბატონ ნინოს აღშფოთებულს უპასუხია, ზურგს უკან ლაპარაკი არ მჩვევიაო. გაავებულ გამომძიებელს უყვირია — აი, თქვენმა ბურჟუაზიულმა წარმომავლობამ სად იჩინა თავიო. ქალბატონი ნინო მაშინ გემიდან დააბრუნეს უკან. ბატონმა ილიკომ მარტომ იცეკვა. აღფრთოვანებულ ბრიტანეთის მთავრობას უინძორის სასახლეში მიუწვევია წვეულებაზე და დედა-დედოფალს თავისი ხელით გადაუცია მოცეკვავისათვის ოქროს მედალი. სამწუხაროდ, მედალი ახლახან, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის სახლის გაძარცვის დროს მოიპარეს(!) მძარცველებმა — მხოლოდ და მხოლოდ ის მედლები და ჯილდოები წაიღეს, რაც ორ უდიდეს ხელოვანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიუღია. არადა, ისინი მუზეუმში უნდა განგვეთავსებინა...

***ეკა ლომიძე***






# მამულ-დედული

## შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები



პირველ რიგში, ბაღში რაც რამე გამხმარი და დაავადებული ხე ნახოთ, ამოძირკვეთ. სალ ხეებზე შერჩენილი დაავადებული ნაყოფები ჯოხით ჩამობერტყეთ, შეაგროვეთ და დაწვით ან ღრმად ჩამარხეთ. შეაჭერით ყველა დაავადებული და მოტეხილი ტოტი, მოხერხილ ადგილებზე წაუსვით ბაღის მალამო. თუ ხეზე ფუღურო გაჩნდა, ჯერ კარგად გამოასუფთავეთ, შემდეგ ღორღი ჩაყარეთ და ცემენტით ამოლესეთ. თუ ორი წლის განმავლობაში სასუქი არ შეგიტანიათ, ხეებს ორგანული სასუქი (ნაკელი, კომპოსტი) მოუყარეთ და 25-30 სმ-ზე (ერთ ბარისპირზე) ჩაბარეთ. ჩაბარვის დროს ამოჭერით ფესვის ყელიდან განვითარებული ამონაყრები. აუცილებელია ხეების დედა ტოტებსა და შტამბზე არსებული დამსკდარი ქერქის, ხავსის და მღიერების ჩამოფხეკა, შეგროვება, დაწვა, ხოლო შემდეგ შეთეთრება.

შესათეთრებელი მასალა კი შემდეგნაირად მოამზადეთ: 2-3 კგ ახალჩამქრალი კირი გახსენით 10 ლ წყალში, ჩაუმატეთ 2 კგ თიხა, კარგად აურიეთ და წაუსვით. ეს პროცედურა ახალგაზრდა ხეებსაც უნდა ჩაუტარდეს.

მერქანში მავთულა ჭიების მიერ გაკვალულ ხვრელებში გაატარეთ ფოლადის მავთული, ამოაჭერით დაზიანებული ქერქი ჯანსაღ ქსოვილამდე, ხოლო შემდეგ წაუსვით ბაღის მალამო.

თუ ხავს-მღიერები დიდი რაოდენობითაა და მისი ჩამოფხეკა რთულია, ფოთლების მთლიანად ჩამოცვენის შემდეგ შეასხურეთ 5%-იანი ძალა (10 ლიტრ წყალში გახსენით 500 გრამი).

სარწყავი წყლით ნაკლებად უზრუნველყოფილ ადგილებში, განსაკუთრებით გვალვიანი შემოდგომის დროს, აუცილებელია მორწყვა. ამისათვის ხეებს შტამბის გარშემო გაუკეთეთ ე. წ. ჯამები და დატბორეთ. გარდა იმისა, რომ წყალი უზრუნველყოფს ტენის დაგროვებას, იგი სპობს ნიადაგში მოზამთრე მავნე მწერებს.

ყინვების დაწყებამდე შტამბზე და დედა ტოტებზე არსებული დაზიანებული ადგილები ამოჭერით სალ მერქნამდე, დაამუშავეთ 3%-იანი შაბიამნის ხსნარით და ამოლესეთ ნაზავით (70% ნიგროლი, 15% კანიფოლი, 15% პარაფინი ან 70% ნიგროლი და 30% ხის ნაცარი): ბაქტერიული კიბოს წინააღმდეგ ფოთოლცვენის დაწყებამდე ასხურებენ 1%-იან ბორდოს ხსნარს (1 კგ შაბიამანი, 1 კგ კირი 100 ლ წყალზე).

ატმის ფოთლის სიხუჭუჭის წინააღმდეგ, ფოთოლცვენის შემდეგ მცენარეებს და შტამბის გარშემო ნიადაგს შეასხურეთ 5%-იანი შარდოვანას ხსნარი (10 ლ წყალში 500 გრამი შარდოვანა). ახალგაზრდა ხეებს შეასხურეთ 4%-იანი იგივე ხსნარი.

ფოთოლცვენის შემდეგ, ვეგეტაციის დაწყებამდე, როცა ჰაერის ტემპერატურა 5 გრადუსზე მაღალია და 20 გრადუსზე დაბალი, კარგია ხე-ბუჩქნარს შეასხუროთ 1%-იანი დნოკის ხსნარი (10 ლ წყალში 100 გრამი). მისი შესხურება რეკომენდებულია 2-3 წელიწადში ერთხელ.

თუ თქვენს რაიონში მოსალოდნელი არ არის მკაცრი ყინვები, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიების შემდეგ შეიძლება ხეხილის სხვლის დაწყება. ეს არ ეხება ატმის კულტურას, მისი სხვლა აუცილებლად ყინვების გასვლის შემდეგ უნდა დავიწყოთ.

## ტარბი – კალიების მტერი



ტარბი უმეტესად დიდი გუნდების სახით ბუდობს, ათეულათასობით წყვილის ოდენობით. კალიის შემოსევების დროს, ტარბის კოლონა ერთიანად ანადგურებს სოფლის მეურნეობისთვის ამ მეტად მავნე მწერს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კალიის რიგი სახეობის წონა 2,5-3 გრამია, შეიძლება ითქვას, რომ ერთი დღის განმავლობაში ტარბის კოლონა ანადგურებს არანაკლებ 3 ტონა მავნებელს. კალიის გაჩენისა და ტარბის ბუდობის პერიოდი გასაოცრად ემთხვევა ერთმანეთს. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენ კალიას და კუტკალიას მოსპობს ტარბის ოციათასიანი გუნდი ბუდობის დროს, როცა თითოეულ ბუდეში 5-6 ბარტყი ელოდება საზრდოს.

ტარბი ზამთარს წინა აზიაში, ინდოეთსა და ცეილონზე ატარებს, გავრცელებით კი ფართოდ არის გავრცელებული. საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ცნობილია, როგორც მობუდარი ფრინველი, ხოლო დასავლეთ საქართველოში გვხვდება მხოლოდ გადაფრენის დროს. საერთოდ კი ჩვენში საკმაოდ იშვიათია.

ეს შოშიასხელა ფრინველი ძალზე ლამაზია. განსხვავება შეფერილობაში სქესთა შორის მცირეა. მამალი, რომლის წონა არ აღემატება 75 გრამს, ოდნავ დიდია დედალზე. ბუდეს იკეთებს ქვების ქვეშ, ნაპრალებსა და სოროებში, ზოგჯერ ფუღუროშიც, რომელშიც აფენს ხმელ ბალახს, ხის ქერქს, მატყლს. მაისში დებს 5-6 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 14 დღეა. გამრავლების შემდგომ პერიოდში კალიების გარდა შეექცევა ობობებს, წვრილ მოლუსკებს... შემოდგომით საკვებ რაციონს ემატება ნაირგვარი კენკრა, ასევე ყურძენი, ალუბალი, სარეველა მცენარეთა თესლი. კალიების განადგურებით იმდენად დიდი სარგებლობა მოაქვს, რომ იქ, სადაც ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას, ტარბებს არ ხოცავენ, დაშვებულია მხოლოდ მათი დაფრთხობა.

## აქლემი თბილისური ქარვასლების „სტუმარიც“ იყო...



წლევანდელმა თბილისობამ აქლემების გარეშე ჩაიარა, თუმცა კი ქარვასლა უამრავ სტუმარს მასპინძლობდა. არადა, არცთუ ისე შორეულ წარსულში, არც მექარავნეები იყვნენ თბილისური ქარვასლების იშვიათი სტუმრები და არც მათი ძირითადი სატრანსპორტო საშუალება — აქლემი. იმის გამო, რომ საქართველო სავაჭრო-საქარავნო გზაჯვარედინზე მდებარეობდა, თბილისში ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ უცხო ქვეყნებიდან მომავალი ქარავანი ტვირთაკიდებული აქლემებით...

სულ ორი სახის აქლემია დედამიწის ზურგზე: ერთკუზიანი — დრომედარი და ორკუზიანი — ბაქტრიანი. აქლემს დიდხანს ძლებს უწყლოდ, სამაგიეროდ, ერთ ჯერზე შეუძლია 100 ლიტრამდე დალიოს. რაც შეეხება მოსაზრებას, თითქოს იგი წყალს კუზში იმარაგებს — მცდარია. კუზში აქლემს აქვს ქონის მარაგი, რომელსაც დიდი ხნის უჭმელობისას იყენებს. ცხიმის მარაგი ზოგჯერ 100 კგ-საც აჭარბებს. სხეულის ის ნაწილები, რითაც წოლის დროს გავარვარებულ ქვიშას ეხება, დაფარული აქვს სქელი კორძებით, სხვანაირად როგორ გაუძლებდა, როცა ქვიშის ტემპერატურა ზოგჯერ +70 გრადუსს აღწევს. ცხელ ქვიშაზე სიარულს უადვილებს ფართო, რბილი ბალიშები, რომლებიც ფეხისგულებში აქვს განვითარებული. აქლემი მოშინაურებულია დაახლოებით 4 000 წლის წინათ.

ზრდასრული აქლემის წონა 500-800 კგ-ია. ერთკუზიანის მაკეობა გრძელდება 13 თვე, ორკუზიანისა — 14. შობს ერთ კოზაკს. აქლემს შეუძლია ზურგით ატაროს თავისი წონის ნახევარი ტვირთი და თოხარიკით დღეში 100 კმ-მდე (საათში 10-12კმ) მანძილი გაიაროს... ცოცხლობს 35-40 წელს. სამუშაოდ გამოსადეგია 4 წლის ასაკიდან. წელიწადში ერთკუზიანი იწველის 2000 ლ-მდე (ცხიმიანობა 4,5%), ხოლო ორკუზიანი — 750 ლ-მდე (ცხიმიანობა 5,4%) რძეს. როგორც ამბობენ, აქლემის კარაქი და ყველი ძროხისას არ ჩამოუვარდება.

## მოზაიკა

* * *

*სამხრეთამერიკული სტვენია ბაყაყი, რომლის სიგრძე 25 სმ-მდე აღწევს, ძალზე გაუმაძღარია. ჭამს ყველაფერს, რასაც მოიხელთებს: ვირთხებს, თაგვებს, ფრინველებს, გველებს. ხანდახან ღამურებსაც კი იჭერს. საინტერესო ის გახლავთ, რომ მის გაუმაძღარ კუჭში ისეთი ცხოველები და ქვეწარმავლებიც ხვდებიან, რომელთა ძირითადი საკვებიც ბაყაყია. ყოფილა შემთხვევა, როცა სტვენიამ მეტრნახევრიანი გველიც შესანსლა. რა თქმა უნდა, 25-სანტიმეტრიანი ბაყაყი 1,5-მეტრიან გველს უცბად ვერ ჩაყლაპავდა, ამიტომ იგი ნელ-ნელა შეექცეოდა მსხვერპლს მთელი 3 დღის განმავლობაში...*

## რჩევები მავნებლების წინააღმდეგ

...თაგვებისა და ვირთხების გასანადგურებლად „ზოოკუმარინი“ გამოიყენეთ. ასევე შეგიძლიათ თავადვე მოამზადოთ „წამალი“ — 1 კგ ხორბლის, სიმინდის ან ქერის ღერღილს მცირეოდენ მცენარეულ ზეთთან ერთად დაუმატეთ 40 გრამი თუთიის ფოსფიდი და მცირე ულუფებად დაყარეთ სოროებში, ან იმ ადგილებში, სადაც ხშირად ჩნდებიან მავნებელი მღრღნელები.

...კოლორადოს ხოჭოს წინააღმდეგ გამოიყენეთ ხახვის ნაფცქვენი და ჭვარტლი. კარტოფილის რგვისას ორმოში ჩაყარეთ ცოტაოდენი ჭვარტლი და ხახვის ნაფცქვენი. ამ მეთოდით შეიძლება მოსავლის უდანაკარგოდ აღება.

...სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჟანგა და ნაცროვანი დაავადებების წინააღმდეგ საუკეთესო პრეპარატია გოგირდის შემცველი ბაილეტონი.

...ბაილეტონი გამოიყენება ხეხილის, ვაზის, ბოსტნეული კულტურების, დეკორატიული მცენარეების სამკურნალოდ და პროფილაქტიკური მიზნით. იყიდება სპეციალიზებულ მაღაზიებში.

## მკითხველის ფოტო



– ნუ გეშინიათ, არ ჩამოვვარდები...

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

## დაფნა ადვილი მოსავლელია



**— მინდა დაფნა კახეთში ვახარო. იქნებ მირჩიოთ, როგორ დავრგო და შემდგომ ზამთრის პირობებში როგორ მოვუარო ამ კულტურას?**

***პატივისცემით, მ.ქვლივიძე***

— დაფნის გამრავლება ყველაზე ადვილია ბუჩქის ამონაყრებითა და თესლით.

კალმები დასაფესვიანებლად უნდა აიჭრას აპრილში, შეიძლება ივნის-ივლისშიც. კალამი უნდა იყოს მომწიფებული, მაგრამ არა გახევებული, 6-8 სმ სიგრძისა. კალმებზე ფოთლებს ამოკლებენ და შემდეგ რგავენ ნეშომპალა-ქვიშიან ქოთნებში. ქვედა ფენა ანუ ნეშომპალიანი შრე უნდა იყოს 2-4 სმ, ხოლო ქვიშის ფენა 2-3 სმ. დაფესვიანებას ესაჭიროება 1 თვე. ამის შემდეგ კალმები გადააქვთ მუდმივ ადგილზე. დაფნა არ არის დეფიციტური მცენარე და მისი ნერგის, თესლის, აგრეთვე კალმის შოვნა არ გაგიძნელდებათ. იმასაც გეტყვით, რომ ძალიან ადვილი მოსავლელია და კახეთშიც კარგად ხარობს.

## აბუსალათინი იოლად მრავლდება

**— როგორც „მამულ-დედულის“ რუბრიკაში წავიკითხე, აბუსალათინს მწერი არ ეკარება. ამიტომაც მინდა იგი ჩემს ბაღშიც ვახარო. იქნებ გვითხრათ, სად შეიძლება ამ მცენარის ნერგის ან თესლის შეძენა?**

***ნელი ქართველიშვილი, ლაგოდეხი***

— აბუსალათინის გამრავლება, პრობლემა არ გახლავთ. მას დედაქალაქის გამწვანებაში, გაზონებში ძალიან ხშირად შეხვდებით. თითოეული ძირი საკმაოდ ბევრ ნაყოფს ივითარებს (შესაბამისად, თესლს). არ შეიძლება თქვენს რაიონში ვინმეს ეზოში არ ედგას აბუსალათინი, იგი დღეს ძალზე პოპულარულია. ჰოდა, შეგიძლიათ თესლი მას „ესესხოთ“. თუმცა, მისი შეძენა ყვავილების მაღაზიაშიც შეგიძლიათ და ბაზრობებზეც, ყვავილების თესლით მოვაჭრეებთან.

## რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

# სამშობლო თუ შენ, რომელი?!

*ამბობენ, დროს ყველაფერი ემორჩილებაო. თუმცა სამშობლოს მიმართ ქართველი კაცის სიყვარულზე დრო არ მოქმედებს. ჩვენ დროს შევეხნეთ — საუკუნეების წინ გარდაცვლილ წინაპრებს იმგვარსავე პატივს მივაგებთ, როგორსაც საკუთარ მამა-პაპას: უხსოვარი ხანიდან დაკარგული მიწა-წყლის დარდი საფლავებში მიგვყვება და მოდალატე ქართველების გამო სინდისიც გვქენჯნის: ყველაზე კეთილშობილი გრძნობები სამშობლოს მიმართ გვიყალიბდება და გადარჩენის იმედს არასოდეს ვკარგავთ. სანამ ეს გრძნობები თაობიდან თაობას გადაეცემა, გადავრჩებით კიდეც...*




## შინ დაბრუნდით!

ნანატრი თავისუფლების ჩირაღდანი სამ წელიწადში ჩაგვიქრა... საუკეთესო მამულიშვილები კვლავ დაბრუნებულ დამპყრობთან ბრძოლებში იხოცებოდნენ, ბათუმი და შავი ზღვა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას ემიგრაციაში აცილებდა. ხალხი ტიროდა. სამშობლოს რუხ ცაზე ერთი სხივი მაინც ბრწყინავდა, — უკან დაბრუნების იმედი! მაგრამ როდის? — სანაპიროზე მთავრობის ერთგული ოფიცრები და ჯარისკაცები ახლობლებს ემშვიდობებოდნენ. უეცრად გემზე ჩოჩქოლი ატყდა... ნოე ჟორდანია გემბანს მოადგა, ქუდი მოიხადა და გაბზარული ხმით დაიძახა: — თავისუფალი საქართველოს შვილებო, ჩემო ერთგულო ჯარისკაცებო და ოფიცრებო, მადლობელი ვარ სამშობლოს სიყვარულისთვის, მადლობელი ვარ, რომ არ მტოვებთ, მაგრამ გთხოვთ, შინ გაბრუნდით. ძნელი იქნება თქვენთვის მტერთან ერთად ცხოვრება, მაგრამ უნდა გაუძლოთ. საქართველომ უნდა იცოცხლოს და გამრავლდესო...

სამარისებურ სიჩუმეში ხალხმა ქუდი მოიხადა და — საქართველოს გაუმარჯოსო! — იგრიალა...

...

გემი ნაპირს შორდებოდა, ქართველები შინ ბრუნდებოდნენ. ბევრი მათგანი დაიჭირეს და დახვრიტეს, მაგრამ მათი შვილები დღესაც უვლიან ქვეყანას...

## რომელი ვიგლოვო...

იმავე ზამთარს, 23 თებერვალს, რუსეთის მეთერთმეტე არმიამ კოჯორში თითქმის ყველა ქართველი იუნკერი გაწყვიტა. დადუმდნენ გენერალ გიორგი კვინიტაძის ზარბაზნები, მხოლოდ რუსული არმიის ექო ისმოდა. თბილისელები დახოცილებს მიასვენებდნენ. მათ შორის იყო თავადის ასული მარო მაყაშვილი — 17 წლის მშვენიერი მოწყალების და. სიყრმის შვილი და სამშობლო, მამამისმა, პოეტმა კოტე მაყაშვილმა ასე დაიტირა: „საქართველო გაიელინთა მაყაშვილთა გოდებით/ დავილალე, დავიჩაგრე... და შენი ვარ მხმობელი/ ჩემო გმირო და წმინდანო/ გამამახნევე მშობელი, /სამშობლო თუ შენ, რომელი ან ვიტირო რომელი?!"

## განძი უცხოეთში

80-იან წლებში ახალგაზრდა კინორეჟისორი ლევან ზაქარეიშვილი პარიზში მიიწვიეს. იქაურმა ქართველებმა შინ დაპატიჟეს და შუაღამემდე აყოლებდნენ საქართველოს ამბებს. შუაღამისას მასპინძელმა გარაჟში შეიყვანა, კედლის სეიფი გააღო და უთხრა, — განძი უნდა გაჩვენოო... ლევანს სუნთქვაც კი შეეკრა... მასპინძელმა პატარა ყუთიდან მხოლოდ მიწა ამოიღო და სახეზე მიიფარა. ასე იდგა მანამ, სანამ თითებიდან ტალახიანმა ცრემლმა არ გამოჟონა. ცოტა ხანში ლევანიც შეუერთდა ამ უცნაურ რიტუალს... ასე გაგრძელდა დილამდე...

## ...ეგ არის, რასაც ეძებდი!

32 წლის ფრანგი ქართველი ნიკო (ნიკოლ) პატარიძე გურულებს ყანის ნადში უყვებოდა: მამას პირზე სულ საქართველო ეკერა. წამდაუწუმ მეკითხებოდა, — აბა, თუ გახსოვს, საიდან მოხვედი, ვინ ხარო, — ქართველი ვარ-თქვა! — ვპასუხობდი. თუ ქართველი ხარ, ვერავინ ვერ უნდა დაგჩაგროსო!.. ერთხელ რუს მასწავლებელზე გავბრაზდი — არ ვიცი, არ უნდოდა, თუ მართლა არ შეეძლო, ჩემს გვარს ამახინჯებდა. შურის საძიებლად მასწავლებელს მამის ჩოხითა და ხანჯლით გამოვეცხადე. გამომაგდეს... რომ გავიზარდე, საქართველოზე ლაპარაკი მომბეზრდა, სხვა ინტერესები გამიჩნდა. ერთხელაც მამაჩემმა მითხრა, — ნიკო, უკვე შეიძლება საქართველოში წასვლა, თუ წამომყვები, წავიდეთო. წამოვედით. არ მომეწონა აქაურობა — ამაზე მიყვებოდი-მეთქი? მალე გავბრუნდით. გავაგრძელე ძველებური ცხოვრება... მაგრამ ვიგრძენი, რომ არაფერი მაინტერესებდა... სიზმარში რაღაც სიმღერები მესმოდა... ვეძებდი, ვინ მღეროდა და ვერ ვპოულობდი... ერთხელ კიდევ ჩამომიყვანა მამამ. ერთგან იმღერეს და სიზმარი გამახსენდა... კარგად გავხდი... ვიპოვე, რასაც სიზმარში ვეძებდი.

## სახელისათვის...

ხევსურები მოქარგულ ქუდებქვეშ რკინის რგოლებს აკერებდნენ, ჩოხის ქვეშ, მკერდთან, ფარს იმაგრებდნენ, წელზე მუდამ სატევარი და ხანჯალი ეკიდათ — თუ მტერი არ შეხვდებოდათ, მოყვარესთან კეჭნაობდნენ. ყოველი კეჭნაობა იარებით მთავრდებოდა... იარები სახელისთვის იყო საჭირო — სანამ ხეობებით დაშორებული სოფლები ერთმანეთს მიეშველებოდნენ, სახელი იბრძოდა. სახელიანის შიშით მტერი შემოჭრას იოლად ვერ ბედავდა...

## სირცხვილიაო...

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ექიმი გიორგი თევდორაძე გაემგზავრა ხევსურეთში სამუშაოდ. მთაში თავიანთი ექიმები ჰყავდათ — იყო ხალხი, რომელთაც თავის ქალის 200 ტრეპანაცია ჰქონდათ ჩატარებული. ქალაქელი ექიმი ამ ოპერაციებს დაესწრო და გაოგნდა — თავახდილ ხევსურებს კბილი კბილზე ეჭირათ — არც კვნესა, არც შიში... რატომ არ ყვირიანო, იკითხა შემცბარმა პროფესორმა... სირცხვილიაო! — უპასუხეს.

## ნამდვილი არაგველები...

ავლაბარსა და ისანს შორის მდებარე პატარა უბანს თბილისელებმა შავსოფელი მაშინ დაარქვეს, როცა საარაგვოდან შავოსანი ქალები ჩამოვიდნენ და კრწანისის ომში დაღუპული ქმრები და ძმები მიწას მიაბარეს. ორი საუკუნის შემდეგ კრწანისელების შთამომავლობამ — მე-9 თაობამ — სირცხვილია, კრწანისელებს ჭიქის წამქცევი არ ჰყავთ, იმათ მოსაგონებლად ერთი დღე უნდა დავაწესოთო. არაგველებთან კაცი გაგზავნეს — შემოგვიერთდითო. იმათ — ნამდვილი არაგველები ჩვენ კი არა, თქვენ ყოფილხართო... ჩამოვიდნენ, ჩამოიყვანეს საკლავი და კრწანისელებს ჭიქა წაუქციეს. ეს იყო 1989 წლის 29 მაისს. იმ დღიდან უფრო გვიჭირს, ვიდრე გვილხინს, მაგრამ ყოველ 29 მაისს არაგველები და შავსოფლელები კრწანისელთა გასახსენებლად იკრიბებიან... ოჯახებს აკლებენ ლუკმას და ამ დღისთვის ინახავენ. ჩვენ უბრალო, მაგრამ ნამდვილი ქართველები ვართო, — ამბობენ შავსოფლელები.

არიან კიდეც...

## ფიქრადაც არ მომსვლია...

რუსი ისტორიკოსების გადმოცემით, პეტრე პირველი გვერდიდან არ იშორებდა ალექსანდრე ბაგრატიონს — კახეთისა და იმერეთის მეფის, არჩილის ვაჟს. ჭკვიანმა პეტრემ უფლისწული ალექსანდრე ალაზევა. ყველგან თან იახლებდა, ყოველგვარი წყალობა ემეტებოდა გონებითა და გარეგნობით შემკული ალექსანდრე „იმერეტინსკისთვის". მეფე და ქვეშევრდომი კენიგსბერგში საარტილერიო საქმესაც ერთად სწავლობდნენ. ევროპიდან დაბრუნებულმა პეტრემ მას რუსეთში საარტილერიო საქმის ჩამოყალიბება ანდო. სწორედ საომარი საქმის ბრწყინვალედ ცოდნას შეეწირა ქართველი უფლისწული. რუსეთ-შვეციის 21-წლიან ომში იგი რუს გენერალიტეტთან ერთად შეიპყრეს. ბევრს ეცადა მეფე არჩილი შვილის გამოხსნას და ვერაფერი გააწყო — კარლოს XII-მ ათი ტონა ოქრო მოითხოვა ძვირფას ტყვეში. როცა გამოსასყიდის შეგროვება დაიწყო, ქართველმა უფლისწულმა საიდუმლოდ შემოუთვალა პეტრეს (ამბობენ, ბარათი ქართულად იყო დაწერილიო): „არათუ საქმელად, ფიქრადაც არ მომსვლია რაიმე ზარალი მოუვიდეს სახელმწიფოს ჩვენ გამო, თუნდაც სხვაზე ათჯერ უკეთესები ვიყოთ, ჩვენ ამისთვის ვართ მოწოდებული, ვითმინოთ და მოვკვდეთ ხელმწიფისა და მამულისთვის"...

ასე დაიღუპა უცხო ქვეყნისთვის შეწირული მორიგი ქართველი უფლისწული უცხო ქვეყნის ტყვეობაში...

## მეომარი დედოფალი

ქართველი თავადიშვილების და მარტოსული გენიოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზამ, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულმა ეკატერინემ, დავით დადიანზე ქორწინების შემდეგ ედემად აქცია სამეგრელო — წინანდლის სასახლის ბრწყინვალება შეიტანა დადიანების სასახლეში, გაიყვანა გზები, ააშენა ეკლესიები, შემოიკრიბა სწავლულები და სამეგრელოს გლეხობას წერა-კითხვისა და ხელსაქმის სწავლება დააწყებინა. ქვრივთა და გაჭირვებულთა შემწე, ქველმოქმედი იყო ეკატერინე... მოყვარული და ერთგული ხალხისა და სამშობლოსი. 1855 წელს თურქებმა სევასტოპოლთან მიწასთან გაასწორეს რუსთა არმია. იქიდან მობრუნებულები ხელიდან გამოგლეჯილ საქართველოს შემოესივნენ. გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში რამდენიმე დღეში დააყენეს სისხლის ტბები. უკვე დაქვრივებულმა ეკატერინემ თავადიშვილები შემოიკრიბა — რა ვქნათო. ვიომოთო, — უპასუხეს. მაშინ დედოფალმა იარაღი აისხა, თავზე ყაბალახი წაიკრა, ნაბადი მოიხურა, ცხენზე შეჯდა და თურქებს შეუტია... თან სოფელ-სოფელ დადიოდა, აწიოკებულ მოსახლეობას ამხნევებდა. დედოფლის სიმამაცით ძალამიცემულმა ხალხმა თავისი მიწა-წყალი უძველესი მტრისგან გაწმინდა... როცა რუსებმა ძალა მოიკრიბეს, ქართველებს მტერი უკუქცეული ჰყავდათ.

მამაცი და მშვენიერი დედოფლის გმირობით აღტაცებული რუსი და ფრანგი იმპერატორები მთელი ცხოვრება ეთაყვანებოდნენ სამეგრელოს დედოფალს.

*მოამზადა*
*ეთერ ერაძემ*






„ივერიის“ კონცერტები ანშლაგით მიდიოდა თბილისში. იყვნენ ისეთებიც, ბილეთებს ყოველ წარმოდგენაზე რომ ყიდულობდნენ და ზედიზედ 10-ჯერ ან 12-ჯერ უსმენდნენ ერთსა და იმავე სიმღერას. ზოგი თაყვანისმცემელი წერილებსაც კი სწერდა საყვარელ მომღერლებს. როგორც „ივერიელები“ ამბობენ, ასეთი წერილები ყველაზე ხშირად თემურ წიკლაურს მისდიოდა.

ხალხის სიყვარული ძალიან ბევრს ნიშნავს, ცხადია, მის მოსაპოვებლად მარტო კარგი სიმღერა ან თუნდაც მასთან ერთად კარგი გარეგნობა არ კმარა. ყველაფერი, „შემთხვევითობათა მთელი ჯაჭვი“, რომელსაც ცხოვრება ჰქვია, სულაც არ არის შემთხვევითი და კაცის სიწმინდით, სულიერი სინათლით ვითარდება, ნელ-ნელა მიდის ხალხის გულამდე, მის სიყვარულს იმსახურებს.

— ყველაფერი ღვთის ნებაზეა დამოკიდებული, ეს ჩვენ ვარქმევთ შემთხვევითობას, თუკი ჩვენთვის რამე მოულოდნელია, — გვითხრა ბატონმა **თემურ წიკლაურმა**, — თითქოს „შემთხვევა“ თავდაცვის საშუალებაა, თუ ცუდი საქმე გამოგვდის, შემთხვევით ხდება, თუ კარგი, ის განსაზღვრული გვქონდა... ამას წინათ ვფიქრობდი ჩემს წარსულზე. კოჯრის საშუალო სკოლა მაქვს დამთავრებული. ომის შემდგომი პერიოდი იყო, ყველას უჭირდა. ჩვენს სკოლაში ამოდიოდნენ თბილისიდან მასწავლებლები, გვასწავლიდნენ სიმღერას, ცეკვას, გიტარაზე დაკვრას... შემთხვევითობა თუ იყო ყველაფერი, მაშინ სწორედ ამ შემთხვევებმა განსაზღვრა ბევრი რამ.

— **ბრძანეთ, გიტარის დაკვრას გვასწავლიდნენო, საკუთარი გიტარა თუ გქონდათ?**

— არა, არ მქონდა! არაჩვეულებრივი მუსიკოსი თენგიზ ჩხეიძე ამოვიდა მეგობრებთან ერთად კოჯორში, კვარტეტი ჰქონდათ... მახსოვს, მათ მასწავლეს მეოთხე ხმა სიმღერისთვის: „შემომხვდი და გამიფრინდი, როგორც თოლია, ინდი-მინდი, ფერად შინდი ბაგე გქონია“. ისე მომინდა სიმღერა და დაკვრა, ისე, რომ ძლივს ვაყიდვინე ჩვენებს გიტარა. ვმალავდი. წავიღებდი ხოლმე ტყეში და იქ ვცდილობდი, გიტარაზე დაკვრაში გავწაფულიყავი.

— **ასე რატომ იქცეოდით?**

— მომღერლობა და არტისტობა იმ პერიოდში საშუალო ფენის საზოგადოებაში „არასერიოზულ ხელობად“ ითვლებოდა. აბა, მომღერალი, რომელსაც სულ გიტარა უჭირავს ხელში, სერიოზული კაცი შეიძლება იყოსო? — კითხულობდნენ. წუხდნენ, ვაი, რა ეშველება ამ ბიჭსო.

— **მშობლებსაც ემალებოდით?**

— იმათ ვემალებოდი, თუ ვემალებოდი! საბედნიეროდ, მერე, ღვთის ნებით, უცხო ენათა ინსტიტუტში ჩავირიცხე. გიორგი შიოშვილი იყო პრორექტორი. დიდად აფასებდა ხელოვნებას. ინსტიტუტში იყო თვითშემოქმედების ჯგუფები, ორკესტრი. ასე ვცხოვრობდი, ჯერ დამალული, შემდეგ „გამოჩენილი“ გიტარით.

— **ბატონო თემურ, მას შემდეგ, რაც არწივი განასახიერეთ „ჩხიკვთა ქორწილში“, თითქოს ისე ბუნებრივად წარმოგიდგინეთ მთაში, თანაც გვარიც ხევსურული წარმოშობისა გაქვთ... შინაგანად თუ გრძნობთ თავს მთების შვილად?**

# „კინაღამ ორივე ხელი გავუშვი შვეულმფრენზე ჩამოკიდებულ კიბეს“

## „მიშიმშილია კიდეც გასტროლებზე ყოფნისას...“



— მთავარი ის არის, აღზრდისას რას ჩადებენ შენში. მე აღზრდას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ. ინდოეთში ერთმა რაჯამ ექსპერიმენტი ჩაატარა ადამიანზე. უთხრეს, ბავშვი შეიძლება აღზრდის გარეშეც გაიზარდოსო. ჩაკეტეს ბავშვი, მასთან არავის ჰქონდა კონტაქტი, მხოლოდ საჭმელს უდგამდნენ, ეგ იყო და ეგ. 7-8 წლის ბავშვმა არაფერი იცოდა. აღარც კაცი იყო, არც მხეცი. ბოდიში, რომ ასეთი საშინელი მაგალითი მოვიყვანე, მაგრამ „არაფრისთვის“ გაზრდა, ტელევიზორის ამარა გაზრდა არაფერს ნიშნავს. ბავშვი რომ აღიზარდოს ჩვენთან, უფროსებთან სწორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს... ბიძაშვილი მყავდა, შოთა წიკლაური, მხატვარი იყო, ლექსებს წერდა. იმას მივყავდი მთაში, ტყეში. ავდიოდით კლდეებში, რომ გვეყურებინა ყინულის ლოლუებისთვის, გვენახა, როგორ ჩამოდიოდა მათ უკან წყალი, რა ფერი იყო თოვლი... კოჯორთან, ჩემს ბავშვობაში, დიდი მონასტრის ნაშთები იყო... მერე დაანგრიეს... კოჯრიდან ფეხით ჩავდიოდით იქ. ახლაც გული მეწურება იმის გახსენებაზე, რომ ის ნანგრევები აღარ არსებობს... რომ გავიზარდე, მთელი საბჭოთა კავშირი შემოვიარე გასტროლებით, სად აღარ ვიყავი, კამჩატკაზე, სახალინზეც კი... მოვიარე მსოფლიოს 70 ქვეყანა. მართლა ვიგრძენი, რა ყოფილა საქართველო... რა ძვირფასია მისი ყოველი კუთხე-კუნჭული, რა განუმეორებელი...

— **საქართველოს შემოვლა მაინც სულ სხვაა, არა?**

— ახლა არ მკითხოთ, როგორ მოახერხე საქართველოს შემოვლაო... გასტროლებზე კი დავდიოდი სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ საქართველოში სათევზაოდ, სანადიროდ სიარული მიყვარდა. ჯოყოლოში, დუისში, ლაგოდეხში, ავადჰარაზე, რიწის ტბაზე... საღამოს ტბაზე სათევზაოდ ჩავდიოდი. მთასაც კარგად ვიცნობ. ახლა მკითხავ, ხევსურეთში თუ ხარ ნამყოფიო, არა? ნამყოფი ვარ... მუცოზე რომ ავედი, სამი ოჯახი ცხოვრობდა იქ წიკლაურებისა. ავდიოდი, ხინკალს ვახვევდით ხოლმე...

— **თავად ახვევდით ხინკალს, ბატონო თემურ?**

— ხინკლის მოხვევას რა უნდა. კაცი რომ ხინკალს მოახვევს, სხვაა... ჯერ ხორცს დაკეპავ, მერე იქვე ჟიპიტაურს ან პანტის არაყს მოიდგამ და მოახვევ ხინკალს. ხინკლის მოხვევა ეგ არის, აბა, სხვა რა! მერე დაიწყება კაფიაობა... ჩონგურს ჩამოჰკრავ და გადის დრო.

— **კაფიაობაც გეხერხებათ?**

— მაგის ნიჭი ვერ დამყვა... ერთხელ ქალები „დამეჯახნენ“ კაფიაობისას. ისეთ დღეში ჩამაგდეს, ბურდღა არ დატოვეს ჩემგან. მე ვერიდებოდი — „იცით რა“, „ბოდიში, მაგრამ“... კაფიაობამ „ბოდიში“ არ იცის, ისე „შემდგნენ“, რო!.. ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ მაგ გარემოში არ ვარ გაზრდილი. ისე, მომღერალი შინაგანად პოეტიც უნდა იყოს. სხვანაირი ხედვა უნდა ჰქონდეს. კაცის სული თუ არ დაინახე, რა მომღერალი იქნები.

— **მაინც როდის აგემღერება კაცს?**

— თუნდაც მთაში, ტყე-ღრეში სიარულისას... მოგზაურობაში კაცი სხვანაირად გამოიცდება. მთაში — მით უმეტეს. როცა წრიაპებით მიდიხარ მთაზე, ერთის მოწყვეტა ყველას დაღუპვას ნიშნავს. რამხელა პასუხისმგებლობაა, მაგრამ რომ გამოიცდები და ულალატო მეგობრებს გაუსწორებ თვალს, სიმღერა აუცილებლად დაიბადება.

— **წრიაპებით გივლიათ?**

— მცმია... ისე, მთამსვლელებთან ერთად არ ვყოფილვარ. ეგრე კი ნუ მიყურებ! თხილამურებზე დგომაც ვიცი, ციგურებზეც. პოლონელები იყვნენ ჩამოსული 80-იან წლებში, „ჩხიკვთა ქორწილის“ ფრაგმენტს ვიღებდით. სპორტის სასახლეში ყინულის მოედანი გააკეთეს. პოლონელები მოციგურავეები იყვნენ. მოვითხოვე: მეც ჩამაცვით ციგურები-მეთქი. ჩამაცვეს. ჩვენები დამეხვივნენ — ბიჭო, რას შვრები, არ შეიძლებაო! აღმოჩნდა, რომ არწივი ყინულზე ციგურაობდა. მთა რომ გამახსენე, მადლობელი ვარ. მთაში რომ ავდიოდი, აღარც ნადირობა მინდოდა, აღარც არაფერი, მხოლოდ მთის მოსმენა მსურდა. მას სულ სხვა, დიდებული ხმა აქვს. მთაში თითქოს ამირანს უსმენ, კლდეზე მიჯაჭვულს, მაშინ ხვდები, რომ სამყაროს უმცირესი ნაწილი ხარ და თავზე დიდი წარმოდგენა გაქვს...

— **ახლა თუ დადიხართ სანადიროდ?**

— 21 წელია, თოფი აღარ გამისვრია. ბალღის სიკვდილის შემდეგ იარაღს არ გავეკარე. ნადირობაში ვაჟკაცობაც არის, გამბედაობაც, ბუნებასთან ერთობაც. კაცის სულში ნადირობის ჟინია. მეც დავდიოდი, თან ბალღსაც ვასწავლიდი, პატარა იყო, მაგრამ მაინც ვასროლინებდი თოფს. იმედი მქონდა, გავზრდიდი, ვაჟკაცი იქნებოდა, მთაზე მარტო ავიდოდა... ქალის პატივისცემა, ბალღის სიყვარული, ხინკლის მოხვევა ეცოდინებოდა... იმის შემდეგ აღარ ვისვრი. ყველაფერი მეცოდება. „ვაჟაისტი“ ვარ... ახლა ჩემს შვილიშვილს ვასწავლი: ყვავილს რო წყვეტ, უთხარი: შეიძლება მოგწყვიტო, ყვავილოო? ის გეტყვის, შეიძლება თუ არა. როგორ მეტყვისო? გეტყვის, შენ ოღონდ უთხარი-მეთქი. მანაც ნელ-ნელა ისწავლა. ერთხელაც მითხრა: ნახე, ყვავილმა მიჩურჩულა, — შეიძლებაო! აბა, შენ რა გეგონა-მეთქი! მერე იმასაც გეტყვის, არ მომწყვიტო, არ შეიძლებაო. ყვავილის გაფრთხილებას ისწავლის, ადამიანს, მით უმეტეს, გაუფრთხილდება.

— **ეს თქვენი ბებიებისა და ბაბუების თაობას თავისთავად ჰქონდა. მერე დავკარგეთ... ახლა თავიდან გვჭირდება სწავლა, არა? ბებიები არ გახსოვთ?**

— სამწუხაროდ, არ მახსოვს, ერთადერთი — პაპა დიმიტრი მახსოვს. პატარა ვიყავი. ის 94 წლისა ყოფილა მაშინ, როგორც მეუბნებოდნენ, დამტოვეს პაპასთან. ეზოში დიდი წაბლის ხე გვედგა. ავძვერი ზედ ორი ქოლგით. მინდოდა გადმოვმხტარიყავი და გავფრენილიყავი. ქოლგები დაიკეცა, მე კი ტყაპანი გავადინე მავთულზე, მუცლით ჩამოვეკიდე. ველარ ვეხსნებოდი. შევშინდი. ჩემს ღრიალზე პაპა მოვარდა. ძლივს ამწია და ჩამომხსნა. მაშინდელი შიში მახსოვს.

— **სიმაღლის შიში ხომ არ დაგრჩათ მას შემდეგ?**

— მართალი გითხრათ, სიმაღლის შიში არ ვიცი. „ჩხიკვთა ქორწილის“ გადაღების დროს მომიწია შვეულმფრენზე ჩამოკიდება. დამცავი ღვედის გაკეთება კი დაავიწყდათ. ეს კადრები ფილმში არ შევიდა. ოპერატორს და რეჟისორს ისე შეეშინდათ, ქვემოდან რომ მიყურებდნენ, ფოკუსის გასწორება არ გახსენებიათ. მე კი „ვფრენდი“, ხან ერთ ხელს გავუშლიდი, ხან მეორეს. ვითომ მოვფრინავ. გადმომხედავს პილოტი, ხელით მანიშნებს — როგორ ხარო. ალბათ ფიქრობდა, გიჟი ხომ არ არის ეს კაციო.

— **ბავშვობის ოცნება აგიხდენიათ.**

— ავიხდინე... შუა ფრენაში კინაღამ ორივე ხელი გავუშვი შვეულმფრენზე ჩამოკიდებულ კიბეს, ისეთი კარგი იყო! ჩემი მაღალ სართულებზე გაშვება შეიძლება საშიშიც იყოს, არ გადმოვხტე გაფრენის იმედით! სხვათა შორის, ის სიამოვნება, ფრენას რომ ახლავს თან, ხელმეორედ ცოტა ხნის წინ განვიცადე. შეიქმნა საქველმოქმედო ფონდი „სოსლენდი“, შექმნა ღვთისნიერმა კაცმა — სოსლან ხარებოვმა, თბილისელმა, რომელიც კარგა ხანია, წასულია, მუშაობს ხან პეტერბურგში, ხან საფრანგეთში. ამ მოსიყვარულე, დიდი გულის კაცმა დააფინანსა ეს საქმე და ჩამაბარა, გამომცადა: საშუალება მომცა წარმომეჩინა ჩემი „მე“ — აბა, ერთი, როგორი ბიჭი ხარ, ამ 80 ბავშვს როგორ მოუვლიო. მეც ვენდე ხალხს და ასე ერთმანეთში გადასული პასუხისმგებლობით დავიწყეთ საქმე. ვასწავლით 80 გაჭირვებულ, ლტოლვილ ან უდედმამო ბავშვს კომპიუტერს, ინგლისურს. ვაპირებთ კიდევ მეტი ბავშვი მოვიყვანოთ კოჯრიდან, ძეგვიდან, გლდანიდან. გვაქვს კვება დღეში ერთხელ, ვაძლევთ გზის ფულს — 20 თეთრი აქეთ, 20 — იქით. მიჭირს კიდეც ამაზე ლაპარაკი. თურმე ზოგი ბავშვი ინახავს თავისი ულუფის ნახევარს, წავიღებ შინ, დას ვაჭმევ ან დედას მივცემო. ეს რომ მითხრეს, გული კინაღამ გამისკდა! უნდა ნახოთ ამ ბავშვების ნაწერი, თავის ბიოგრაფიას რომ გადმოგვცემენ. ერთი ბავშვი წერს, ჯერ მამა გარდამეცვალა, მერე დედა, მერე ბებიაო... სულ აღარავინ დარჩა. შეიფარა მომავლის სახლმა, ზრდის, მაგრამ 18 წლის რომ გახდება, უნდა გაუშვან. სად წავიდეს? ჩვენ ვასწავლით, ვეცდებით, სამსახურიც ვუშოვოთ. ამ კაცის სიკეთის შემხედვარე, როგორ შეიძლება ბედნიერი არ იყო, ან ვასილ ბოლაშვილის დიდსულოვნებაზე როგორ არ ვთქვა ორიოდ სიტყვა: ულაპარაკოდ დაგვითმო თავისი სასტუმროს ნახევარი ბავშვებისთვის. ეს ხალხი არაფერს ითხოვს. მხოლოდ ამას მეუბნებიან: შენ კარგად იცი, რა არის გაჭირვება, ეს ბავშვები აღზარდე, ვიცით, დაგიჯერებენო. ამ საქმეს კი იმხელა სიამოვნება ახლავს თან, ყველა შეგრძნებას გადაფარავს. აქაც „დავფრინავ“...

— **ბრძანეთ, მითხრეს, შენ შეძლებ ამ ბავშვების აღზრდას, მათთან საერთო ენის გამონახვასო. თავად განგიცდიათ გაჭირვება, უსახსრობა ცხოვრებაში?**

— ასეთი, მათ რომ ადგას, არც განმიცდია და არც მინახავს. სტუდენტობისას სულაც არ ვიყავი განებივრებული, შინაც გვიჭირდა. არა მგონია, ამისი მოყოლა საჭირო იყოს... მაშინ ვმუშაობდი ცენტრალურ უნივერმაღში. სამი ბიჭი ვმღეროდით და ამაში ფულს გვაძლევდნენ, მაგრამ გაფორმებული ვიყავით, როგორც საწყობში მომუშავე პერსონალი და გამყიდველები. ასე გვინახავდა უნივერმაღის დირექტორი, ძველი ფეხბურთელი ასლან ხარბედია. დამიძახებდა ხოლმე: ბიჭო, მშიერი ხომ არ ხარო. არა, ბატონო ასლან-მეთქი. რაღაცა კაი ფერზე არ ხარ, არ მომატყუოო! — შეგვიძახებდა. წაგვიყვანდა სასადილოში, გვაჭმევდა. ვერ ვკადრულობდი, არ მემუშავა. ამიტომ დილით უთენია მივრბოდით უნივერმაღში, ვალაგებდით ყველაფერს, გადავიტან-გადმოვიტანდით საწყობში რაღაცებს. ხელფასი თითოს 70 მანეთი გვქონდა. ეს, იცით, მაშინ რამხელა ფული იყო? მიშიმშილია კიდეც გასტროლებზე ყოფნისას. ერთხელ, ციმბირში, ხელ-ფეხი მომეყინა... ეს არაფერია. ღმერთი ამით საშუალებას გაძლევს, სულიერად განიწმინდო. გაცილებით დიდი განსაცდელია, როცა უიდეო, უზნეო გადაცემებს უყურებ ტელევიზიით. რასაც ჩვენ გვასწავლიდნენ, გადაბრუნდა და თავდაყირა დადგა. დემოკრატია ცენზურას არ ცნობს, მაგრამ ზნეობას ხომ უნდა ცნობდეს? მაშინ ათ მცნებაზე უნდა ვთქვათ უარი, რწმენას ზურგი უნდა ვაქციოთ? ყველას როგორ შეუძლია ეკლესიას შეეხოს და პატრიარქი განსაჯოს? ეს არის მკრეხელობათა მწვერვალი. ვიდრე სხვის თვალში წამწამს შენიშნავ, შენს თვალში დირე იპოვეო, — ნათქვამია. დროა, თვალი აგვეხილოს, ჩვენ გვერდით გაჭირვებული რომ დგას, დავინახოთ, იმას დავეხმაროთ. არც სვეტიცხოველი, არც წმინდა ნინო, არც წმინდა გიორგი მოგონილი არ არის. იმათით უნდა ვიცხოვროთ... ისინი რომ არა, ჯანდაბა ამ დედამიწას, სულ არ მენდომებოდა აქ ცხოვრება. გახსოვთ გველისმჭამელი? ყვავილებს რომ ელაპარაკება. პოემიდან ეგ რომ ამოიღო, რაღა დარჩება? არსებობს რაღაც, რისი ცხოვრებიდან ამოღებაც არ შეიძლება...

***ლელა ჯიყაშვილი***



## თქვენთვის, ქალბატონებო!

# საქართველოა ჩემი ტკივილის და სიხარულის

### ქართულ მიწას მივაბარე შვილი, ქმარი და მშობლები... სად უნდა წავიდე?



ამას წინათ რუსთაველმა მეგობარმა შემომთავაზა — ერთ ლიტველ ქალს გაგაცნობ, ავღანეთშია ნამყოფი, მერე აფხაზეთშიც იბრძოდა, ქართველი ქმარი ჰყოლია, რომელიც მოუკლეს. ისეთი მაგარი მსროლელი ყოფილა, ტყვიას ტყვიაში აჯენდა, სამი დღე-ღამე შეეძლო სანგარში მჯდარიყო, არც ეჭამა და არც ესვაო. ბუნებრივია, უმალ დავინტერესდი და მაშინვე რუსთავს მივაშურე.

ლაიმა ლაბანაუსკაიტე-ყანჩელი ორმოცს გადაცილებულია, მაგრამ ასაკი სულ არ ეტყობა. პატარა ტანისაა, ქერა, მოკლედ შეკრეჭილი თმა აქვს და ცოცხალი თვალები. ქართული კარგად ესმის, თუმცა არ ლაპარაკობს — ბევრ სიტყვას სასაცილოდ გამოვთქვამ და არ მინდა, დამცინონო...

სამხედროების ოჯახში ვიზრდებოდი, ექვსი უფროსი ძმა მყავდა, ყველა სამხედრო, ამიტომაც გულმა მეც იქითკენ გამიწიაო...

— **ლიტველმა ქალმა სად გაიცანი ქართველი ყანჩელი?**

— სკოლაში, აშხაბადში. ჩემი მშობლები, როგორც სამხედრო მოსამსახურეები, ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს. სასკოლო პერიოდი აშხაბადში გავატარე. აშხაბადშივე ცხოვრობდა დათოს ოჯახიც. მამამისი მილიციელი იყო. საერთოდ, ქართველები შავგვრემანები ხართ, დათო კი წითური იყო. დავცინოდი ხოლმე — რა წითურა ხარ-მეთქი. ის კი სულაც არ ბრაზდებოდა და მპასუხობდა: იმიტომ, რომ მზე ვარო. მერე „სოლნიშკო" დავარქვი. სკოლა დავამთავრეთ და სიყვარულშიც გამომიტყდა, ტელეფონით გამიმჟღავნა გულისნადები. ძალიან გავბრაზდი, ვეჩხუბე და ყურმილი დავუკიდე.

— **რატომ ეჩხუბე?**

— პატარაობიდანვე ვმეგობრობდით. ტანჩიორა იყო, ცელქი და მხიარული. როგორც ძმას, ისე ვუყურებდი...

— **სკოლის დამთავრებისთანავე გადაწყვიტე სამხედრო სასწავლებელში სწავლის გაგრძელება?**

— არა. ძალიან მიყვარდა სპორტი. ჟალგირისის სპორტსკოლის დამთავრების შემდეგ დედ-მამას განვუცხადე — ლენინგრადში, ფიზკულტურის ინსტიტუტში მინდა სწავლის გაგრძელება-მეთქი, დედაჩემს გაუხარდა — კიდევ კარგი, ოჯახში ერთი ნორმალური მაინც გვეყოლებაო. თუმცა ეს მალევე გადავიფიქრე და საბუთები ლენინგრადის სამხედრო ინსტიტუტში შევიტანე. მოგვიანებით, როცა დედამ ჩამომაკითხა და მეც სამხედრო ფორმით დავხვდი, ძალიან შეწუხდა. რამდენიმე ხნის შემდეგ დათოც ჩამოვიდა. ის საზღვაო ფლოტში სამსახურს აპირებდა. გამაღლებულიყო, დავაჟკაცებულიყო. მკითხა, — ლაიმა, სამხედრო პირი გინდა გახდეო? რა თქმა უნდა, მინდა-მეთქი. მაშინ ცოლად გამომყევიო.

— **და დაქორწინდით?**

— არა, მაშინვე არ გავყოლივარ, შეყვარებულობის პერიოდიც გავიარეთ. დედაჩემს რომ ვკითხე, ქართველ „სოლნიშკოს" მივყვები ცოლად და რას მირჩევ-მეთქი, გაეღიმა: მე რა უნდა გირჩიო, მაინც იმას გააკეთებ, რაც გინდა, ასე რომ, გაჰყევი ცოლად იმ შენს ქართველსო. 1982 წელს დავქორწინდით.

— **მეუღლე ადვილად ეგუებოდა თქვენს სამსახურს? თქვენ ხომ ხშირად გიწევდათ ცალ-ცალკე ყოფნა?**

— დათო სიტყვის კაცი იყო. დამპირდა, შენს კარიერას ხელს არ შევუშლიო და მართლაც, გართულება არ ჰქონია არაფერზე. კაუნასის სადესანტო დივიზიიდან ავღანეთში მოვხვდი. სწორედ იქ ვნახე პირველად ნამდვილი ომი. ისტერიკაში ჩავვარდი — დამაბრუნეთ უკან, დედაჩემთან მინდა-მეთქი, მაგრამ ვინ მიგდო ყური! ავღანეთში 1985-დან 1989 წლამდე დავყავი, ტვირთებისა და კოლონების მიღება-გაშვებას ვაკონტროლებდი. მერე ლენინგრადის შინაგან ჯარებში ვმსახურობდი. დროდადრო ცხელ წერტილებშიც აღმოვჩნდებოდი ხოლმე — ბაქოში, ერევანში, ფერღანაში... ცხინვალში არეულობა რომ დაიწყო, საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარის ერთი ნაწილი იქ გადაისროლეს. მეც მანდ ვიყავი. ჩვენი უფროსი ქართველი იყო და როცა ბრძანება მოვიდა, რომ ოსები „დაგვეცვა", მან ამაზე უარი თქვა და ერთიანად დაგვატოვებინა პოზიციები. მერე აფხაზეთის ომიც დაიწყო. ჩემი მშობლები კარგა ხნის ჩამოსახლებული იყვნენ აგუძერაში. არაერთ ქართველ სამხედროს მიუკითხავს ჩვენი ოჯახისთვის, რომლის კარიც ყველასათვის ღია იყო.

— **ლაიმა, რა წოდება გაქვს?**

— მაიორი ვარ.

— **საბჭოთა კავშირის შინაგან ჯარში მსახურობდი და აფხაზების (ფაქტობრივად, რუსების) წინააღმდეგ იბრძოდი, რატომ?**

— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქართველის ცოლი ვარ და ჩემი შვილი ქართველია, მეორეც, სიმართლის მხარეს ყოფნა მიყვარდა ყოველთვის.

— **რომელი იყო შენთვის ყველაზე მძიმე დღე?**

— ის დღე, ის წუთი, როცა პირველად მოვკალი ადამიანი. ეს ავღანეთში მოხდა. ადრე გრძელი, წაბლისფერი თმა მქონდა. ავიკეცავდი თმას, სამხედრო პანამის ქვეშ დავმალავდი და ბიჭს ვემსგავსებოდი. ერთხელაც, კოლონის გაცილებისას, დუშმანები დაგვესხნენ თავს. ორომტრიალში ქუდი გადამივარდა და თმაც ჩამომეშალა. უკნიდან ვიღაცის შეხება ვიგრძენი. შევტრიალდი და რას ვხედავ — ერთი დუშმანი მომდგომია, მაგრამ გაკვირვებისგან ვერაფერს აკეთებს, გაფართოებული თვალებით მომშტერებია. მივხვდი, დროულად უნდა მემოქმედა, თორემ აზრზე თუ მოვიდოდა, სიკვდილი არ ამცდებოდა. დავასწარი და ვესროლე. ეს იყო პირველი...

— **როგორ შეეჩვიე ამ ყველაფერს?!**

— ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, მით უფრო — ომში... ავღანეთში ბოლოს რომ ჩავედი, ორსულად ვიყავი. დათომ იცოდა, რომ ციტრუსები ძალიან მიყვარდა, მენატრებოდა და ხშირად მიგზავნიდა მანდარინს და ფორთოხალს. თანამებრძოლები დამცინოდნენ: დუშმანებს შენი პოვნა არ გაუძნელდებათ, ყველგან კვალს ტოვებო. მართლაც, პირს ვერ ვაჩერებდი. თან დამქონდა მანდარინი და ფორთოხალი და ქერქს ყველგან ვყრიდი.

— **ყველაზე დიდი ტკივილი როდის გადაიტანე?**

— ყველაზე დიდი ტკივილი უახლოესი ადამიანების დაკარგვაა, მე კი ბევრი ახლობელი დავკარგე. მეუღლე, დათო ყანჩელი, აფხაზეთის ომში დაიღუპა, მშობლები და მეორე შვილიც ამ ომის დროს, დაბომბვისას დაიხოცნენ.

— **აფხაზეთის ომიდან რას გაიხსენებდი?**

— იმ პერიოდში, როცა მე აფხაზეთში ვიყავი („თეთრ არწივსა" და „თეთრ გიორგიში" ვირიცხებოდი) დათო სინგაპურში უნდა წასულიყო გემით (სამსახურებრივ საქმეზე). ერთ მშვენიერ დღეს ჩასაფრებაში ვზივარ და იქითა მხარეს ვუთვალთვალებ. მესმის ნაცნობი ხმა, — სულ ჩასაფრებული როგორ უნდა იჯდეო. გავიხედე და რას ვხედავ, ჩემი „სოლნიშკო" დგას და მიღიმის. ისე გამიხარდა, კინაღამ კივილი დავიწყე. რა მინდა უცხოეთში, როცა ჩემს ქვეყანაში ასეთი ამბავიაო, — მითხრა. მაშინ ცოტა ხანს მოგვიწია ერთად ყოფნა, მერე ისევ დავშორდით. როცა გავიგე, რომ დათო დაიღუპა, მეც აღარ მინდოდა სიცოცხლე.

— **რუსთავში როგორ აღმოჩნდი?**

— დათო იყო რუსთავიდან, მისი ოჯახი ამ ქალაქში ცხოვრობდა.

— **ვიცი, დღეს უმუშევარი ხარ...**

— 1992 წლიდან წლევანდელ აგვისტომდე საქართველოს ეროვნულ გვარდიაში ვმსახურობდი. წლისა და 5 თვის წინ შვილი შემეძინა...

— **მეორედ გათხოვდი?**

— დიახ. უფროსი ბიჭი მოსკოვში, ჩემს ერთ-ერთ ძმასთან იმყოფებოდა, მშობლები და ქმარი აღარ მყავდა, სრულიად მარტო დავრჩი. ჩემი ხსნა ისევ ოჯახურ სითბოს და ბავშვს თუ შეეძლო.

— **გიშველათ ოჯახურმა სითბომ?**

— ბავშვმა უზარმაზარი ენერგია მომანიჭა, მაგრამ ახლა სხვა პრობლემებმა წამოყო თავი. ერთი სიტყვით, ბავშვი გავაჩინე და ცოტა ხანს შინ დავჯექი. 3 თვიდან 3 წლამდე დეკრეტულ შვებულებაში გასვლის უფლება ხომ ყველა დედას აქვს. შარშან, დეკემბერში, სამსახურში გასვლა მომთხოვეს. მიჭირდა, ხანში შესული დედამთილისთვის როგორ დამეტოვებინა მთელი დღით პატარა, მაგრამ როგორღაც მოვახერხე და სამსახურში გამოვცხადდი. სამხედრო საქმე სპეციფიკურია და თავისი წესები აქვს, ამიტომაც, გინდა თუ არა, ამ წესებს უნდა დაემორჩილო. ახლახან კი გამომიცხადეს, გვარდიის თანამშრომელი აღარ ხარ, სამსახური სხვაგან ეძებეო.

— **კი მაგრამ, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ხომ წერია: „დაუშვებელია ადმინისტრაციის ინიციატივით ორსული ქალებისა და იმ ქალების დათხოვნა, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ"...**

— ვერაფერს ვიტყვი ამის თაობაზე. გამათავისუფლა გვარდიის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბრიგადის გენერალმა სოსო ქუთათელაძემ. მიზეზად კი შტატების შემცირება დაასახელა. 18 ოქტომბერს შვილთან ერთად მივედი დეპარტამენტში. ქუთათელაძეს სამსახურიდან დათხოვნილი ბევრი თანამშრომელი ელოდა. პატარას რომ არ ეტირა, გვარდიის თანამშრომლები მირთობდნენ. გენერალმა კაბინეტშიც კი არ შემიყვანა. იძულებული გავხდი, კართან მდგარს ამეხსნა ჩემი უკიდურესი მდგომარეობა. ცრემლები ვერ შევიკავე, როცა ვუთხარი, ბავშვისთვის საჭმლის ფულიც კი არ მაქვს, გაზი და ელექტროენერგია ჩაჭრილია გადაუხდელობის გამო-მეთქი. გულგრილად აიჩეჩა მხრები. არადა, როცა არტილერისტთა დივიზიონი სახმელეთო ჯარებს შეუერთდა, გვარდიიდან ამ ნაწილში ჩვენგან გათავისუფლებული 6 ადამიანი მიიღეს. მაინცდამაინც ჩემთვის აღარ დარჩა ადგილი?

— **იმედია მალე დაინტერესდებიან შენი ბედით. ტყუილად ხომ არ იბრძოდი საქართველოს ერთიანობისთვის, თანაც ამხელა ტკივილი მოგიტანა ამ ომმა.**

— ისევ და ისევ ჩემი შვილის გამო თავს ვიწუგეშებ და იმედს არ ვკარგავ. მივმართე არასამთავრობო ორგანიზაციებს, სადაც სამხედრო მოსამსახურეთა ინტერესებს იცავენ. დამაიმედეს, ყველაფერი კარგად იქნებაო.

— **ლაიმა, რას ნიშნავს შენთვის საქართველო? როგორც ვიცი, ერთ-ერთი შენი ძმა ლიტვის თავდაცვის მინისტრის მოადგილეა, ნუთუ სამშობლოში დაბრუნების სურვილი არასოდეს გაგჩენია?**

— ერთხანს, ძალიან რომ გამიჭირდა, ვიფიქრე, დავკრავ ფეხს და ლიტვაში დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ ვერ გავაკეთე ეს. საქართველოს უკავშირდება ჩემი სიხარული და ტკივილი. აქ უამრავი მეგობარი მყავს, ქართულ მიწას მივაბარე შვილი, ქმარი და მშობლები... სად უნდა წავიდე? ძმები ხშირად მეუბნებიან: ლიტვურად კი გველაპარაკები, მაგრამ ქართული აქცენტი გაქვსო. ჩემთვის საქართველო უპირველესია, ლიტვა კი მეორე სამშობლო.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# აბეზარი ქალი თუ კბილი?

ზოგ კაცს რომ ჰკითხო — მობეზრებული ქალი მტკივან კბილზე ძნელი ასატანია, მაგრამ ზოგი ქალის მოსაშორებლად გაწეული ჯაფა თურმე ერთბაშად ყველა კბილის ამოღებით გამოწვეულ ტკივილზე უარესია.

ბაჩა სიყმაწვილეშივე თვალს უვსებდა გოგოებს და თაყვანისმცემელი მდედრიონით ძალიანაც მოჰქონდა თავი. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ისეთ ქალს არ გადაეყარა, რომელმაც გაჩენის დღე აწყევლინა. იმ გოგოს ორი წლის წინ ღამის კლუბში გადაჰყრია. მერე კარგა ხანს თავს გვაბეზრებდა ნატოს ჩამოქნილი ფეხების, მინაბული მწვანე თვალების, ფუშფუშა მკერდის და ფუმფულა ტუჩების ქებით. ერთ დღეს გამოგვიცხადა — ნატო ყელში ამომივიდაო და განშორება გადაწყვიტა. გგონიათ, რახან ბაჩამ გადაწყვიტა, მაგით დამთავრდა ყველაფერი? ნატოს მომწვანო, მინაბული თვალები დაუკვესებია და აფთარივით უკივლია — შენ რა, ქიშმირის პალტო გგონივარ, სხვას რომ გადაულოცო ჩემი თავი, თუ კატაში ან ძაღლში აგერიე, ადვილად რომ ჩამაგდო საბარგულში და სადმე უკაცრიელ ადგილზე გადამსვაო. მიხვდა ბაჩა, ამ იოლად „შებმულ" ქალს ადვილად ვერ მოიშორებდა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია და ნამდვილი ომი დაიწყო.



თავდაპირველად ნატოსთვის ახალი პარტნიორის მოძებნა განიზრახა. ეგონა, ამით მოიშორებდა თავიდან. ნატოს მომავალი „პატრონის" საძებნად დიდი დრო არ დასჭირვებია. ამ მზეთუნახავისთვის ბევრი ილესდა კბილებს. ერთ-ერთი მათგანი იყო ზაზაც. მოილაპარაკეს — ზაზა ნატოს „გაიტაცებდა" და ბაჩაც ნანატრ თავისუფლებას ეღირსებოდა.

იმ საღამოს სამივენი ერთად მსხდარან რესტორანში. ბაჩასთვის ვიღაცას დაურეკავს, ზაზასთვის „შეუტოვებია" ქალი და სადღაც გავარდნილა. ბაჩა რომ აღარ გამოჩენილა, ზაზას ნატოსთვის გაცილება შეუთავაზებია. მერე გზიდან გადაუხვევია და... ნატოს ჯერ თვითონ მიუტყეპია „მოძალადე", მერე კი პოლიციისთვის უხმია და...

იმავე ღამით, გულდაიმედებული ბაჩა ახალ ლამაზმანთან ერთად დაბრუნდა შინ და... „ცოლი" ისევ ლოგინში დახვდა! დიახ, ასე გაეცნო ნატო კაცის გვერდით ატუზულ გოგოს. ამის შემდეგ ბაჩა ერთი თვე არ მიჰკარებია სახლს. ეგონა, მის ტურფას მოსწყინდებოდა მარტოობა და წავიდოდა. სულაც არა, ღამის კლუბების და აქტიური ცხოვრების მოტრფიალე ლამაზმანი ღვთაებრივ დიასახლისად იქცა, რემონტიც კი წამოიწყო ბაჩას ბინაში. ეს რომ დონ ჟუანმა გაიგო, კინაღამ შემოიხია ტანსაცმელი. ნატოს მიეჭრა, მაგრამ... სადარბაზოს კართან სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა დახვდა. რას იფიქრებდა, რომ ექიმები შინ დახვდებოდნენ. კარი გიჟივით შეუგლეჯია და გაოგნებულა. მერე საათიანი ლექცია-დარიგებაც მოუსმენია თემაზე, როგორ უნდა მოექცეს ახალშერთულ ცოლს, რომ მისი შინ დიდი ხნით მარტო დატოვება არ შეიძლება. ამ დროს ალბათ ნატო საბნის ქვეშ იღიმებოდა. იმ საღამოს მოხერხებულ ქალს ბაჩა სასთუმალთან მიუტყუებია, მერე საწოლშიც ჩაუცურებია და... ასე გაგრძელდა ერთი კვირა. კვირის თავზე ბაჩას მიუკიბ-მოუკიბავად გამოუცხადებია: ტყუილად ასაღებ თავს ჩემს ცოლად, არანაირი ხრიკები აღარ გაგივა. ახლავე აიბარგე ჩემი სახლიდანო. ნატოს გულგრილად აუკრეფია თავისი ნივთები, ტაქსი გამოუძახებია და წასულა. ბედნიერი ბაჩა იმავე საღამოს ვიღაც ახალ „ნაშასთან" ერთად გაქანებულა რესტორანში. ანგარიშის გასწორების დრო რომ მოსულა, საკრედიტო ბარათი მოუძებნია, მაგრამ... კი მიმხვდარა ქურდის ვინაობას. გვიანღა იყო. ჯანდაბასო, ხელი ჩაუქნევია — რახან ეგ ქალი მოვიცილე, რას ვჩივი რამდენიმე ათას დოლარსო. გგონიათ, ამით დამთავრდა ყველაფერი? გახსოვთ, ნატომ ბაჩა ერთი კვირით რომ შეირიგა? აი, მაშინ დაორსულებულა და ახლა საკუთარი სისხლით და ხორცით აშანტაჟებდა. ერთ დღესაც, როგორც ჩანს, ბაჩამ იფიქრა, როდემდე უნდა ვებრძოლო ამ ქალს, ჩემთვის არაფერი დაუშავებია, არც ულალატია, სულ სიყვარულით მპასუხობდა, ამდენი ტკივილი მივაყენე და მაინც მე ვუნდივარ. ახლა შვილს მიჩენს, მოდი, ცოლად შევირთავო და შეირთო. გეფიცებით, არაფერს ვაჭარბებ, ჯვრის დაწერა სულზე მოასწრეს. ზედ ეკლესიის ზღურბლთან ასტკივდა ნატოს მუცელი და ერთმანეთზე ლამაზი ტყუპი ბიჭი შვა. ერთი ახლა განახვათ ძველი დონ ჟუანი. სამაგალითო ქმარი და მამაა.

ისე, გაგიმხელთ და, ჩვენს გმირებს სახელები შევუცვალე, თორემ ეს რომ წაიკითხონ, ცოცხალი ვერ გადავურჩები.

***ეკა ლომიძე***











1 ხორცის ნახარში
2 ზღვის კომბოსტო
3 ლითონის ფული
4 ქიმიური ელემენტი
5 შექსპირის ტრაგედია
6 ადამიანის ხხეული
7 გულის შეკუმშვა
8 ქარისაგან პაერში ატანილი თოვლი
9 ბავშვთა ექიმი
10 უსინათლოთა შრიფტი
11 კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
12 ქალის ან ბავშვის დაბალი ხმა
13 ღირებულება, აღნიშნული ქაღალდის ფულზე
14 ანდამატი
15 ბრაზილიელი მწერალი
16 ებრაელთა სალოცავი
17 პატარა სამზარეულო წყლის ჭურჭელი
18 მწვავე ინფექციური დაავადება
19 მომღერალთა გუნდი
20 ძველბერძენი ფილოსოფოსი
21 რეჟისორი ... რიჩი
22 წაჭრილი ტოტის ძირი
23 ინდური გარეული ძროხა
24 თავისუფალი საწვრთნელი ბრძოლა კრივში
25 ბუდისტური [illegible]
26 სახახლე ძველად
27 დაუმუშავებელი მიწა
28 ინდიელთა ნავი
29 მუსლიმანთა სასულიერო მსახური
30 დროის დიდი ისტორიული მონაკვეთი
31 კლდის თხა
32 ძველად კამკამა ვარსკვლავი
33 ღლავი
34 ძვირფასი ლითონი
35 ფილიპინების დედაქალაქი
36 ხარების ბრძოლა
37 მდინარე აშშ-ში
38 ხილის გაზიანი უალკოჰოლო სასმელი
39 ტკბილი ალკოჰოლიანი სასმელი
40 მფრინავი
41 მტაცებელი ცხოველი
42 მარცვლეულის სალეწი ადგილი
43 სრული უწესრიგობა
44 იტალიური ავტომობილი
45 ხიმინდის ყვავილედი
46 სამდინარო გემის მეთაური
47 ამაღლებული ადგილი რკინიგზის სადგურზე
48 ორსახა ღმერთი
49 მიჯრით ჩარჭობილი სარების დობე
50 სპოროვანი მცენარე
51 ბაშკირეთის დედაქალაქი
52 ძვირფასხეულოვანი მღრღნელი
53 რაინდი მეფის არმიაში შუა საუკუნეების ევროპაში
54 ავტომობილის სავალი ნაწილი
55 სახელმწიფო აფრიკაში
56 წიაღისეული
57 გამოკლების ნიშანი
58 კამერუნელი ფეხბურთელი
59 ძველგანმავალი ავტომობილი
60 იგივეა, რაც ბოქლომი
61 მუსლიმანთა წმინდა თქმულება
62 კონტინენტის ნაწილი
63 ბუნებრივი წყალსაცავი
64 თვე
65 კაკლის საბერტყი ჯოხი
66 საგანგებო დავალება
67 სახწორის თეფში

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. კალენდარი; 2. ლაბრადორი; 3. ფუფუ; 4. ნალია; 5. ბრასი; 6. ბაკარა; 7. ინდიანა; 8. ქაბული; 9. გოია; 10. საკურა; 11. რაინდი; 12. დელტა; 13. კაბალა; 14. ალპინისტი; 15. ოდისევსი; 16. კავასაკი; 17. კულინარი; 18. გორილა; 19. კრიმინალი; 20. ქიგო; 21. ბაო; 22. ვიზავი; 23. ლავა; 24. ნავიგაცია; 25. ქიქა; 26. ნაირობი; 27. ბონო; 28. არიეტა; 29. კობრა; 30. ვაკარი; 31. ვატი; 32. კლიტა; 33. იარანგი; 34. ვარანი; 35. გალა; 36. ცელი; 37. კორომი; 38. რაინი; 39. პინა; 40. გიაური; 41. ნატურმორტი; 42. კანოე; 43. ანოა; 44. პანტა; 45. ტროა; 46. ორლი; 47. დანა; 48. დიადემა; 49. ტანკა; 50. ნერპა; 51. იუდა; 52. პიაფი; 53. კუ; 54. მამა; 55. ტივი; 56. ლეგა; 57. ლეგატი; 58. ბრა; 59. ბუი; 60. მაორი; 61. ტრიუმფი; 62. იდო; 63. თითა.
1. კაქტუსი; 2. ბაობაბი; 3. აგავა; 4. პალმა; 5. მუხა

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა ვანო კაჭახიძე

## ორშაბათი 6 დეკემბერი

კვირის პალიტრა

08.00 მოამბე 08.10 პროფილ-აქტიკა 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ოცნების სახლი" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ტელეზღაპარი 20.00 მოამბე 21.05 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება" 22.00 ღამის მატარებელი 23.00 მოამბე 00.00 მხ. ფილმი „მშვენიერი ხანა„ (U)

19.00 საბ. სერიალი „სიცოც-ხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" 19.25 სერიალი „ცხელი ზაფხული„ 20.15 „იმღერე რამე" 20.45 ბასტი-ბუბუ 21.00 კონცერტი 22.20 მხ. ფილმი „დიდი ოჯახები„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეიპუცები" 10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" 15.25 ქართული ფეხბურთი 16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები" 17.25 პერეკრესტოკი 18.20 „რობოტი და რობოტუნა" 18.50 პატრული 19.00 ქართ. ფეხბურთი 20.00 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 თამაში „ყველაზე ჭკვიანი" 23.00 „მის მსოფლიო„ 00.00 მხ. ფილმი „ფანატიკოსი" (18) (ბილი ზეინი) 02.00 პატრული

07.00 სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" 07.30 დოკ. სერიალი „ბუნების გენიოსები" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 „იმედის" დილა 09.20 „დუბლიორი" 10.05 სერიალი „მოჯადოება" 11.15 დროება 12.40, 16.25, 03.05 ტვ-მარკეტი 13.15 ევროპული საკალათბურთო ასოციაცია 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.55 ქრონიკა 15.20 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 16.40 დოკ. სერიალი „უცნობი აფრიკა" მე-4ს. 17.10, 03.35 იმედის მელოდიები 17.25 ვაკაჭი-ნიუსი 18.05 სერიალი „მოჯადოება" 19.55 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 20.55 სერიალი „მტვრის გემი" 22.50 სერიალი „კეჭსი დიდ ქალაქში" მე-12ს. 23.15 „არჩევანი თქვენ" 00.35 სპ. პროგრამა „გოლი" 02.00 სერიალი „ნეშ ბრიჯესი„

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი „სცენა" 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „სინიორ ვიანელო" 10.30 სერიალი „ვუვი" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 12.05 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა „ტაიმსლოტი" 16.05 სერიალი „მარია ემილია" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 სერიალი „პოლიციელი ქალები" 18.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.50 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„ 21.15 სერიალი „ვუვი" 21.45 პუბლ. გადაცემა „პატრიოტთა თამაშები„ გია დანელია. 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 00.00 მხ. ფილმი "შმაგი სიყვარული„ (18) (რობერტო ალვარესი)

18.00 მხ. ფილმი „მამას ვოსხი" (U) 19.30 დოკ. ფილმი 20.30 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „Start-up„-ის შთამომავლობა (12)

11.00 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.00 საბავშვო პროგრამა „ინკოგნიტო" 14.00 ინდ. მხ. ფილმი „სევდაშიც და სიხარულშიც" (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.00 ქართული მუსიკა 22.30 „საქმე და ეკონომიკა" 23.00, 00.30 ქართული მუსიკა

09.00 „სხივი„ 10.00 კომედია „ლუნი ტუნზი კვლავ საქმეშია" 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 11.45 ფანტასტიკა „ღრმად ჩაძირვა„ 13.15 ვესტერნი „რამდენიმე დოლარით მეტი„ 16.00 მულტფილმი 17.45 დოკ. ფილმი 18.30 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 18.50 კომედია „ცხრა იარდი„ 21.00 თრილერი „გატაცება 60 წამში„ 22.40 დოკ. ფილმი 23.30 საინფ. დაიჯესტი 23.50 მხ. ფილმი „ტკბილ-მწარე სიყვარული„

09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20 Джим Керри в комедии "ЛЖЕЦ, ЛЖЕЦ". 11.00 "Шутка за шуткой". 12.10 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.10 Джадж Райнхолд в комедии "ЧЕТВЕРТЫЙ БЕТХОВЕН" 15.20 "Угадай мелодию" 15.50 "Последний герой". Суперигра. 17.00 "Пять вечеров". Понедельник. 18.20 "Пан или пропал" 19.00 Сериал "КЛОН". 20.00 Жди меня. 21.00 Время. 21.30 Чулпан Хаматова в многосерийном фильме "ДЕТИ АРБАТА". 22.40 Док. фильм "Романы Матильды Кшесинской". 23.30 Ночное "Время". 23.50 "Фабрика звезд". 00.10 Искатели. "Узник Петропавловки". 00.40 Алексей Глызин в программе "Русский экстрим". 01.10 Энди Гарсиа в триллере "НОЧЬ НАД МАНХЭТТЕНОМ" 02.50 Рой Шайдер в боевике "КОЛДУН"

## სამშაბათი 7 დეკემბერი

08.00 მოამბე 08.10 დოკ. ფილმი „ოცნების სახლი„ 09.20 სერიალი „სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის თუ ბეწვის ქვეშ„ 10.00 „იმღერე რამე" 10.30 მხ. ფილმი „მშვენიერი ხანა„ (U) 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება" 13.00 „მატარებელი" 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „ლეგენდარული თვითმფრინავები„ 15.20 „ანშლაგი" - „ბაგრატიონები„ 16.05 დოკ. სერიალი „ცხოველი და მისი ტერიტორია„ 1-ლი ს. 16.30 „ისტორიანი„ 16.55 სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი„ 1-2 ს. 17.10 დოკ. ფილმი „ამერიკული კინო" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „მოსს ფოტოგრაფები„ 19.10 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 20.45 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება" 21.40 „გრიფით საიდუმლო„ 22.00 ქიმერიონი 00.00 მხ. ფილმი „თემო„ (U)

19.00 საბ. სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი" 19.25 სერიალი „ცხელი ზაფხული„ 20.15 დოკ. ფილმი „ოპერაცია მთვარე" 21.05 „იმღერე რამე" 21.35 ტელეზღაპარი 21.50 დოკ. ფილმი „ოცნების სახლი„ 22.35 მხ. ფილმი „ნაპიჭურები„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეიპუცები" 10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები" 11.00 თამაში „ყველაზე ჭკვიანი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი „ფანატიკოსი" (U) 15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები" 17.25 „ტელეიპუცები" 18.20 „რობოტი და რობოტუნა" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.40 პატრული 19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 საფეხბურთო მიმოხილვა 22.45 ჩემპიონთა ლიგა. „ვალენსია„ — „ვერდერი„ 02.20 პატრული

07.00 სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" 07.30 დოკ. სერიალი „ბუნების გენიოსები" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 „იმედის" დილა 09.20 „დუბლიორი" 10.05 სერიალი „მოჯადოება" 11.15 სერიალი „მტვრის გემი" 12.20, 17.10, 04.20 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 03.50 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „ქალი და კაცი ერთია„ (ე. ზილბერშტეინი) (U) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 03.40 ქრონიკა 15.20 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 16.40 დოკ. სერიალი „უცნობი აფრიკა„ 17.25 სპ. პროგრამა „გოლი" 18.05 სერიალი „მოჯადოება" 19.55 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 20.55 სერიალი „მგლების ხორუში" 1-ლი ს. 23.00 სერიალი „კეჭსი დიდ ქალაქში" 23.20 „პირველები" 00.05 მხ. ფილმი „საიდუმლო" (18) (ა. კოვსენსი) 01.50 სერიალი „ნეშ ბრიჯესი" 02.45 „გოლი - სერია „A" (იტალიის ჩემპიონატი)

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი „მოდა" 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „სინიორ ვიანელო" 10.30 სერიალი „ვუვი" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 12.05 პუბლ. გადაცემა „პატრიოტთა თამაშები„ ზ. წერეთელი. 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა „ტაიმსლოტი" 16.05 სერიალი „მარია ემილია" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 სერიალი „პოლიციელი ქალები" 18.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.50 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 19.50 „ჯეოსტარი„ შესარჩევი ტური 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„ 21.15 სერიალი „ვუვი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 00.00 მხ. ფილმი "ერთად მოკვდებით„ (15) (შარლ ბერლინგი)

18.00 მხ. ფილმი „ინდიელი ქალაქში" (U) 19.30 დოკ. ფილმი 21.40 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „მოჯადოებული სიყვარული„ (15)

14.00 ქართული მუსიკა 16.00 „საქმე და ეკონომიკა" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.30 მხ. ფილმი „რობოტი პოლიციელი" (U) მე-3ს. 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.20 სათავგად. ფილმი „როგორც მაიკი„ 11.00 მუსიკა 11.45 მხ. ფილმი „თავისუფლების სიმაღლეები„ 13.50 დოკ. ფილმი 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 14.45 კომედია „მამაკაცები უპირატესობას ქერათმიანებს ანიჭებენ„ 16.15 მულტფილმი 17.45 დოკ. ფილმი 18.30 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 18.50 ბოევიკი „კომა„ 20.00 მუსიკა 21.00 მელოდრამა „თეთრი ოლეანდრი„ 22.50 დოკ. ფილმი 23.30 საინფ. დაიჯესტი 23.50 თრილერი „დაქირავებული ვირადი მკვლელი"

09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "ДЕТИ АРБАТА". 10.30, 19.00 Сериал "КЛОН". 11.30 Смехопанорама 12.10 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.10 Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". 13.30 Ирина Алферова в фильме "С ЛЮБИМЫМИ НЕ РАССТАВАЙТЕСЬ". 15.20 "Угадай мелодию" 15.50 Юозас Будрайтис в сериале "ЛИТОВСКИЙ ТРАНЗИТ". 17.00 "Пять вечеров". Вторник. 18.20 "Пан или пропал". 19.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00 Время. 22.40 Спецрасследование. "Фальшивые таблетки". 23.30 Ночное "Время". 23.50 "Фабрика звезд". 00.10 Теория невероятности. "Любовь и секс". Часть 2-я. 00.40 "Сканер". "Бойцовский клуб". 01.10 Джон Траволта в фильме "ГРАЖДАНСКИЙ ИСК" 03.10 Джон Кьюсак в фильме "В ИСТИННОМ СВЕТЕ"

## ოთხშაბათი 8 დეკემბერი

08.00 მოამბე 08.10 დოკ. ფილმი „მოსს ფოტოგრაფები„ 09.10 მოამბე 09.20 სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი„ 10.05 „იმღერე რამე" 10.35 მხ. ფილმი „თემო„ (U) 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება" 13.05 ქიმერიონი 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „რიგა" 15.20 „სალამის საუბრები" 16.05 დოკ. სერიალი „ცხოველი და მისი ტერიტორია„ 16.30 „ეძიე ქალი" 17.00 სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი„ 17.25 ძველი აფიშა — „დონ-ჟუანი„ 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. ფილმი „კათედრალური ტაძრები" 19.10 „იმღერე რამე" 19.40 ტელე-ზღაპარი 20.50 სასამართლო დარბაზებში 21.15 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება" 22.10 „მიამბეთ თქვენზე" - ნ. ტაბიძე 00.00 მხ. ფილმი „ერთი ბედის ანოტაცია„ (U)

19.00 საბ. სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი" 19.25 სერიალი „ცხელი ზაფხული„ 20.15 დოკ. ფილმი „მოსს ფოტოგრაფები" 21.05 „იმღერე რამე" 21.35 „ეძიე ქალი„ 21.55 ტელეზღაპარი 22.05 ქიმერიონი 22.45 მხ. ფილმი „ცარიელი ბინა„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეიპუცები" 10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები" 11.00 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი „ძმები კარამაზოვები" (U) 15.25 ჩემპიონთა ლიგა. „ვალენსია„ — „ვერდერი„ 16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები" 17.25 „ტელეიპუცები" 18.20 „ადამიანი ობობა" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.40 პატრული 19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 საფეხბურთო მიმოხილვა 22.45 ჩემპიონთა ლიგა. „ლევერკუზენი„ — „დინამო„ 02.20 პატრული

07.00 სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" 07.30 დოკ. სერიალი „ბუნების გენიოსები" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 „იმედის" დილა 09.20 „დუბლიორი" 10.05 სერიალი „მოჯადოება". 11.15 სერიალი „მგლების ხორუში" 1-ლი ს. 12.20, 17.10, 02.45 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 02.15 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „გადარჩენის გაკვეთილი" (U) (დ. ლუნდგრენი) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.50, 02.05 ქრონიკა 15.20 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 16.40 დოკ. სერიალი „უცნობი აფრიკა" მე-5 ს. 17.20 არტ-ბულვარი 18.05 სერიალი „მოჯადოება" 19.55 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 20.55 სერიალი „მგლების ხორუში" 22.50 სერიალი „კეჭსი დიდ ქალაქში" 23.15 უცნობი საქართველო 23.40 მხ. ფილმი „დევნილი" (U) (ბენისიო დელ ტორო) 01.25 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეჟურნალი „ჰოლივუდი დღეს" 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „სინიორ ვიანელო" 10.30 სერიალი „ვუვი" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 12.05 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა „ტაიმსლოტი" 16.05 სერიალი „მარია ემილია" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 სერიალი „პოლიციელი ქალები" 18.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.50 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„ 21.15 სერიალი „ვუვი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 00.00 მხ. ფილმი "დისნეული„ (U) (დონალ მაკენი)

18.00 მხ. ფილმი „ქვრივის ცოლი" (U) 19.40 დოკ. ფილმი 20.50 კონცერტი 22.20 მხ. ფილმი „ბრილიანტის მახვილი„ (15)

14.00 მხ. ფილმი „რობოტი პოლიციელი" (U) მე-3ს. 16.00 ქართული მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.30 მხ. ფილმი „რობოტი პოლიციელი" (U) მე-4ს. 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.20 სათავგად. ფილმი „როკის სკოლა„ 11.10 მუსიკა 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 11.45 დეტექტივი „რვა ქალი„ 13.30 დოკ. ფილმი 14.45 მელოდრამა „უძილობა სიეტლში„ 16.30 მულტფილმი 17.45 დოკ. ფილმი 18.30 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 18.50 მხ. ფილმი „კანადური ბეკონი„ 21.00 მხ. ფილმი „გულთან ახლოს„ 23.00 „ზღვარი„ 23.30 საინფ. დაიჯესტი 23.50 ისტ. ფილმი „ნეფერტიტი მზის ქალიშვილი„

09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "ДЕТИ АРБАТА". 10.30, 19.00 Сериал "КЛОН". 11.30 Док. детектив. "Бородинская" битва за тюрьму". Дело 2000 г. 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Лило и Стич". 13.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20 "Угадай мелодию" 15.50 Сериал "ЛИТОВСКИЙ ТРАНЗИТ". 17.00 "Пять вечеров". Среда. 18.10 Сериал "КЛОН". 20.00 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00 Время. 22.40 Тайны века. "Джон Леннон. Пять выстрелов в кумира". 23.30 Ночное "Время". 23.50 "Фабрика звезд". 00.10 Фестиваль французского кино в программе "Тихий дом". 00.40 "Гении и злодеи". Аркадий Гайдар. 01.10 Жан-Пьер Дарусен в комедии "ЕСЛИ БЫ Я БЫЛ БОГАТ!".

## ხუთშაბათი 9 დეკემბერი

08.00 მოამბე 08.10 დოკ. ფილმი „კათედრალური ტაძრები" 09.10 მოამბე 09.40 სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი„ 10.05 „იმღერე რამე" 10.30 მხ. ფილმი „ერთი ბედის ანოტაცია„ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15, 20.50 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება" 13.00 მიამბეთ თქვენზე 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „სისი დედოფლობისთვის დაბადებული„ 15.20 მუს. ოქტაგონი 16.05 დოკ. სერიალი „ცხოველი და მისი ტერიტორია„ 16.30 „მრავალჟამიერ" 17.00 სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი„ 17.30 დოკ. ფილმი „ამერიკის ბიოგრაფია„ 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. ფილმი „კათედრალური ტაძრები" 19.40 ტელე-ზღაპარი 21.30 დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე"-ლიტვა 22.00 ღამის მატარებელი 00.00 მხ. ფილმი „ხაფანგი„ (U) 1-ლი ს.

19.00 საბ. სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი" 19.25 სერიალი „ცხელი ზაფხული„ 20.15 დოკ. ფილმი „კათედრალური ტაძრები" 1-ლი ს. 21.05 „იმღერე რამე" 21.35 ტელეზღაპარი 21.50 მრავალჟამიერ 22.10 მიამბეთ თქვენზე 22.50 მხ. ფილმი „მოლანდება„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეიპუცები" 10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები" 11.00 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი „ორმაგი ეფექტი" (U) 15.25 ჩემპიონთა ლიგა. „ლევერკუზენი„ — „დინამო„ 16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები" 17.25 „ტელეიპუცები" 18.20 „ადამიანი ობობა" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.40 პატრული 19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 „ვის უნდა 50 ათასი" 23.00 დოკ. ფილმი „ყველაზე მდიდრული სახლები„ (ბი-ბი-სი) 00.00 მხ. ფილმი „სიყვარულის ტრიუმფი" (18). მთ. რ-ში: მირა სორვინო. 02.20 პატრული

07.00 სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" 07.30 დოკ. სერიალი „ბუნების გენიოსები" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 „იმედის" დილა 09.20 „დუბლიორი" 10.05 სერიალი „მოჯადოება" 11.15 სერიალი „მგლების ხორუში" 12.20, 14.50, 17.10, 03.20 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 02.50 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „დევნილი" (U) (ბენისიო დელ ტორო) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.45, 22.00, 02.40 ქრონიკა 15.20 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 16.40 დოკ. სერიალი „უცნობი აფრიკა" 17.25 თამაში „ათასიდან ერთი შანსი" 18.05 სერიალი „მოჯადოება" 19.55 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 20.55 სერიალი „მგლების ხორუში" 22.50 სერიალი „კეჭსი დიდ ქალაქში" 23.15 „პირველი ნახევარი" 23.40 თამაში „ათასიდან ერთი შანსი" 00.10 მხ. ფილმი „ახალგაზრდა ადამი" (18) (ე. მაკგრეგორი) 01.45 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 „ფოკუსის ისტორია„ 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „სინიორ ვიანელო" 10.30 სერიალი „ვუვი" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 12.05 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა „ტაიმსლოტი" 16.05 სერიალი „მარია ემილია" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 სერიალი „პოლიციელი ქალები" 18.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.50 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 19.50 „ჯეოსტარი„ შესარჩევი ტური 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„ 21.15 სერიალი „ვუვი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 23.45 მხ. ფილმი "მესის ფერმის საიდუმლო„ (15) (ჟან გაბენი)

18.00 მხ. ფილმი „მარჯვე თაგვი" (U) 19.30 დოკ. ფილმი 20.40 კონცერტი 22.00 მხ. ფილმი „ექსტრაორდინალური ისტორიები„ (15)

14.00 მხ. ფილმი „რობოტი პოლიციელი" (U) მე-4ს. 16.00 ქართული მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.30 მხ. ფილმი „თეთრი მტრედი" (U) 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.15 სათავგად. ფილმი „პიფ, პაფ, ვაი, ვაი, ვაი„ 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 11.45 კომედია „ოქროს ქერა„ 14.45 თრილერი „ქერქეტი კაკალი-3„ 16.45 მულტფილმი „ნილაბი„ 17.45 დოკ. ფილმი 18.30 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 18.50 დოკ. ფილმი 20.00 „გადარჩენილი სიტყვა„ 21.00 ისტ. ფილმი „ომის მზრძანებელი„ 23.00 მუსიკა 23.30 საინფ. დაიჯესტი 23.45 „ექსკლუზივი„ 00.35 მხ. ფილმი „ყვანწილი თეთრი მდინარიდან„

09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "ДЕТИ АРБАТА". 10.30, 19.00 Сериал "КЛОН". 11.30 "Звезды эфиры". Нина Кондратова. 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Утиные истории". 13.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20 "Угадай мелодию" 15.50 Сериал "ЛИТОВСКИЙ ТРАНЗИТ". 17.00 "Пять вечеров". Четверг. 18.20 "Пан или пропал" 19.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00 Время. 22.40 "Человек и закон" 23.30 Ночное "Время". 23.50 "Фабрика звезд". 00.10 Док. фильм "Петр Первый. Жертвоприношение государя". 00.50 Сотворение мира. "Энергия". 01.20 Сериал "ИСЧЕЗНОВЕНИЕ". 03.05 Кристофер Аткинс в триллере "СМЕРТЕЛЬНОЕ ВИДЕО" 04.40 Док. сериал "Разговоры с животными".

## პარასკევი 10 დეკემბერი

08.00 მოამბე 08.10 დოკ. ფილმი „კათედრალური ტაძრები" 09.10 მოამბე 09.40 სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი„ 10.05 „იმღერე რამე" 10.30 მხ. ფილმი „ხაფანგი„ (U) 1-ლი ს. 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15, 20.50 სერიალი „მკვლელობათა ძიების განყოფილება" 13.00 მატარებელი 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „მითის ხელოვნება„ 15.15 „ასე ვცხოვრობთ" 15.30 დოკ. სერიალი „ცხოველი და მისი ტერიტორია„ 16.00 ფრენბურთში საქ. პირველი თასის გათამაშება, აღმოსავლეთი — დასავლეთი. 17.25 „ისტორიანი" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. ფილმი „კოსმური მატარებელი„ 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ტელე-ზღაპარი 21.50 „გრიფით საიდუმლო„ 22.15 „აუდიტორია" — გ. რონინაშვილი 00.00 მხ. ფილმი „ხაფანგი„ (U) მე-2ს.

19.00 საბ. სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი" 19.25 სერიალი „ცხელი ზაფხული„ 20.15 „იმღერე რამე" 20.45 ტელე-ზღაპარი 21.00 ძველი აფიშა 21.35 აფხაზეთის ტელევიზია 22.05 მხ. ფილმი „ლაქა„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეიპუცები" 10.00 სერიალი „ეკლები და ვარდები" 11.00 „ვის უნდა 50 ათასი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45 კურიერი 12.20 სერიალი „შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი „აფონია" (U) 15.25 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 16.30 სერიალი „ეკლები და ვარდები" 17.25 „ტელეიპუცები" 18.20 „ეტბექსი 402-ე ოთახიდან" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.40 პატრული 19.50 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 ღამის შოუ 23.00 სერიალი „სამეფო" 00.00 მხ. ფილმი „ბუნდი". მთ. რ-ში: რიჩარდ დრეიფუსი. 02.05 პატრული 02.20 მხ. ფილმი „ფელიცის მოგზაურობა„ (18).

07.00 სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" 07.30 დოკ. სერიალი „ბუნების გენიოსები" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 „იმედის" დილა 09.20 „დუბლიორი" 10.05 სერიალი „მოჯადოება" 11.15 სერიალი „მგლების ხორუში" 12.20, 14.50, 17.15, 03.20 იმედის მელოდიები 12.40, 16.25, 02.50 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „ჩვიდმეტი წლის" (U) (ე. ვუდი) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.40 ქრონიკა 15.20 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 16.40 დოკ. სერიალი „უცნობი აფრიკა" 17.25 თამაში „ათასიდან ერთი შანსი" 18.05 სერიალი „მოჯადოება" 19.55 სერიალი „ოცნების სანაპირო„ 20.30 თოკ-შოუ „რეაქცია" 23.00 „საიმედო ლოტო" 23.30 თამაში „ათასიდან ერთი შანსი" 00.05 მხ. ფილმი „სუნამო" (15) (კ. ელექტრა) 01.45 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 „ფარული კამერა„ 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „სინიორ ვიანელო" 10.30 სერიალი „ვუვი" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 12.05 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 არჩევანის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა „ტაიმსლოტი" 16.05 სერიალი „მარია ემილია" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 სერიალი „პოლიციელი ქალები" 18.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.50 სერიალი „ჩენტო ვეტრინე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„ 21.15 სერიალი „ვუვი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 00.00 მხ. ფილმი "თავისუფლების ახრდილი„ (18) (ადრიანა ასტი)

18.00 მხ. ფილმი „ჩემი ბრალი არ არის" (U) 19.35 დოკ. ფილმი 20.35 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „ჯადოქრის სიყვარული„ (15)

14.00 მხ. ფილმი „თეთრი მტრედი" (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.30 მხ. ფილმი „დიდი ზომა" (U) 23.00, 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.15 ისტ. ფილმი „მისიე N„ 11.15 მუსიკა 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 11.45 კომედია „როგორ მოვიცილოთ მამაკაცი 10 დღეში„ 13.35 დოკ. ფილმი 14.45 მხ. ფილმი „მიქელა დღე" 16.45 მულტსერიალი 17.45 დოკ. ფილმი 18.30 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 18.50 მელოდრამა „გაქრობა„ 20.15, 22.40 მუსიკა 21.00 კომედია „გზაჯვარედინები„ 23.00 „სტარტი„ 23.30 საინფ. დაიჯესტი 23.50 კომედია „ტრიკერნოტი„

ОРТ 10 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20, 21.30 Сериал "ДЕТИ АРБАТА". 10.30, 19.00 Сериал "КЛОН". 11.30 "Кумиры". Ивар Калныньш. 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Алладин". 13.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20 "Фабрика звезд". 15.50 Сериал "ЛИТОВСКИЙ ТРАНЗИТ". Закл. с. 16.50 "Пять вечеров". Сегодня пятница. 18.20 Док. детектив. "Показания с петлей на шее". Дело 2003 г. 19.00 "Основной инстинкт". Ток-шоу 19.50 "Поле чудес" 21.00 Время. 21.25 "Фабрика звезд". 22.50 Что? Где? Когда? 00.10 Жерар Депардье в детективе "ВИДОК" 02.00 Гетц Отто в триллере "ЗАМОРОЖЕННЫЙ" 03.40 Крис Фарли в комедии "УВАЛЕНЬ ТОМ".

## შაბათი 11 დეკემბერი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30 მოამბე 08.15 მხ. ფილმი „ხაფანგი„ (U) მე-2ს. 09.20 იმღერე რამე 09.50 საცირკო სანახაობა 11.00 მხიარული კარუსელი 11.30 საქართველო არის ესე 12.10 მხ. ფილმი „ნაზი კანი„ 14.10 დოკ. ფილმი "ხეები" 16.00 მხ. ფილმი „მსუქნებს შეუძლიათ ჩაენერონ" 17.00 დოკ. ფილმი „ამერიკული კინო" 18.00 ვესტნიკი 18.40 „იმღერე რამე" 19.05 „ტელეზღაპარი" 19.20 „დრო და ადამიანები" - შვეიცარი 19.40 „ეთნოგრაფიული ჩანახატი" 20.35 მუს. ოქტაგონი - ჯ. სეფიაშვილი 21.25 სალამის საუბარი 22.10 სპექტაკლი „სტელა და ავი სული" 00.45 მხ. ფილმი „მოკვეთილი" (U)

19.00 საცირკო სანახაობა 19.50 საქართველო არის ესე 20.15 დოკ. ფილმი „კათედრალური ტაძრები" 21.10 „იმღერე რამე" 21.30 ფრაგმენტები სურათისთვის 22.00 „ეთნოგრაფიული ჩანახატი" 22.15 ასე ვცხოვრობთ 22.35 მხ. ფილმი „ლაზარე„ (U)

08.00 კლასიკა 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 „ჯეტიქსი" 11.00 სერიალი „დაკარგული ქალაქის მაძიებლები" 12.20 „გაილიმეთ ფარული კამერაა" 12.50 მხ. ფილმი "ბორსალინო და კომპანია„ (U) 15.20 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" 17.00 სერიალი „ვიდრე ხვალ" 18.00, 21.00, 01.00 კურიერი 18.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.15 მხ. ფილმი „ეის ვენტურა" 22.00 „ფსიქო"— მხ. ფილმი „ჩაშხამებული აპრილი„. რეჟ. ვალტერ სალესი. 01.20 მხ. ფილმი „მეომარი„ (18).

08.50 ანიმაციური ფილმი „პრინცესას სასახლე" 09.50 მხ. ფილმი „მაღალი ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმლებით" (U) 11.20 „რაო, რაო?„ 11.30 „იმედითა შენითა" 11.45 „კლიპ-ლოტო" 12.40, 16.15, 02.40 ტვ-მარკეტი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15, 02.30 ქრონიკა 13.15 მხ. ფილმი „სუნამო" (U) 15.15 უცნობი საქართველო 15.45 წუთისოფელში 16.30 „ნბა"-ს ჟურნალი 17.10 დოკ. სერიალი „მშვიდობით მე-20 საუკუნევ" 18.05 „პირველი ნაბიჯი" 19.30 ვაკაჭი-ნიუსი 20.05 მხ. ფილმი „რეალური სიყვარული" (U) (ჰ. გრანტი) 22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 00.20 „ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად„ 01.35 სერიალი „ნეშ ბრიჯესი" 03.10 იმედის მელოდიები

09.00 მუსიკა მზეზე 09.30 მულტსერიალი „რედვოლი" 10.00 საბ. სერიალი „ოდისეა" 10.30 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„ 11.30 შემეცნებითი პროგრამა „ექსტრემალური ამბები" 12.30 ტელეჟურნალი „სცენა„ 13.00 სერიალი „კარაბინერები" 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.15 მხ. ფილმი "დისნეული„ (U) 16.15 მუსიკა მზეზე 16.30 შემეცნ. გასართ. პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი" 17.20 „ფარული კამერა„ 17.50 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„ 18.50 „ჯეოსტარი„ 19.00 სერიალი „კარაბინერები" 20.30 მუსიკ. კონკურსი „ჯეოსტარი„ 22.00 მხ. ფილმი „იტალიური დამწყებთათვის„ (12) (ანდერს ბერთელსენი) 00.00 ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი.

18.00 მხ. ფილმი „სამი მამაკაცი და ჩვილი" (U) 19.40 დოკ. ფილმი 20.30 სილუეტი 21.30 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „ჩემი ქალიშვილის ტოლი„ (12)

15.00 მხ. ფილმი „დიდი ზომა" (U) 17.00 ქართული მუსიკა 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 19.20 „ცნობილი ადამიანების უცნობი წლები" 19.40 „სანინდარი" 21.30 მხ. ფილმი „მეტრო" (U) 23.00 გადაცემა „კალმახები" 23.30, 00.30 ქართული მუსიკა

09.00 საინფ. დაიჯესტი 09.20 მხ. ფილმი „იაზონი და არგონავტები„ 11.00 „გადარჩენილი სიტყვა„ 11.30 მუსიკა 11.45 „სტარტი„ (განმ.) 12.15 კომედია „ჩარლის ანგელოზები„ 14.05 დრამა „თოჯინები„ 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 16.15 მულტფილმი 17.20 „ჟიტა-ჟიტა„ 17.45 თრილერი „ძარცვა„ 19.35 დოკ. ფილმი 21.00 მხ. ფილმი „დიდი ცუდი სიყვარული„ 23.00 მიუზიკლი „ევიტა„

06.00, 10.00, 12.00, 18.00 НОВОСТИ. 06.10 МУЛЬТСЕРИАЛ "КОШКИ-МЫШКИ". 06.30 БОРИС ЩЕРБАКОВ В БОЕВИКЕ "ВЫКУП". 08.20 ИГРАЙ, ГАРМОНЬ ЛЮБИМАЯ! 09.00 СЛОВО ПАСТЫРЯ. 09.10 ЗДОРОВЬЕ. 10.20 "СМАК" 10.30 "ЛЮБОВНЫЕ ИСТОРИИ". ИГОРЬ БОЧКИН. 11.10 ДОК. ФИЛЬМ "РОМАНЫ МАТИЛЬДЫ КШЕСИНСКОЙ". 12.20 ИСТОРИЯ С ГЕОГРАФИЕЙ "УКРОТИТЕЛИ КРОКОДИЛОВ". 13.10 ДИСНЕЙ-КЛУБ: "ПРИКЛЮЧЕНИЯ МИКИ И ДОНАЛЬДА". 13.40 ПИТЕР О'ТУЛ В ФИЛЬМЕ "ТРЮКАЧ". 16.10 ФИНАЛ "КВН-2004". ПРЕМЬЕР-ЛИГА. 17.50 ЗОЛОТЫЕ ГОДЫ МИККИ МАУСА. ВПЕРВЫЕ В РОССИИ. 18.10 КРИМИНАЛЬНАЯ РОССИЯ. "ПРЕДЪЯВИТЕ ВАЛЮТУ". 1-Я С. 18.40 "НОВЫЕ ПЕСНИ О ГЛАВНОМ". 20.00 "КТО ХОЧЕТ СТАТЬ МИЛЛИОНЕРОМ?". 21.00 ВРЕМЯ. 21.20 "ПОСЛЕДНИЙ ГЕРОЙ". СУПЕРИГРА. 22.30 "ЗОЛОТОЙ ГРАММОФОН". 23.30 КУРТ РАССЕЛ В БОЕВИКЕ "ПОБЕГ ИЗ ЛОС-АНДЖЕЛЕСА" 01.30 ЖАН РЕНО В КОМЕДИИ "МЕЧТА РОЗАННЫ" 03.20 МАЙКЛ КИТОН В ФИЛЬМЕ "ГАЗЕТА"

## კვირა 12 დეკემბერი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.45 მოამბე 08.15 მხ. ფილმი „მოკვეთილი" (U) 10.00 იმღერე რამე 10.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 11.00 მრავალჟამიერ 11.30 სპა 12.15 მხ. ფილმი „ინდორინეთის თოვლი„ 13.10 დოკ. ფილმი „ექსცენტრიკოსები„ 14.00 კალათბურთი. „ავიამშენი„ — „სტუ„ შესვენებისას „მოამბე„ 15.40 სპექტაკლი „ვარიაციები თანამედროვე თემაზე„ 17.20 დოკ. ფილმი „პროვანსი და მხატვრები" 17.45 ქართ. ფოლკლორის ფესტივალი 18.00 დოკ. ფილმი „ჟან რენო„ 18.55 „იმღერე რამე" 19.25 „მთავარ როლში" - დ. დოიაშვილი 20.35 „ჩემი მშვენიერი ლედი" 20.55 სატ. კინოდარბაზი 22.00 ტელოტო 22.45 კონცერტი - ტრიო „სიმი„ 00.55 მხ. ფილმი „ნათლისღება„ (U)

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 20.00 მუს. ოქტაგონი 20.50 სპექტაკლი „ვარიაციები თანამედროვე თემაზე„ 22.25 „იმღერე რამე" 22.55 მხ. ფილმი „წუთისოფელი" (U)

08.00 კლასიკა 09.00, 12.00, 15.00, 00.10 კურიერი 09.20 „ჯეტიქსი" 11.00 სერიალი „დაკარგული ქალაქის მაძიებლები" 12.20 დოკ. ფილმი „ლმერთი ჩვენს ცნობიერებაში„ (ბი-ბი-სი) 12.50 მხ. ფილმი „შხამი ანუ მოწამლულთა მსოფლიო ისტორია" (U) 15.20 მხ. ფილმი „გოგონა მარგალიტის საყურით" (U) 17.00 სერიალი „ვიდრე ხვალ" 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 18.20 პატრული — დაიჯესტი 18.35 მხ. ფილმი „ანგელოზსა და ეშმაკს შორის„. მთ. რ-ში: ჟერარ დეპარდიე 22.00 60 წუთი 22.20 ჯეოსელის გათამაშება 23.00 „გაიღიმეთ ფარული კამერაა" 23.40 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „მეომრის ბილიკი„ 877 45-79-25 ალეკ ბოლდუინი, დონალდ საზერლენდი (U), „ვულკანი„ 877 45-79-26 ენ ჰეში, ტომი ლი ჯონსი, კრისტოფერ ლლოიდი (18) "პირდაპირი მოქმედება„ (18) 877 45-79-27 დოლფ ლუნდგრენი, პოლი შენონი (18). 02.00 პატრული-დაიჯესტი 02.30 მხ. ფილმი „კელის ბანდა„ (18).

09.00 ანიმაციური ფილმი „ფიფქია" 1-26. 10.00 მხ. ფილმი „მაღალი ქერა მამაკაცის დაბრუნება" (U) 11.00, 01.55 იმედის მელოდიები 11.20 „რაო, რაო?„ 11.30 12 პლუსი 11.45 „დილის ფოსტა" 12.40, 13.15, 01.25 ტვ-მარკეტი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 23.15, 01.15 ქრონიკა 13.30 ქართ. მხ. ფილმი „ქალაქი ანარა" (U) 15.15 „ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად„ 16.30 სპ. პროგრამა „ასი" 17.10 დოკ. სერიალი „მშვიდობით მე-20 საუკუნევ„ 18.05 „ერთხელ ჰოლივუდში" 18.20 „არტ-ბულვარი" 19.30 პოლიციის აკადემია 20.00 სერიალი „ჯერ შეიცადეთ" (რეჟ. პ. მილორავა) 21.00 „დროება" 22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 00.20 სერიალი „ნეშ ბრიჯესი"

09.00 მუსიკა მზეზე 09.30 მულტსერიალი „რედვოლი" 10.00 საბ. სერიალი „ოდისეა" 10.30 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„ 11.30 საბ. პროგრამა „ეტალონი" 12.30 შემეცნებითი-გასართობი პროგრამა „ფოკუსის ისტორია" 13.00 სერიალი „კარაბინერები" 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.15 მუს. კონკურსი „ჯეოსტარი„ 16.15 მუსიკა მზეზე 16.30 ტელეჟურნალი „მოდა" 17.20 „ფარული კამერა„ 17.50 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„ 18.50 მუსიკა მზეზე 19.00 სერიალი „კარაბინერები" 20.30 კრიმ. დრამა „ტაქსის მძღოლი" 21.30 ტელე- [illegible]

18.00 მხ. ფილმი [illegible] (U) 19.30 დოკ. ფილმი 20.30 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი [illegible] (15)

14.00 „მზერა" 15.00 მხ. ფილმი „მეტრო" (U) 17.00 [illegible] 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" [illegible] „ინკოგნიტო" [illegible] 23.00 [illegible]

09.00 [illegible]

ОРТ 12 06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. 06.10 Анатолий Папанов в фильме "НАШ ДОМ". 08.10 Владимир Коренев в фильме "ЧЕЛОВЕК-АМФИБИЯ". 10.10 "Новые русские бабки". 11.00 ЮРИЙ АНТОНОВ, ВАЛЕНТИНА ТОЛКУНОВА В УТРЕННЕМ КОНЦЕРТЕ. 12.10 Леонид Ярмольник в комедии "ПЕРЕКРЕСТОК". 14.20 "Умницы и умники". 15.10 Нонна Мордюкова в фильме "СЕМЬЯ ИВАНОВЫХ". 17.00 ОЛЕГ ГАЗМАНОВ, ВАЛЕРИЯ В ПРАЗДНИЧНОМ КОНЦЕРТЕ. 18.10 ПРОДОЛЖЕНИЕ ПРАЗДНИЧНОГО КОНЦЕРТА 19.00 "Кривое зеркало". 21.00 Время. 21.20 Игорь Петренко в мелодраме "ВОДИТЕЛЬ ДЛЯ ВЕРЫ". 23.30 Бокс. Виталий Кличко - Дэнни Уильямс. 00.30 Суперчеловек. "Мужчина и женщина". Фильм 1-й. 01.35 Чак Норрис в боевике "ОТРЯД "ДЕЛЬТА": КОЛУМБИЙСКИЙ СВЯЗНОЙ". 03.35 Дэвид Карузо в триллере "ШЛЮХА" 05.10 Док. фильм "Гуру - воин".

ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მაქვს უცნაური ჩვევა: ღამღამობით მეღვიძება და გავრბივარ სამზარეულოში საჭმელად. რატომ მემართება ასეთი რამ?**

***ლეილა ვ.***

ღამღამობით მადის აღძვრის მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს. მაგალითად, თუ ადამიანს წყლულოვანი დაავადება ან გასტრიტი აქვს, მას ჭარბად გამოუმუშავდება კუჭის წვენი. დღის ნებისმიერ მონაკვეთში მისი ნეიტრალიზაციისთვის ორგანიზმს საკვები სჭირდება. თუ ამ მიზეზების გამო გრძნობთ ღამით შიმშილს, შეგიძლიათ ცოტა ჭამოთ, მაგრამ დანაყრებას არ გირჩევთ. იგივე შეიძლება ითქვას შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებზე. ზოგჯერ ღამით სამზარეულოში სირბილი გადატანილ სტრესს უკავშირდება ხოლმე — ადამიანი ამგვარად ცდილობს თავისი განცდების ჩახშობას. თუ არავითარი დაავადება არ გაწუხებთ, მაშინ უნდა ეცადოთ, თანდათანობით გადააჩვიოთ მადა ღამით გააქტიურებას. ამისთვის კარგად ივახშმეთ საღამოს 7-8 საათზე, რათა ერთგვარი ღამის მარაგი შეიქმნათ. თუ გვიან ღამით კიდევ მოგშივდებათ, დალიეთ ერთი ჭიქა მაწონი ან ჭამეთ ვაშლი. დაიცავით კვების რეჟიმი და თანდათანობით მიეჩვიეთ დღეში 3-ჯერად კვებას. ჭამიდან ჭამამდე კიდევ შეგიძლიათ მცირე რაოდენობით საკვების მიღება. მაშინ დღის განმავლობაში კუჭი კარგად იმუშავებს და აღარ მოგთხოვთ ღამის საათებში შევსებას.

**ჩემს მეუღლეს აღმოაჩნდა აორტის კოარქტაცია. მაინტერესებს, გადაეცემა თუ არა ეს დაავადება მემკვიდრულად.**

***მაია***

აორტის კოარქტაცია აორტის თანდაყოლილი შევიწროებაა, ზოგჯერ მისი სანათურის სრულ დახურვამდე. აორტის კოარქტაციის მემკვიდრულად გადაცემის შემთხვევები ცნობილია. მკურნალობის ერთადერთი რადიკალური მეთოდი ოპერაციული მკურნალობაა (აორტის დაზიანებული უბნის შეცვლა პროთეზით), რომელიც აუმჯობესებს ავადმყოფის მდგომარეობას. ოპერაციის შემდეგ პაციენტთა 95%-ს უწესრიგდება არტერიული წნევა და დაავადების პროგნოზიც საიმედო ხდება.

**ვარ 23 წლის მამაკაცი. ამ ბოლო ხანს ძილის დროს საშინელ წვას ვგრძნობ სხეულის რომელიღაც ადგილას. თითქოს სიზმარში ვარ, მაგრამ გამეღვიძება და მართლა მაქვს დამწვარი. დროთა განმავლობაში ძლივს ვიშუშებ. რა არის ეს და რით შემიძლია მისი თავიდან აცილება ან მკურნალობა?**

***პატივისცემით ზაზა ო.***

მკითხველის მიერ აღწერილი სურათი ძალიან ჰგავს ჰერპესის კლინიკას. უფრო ზუსტი დიაგნოზის დასმა, რა თქმა უნდა, კანის დაზიანებული უბნის დათვალიერების და საჭირო გამოკვლევის შემდეგ შეიძლება.

ჰერპესული ინფექცია ვირუსული პათოლოგიაა. ჰერპეს-ვირუსის გააქტიურებას ორგანიზმში იმუნიტეტის დაქვეითება, მეტისმეტი გადაღლა და გამოფიტვა იწვევს. ამიტომ ამ პათოლოგიის მკურნალობა ანტივირუსული საშუალებების (აბებისა და საცხების სახით) დანიშვნასთან ერთად, იმუნიტეტის მასტიმულირებელი, ანტიალერგიული, ვიტამინური პრეპარატების დანიშვნასაც გულისხმობს.

ჰერპესის მკურნალობას ნევროლოგი ნიშნავს.

## კარაბადინი

**ერთხელ სოფელში სკას ავხადე თავი. ფუტკრების დიდი გუნდი ჩემს ფეხებთან დაეცა, ფეხზე არაფერი მეცვა და ძალიან დამკბინეს. ფეხები დამისივდა, მაგრამ ამის შემდეგ ჩემთვის სასიკეთო ცვლილებები მოხდა — დაკბენამდე ძალიან მაწუხებდა სახსრები, მუხლები მტკიოდა, დაკბენის შემდეგ კი ყველაფერმა გამიარა და თავს მშვენივრად ვგრძნობ. როგორ შეიძლება აიხსნას ეს ყველაფერი?**

***ერთგული მკითხველი***

ექიმის კომენტარი: ფუტკრის ყველანაირი პროდუქტი რომ უნიკალური სამკურნალო ეფექტებით ხასიათდება, ჩვენმა მკითხველმა იცის. ასევე გამოიყენება აპითერაპიაში (თაფლით მკურნალობა) ფუტკრის შხამი, როგორც საკმაოდ ეფექტიანი სამკურნალო საშუალება. მას ანთების საწინააღმდეგო, ქსოვილოვანი ცვლის მომაწესრიგებელი, რეგენერაციული თვისებები აქვს. ასე რომ, თქვენს მიერ აღწერილი შემთხვევა ფუტკრის შხამის სამკურნალო ეფექტთანაა დაკავშირებული.

მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ მკურნალობის ასეთი მეთოდი გართულებასაც იწვევს, თუ ადამიანი ალერგიულია. მრავალჯერადმა ნაკბენმა შეიძლება ანაფილაქსიური შოკიც კი გამოიწვიოს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## თვითმკურნალობის ხელოვნება



არატრადიციულ მედიცინაში მომუშავე ექიმებისა და მკურნალების მიერ დღეისათვის შექმნილია ორგანიზმის წიდებისაგან გაწმენდისა და ჯანმრთელობის აღდგენის მთელი რიგი სისტემა, გთავაზობთ მათ მიერ შემუშავებულ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სამკურნალო რეცეპტებს:

**1**. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალურად მუშაობისთვის და მიკროფლორის აღსადგენად 3 ლ მაწონს დაამატეთ 1 ჩ/ჭ შაქარი, 1 ჩ/კ არაჟანი და 1 ჭიქა ქრისტესისხლა (რომელიც ჩაყრილია პარკში სიმძიმით, რათა ზევით არ ამოტივტივდეს), გააჩერეთ 2 კვირა ოთახის ტემპერატურაზე, შემდეგ ქრისტესისხლა ამოიღეთ და გადააგდეთ. რაც დარჩა გაწურეთ, ხის კოვზით კარგად მოურიეთ და 100 მლ მაწონი მიიღეთ დღეში 2-ჯერ ჭამამდე. დანარჩენი შეინახეთ მაცივარში, საღამოს 1 ჭ წყალს შეურიეთ 1 ს/კ შაქარი, დაამატეთ დარჩენილ ნარევს და დალიეთ ისევ 100მლ. ასე გაიმეორეთ 5 დღის განმავლობაში, ბოლოს კი დარჩენილი ხსნარი დალიეთ ბოლომდე. დასაწყისში მუცელი აბუყბუყდება, შემდეგ კი თანდათანობით მოწესრიგდება ნაწლავების მუშაობა.

**2**. ნაწლავების ფლორის ნორმალიზებას, რომელიც ლპობის გამომწვევი მიკრობების გამო ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, ემსახურება რძისმჟავა პროდუქტები. რძისმჟავა არა მარტო ასტიმულირებს კუჭის, ნაწლავების, ჯირკვლების სეკრეციას, არამედ ამარაგებს ორგანიზმს ფერმენტებით, მიკროელემენტებით, ვიტამინებით. მაგალითად, შრატში, რომელიც ძალიან ცოტა ცილას შეიცავს, შენარჩუნებულია ყველა ის შეუცვლელი ამინომჟავა, რომლებიც ხელს უწყობს ღვიძლის რეგენერაციას, ჰემოგლობინისა და სისხლის პლაზმის წარმოქმნას. დო შეიცავს რძისმჟავას ყველა პროდუქტის დადებით თვისებას და განსაკუთრებით სასარგებლოა ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის, შაქრიანი დიაბეტისა და გასუქების დროს.

**3**. დისბაქტერიოზის დროს: შეურიეთ ერთმანეთს თითო-თითო ს/კ გვირილა, ნეგო (უკვდავა), ფარსმანდუკი, სიმინდის თმა, პიტნა, სამყურა, კატაბალახას ფესვები, 0,5 ს/კ ხეჭრელის ფესვები და კამის თესლი, 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი, თავდახურულ ჭურჭელში 3-5 წუთი ადუღეთ. შეფუთეთ და 10-12 საათი გააჩერეთ. მიიღეთ 3 თვე 1 ს/კ შემთბარი ნახარში 3-ჯერ დღეში, ჭამიდან 30 წუთის შემდეგ.

**4**. ორგანიზმის წიდებისგან გაწმენდის ბრწყინვალე ხერხია:

1 ს/კ მცენარეულ ზეთს დაამატეთ 3-5 წვეთი ლიმონის წვენი (ან შტოშის, ან მოცხარის) და გაწუწნეთ 15-20 წუთი, როგორც კანფეტი, არავითარ შემთხვევაში არ გადაყლაპოთ ზეთი. თავდაპირველად ის შესქელდება, შემდეგ კი გათეთრდება, როგორც რძე და გადმოაფურთხეთ, რადგან ის უკვე ინფიცირებულია.

პერიოდულად გაიმეორეთ ეს პროცედურა.

**5**. ოსტეოქონდროზის დროს — 1 ვედრო თბილ წყალს დაამატეთ 1 ჩ/კ შაბიამანი, 100-150გ სამზარეულოს ან ზღვის მარილი. ასეთი შემადგენლობით 5-6 ვედრო წყალი ჩაასხით აბაზანაში. ჩაწექით და 30-40 წუთის შემდეგ ამოდით აბაზანიდან, არ შეიმშრალოთ, შემოიხვიეთ ზეწარი და 1 საათის შემდეგ გადაივლეთ უსაპნოდ თბილი წყალი. ჩაიტარეთ 7-10 პროცედურა.

***ტაინაია ვლასტ №17***

## ვირუსების საშემოდგომო „მარათონი“



გაციება ზამთარში ჩვეული მოვლენაა. ვირუსების ყოველ სეზონზე გვიჩნდება კითხვა — როგორ გავიმაგროთ იმუნიტეტი და დროზე მოვერიოთ დაუნდობელ ვირუსს.

გაციებასთან საბრძოლველად გვეხმარება სპეციალური უჯრედები (მაკროფაგები, ლეიკოციტები და ლიმფოციტები). დამცავი ანტისხეულები და ინტერფერონი. მიკრობების შეტევაზე ორგანიზმი რეაგირებს სხეულის ტემპერატურის მომატებით. ესეც დამცავი საშუალებაა — ცხელ „კლიმატში“ მიკრობებს ხომ უჭირთ გამრავლება. ამიტომ ტემპერატურის ჩამოგდება საჭიროა მაშინ, თუ ტემპერატურა 38,5 გრადუსს გადააჭარბებს. იგრძნობთ თუ არა გაციების პირველ სიმპტომებს, საკვების მიღების შემდეგ მიიღეთ 2 გრ ვიტამინი C, 200 მგ პანტოტენის მჟავა და 30 მლგ ვიტამინი $B_6$. ვიტამინებით შეტევა გაიმეორეთ 3 საათის შემდეგ, ხოლო მერე ყოველ 2 საათში ერთხელ მიიღეთ ნახევარი დოზა. მეორე დღეს გაამაგრეთ ეფექტი, მიიღეთ დღეში 3-ჯერ 1გ ვიტამინი C, 100 მლგ პანტოტენის მჟავა და 10 მლგ $B_6$ ვიტამინი. მომდევნო 3-4 დღე მიიღეთ 2 აბი კომპლექსური ვიტამინები.

გაციების დროს უნდა მიიღოთ რაც შეიძლება ბევრი სითხე — 6 ჭიქა დღე-ღამეში, ამის გარდა, ცხელ-ცხელი რძე თითო ჭიქა ყოველ 2 საათში ერთხელ. როცა ტემპერატურა დაიწევს 37-37,5$^0$C-მდე, სითხე შეამცირეთ დღეში 4 ჭიქამდე. სასარგებლოა ლიმონიანი ჩაის დალევა, უებარია აგრეთვე ფორთოხლის წვენი, ბალახის ჩაი და პიტნის ჩაი.

თუ გაციებას თან სდევს ხველა — გაიკეთეთ ინჰალაცია ბალახეულით: 10 წუთი დღეში 2-3-ჯერ.

***ზდოროვიე***




# იცით თუ არა, რომ

...ცივ და ყინვიან დღეებში სრულფასოვნად უნდა იკვებოთ. დახარჯული ენერგიის აღსადგენად რაციონში ჩართეთ ცილები და ნახშირწყლები, არ დაგავიწყდეთ ვიტამინები, რომლებიც ეხმარება ორგანიზმს სიცივესთან გამკლავებაში.

...ყინვაში, დიდი ფიზიკური დატვირთვის, თხილამურებითა და ციგურებით სრიალის წინ — არ დალიოთ მაგარი ყავა, არ ჭამოთ მარილიანი, რადგან წნევას ამაღლებს, არ მიიღოთ ალკოჰოლური სასმელები.

...ძალიან სასარგებლოა თვითმასაჟი. თუ გაიყინეთ, 2 წუთის მანძილზე დაიზილეთ ხელები და ტერფები, ამ დროს სწრაფად აღდგება სისხლის მოძრაობა.

...თუ ძალ-ღონის დაკარგვას გრძნობთ და გსურთ აიმაღლოთ ტონუსი, რომელიმე არომატული ზეთის რამდენიმე წვეთი შეურიეთ 1 ჩ/კ წყალს და ისუნთქეთ. მატონიზებელი თვისებები აქვს ფორთოხლის, სოჭის, როზმარინის, ვარდის, ღვიის ზეთებს.

*ლიზა №48*

# მიირთვათ კვერცხის ნაჭუჭი

ქათმის კვერცხის ნაჭუჭი შედგება კალციუმის კარბონატისგან (90%), რომელსაც ორგანიზმი სწრაფად ითვისებს. თანაც შეიცავს ორგანიზმისათვის ყველა აუცილებელ მიკროელემენტებს: ფტორს, რკინას, მანგანუმს, მოლიბდენს, ფოსფორს, თუთიას და კიდევ 27 ელემენტს. განსაკუთრებით სასარგებლოა ქათმის კვერცხის ნაჭუჭი პატარა ბავშვებისათვის (1 წლიდან დაწყებული). მათ ორგანიზმში ძვლოვანი ქსოვილის წარმოქმნის პროცესები განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს და ამიტომ ორგანიზმი ითხოვს დიდი რაოდენობით კალციუმს. თუ დაფქულ ნაჭუჭს შეურევთ ბავშვის საკვებში, ხელს შეუშლით რაქიტისა და ანემიის განვითარებას.

*ჟენსკიე სეკრეტი*


გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად



შეიძინეთ!!!
• აპარატები
• ტესტ-ჩხირები
• ერთჯერადი ნემსები
• ავტომატური საჩხვლეტი
• კარდიოლოგიური ფონენდოსკოპი

შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55



ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს

პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ გააჩნია, პოტენციის დაქვეითებას, ქლამიდიოზს, ტრიქომონადულ და სხვა უროგენიტალიურ ინფექციებს. დიაგნოსტიკა, ექოსკოპია თანამედროვე იაპონური აპარატურით.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10
სამკ. პროფ. ცენტრი ☎ 8(93) 31 42 35



ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება:



სქოლიოზი, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტები, კიფოზი, ნევროზი, შიშები, შაკიკი, პოსტ-ინსულტური დამბლა, არითმია, ტკივილები გულის არეში, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t=37,2°C), სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება.



კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა.
მის: მ. „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18
ანატოლი შავიძე ☎ 61-65-03; 893-20-68-21



იმუნოთერაპიის და ქიმიოთერაპიის კლინიკაში „მედულა“ პროფესორ გია ციხისელის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს საერთაშორისო კლინიკური კვლევა – სარძევე ჯირკვლის სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა ქიმიოთერაპიული მკურნალობა. შერჩეულ პაციენტთა მკურნალობა უფასოა.

მის: ჭავჭავაძის 33, მე-9 საავადმყოფოს ტერიტორია
☎ 22-57-16



N19
ოჯახის მკურნალი
სამედიცინო ჟურნალი
ფასი 70 თ.

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



სწრაფად და შესანიშნავი შედეგებით!
რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწალისებური და ქათმისებური გულმკერდი, ბრტყელტერფიანობა, სიმაღლეში ზრდა



იკურნება ეს პათოლოგიები ცნობილ მანუალურ თერაპევტ — ექიმ სოსო ფირცხალაიშვილთან: მანუალური თერაპიის მოდერნიზებული მეთოდი. სარტყელი „სწორდი“ — მოდუნებული კუნთების ტონუსში მოყვანა, ტანის გასწორება. „უნივერსალური ტახტი“ — ტოტალური და მიმართული (სეგმენტური) გაჭიმვა. სპეცტრენაჟორი „ოქროს ღერძი“, მოძრაობის კოორდინაციის აღსადგენად და სხვ. კონსულტაცია უფასოა!!!

მობრძანდით კერძო კლინიკაში 10-20 სთ. შემდეგ მისამართზე: მარჯანიშვილის მოედანი, ალმაშენებლის 90/84 I სად, II სართ. ბინა 2.
ტელ: 95-47-67; 899-26-51-08 75-06-14 (საღამოს)


# სახსრების ანთება

**გთხოვთ გვესაუბროთ რევმატული დაავადებებისა და სახსრების ანთების შესახებ**

*ლ. ლებანიძე, ქ. თბილისი*

მოსახლეობის უმრავლესობისთვის რევმატიული დაავადებები მხოლოდ სამი სახითაა ცნობილი: სახსრების ანთება (პოლიართრიტი), რევმატიზმი და მარილების დაგროვება (ოსტეოართროზი). არადა დღეისათვის 160-მდე რევმატიული დაავადება და სინდრომია აღწერილი და თითოეული მათგანი სახსრების სხვადასხვაგვარი დაზიანებით მიმდინარეობს.

პოლიართრიტი ანუ სახსრების ანთება რევმატიული დაავადებების 40-50%-ში ვითარდება. რევმატოლოგია სწავლობს შემაერთებელი ქსოვილის დაზიანებას. მისი მთავარი კლინიკური გამოვლინება კი სახსროვანი სინდრომია. სახსარში შესაძლოა განვითარდეს ანთებითი ან არაანთებითი (დეგენერაციული, მაგ., ოსტეოართროზი — „მარილების დაგროვება“) პროცესი. როდესაც ანთება რამდენიმე სახსარში ვითარდება, ეს უკვე პოლიართრიტია.

სტატისტიკური კვლევების მიხედვით საქართველოში ქალაქის მოსახლეობის 12%-ს ძირითადი 5 რევმატიული დაავადებიდან ერთ-ერთი აღენიშნება — ეს დაავადებებია:

რევმატიზმი, რევმატიული პოლიართრიტი, მაანკილოზებელი სპონდილოართრიტი, ოსტეოართროზი, პოდაგრა. რევმატიული დაავადებები განსაკუთრებით პერიფერიებში — სოფლებშია კონცენტრირებული (20%), რაც ძლიერ ფიზიკურ დატვირთვას, საყოფაცხოვრებო პირობებს უკავშირდება.

ზოგიერთი დაავადება უმეტესად ქალებში ვითარდება — რევმატოიდული ართრიტი, ზოგი კი, ძირითადად, მამაკაცებში — ბეხტერევის დაავადება.

პოლიართრიტის გამოვლინებები: ტკივილი — პოლიართრიტი შესაძლოა სხვადასხვა სიმპტომით გამოვლინდეს, ყველაზე ხშირად მასზე ტკივილი მიგვანიშნებს. სახსრების რევმატიულ ანთებას ტკივილის თავისებური რიტმი აქვს. ძირითადად ისინი ნაშუაღამევს იწყება, ძლიერდება და დილით კულმინაციას აღწევს. ტკივილი დიდხანს, დღეების განმავლობაში გრძელდება, უმეტესად მკურნალობის გარეშე არც გაივლის, თუმცა დღე-ღამის განმავლობაში ინტენსივობას იცვლის.

შებოჭილობა: ზოგჯერ დილის საათებში ტკივილს შებოჭილობაც ერთვის, ეს სიმპტომი სხვა რევმატიულ დაავადებებსაც ახასიათებთ.

დეფორმაცია: რევმატიულ დაავადებებს სახსრების მრავალფეროვანი დაზიანება ახასიათებს, ხდება სახსრის ფორმის შეცვლა, მისი შესივება, სახსრების გარდა პროცესში რბილი ქსოვილების, მყესების, იოგების, კუნთების ჩართვა. სახსრების ყველაზე მკვეთრი დეფორმაცია კვლავ რევმატოიდული ართრიტისთვისაა დამახასიათებელი.

მოძრაობის შეზღუდვა: ტკივილი და რბილი ქსოვილების შესივება-შეშუპება, მოცულობაში მატება სახსრების მოძრაობის უნარსაც ამცირებს.

რევმატიზმი: პოლიართრიტი ახასიათებს რევმატიზმს, თუმცა ამ დროს ტკივილი მსხვილ სახსრებში ვითარდება და გარდამავალი ხასიათისაა, „მფრინავი“.

სისტემური დაავადებები: სახსრების დაზიანება სისტემურ დაავადებებსაც ახლავს (მაგ., სისტემური წითელი მგლურას და სისტემურ სკლეროდერმიას).

არარევმატიული პოლიართრიტი: პოლიართრიტი შეიძლება განვითარდეს ენდოკრინული (შაქრიანი დიაბეტის), ნევროლოგიური, ალერგიული დაავადებებისას.



ამ დროს დიაგნოზის დასმა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან არარევმატული ართრიტის დროს ძირითად დაავადებას უნდა ვუმკურნალოთ სხვა სპეციალისტებთან ერთად.

პოლიართრიტის კლასიკური მაგალითია რევმატოიდული ართრიტიც.

ბეხტერევის დაავადება: ძირითადად ხერხემლის სვეტის დაზიანებით მიმდინარეობს. ხერხემალი სახსართა ნაკრებია, ზიანდება მალთაშუა დისკები, მალთაშუა შესახსრებები, ხერხემლის მყესები და იოგები. შორს წასულ შემთხვევაში ხერხემალი უმოძრაოა, რენტგენოლოგიურადაც მას ბამბუკის ჯოხს ამსგავსებენ.

რეიტერის დაავადება: იგი საშარდე ან ნაწლავური ინფექციების გადატანის შემდეგ ვითარდება. დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ქლამიდიით განპირობებული ართრიტები.

რეიტერის დაავადებაზე მაშინაა ლაპარაკი, როდესაც ართრიტთან ერთად გამოხატულია თვალის ლორწოვანი გარსის ანთება, შარდსადენის ანთება, ზოგჯერ ამ ნიშნებს კანის ფსორიაზული ან გონორეული ტიპის გამონაყარიც ემატება. განსაკუთრებით ტერფის კანი ზიანდება.

ფსორიაზული ართრიტი: ამ დიაგნოზის დასმა ძალზე რთულია. ზოგჯერ პოლიართრიტი ვლინდება და ვითარდება ფსორიაზისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშნებით.

დიაგნოსტიკა: პოლიართრიტების გამიჯვნა კლინიკური ნიშნების მიხედვით ხდება. ყურადღება ექცევა ტკივილის ლოკალიზაციის, მისი აღმოცენების პერიოდებს, სახსრის დაზიანების სიმეტრიულობას თუ არასიმეტრიულობას და ა.შ.

ინფორმაციულობით მეორე ადგილს იკავებს რენგტენოლოგიური კვლევა, თვალსაჩინოდ ჩანს ძვლის სტრუქტურული ცვლილებები, ხრტილის განლევა, სახსრებშიდა ოსტეოართროზი, სასახსრე ნაპრალის შევიწროება, ძვლოვანი ეროზიების განვითარება, ძვლის განლევა და სხვა.

აუცილებელია ლაბორატორიული ტესტების ჩატარება, მაგ., რევმატოიდული ფაქტორის, სერომუკოიდის, ანტისტრეპტოლიზინის განსაზღვრა. პროცესების აქტიურობისთვის მნიშვნელოვანია C რეაქტიული ცილის რაოდენობა, ასევე ედს-ის მაჩვენებელი სისხლის საერთო ანალიზში. ამ მაჩვენებლებით და კლინიკური ნიშნებით ისაზღვრება ანთების აქტივობა.

თუ საეჭვოა ინფექციური დაავადებები, სისხლში ვიკვლევთ ბაქტერიების მიმართ გამომუშავებულ ანტისხეულებს, მათ ანტიგენებს.

მკურნალობა: იმის მიხედვით, თუ რა წარმოშობის პოლიართრიტთან გვაქვს საქმე, სხვადასხვა პრეპარატი ინიშნება. თუმცა ყველა შემთხვევაში გამოიყენება ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები.

პოლიართრიტის ე.წ. ბაზისური თერაპია მოქმედებს ძირითად პროცესზე. მკურნალობის ერთ-ერთი სახეა სახსრებშიდა ინიექციები. ამ დროს უშუალოდ სახსარში, ანთებითი სითხის გამოღების შემდეგ, შეჰყავთ გახანგრძლივებული მოქმედების კორტიკოსტეროიდები (კენალოგი, დიპროსვანი...). ერთ სახსარში 4-5 ინიექციაზე მეტის გაკეთება არ შეიძლება.

სიფრთხილეა საჭირო დიაბეტიან ავადმყოფებთან, ასევე ჩირქოვანი პროცესისას.

რევმატიული დაავადებების დროს ფართოდ გამოიყენება ფიზიოთერაპიული პროცედურები, ასევე მასაჟი და სამკურნალო ვარჯიში.

რევმატიული დაავადებები ახალგაზრდა ასაკში ვითარდება 40-50 წლამდე, თუმცა ზოგიერთი — 26-27 წლის ასაკში (სისტემური წითელი მგლურა). მკურნალობა კი მეტად ხანგრძლივია, ფაქტობრივად, გრძელდება მთელი სიცოცხლე და დიდი პროფესიონალიზმია საჭირო, რომ ზუსტად დაისვას დიაგნოზი, მკურნალობაც სწორად წარიმართოს, რათა პათოლოგიური პროცესი დადგინდეს და დროებით გამოჯანმრთელება (რემისია) მივიღოთ.

*მაია მუხიგული*

# რისი ეშინიათ თირკმლებს?

პიელონეფრიტი — თირკმლების ყველაზე გავრცელებული დაავადებაა, რომელიც დაავადებულთა 40%-ს უსიმპტომოდ აქვს. ადამიანი ვერც კი ხვდება, რომ მას ნელნელა ეშლება თირკმლის ქსოვილი, იღუპებიან მუშა უჯრედები — ნეფრონები... თირკმლები კი საპატიო და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჩვენს ორგანიზმში — მათ გამასუფთავებელი როლი აკისრიათ.

პიელონეფრიტის ნიშნებია: უხალისობა, სისუსტე. ტკივილი წელის არეში, ხშირი შარდვა, მსუბუქი ციება, სუბფებრილური ტემპერატურა — 37,2-37,3°... თუ სიცხემ აიწია 39°C-მდე, ეს ნიშნავს, რომ დაავადება გადავიდა მწვავე სტადიაში. ამ დროს აუცილებელია წოლითი რეჟიმი. სითბოსა და სიმშვიდეში თირკმლები უკეთ მარაგდება სისხლით, ადვილად იფილტრება შარდი. მკურნალობის ყველაზე კარგი ხალხური მეთოდია — ფართო შალის ქამრის გაკეთება თირკმლების მიდამოში, რომელსაც არც დღე მოიხსნით და არც ღამით. უნდა მიიღოთ ბევრი სითხე. არანაკლებ 2,5-3 ლ დღეში (თუ არ არის სერიოზული უკუჩვენება ამის მიმართ). თირკმლების საუკეთესო გამწმენდია შტოშისა და წითელი მოცვის წვენი, მწვანე ჩაი (მაგარი არა), ნეიტრალური მინერალური წყლები, კომპოტი (ნაკლებად ტკბილი), უნდა შეზღუდოთ ცხიმიანი, მწარე, ცხარე მარინადები, კონსერვები, მარილიანი, შებოლილი საკვები. ახლახან აღმოჩენილია კიდევ ერთი სასარგებლო პროდუქტი თირკმლებისთვის — ბოლოკი. ის ასევე შესანიშნავად ებრძვის გულის დაავადებებს, აძლიერებს იმუნურ სისტემას. ხელს უშლის შაქრიანი დიაბეტის განვითარებას. ეს პროდუქტი ანადგურებს მავნე მიკროორგანიზმებს თირკმლებში და ასუფთავებს შარდის გამომყოფ გზებს. თუ პიელონეფრიტმა მიიღო ქრონიკული ფორმა, მაშინ მკურნალობის ტაქტიკა უნდა შევცვალოთ. ინიშნება ანტიბაქტერიული თერაპიის კურსი — ვადა 3 კვირიდან — 1,5 თვემდე, შემდგომში პროფილაქტიკური კურსით. თვითმკურნალობა არ შეიძლება. ვისაც ცისტიტი აწუხებს, რეგულარულად უნდა გამოიკვლიოს თირკმლები...

*დომაშნი დოკტორ*

# ხალხური მედიცინა გვთავაზობს

**რევმატიზმის დროს** — წითელი მოცვის 10გ ფოთოლს დაასხათ 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და 3-5 წუთი ადუღეთ. გაწურეთ და მიიღეთ თბილი ნახარში. მოამზადეთ ნახარში დღეში 3-ჯერ. მკურნალობის კურსი განუსაზღვრელია.

**გასტრიტის დროს** — შეურიეთ ერთმანეთს 2-2 წილი ჭინჭარი, მრავალძარღვა და კრაზანა და 1 წილი ნეგოს ყვავილი. 3 ს/კ ნარევი ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 0,75 ლ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 3 საათი, გაწურეთ და მიიღეთ 1 ჭიქა 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 25 წუთით ადრე.

**შაკიკის დროს** — 1 ს/კ დაქუცმაცებულ კატაბალახას ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დადგით 15 წუთი ნელ ცეცხლზე, გადმოდგით და 10 წუთი გააჩერეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1 ს/კ თავის ტკივილის, უძილობის დროს და საერთოდ, პროფილაქტიკის მიზნით 1-2 კვირის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში მკურნალობის კურსი გაიმეორეთ ერთი კვირის შემდეგ. ბავშვებს მიეცით 1 ჩ/კ 3-ჯერ დღეში.

**ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად და კრიტიკულ დღეებში ტკივილების გასაყუჩებლად** — 10გ არყის ხის კვირტს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი და 5-10 წუთი ადუღეთ. გაწურეთ და მიიღეთ 1 ს/კ ნახარში 3-ჯერ დღეში.

*ოტდოხნი! №45*

# უშველის ბუში დოლარს?

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური რეზერვის თავკაცი ალან გრინსპენი პრეზიდენტ ბუშს ურჩევს, სასწრაფო ზომები მიიღოს დოლარის აქტიური ვარდნის შესაჩერებლად, რაც არა მხოლოდ შეერთებულ შტატებში, არამედ მსოფლიოს წამყვან ბირჟებზეც შეიმჩნევა. გრინსპენს არ სჯერა ვაშინგტონის მტკიცებისა — დოლარის ვარდნა მსოფლიოში ნავთობის ფასის ზრდასთან არის დაკავშირებულიო. მისი აზრით, ამ პროცესის „საიდუმლო“ ამერიკის შეერთებულ შტატებში იმალება. ამერიკული ფულადი ერთეულის აჩქარებული ვარდნის მიზეზია ამერიკის საგარეო ვაჭრობაში არსებული დეფიციტი, რომელმაც 500 მლრდ დოლარს მიაღწია, ამას ერთვის სამთავრობო ბიუჯეტის არნახული დეფიციტიც, რომელიც 415 მლრდ დოლარს შეადგენს. ამ მიზეზთა გამო უცხოეთის ბევრი ქვეყნის ცენტრალური ბანკი ცდილობს, თავიდან მოიშოროს დოლარი და თანხები უფრო მყარ ვალუტებს მიაბას. უცხოელი ინვესტორები ამავე საბაბით უარს აცხადებენ ამერიკულ ეკონომიკაში თანხების ინვესტირებისგან, რაც დეფიციტს კიდევ უფრო აღრმავებს. ამის კვალდაკვალ კი ბუშის მთავრობის მიერ საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების შეფარდება არათუ მცირდება, არამედ აქტიურად იზრდება, რაც, უპირველესად, ალან გრინსპენს აშფოთებს; ის ხომ ამერიკის მთავარი სიმბოლოს — დოლარის მთავარ მცველად ითვლება!

***ნიუზუიქი***

# დოიჩმარკა საშობაოდ ბრუნდება



ევროპის ბევრი ქვეყანა მისტირის სამი წლის წინ დაკარგულ თავის ეროვნულ ვალუტას ენატრებათ ფრანკი, პესეტი, კრონი, მარკა, შილინგი. განსაკუთრებით წუხან გერმანელები. ბევრ ეკონომიკურ დაბრკოლებას, რომელსაც ბოლო დროს შეეჯახნენ, მარკის გაუქმებას უკავშირებენ. მარკამ 2002 წლის 1-ელი იანვრიდან შეწყვიტა მიმოქცევა. ამის მიუხედავად, მარკის ევროზე გადაცვლა დღემდე შეიძლება რამდენიმე ბანკში, მაღაზიებში კი ფასი მითითებულია როგორც ევროთი, ასევე დოიჩმარკით.

ევროკავშირის ქვეყნების ფინანსთა მინისტრების შეხვედრის წინ, რომელზედაც განიხილავენ დოლარის მიმართ ევროს არასასურველი გამაგრების საკითხს, გერმანიაში მარკის დროებითი დაბრუნება გამოცხადდა. ბერლინი, ცხადია, უარს არ ამბობს ერთიან ევროპულ ვალუტაზე და არც ევროკავშირიდან აპირებს გამოსვლას, უბრალოდ, საშობაოდ, მსხვილი სავაჭრო ქსელის, C&A-ს 312 მაღაზიაში მარკით ყიდვა-გაყიდვას დაუშვებს. C&A-ს ხელმძღვანელობას ეს გადაწყვეტილება მარკის მონატრების გამო არ მიუღია, გერმანელები ანგარიშიანი ხალხია, თანაც, სხვებისგან განსხვავებით, ძალიან სჯერათ თავიანთი მთავრობისა, რომელმაც თავის დროზე გამოუცხადა, — ევროზე მარკის გადაცვლას დროით არ ვზღუდავთო. ამიტომ გერმანელები კისრის ტეხით არ გაქცეულან მარკების გადასაცვლელად. ექსპერტების აზრით, მოსახლეობას ხელზე დაახლოებით 15 მლრდ მარკა უნდა ჰქონდეს.

ასე რომ, C&A-ს მეპატრონეები საკუთარ მოგებაზე კი ფიქრობენ, მაგრამ არც მოსახლეობა რჩება დაზარალებული.

***მირ ნოვოსტეი***

# ზიაზიკოვს პრეზიდენტობა აღარ უნდა

ინგუშეთის პრეზიდენტმა მურატ ზიაზიკოვმა მოსკოვში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, — ქვეყანას მხოლოდ ერთი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს (ცხადია, ვლადიმირ პუტინს უქონავდა თავს!), ნაციონალურ რესპუბლიკებში პრეზიდენტობის ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს. სათავეში კი შეიძლება გუბერნატორი, ან უბრალოდ, თავკაცი იყოს. ჩემით დავიწყოთ. ინგუშეთის პრეზიდენტის ნაცვლად თავკაცი მიწოდეთო. მან ისიც თქვა, — აჯობებს, დასავლეთის რეაქციას ყურადღება ნაკლებად მივაქციოთ, ჩვენს საქმეს ჩვენვე მივხედოთ. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ საერთოდ ურიგო არ იქნებოდა გაგვეხსენებინა, რომ საბჭოთა წყობას ბევრი კარგიც ჰქონდაო.

ჩეჩნეთის სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელის, თაუს ჯაბრაილოვის ინიციატივას, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების გამსხვილების თაობაზე, ზიაზიკოვმა უაზრო უწოდა — ამას სასიკეთო არაფერი მოჰყვება. სჯობს, ჩვენ-ჩვენს რესპუბლიკებს მოვუაროთ, საზღვრები დავიცვათ, მაგრამ ერთმანეთში მეზობლობა არ მოვიშალოთო.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, რა მდგომარეობაა დღეს ინგუშეთშიო, პრეზიდენტმა უპასუხა — დესტრუქციულ ძალებს სურთ, სამხრეთ რუსეთი ცეცხლის ალში გახვიონ, მაგრამ ამის ნებას არ მივცემთ.

***ნეზავისიმაია გაზეტა***

# ძმური ოჯახი



*რუსეთის საუკეთესო მეგობრებს მადლიერების გრძნობა არ ჰქონიათ: ლეონიდ კუჩმა ვალებს არ იხდიდა, ედუარდ შევარდნაძე რუსეთის ხელმძღვანელებს ჰიტლერს ადარებდა, სლობოდან მილოშევიჩი ამერიკელებთან ღალატობდა, სადამ ჰუსეინი რუს დიპლომატებს ცხვრის ფარას ეძახდა. გამონაკლისი მხოლოდ ვლადისლავ არძინბაა, მაგრამ მას უკვე აღარაფერი ძალუძს.*

უკრაინის პრეზიდენტის სავარძლისთვის მებრძოლი ვიქტორ იანუკოვიჩი შემთხვევით არ გამხდარა „მოსკოვის კანდიდატი“. ასეთია რუსეთის საგარეო პოლიტიკის მრავალწლიანი ტრადიცია — მოსკოვი უმეტესად სუსტებს ირჩევს გავლენის მოსახდენად.

დასავლეთის აზრით, რუსეთს დსთ-ის ქვეყნების მეთაურებად ისეთი ხალხი უნდოდა, რომელთაც თავის ჭკუაზე ატარებდა და ამით იმპერიულ ამბიციებს დაიკმაყოფილებდა. ამგვარი სტრატეგია ძალზე არაეფექტიანია — სუსტი მოკავშირე ხომ სულ ხელით სათრევია და ხელისუფლების სათავეში მისი შენარჩუნება დამატებით დივიდენდებს მოითხოვს. რუსეთის ხელისუფლება სხვა ქვეყნის ოპოზიციასთან დალაპარაკებას ვერ ახერხებს. კრემლის ერთადერთი შესაძლო თანამოსაუბრე ამჟამინდელი პრეზიდენტია, თუნდაც ის უკანასკნელ დღეებს ითვლიდეს. რუსეთს ახლებისა ეშინია, ძველისგან კი იცის, რასაც შეიძლება ელოდეს. ეს პოზიცია, უმეტეს შემთხვევაში, არა მარტო რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება, არამედ ჯანსაღ აზრსაც. შუა აზიის ყოველ რესპუბლიკაში არის ოპოზიცია, რომელიც ერთსა და იმავე დროს დემოკრატიულიცაა და პრორუსულიც. სამშობლოდან გამოქცეულმა თითქმის ყველა ოპოზიციონერმა მოსკოვში მოიყარა თავი. მოსკოვმა კი უმეტესობა სამშობლოს გადასცა (ახლახან დუშანბეში დაიწყო რუსეთის მიერ გადაცემული ოპოზიციის ლიდერის, ი. სალიმოვის სასამართლო პროცესი). ოპოზიციონერთაგან ბევრი მიხვდა, რომ მოსკოვში სასიკეთო არაფერი ელოდა და დასავლეთს მიაშურა.

ადრე თუ გვიან ცენტრალური აზიის ავტორიტარული რეჟიმებიც შეირყევა. ალბათ ადგილობრივი ფეოდალები, რომლებიც ახლა ხან რუსეთის მხარეზე არიან და ხან აშშ-ისა, მოსკოვს ერთგულებას შეჰფიცებენ.

ახლა ყველასთვის ცხადი გახდა რუსეთის შეცდომა — ვიქტორ იანუკოვიჩმა არ გაუმართლა.

***ვლასტი***

# თუ უკრაინას დავთმობთ, ერთი წლის შემდეგ იგივე მოხდება რუსეთში

**მცირედი ამონარიდი პოლიტტექნოლოგ გლებ პავლოვსკის ინტერვიუდან. მას მოსკოვის მხრიდან ევალებოდა კიევში იანუკოვიჩის გამარჯვების უზრუნველყოფა.**

— **ამბობენ, რომ უკრაინაში გათამაშდა იგივე სცენარი, რაც იუგოსლავიასა და საქართველოში...**

— დიახ, უკრაინაში იგივე ხალხი აღვივებდა ცეცხლს, ვინც იუგოსლავიაში, სერბეთში, საქართველოში. ეს, კაცმა რომ თქვას, პოლიტიკური კი არა, კონსტიტუციური წყობის დამანგრეველი ტექნოლოგიებია.

— **ნუთუ ეს ტექნოლოგია რუსეთშიც შეძლებს მილიონობით ადამიანის ქუჩაში გამოყვანას?**

— რუსეთმა რომ უკრაინა დათმოს, ერთ წელიწადში აქ უფრო დიდი ამბები დატრიალდება. რუსეთმა უკრაინის პრობლემების მოგვარებაში შუაკაცობა უნდა გაწიოს, მაგრამ მას ყოველთვის უჭირდა ბრწყინვალედ დაწყებული პარტიების დასრულება.

***არგუმენტი ი ფაქტი***

# ირანს ევროპისა სჯერა

პრეზიდენტ ბუშს არჩევნების შემდეგ კვლავ არ ასვენებს ირანის პრობლემა. ვაშინგტონში სულ უფრო მეტი ადამიანი ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ თეირანის მიერ ბირთვული პროგრამის განხორციელება სამხედრო ჩარევით უნდა აღიკვეთოს. ეს კი მსოფლიოში კიდევ ერთი ცხელი წერტილის გაჩენისა და ათასობით ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლის ფასად მოხდება, რომ არაფერი ვთქვათ ირანელთა დანაკარგებზე. სწორედ ამ დროს კი თეირანი აცხადებს, რომ სამხედრო ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას წყვეტს და იწყებს სამშვიდობო მოლაპარაკებებს, ოღონდ მოლაპარაკებების მაგიდასთან ჯდება არა თავის ნომერ პირველ მტერ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არამედ ევროკავშირის წამყვან ქვეყნებთან. „გერმანიასა და საფრანგეთთან, რომლებიც ევროკავშირის წევრები არიან და დიდ ბრიტანეთთან მოლაპარაკებები ჩვენთვის სავსებით მისაღებია“, — აცხადებს ირანის პრეზიდენტი ხათემი. ის ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის გაგრძელების პერსპექტივებს „ოპტიმისტურს“ უწოდებს. ევროპელმა ლიდერებმა განაცხადეს, რომ ისინი ირანის საერთაშორისო თანამეგობრობაში დაბრუნებას მხარს დაუჭერენ, თუკი ეს უკანასკნელი პირობას დადებს, რომ შეაჩერებს ბირთვულ პროგრამას და აღარასოდეს განაახლებს.

თუკი დასავლეთი ირანის მეგობარი გახდება, ამით თეირანი იმ „კაუჭიდან“ ჩამოიხსნის თავს, რომელზეც მსოფლიოსათვის საშიში ქვეყნები არიან „ჩამოკიდებული“. მოგებული კი პრეზიდენტი ბუშიც დარჩება, რომელიც თავის ერთ-ერთ დიდ თავსატეხს მოიშორებს.

***იტოგი***

# თურქმენეთმა თალიბებს 1 500 ტანკი მიჰყიდა

*სამი წლის წინ აშხაბადიდან გაქცეულ ყოფილ ვიცე-პრემიერ-მინისტრს, ცენტრალური ბანკის ყოფილ მმართველს ჰუდაიბერდი ორაზოვს „არგუმენტი ი ფაქტის“ კორესპონდენტი ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში საიდუმლოდ შეხვდა. გაერომ ჰ. ორაზოვს პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭა.*

— **ბატონო ორაზოვ, თალიბების განადგურებამდე რუსეთი ვაჰაბიტების შემოსევას ელოდა ვოლგისპირეთსა და კავკასიაში. პრეზიდენტ ნიაზოვს კი მეზობელ თალიბებთან პრობლემები რატომღაც არასდროს ჰქონია.**

— როგორც კი ჰამიდ ყარზაი ავღანეთის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი გახდა, მაშინვე აშხაბადში ჩავიდა. პირველი, რაც უთხრა ნიაზოვმა ყარზაის, იყო — ავღანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ მოლა ომარს ჩემი 200 მლნ დოლარი ემართა. ჯერ ეს ვალი დამიბრუნე და მერე ვილაპარაკოთო.

თავის დროზე, როცა თალიბებმა ავღანეთში ხელისუფლება ხელთ აიღეს, იარაღიც აკლდათ და სურსათიც. თურქმენეთს მაშინ რუსეთზე ნაკლები იარაღი არ ჰქონია. მის ტერიტორიაზე, ავღანეთის ომამდე 10 წლით ადრე, იარაღის დიდი საწყობები იყო, საბჭოთა ჯარის ავღანეთიდან გამოსვლის შემდეგ ეს აღჭურვილობა ისევ თურქმენეთს დაუბრუნდა — დაახლოებით 500 თვითმფრინავი, 1500 ტანკი, ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვია-წამალი. 2002 წლისათვის კი ამ იარაღის ნასახიც აღარ დარჩა თურქმენეთში — თალიბებმა წაიღეს. დიახ, თალიბებმა და ბინ ლადენის ხალხმა. მათი უმეტესობა „კალაშნიკოვითაა“ შეიარაღებული. რუსეთმა არაერთხელ მოისურვა იარაღის გატანა, მაგრამ ნიაზოვი რას დათმობდა მილიარდი დოლარის იარაღს! როცა შევთავაზე — რუსეთმა გაიტანოს, შეარემონტოს და წლების განმავლობაში, ნელ-ნელა, საჭიროების მიხედვით დაგვიბრუნოს-მეთქი, ნიაზოვმა უკმეხად მომიგდო — ირანის პრეზიდენტი რაფსაჯანი მთელი თვეა სამ БТР-ს მეხვეწებაო.

— **თურქმენების პრეზიდენტს თავზე ხელს უსვამს აშშ, დასავლეთ ევროპა და რუსეთიც, თუმცა ადამიანის უფლებები იქ ნამდვილად ირღვევა.**

— ამას თავისი მიზეზი აქვს... მაგალითად, თურქმენეთში მუშაობს ფრანგული კომპანია „ბუიკი“, რომელიც სამჯერ უფრო ძვირად აშენებს სახლებს, მაგრამ სანაცვლოდ საფრანგეთში თურქმენეთის ხელმძღვანელობის ინტერესებს იცავს; რუსეთს ძალზე იაფად მიეწოდება გაზი, 11 ნავთობსაბადოც გადაეცა დასამუშავებლად, მარაგი 11 მლრდ ბარელია. პრეზიდენტ ნიაზოვს თავი ფეოდალივით უჭირავს, აღარავისი და აღარაფრისა ეშინია.

— **როგორ მოხდა, რომ ავღანეთის მეზობელი თურქმენეთი ნარკოვაჭრობასთან დაკავშირებულ სკანდალებში არ გაეხვია?**

— როგორც ვთქვი, თალიბებს ნავთობპროდუქტები და იარაღი სჭირდებოდათ. ამის სანაცვლოდ პრეზიდენტ ნიაზოვს საშუალება მიეცა, პირადად ეკონტროლებინა ნარკოტიკების გატან-გამოტანა. ასე გრძელდებოდა 2003 წლამდე, ვიდრე ამერიკელებმა თალიბები არ დაამხეს. მაშინ კი შავ დღეში ჩავარდა ნიაზოვი. ამის დადასტურება ფაქტებით შემიძლია. როგორც ცენტრალური ბანკის თავკაცმა, ეროვნული ვალუტის შესანახად იჯარით ავიღე თურქმენეთის კომპარტიის ცკ-ის შენობის სარდაფები. ავღანეთში თალიბების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მომთხოვეს, საცავის სამი ოთახი პრეზიდენტის აპარატისთვის დამეთმო. საცავის საერთო კარს თავიდან 2-3 თვეში ერთხელ ვაღებდით, მერე კი ყოველ კვირას. იქ ინახებოდა როგორც მზა ჰეროინი, ასევე ქიმიური პრეპარატები მის საწარმოებლად. მაგრამ ეს ნარკოტიკები უკვე ავღანეთში მიდიოდა...

***კომერსანტი***

## მოკლედ

**უკრაინაში** ოპოზიცია გამარჯვებას ზეიმობს. ვიქტორ იუშჩენკოს აღარ ეეჭვება, რომ გაიმარჯვებს 26 დეკემბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში. ოპოზიციის მიტინგზე მან უკრაინელებს სამართლიანობის გამარჯვება მიულოცა და მომიტინგეებს „უნიკალური გმირები“ უწოდა. ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს, იულია ტიმოშენკოს, ვიქტორ იუშჩენკოს გამარჯვების შემთხვევაში, განზრახული აქვს, ქვეყნის მთავრობის ხელმძღვანელი გახდეს.

**აშშ თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი,** პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის თხოვნით, თავის პოსტზე დარჩა. ბუშის თქმით, საჭიროა სწორედ რამსფელდი ედგას სათავეში პენტაგონს იმ რთულ პერიოდში, როდესაც ქვეყანამ საერთაშორისო ტერორიზმს დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს.

**„მსოფლიო მოქალაქის“** ტიტული ჰოლივუდის ვარსკვლავს, ნიკოლ კიდმანს გადასცა გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გაეროს „ბავშვთა ფონდის“ საქმიანობაში გაწეული ღვაწლისთვის.

**ფილიპინებზე** ორ კვირაზე მეტია ტაიფუნი მძვინვარებს. სტიქიურმა უბედურებამ 2 ათასზე მეტი ადამიანი შეიწირა, მატერიალური ზარალი რამდენიმე ათეულ მლნ დოლარს შეადგენს, დაიხურა სასწავლო დაწესებულებები, ათიათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

***გვერდი მოამზადა***
***ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

# რა მოიტაცეს ბერძნებმა კოლხეთიდან?!

## „მე ვამტკიცებ, რომ კოლხი მედეა იოგის უმაღლეს საიდუმლოს ფლობდა“

ახლო წარსულში საქართველოში ხშირად იმეორებდნენ ქართველი ბრძენკაცის, იოანე ზოსიმეს იდუმალებით მოსილ სიტყვებს ყოველივე დაფარულის ქართული ენით გაცხადების შესახებ. საუკუნეთა განმავლობაში მტრის ულელქვეშ მყოფი ერისთვის, როგორც ჩანს, ამ სიტყვებს მაცოცხლებელი ძალა ჰქონდა. მერე ვიღაცამ თქვა, — რა ბაქიები და მკვეხარა ხალხი ვართ ქართველები, სუპერერობას ვიბრალებთ, ეს ხომ ცივილიზებულ მსოფლიოში ცუდ ტონადაა მიჩნეულიო. თითქოს დანაშაული ჩაგვედინოს, გავჩუმდით... და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წარსული გამუდმებით აღაფრთოვანებს მსოფლიოს, გვიჭირს ვაღიაროთ, რომ წინაპართაგან არა მარტო უძვირფასესი ხუროთმოძღვრული ნაგებობები და კულტურის ძეგლები, არამედ უმდიდრესი ცოდნაც გადმოგვეცა... რომელსაც, ნაცვლად იმისა, რომ ავაღორძინოთ, რაც დრო გადის, მით უფრო ვივიწყებთ. ეს გახლავთ თუნდაც უნიკალური საბრძოლო ხელოვნება და რაც ძალზე სავალალოა, ვივიწყებთ გრძნეული კოლხი მედეას სიბრძნეს, რომელსაც თურმე დღესაც დიდი მონდომებით შიფრავენ და სწავლობენ მსოფლიოში სასწაულმოქმედებად აღიარებული ტიბეტელი ბერები. მათ ცოდნასა და ხელოვნებას არაფრით ჩამოუვარდება მეოცე საუკუნის საოცრებად შერაცხული ხევსური დასტაქრის მგელიკა ლიქოკელის პროფესიონალიზმი. იგი თურმე ყოველგვარი ნარკოზისა და გამაყუჩებლის გარეშე ჩამსხვრეულ თავის ქალაზე ისე აკეთებდა უმძიმეს ოპერაციებს, რომ მსოფლიოში ცნობილ ქირურგებს დღესაც ვერ აუხსნიათ მისი ოსტატობის საიდუმლო. გარდა ამისა, ქართველები თურმე ჯერ კიდევ მაშინ ფლობდნენ ყვავილის ვარიოლაციური აცრის მეთოდს, როცა ევროპაში ამის შესახებ ნაფიქრიც კი არ ჰქონდათ. გერმანელ მეცნიერს, იოჰან გიულდენშტედტს 1771-72 წლებში უმოგზაურია საქართველოში და სწორედ აქ უნახავს ყვავილის საწინააღმდეგო აცრა, რაც საბედნიეროდ, ჩაუნიშნავს კიდეც. რად გინდათ მერე, ამდენი ღირსება გვქონია და ჩვენი უბედური ისტორიული წარსულის გამო მსოფლიო არენაზე ვერ გამოვბრწყინდით როგორც ფასდაუდებელი ცოდნის მფლობელები... ქართული კარაბადინები კი დღემდე ამოუხსნელ ცოდნას ინახავენ. ვინ იცის, იქნებ ეს სწორედ ის ცოდნაა, რომელმაც მედეას დროიდან დღემდე მოაღწია, ჩვენ კი გამქრალი გვგონია. არადა, როგორ შეიძლება უკვალოდ გამქრალიყო ის, რაც მედეამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა, როგორც კოლხების საიდუმლო. აღმოსავლური აგნი იოგას ქართველი სპეციალისტი **თამაზ თავაძეც** იმავეს ამტკიცებს, რომ მედეას სიბრძნე ისევე გაბნეული იყო ერში, როგორც მისი პეშვიდან გაფანტული სასწაულმოქმედი მტვერი, რომელსაც თვით ყველაზე უძლეველი მცველის, „ოქროს საწმისის“ მფარველი ურჩხულის დაძინებაც კი შეეძლო. თამაზ თავაძე კიდევ ერთ სენსაციურ განცხადებას აკეთებს. მისი თქმით, იოგა ქართული სიტყვაა, ხოლო იოგის ხელოვნებას ბევრად უფრო ადრე ფლობდნენ კოლხეთში, ვიდრე მისი ოსტატებით დღეს ასე განთქმულ აღმოსავლეთში.

— ძველინდოელთა შეხედულებით, იოგა აღმოსავლურად ნიშნავს კავშირს საკუთარ თავთან. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა არც ერთ ენაში არ არის ისე ზუსტად გამოყენებული, როგორც ქართულში. მაგალითად, ვამბობთ, ხმის იოგები, ე. ი. ბგერა იოგებიდან მოდის, ბგერებით წარმოითქმება სიტყვა, სიტყვა კი მოგეხსენებათ, პირველია, რაც ღმერთისგან ებოძა კაცს. იოგა ჰქვია ქართულში ასევე მყესებსა და სახსრებს შუა დამაკავშირებელს. მოკლედ, ყველა მაკავშირებელს სხეულში ქართველებმა იოგები დაარქვეს. მე ვამტკიცებ, რომ კოლხი მედეა იოგის უმაღლეს საიდუმლოს ფლობდა. საერთოდ, იოგა ადამიანის ცნობიერებაში ასოცირდება ფიზიკურ ვარჯიშებთან, ფეხის ყურებამდე მიტანასთან და ა.შ. მაგრამ მედეა აგნი იოგას კი არა, ადამიანის ფიზიკური, მორალური და სულიერი ძალების მართვის საიდუმლოს ფლობდა. ეს კი უმაღლესი საფეხურია იოგას იმ სახეობებიდან, რაც დღემდე აღმოსავლეთიდან არის გავრცელებული. ჩემი დაკვირვებით, თუ აქამდე იოგა უკავშირდებოდა ბუდიზმს და სხვა აღმოსავლურ რელიგიურ მიმდინარეობებს, აღმოვაჩინე, რომ იოგას უმაღლეს დანიშნულებას მხოლოდ ქრისტიანული მოძღვრების ჩაწვდომის შემდეგ



ლეგენდარული დასტაქარი მგელიკა ლიქოკელი

შეიცნობ. ჯერ სიკვდილ-სიცოცხლის არსს უნდა ჩასწვდე და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებ საკუთარ თავთან და ღმერთთან კავშირს. ეს არის ცნობიერი მექანიზმები, სხეულისა და გონების ვარჯიში ჩვეულებრივ მდგომარეობაში, რასაც მასწავლებლისაგან სწავლობ (და არა უხერხულ პოზებში ჯდომა) და მერე თვითონ დამოუკიდებლად აკეთებ ისე, რომ ამას ვერავინ ამჩნევს. ამ დროს შეიძლება ტელევიზორს უყურებდე სხვებთან ერთად. იოგას ხელოვნების საიდუმლო ინახებოდა „ოქროს საწმისში“, რომლის მოტაცებაც მხოლოდ მედეას საშუალებით შეძლეს ბერძნებმა. და ამის შემდეგ გაბრწყინდა ძველი საბერძნეთი. მაგრამ რად გინდათ. დღეს მსოფლიოს უცნაური რამ სჭირს. კაცობრიობა ძველი ცივილიზაციის მონაპოვარს ივიწყებს და ამიტომაც უფრო და უფრო სუსტდება. საქართველომ უნდა ააღორძინოს მაცოცხლებელი განძი, რომელიც ჩვენს წიაღში დაიბადა.

— **თქვენ ფიქრობთ, რომ „ოქროს საწმისი“ შეიცავდა საიდუმლოს, რომელიც დღეს მსოფლიოს იხსნის?**

— დღეს კაცობრიობას ახალ დაავადებათა სახით ატომურ ბომბზე გაცილებით დიდი საშიშროება ემუქრება. მის წინაშე უძლურია საკუთარ ძალებში გაუცნობიერებელი ადამიანის ორგანიზმი და თანამედროვე მედიცინა. არადა, მსოფლიოს უკვე სერიოზული პრობლემა უდგას, მხოლოდ შიდსი მუსრს ავლებს მილიონობით ადამიანს და თანაც, 98% ცოცხალი სამუშაო რესურსი ნადგურდება. ევროპა უკვე წუხს: თუ ასე გაგრძელდა, 5 წელიწადში მუშახელი აღარ იარსებებსო. მსოფლიოს სჭირდება ხსნა და ეს



თამაზ თავაძე

ხსნა უძველესი სწავლებებიდან მოდის.

— **მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ამ მხრივ მართლაც უჭირს, საეჭვოა, იმავე ევროპაში თქვენი მესიანური იდეა ვინმემ აიტაცოს, ხსნა მედეადან, კოლხეთიდან, თანამედროვე მედიცინის ზენიტში მყოფთ სასაცილოდ არ ეყოფათ.**

— გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო — ქართული ანდაზაა. დღეს თუ სიცილს დაიწყებენ, ხვალ გაუჭირდებათ და ხსნის მაძებარნი აქეთ მოტრიალდებიან. მანამდე აუცილებელია ქართველმა ექიმებმა შეისწავლონ მედეას სიბრძნე. თუ ვინმეს ჩემი იდეები ფანტაზიის ნაყოფი ჰგონია, კარგად ჩაიხედოს ქართველი ერის ისტორიაში, წაიკითხოს, საბედნიეროდ, კარგად შემონახული სამედიცინო წიგნები, გაეცნოს რა სასწაულებს ახდენდნენ ხევსური და სხვა კუთხის დასტაქრები. კოლხური მედიცინის უნიკალურობაზე ეს ერთი შემთხვევაც მეტყველებს: ცნობილი გერონტოლოგი მალხაზ აბდუშელიშვილი მძიმედ დაავადებულა. ხსნა რომ ვერსად უპოვია, ტიბეტში წასულა, იქ მოურჩენიათ. მერე დაახლოებია იქაურ ბერებს. უთქვამს, საქართველოდან ვარო. ვერაფრით გაუგიათ, სად იყო საქართველო. კოლხეთი უხსენებია მალხაზს და გაოცებულან ბერები. კოლხეთიდან აქ რატომ ჩამოხვედი, ჩვენ დღემდე ვსწავლობთ კოლხურ მედიცინას და ჯერაც ვერ ჩავწვდომივართ მის საიდუმლოსო.

— **ექიმები თუ ინტერესდებიან თქვენი მოძღვრებით? ეჭვით ხომ არ უყურებენ?!**

— თქვენ წარმოიდგინეთ, ინტერესდებიან. ცნობილი პროფესორები ეთანხმებიან ჩემს მოსაზრებას. ექიმები სწავლობენ და პრაქტიკაშიც იყენებენ ადამიანის სულიერი და ბიოლოგიური ენერგიის გაცნობიერებისა და კონცენტრაციის უნიკალურ მეთოდს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იმ ენერგიის გამომუშავება, რითაც ასე იზიდავენ ექსტრასენსები პაციენტებს, მაგრამ ექიმსა და ექსტრასენსს შორის დიდი განსხვავებაა. ექსტრასენსი დროებით გიყუჩებს ტკივილს, ამიტომაც მასზე დამოკიდებული ხდები. მას არა აქვს სამედიცინო ცოდნა და შესაბამისად, არ ძალუძს განკურნება...

— **თქვენი დაჯერება დღეს ძალზე ძნელია და არც არის გასაკვირი, იკითხავენ, — თუ პანაცეა არსებობდა და არსებობს, ნუთუ მისი ამოხსნა დღემდე თქვენ გარდა ვერავინ შეძლოო?**

— სამყაროში იმდენი საიდუმლოა, კაცობრიობას ალბათ კიდევ მილიონი წლები დასჭირდება მის ამოსახსნელად. „ოქროს საწმისის“ კვლევა უცებ არ დამიწყია. სიტყვა, ინფორმაცია უზენაესიდან მოდის. მე რომ იმას ჩავწვდომოდი, რისი საზოგადოებისთვის გაზიარებასაც ასე ვცდილობ, დიდი განსაცდელის გადატანა დამჭირდა. ბიბლიაში, იობის წიგნში, 33-ე თავში წერია, რომ უფალი სათქმელს ადამიანს ჯერ ეტყვის, აჩვენებს, თუ ვერაფერს მიგახვედრებს, სიზმარში მოგევლინება. ამანაც თუ ვერ გაჭრა, გამოგიგზავნის რისხვას ავადმყოფობის სახით, რათა ტანჯვითა და ტკივილით აგეხილოს თვალი. მეც ასე დამემართა. ბავშვობიდან ქრისტიანულად აღზრდილმა მოწიფულობის ჟამს ავურიე და ჩემი უკეთურობის გამო დავისაჯე. უფალმა ბევრი განსაცდელი მომივლინა, თვალი რომ ამხელოდა. გადავიტანე გულის წინა და უკანა კედლის ინფარქტი, კუჭის კიბო მეტასტაზებით ღვიძლში, ასთმა... ინსულტის გამო წამერთვა მარცხენა მხარე და ბოლოს სკლეროზიც დამემატა. ასეთ მდგომარეობაში მყოფს ამეკვიატა სოლომონ ბრძენის სიტყვები „მოითმინე და გაძლიერდებიო“, ამიტომ ტკივილგამაყუჩებლებსაც არ ვსვამდი, რის შემდეგაც მქონდა გამოცხადება, სადაც მკურნალობის გზა დავინახე. ეკლესიაში წავედი, მღვდელს გავანდე ჩემი ამბავი. მითხრა, გულით აზროვნება ისწავლეო. ამ სიტყვების ჩაწვდომის შემდეგ გაიხსნა ჩემში ის ცოდნა, რასაც ხილვების დროს ვეზიარე. მთავარი გახლავთ თანაგრძნობის უნარი. უმძიმესი ავადმყოფი სხვებს ვკურნავდი. აი, აქედან დავიწყე ამ საოცრების წვდომა და დღეს „ოქროს საწმისის“ დამსახურებაა, 67 წლის კაცი საღ-სალამათი და ჯანმრთელი რომ ვარ. გადავწყვიტე, ჩემი ცოდნა სხვებისთვის, ექიმებისთვისაც გადამეცა. დავწერე წიგნები. ახლა მინდა ცნობილი და მდიდარი ადამიანები დავარწმუნო ამ მეთოდის უნიკალურობაში, რათა სამკურნალო ცენტრები გაიხსნას...

მერწმუნეთ, „ოქროს საწმისის“ სრულად შეცნობა დიდ სამსახურს გაუწევს ჯარისკაცებს, ალპინისტებს, მეზღვაურებს, მეშახტეებს — ნებისმიერ გამოუვალ სიტუაციაში ასწავლის, როგორ აიტანონ უწყლობა და ბევრი სხვა რამ.

ბატონ თამაზთან საუბარს აქ შევწყვეტთ. კომენტარის ნაცვლად კი დავძენთ, წინამდებარე სტატია უბრალოდ ერთი თვალსაზრისის გამომზეურებაა და სხვა არაფერი. ჩვენც გვიჭირს დავიჯეროთ ბევრი რამ, თუმცა თუ ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნების მკვლევართა მიერ ახლახან გამოცემულ წიგნსაც გადავავლებთ თვალს, მკურნალობის მეთოდებთან დაკავშირებით უამრავი ფაქტი გაგაოცებთ. მათ შორის, ასეთიც: „ხარაგაულში გასული საუკუნის ოთხმოციან წლებამდე მოატანა ცოდნამ ქათმის სკორესაგან ზეთისმაგვარი სითხის გამოხდისა. ამ სითხეს უსვამდნენ თვალებზე სამსტოვროდ გაწვრთნილ კაცს, რომელიც ღამით თურმე კატასავით მხედველი ხდებოდა. შეიპარებოდა მტრის ბანაკში და უჩუმრად ხოცავდა მეთაურებს. უცხო მიწაზე უმეთაუროდ დარჩენილი მომხდური კი იოლი ლუკმა ხდებოდა ჩვენი ლაშქრისთვის. ამის შემდეგ მსტოვარს ორი თუ სამი დღე ბნელში ამყოფებდნენ, სანამ ნორმალური მხედველობა არ აღუდგებოდა. ეს ინფორმაცია იმიტომაც არის საინტერესო, რომ ამ მიდამოებში საკმაოდ გავრცელებულია მცენარე შმაგა, რომლისგანაც „ატროპინი“ მიიღება, რომელიც რამდენიმეჯერ აძლიერებს მხედველობას, ხოლო რაც შეეხება ქათამს, ეს შესაძლოა წამლის გასასაიდუმლოებლად იყოს შეთხზული...“ დასკვნა თქვენთვის მოგვინდია, ვინ იცის, კარაბადინებში რის გასასაიდუმლოებლად არის რეცეპტის შემადგენლობაში ყვავის ქონი და ა.შ.

*ეკა ლომიძე*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 4 დეკემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8350 |
| ევრო | 2,4355 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5282 |
| რუსული რუბლი | 0,0657 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2954 |

იმუნოთერაპიის და ქიმიოთერაპიის კლინიკაში „მედულა“
პროფესორ ბია ციხისელის ხელმძღვანელობით
მიმდინარეობს საერთაშორისო კლინიკური კვლევა – სარძევე ჯირკვლის სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა ქიმიოთერაპიული მკურნალობა.
შერჩეულ პაციენტთა მკურნალობა უფასოა.
მის: ჭავჭავაძის 33, მე-9 საავადმყოფოს ტერიტორია
☎ 22-57-16

კომპანია „ულტრაკომი“ აცხადებს კონკურსს სარეკლამო აგენტის ვაკანსიაზე
სასიამოვნო გარეგნობის გოგონებისათვის, ასაკი 21-30 წლამდე.
მსურველებმა CV და ფოტოსურათი გამოაგზავნეთ
ელ. ფოსტით: marketing@ultracom.ge ან წარმოადგინეთ
მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზ. 45, X სართ.
ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 42 00 22

„[illegible]“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

ფირმა „ბილდი“ გთავაზობთ
ბრტყელი სახურავების ჰიდროიზოლაციას
✔ უახლესი ტექნოლოგიით
✔ იაფად და ხარისხიანად
✔ დიდი ხნის გარანტიით
☎36-11-28; 899-91-66-39

ფირმა „ფლორანი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები სხვადასხვა უმაღლესი ფერები და ხარისხის საკეტები პროფილით
დაბალ ფასებში
☎38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი“-ს უკან)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. შეცდომა



ხობის რაიონის სოფელ ხეთაში მყავს ერთი ენამახვილი მეზობელი, ჯუტი კოდუა. ერთხელ ჯუტი და მისი უბნელები მეზობელს ავტობუსით ახლობლის სატირალში გაჰყვნენ (როგორც იციან ხოლმე სამეგრელოში). ქელეხში ჯუტი გვარიანად შექეიფიანდა. ჰოდა, იფიქრა, სანამ მთლად არ მომეღება ბოლო, მანქანაში ჩავჯდებიო და მიბანცალდა კიდეც ავტობუსთან. ძლივს ავიდა, სავარძელში მოკალათდა, გვერდით მჯდომს მიაშტერდა, მაგრამ ვერ იცნო. თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდა, ფეხზე წამოდგა და ავტობუსში მჯდომი ოცამდე მგზავრი ძირისძირობამდე შეათვალიერა. მოხდა დაუჯერებელი რამ — ჯუტიმ ვერც ერთი მათგანი ვერ იცნო. ბოლოს ყურადღება ითხოვა და მგზავრებს ენის ბორძიკით გამოუცხადა: — მეგობრებო! უკაცრავად, მაგრამ თქვენ შეცდომით სხვა ავტობუსში ამოსულხართო!..

მგზავრების სიცილისგან ავტობუსი კარგა ხანს ირყეოდა.

***დავით კუტალია, ხობის რაიონი, სოფელი ხეთა***

## 2. მოხერხებული ვირი

ხაშმელი მეზობლები ჯილო და ვანო ტყეში წავიდნენ ჭიგოსთვის. ვირები ტყის პირას მიაბეს და მუშაობას შეუდგნენ. „პახმელიაზე“ მყოფ ვანოს მალე მოსწყურდა და რაკი თვითონ წყალი დავიწყებოდა, ჯილოს ხურჯინიდან ჩუმად ამოიღო ბოთლი და გამოცალა. ცოტა ხანში ჯილოც გამოვიდა მოწყურებული. ნახა, წყალი აღარ არის. უსაყვედურა ვანოს, ცოტა მაინც დაგეტოვებინაო. — არა, კაცო, რას ამბობ, რა წყალი, ჩემი ვირი დალევდა ეგ ოხერიო. ჯილომ აღარაფერი უთხრა. გააგრძელეს მუშაობა. მცირე ხნის მერე ჯილო გამოვიდა, აჰკიდა ვირს თავისი ჭიგოები, ვანოს ვირიც აუშვა, გამოიგდო წინ და წამოვიდა შინ.



ცოტა ხნის შემდეგ, დაღლილი ვანო ჭიგოებით ტყიდან გამოვიდა და ელდა ეცა, მაგრამ რაღას იზამდა. აიკიდა თავისი ჭიგოები და წამოვიდა. ვირი უკვე შინ დახვდა. გადავიდა გაჯავრებული ჯილოსთან, — ეგ რა მიყავიო! — რას ამბობ, კაცო, — შეიცხადა ჯილომ, — მე რომ წამოვედი, იქ იყო, აეშვებოდაო.

— როგორ აეშვებოდა, მაგრად მივაბიო!.. — არ ცხრებოდა ვანო.

— ეგ ისეთი მოხერხებული ვირი ყოფილა, „კოკა-კოლას“ ბოთლს „პროპკა“ მოხსნა, წყალი დალია და მაშ თოკს ველარ გახსნიდაო?!

***რომან ზუკაკიშვილი, საგარეჯოს რაიონი, სოფელი პატარძეული***

## 3. ნატვრა



ეს ის დროა, როდესაც საგარეჯოს რაიონს განაგებდა ცნობილი ქალბატონი მ.მ.

იმ ზაფხულს მთელ საქართველოში პაპანაქება სიცხე დაიჭირა. განსაკუთრებით გაუჭირდა ბაღვენახებს. მთავრობა ფეხზე დადგა გვალვასთან საბრძოლველად და დაიძრა კახეთისკენ წყლით სავსე სარკინიგზო შემადგენლობები. მაგრამ ვაგონი ყველა ზვარ-ვენახს ხომ ვერ მისწვდებოდა და აქ გახდა საჭირო წყლის გადატუმბვა, ანუ „გადაკაჩავება“. რაიკომის მდივანი ჩავიდა მიმდინარე პროცესებში გასარკვევად. როგორც აღმოჩნდა, სოფელ მანავში კარგად მიდიოდა „გადაკაჩავების“ საქმე, ხოლო კაკაბეთში გაუჭირდათ. იმ დროს კაკაბეთში კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ასევე ცნობილი ქალბატონი ზ.მ.

რაიკომის მდივანმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მოუწოდა, მეტი შემართებით ემუშავა. ქალბატონმა ზ-მ მთელი სერიოზულობით იმართლა თავი: — იმათ (მანაველებს) ბევრი კაცები ჰყავთ და ამიტომ არ უჭირთო! ცოტა ხნის შემდეგ კი დანანებით დასძინა:

— ერთი კაცური კაცი მამცა და გემრიელად თუ დამიკაჩავებდა, მერე ნახავდით თქვენ რწყვასაო...

***გუჯა, პატარძეული***

## 4. „ო, მამი, ბლუ!..“



პაატა გეგელაშვილს მთელ ქარელში იცნობენ, როგორც ენამოსწრებულსა და იუმორით სავსეს. მამამისი ქარელის მილიციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გახლდათ. ეს ის პერიოდია, ახალშემოსული რომ იყო სიმღერა „ო, მამი, ბლუ...“ ჯერ რომ კანტიკუნტად მღეროდნენ. ჰოდა, შესვენებაზე მოსულ მამას, რომელმაც წინადღით საქეიფო ფული არ მისცა პაატას, შვილის წამღერება „ო, მამი, ბლუ“ შემოესმა... მაშინვე ყური ცქვიტა... კიდევ რომ წაუმღერა პაატამ, მამამისი გადაირია: — მე შენი დედა!.. შენი სტუდენტობა შენი წონა ფული რომ მიჯდებოდა, მაშინ კარგი მამა ვიყავ, გუშინ ფული რომ არ მოგეცი, იმიტომ ბლუ გავხდიო?!

პაატამ თურმე ფანჯრიდან ძლივს გაასწრო მამამისს.

***ნოდარ ფიჩხნარაშვილი, თბილისი***

# ძველკახური ანეკდოტური ამბები

## 5. – ვერ მოგართვი!..



გემრიელი სადილის შემდეგ მიხომ ჩონგური აიღო და ტახტზე მხართეძოზე წამოწვა. ის იყო, სიმებს ჩამოჰკრა, რომ გაალმასებული სიდედრი წამოადგა თავს, — ე, მხართეძოზე რო წამოწოლილხარ, ვირ წყალი დაალეინეო! მიხომ უთხრა, შენ რა, ცეკვი სკოლაში დადიხარ? შენ ვერ დაალეინებ?! სიდედრმა წყევლის „კონვეიერი“ ამოუშვა. მიხომ წყევლას ჩონგური მიაყოლა „კეკელასა და მაროს“ მოტივზე. სიდედრი ამაზე უფრო გაწიწმატდა და როდესაც წყევლამ კულმინაციას მიაღწია, მიხომ საცეკვაო დაუკრა, იფიქრა, ბარემ ბოლომდე გავაგიჟებო. სიდედრი ერთ წამს გაჩერდა, მერე კი ისეთი ბუქნა დასცხო, თქვენი მოწონებული. მიხომ ერთხანს უყურა აცეკვებულ სიდედრს და ბოლოს წამოიყვირა, — შენი დედა კი... მე დავუკრა და შენ კი იცეკვო, არა? ვერ მოგართვიო!.. ჩონგური მიაგდო და გომურში შევარდა ვირის გამოსაყვანად.

***სოსო ბაწაშვილი, გურჯაანის რაიონი, სოფელი ბაკურციხე***

## 6. ქალაქმაც ვერ უშველა!



მიხოს უთხრეს, ქალაქში ვირიც რომ ჩაიყვანო, კაცად იქცევაო. ჩააბა მიხომ ვირს თოკი, ჩაიყვანა ქალაქში და მიაბა ელექტრობოძზე. ერთი წლის შემდეგ ჩავიდა მიხო ქალაქში და ხედავს, იმ ადგილას, სადაც ვირი მიაბა, კაცი დგას და გაზეთს კითხულობს. მივიდა მიხო კაცთან, გარშემო შემოუარა და უთხრა: — ვა, ვირო, ისწავლე კითხვაო? ამ სიტყვებზე კაცი გაბრაზდა და მიხოს წიხლი უთავაზა. — ეჰ, ჩემო ვირო, კითხვა კი გისწავლია, მაგრამ წიხლი მაინც არ დაგვიწყნიაო... — წყენით ჩაილაპარაკა მიხომ.

***გ. ბუზარიაშვილი, საგარეჯო***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**7.** სვანი დგას პუშკინის ძეგლთან და გაკვირვებული ამბობს: — გავიგე, დუელში დანტესმა გაიმარჯვა, ზუსტად ისროლა! ამათ კი ძეგლი პუშკინს დაუდგეს?!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***





**8.** ნარკომანი ტროტუარზე წევს. გამოიარა პატარა გოგონამ, ცხვირზე ხელი მიადო და, — პიიპ, პიიპ!.. — დაიძახა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ: — პიიპ, პიიპ...

ბოლოს გოგონას მოსწყინდა თამაში და წავიდა. ნარკომანი წამოდგა და გამალებით იჭერს ცხვირზე ხელს. არავითარი ხმა აღარ ისმის!

— ოხ, არ გამიფუჭა სიგნალი იმ ოხერმა ბავშვმა?! — ჩაიბურტყუნა ნარკომანმა.

***ემზარ ფრუიძე, წყალტუბო***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________________

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №49

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 8 დეკემბრის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 9 დეკემბრის 13 საათამდე.*

## მილოცვა



**მარიამ გვაზავას!**

შენ უკვე ხუთი წლის გახდი, გილოცავთ პატარა იუბილეს. მალე სკოლაში წახვალ, კარგად ისწავლი და ქვეყანს ასახელებ. სულ იხარე და იქართველე, სადაც არ უნდა იყო, ჩვენო ლამაზო და ჭკვიანო გოგონა!

*ბებია და ბაბუა – ციალა და გიორგი გვაზავები*

**მარიამ გვაზავას!**

მარიამოჩკა, გილოცავ დაბადების დღეს, შენთან ვარ საუკეთესო სურვილებით.

გფარავდეს მარიამ ღვთისმშობლის მადლი.

*მამიდა ნინო*



**ეკა სულაშვილს!**

გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო კეთილო, საყვარელო გოგონა, დღესწარი მრავალს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. გაიზარდე მშობლების და ქვეყნის საამაყო.

*მამა, დედა, ბებია და დაიკო*



**მარიამ კობას ასულ ბაკაშვილს!**

ჩვენო საყვარელო მარიამ! გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს. მუდამ ასეთი გაბრწყინებული და ბედნიერი გვენახე. ყველა ნატვრა ლამაზად აგსრულებოდეს.

უფალი ღმერთი გფარავდეს.

*შენი შოთიკო, ირმა, ესმა ბებო*

**შენ... მონატრებულს!**

ქეთინო, გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო სიხარულო. გისურვებ ოცნებების ახდენას, ულევ სიხარულს და სიყვარულს. ძალიან მენატრები. შენ დაივიწყე ჩვენი გაცნობა...

## ბინები

იყიდება ან ქირავდება მცხეთაში 4-სართულიანი კაპიტალური სახლი ყველა სათავსოთი, ბ/აირით, შუქით და წყლით, კეთილმოწყობილი ეზოთი – 800 კვმ, ა/ფარეხით, მარნით, ბუხრებით, საუნით. სველი წერტილი ყველა სართულზე. ტ: 93-26-73; 899 97-46-44

ქირავდება ფართი თავისუფლების მოედანზე, დიუმასა და ლესელიძის კუთხეში, 130 კვმ ფართით, სარდაფით 100 კვმ. ტელ: 93-26-73; 899 97-46-44

## გთავაზობთ სამუშაოს

18-დან 25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით, უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

მუდმივ სამუშაო ადგილზე გვესაჭიროება 2 თერაპევტი, 2 გინეკოლოგი, 2 პედიატრი, 1 ონკოლოგი. ტ. 96-01-31

გათავისუფლდა ადგილები ოფისში! ვიწვევთ რუსულის მცოდნე პუნქტუალურ ადამიანებს. ძიღება შერჩევითაა. სამუშაო – კონტრაქტით, მთლიანში მუშაობის უფლებით. საუკეთესო მენეჯერებს ფირმა წელიწადში სამჯერ გზავნის სტაჟირებაზე ან სამუშაოდ (ფირმის ხარჯებით, ფირმის პროფილით, მენეჯერის სურვილით!). ანაზღაურება $500. მის. მ. „დიდუბე", სამთო ქიმია, I სართ. ოთახი 6. ტ. 34-02-38; 899 90-54-78. ბ-ნი დიმიტრი

Требуется сотрудник с высшим образованием в офисе для административно-кадровой работы. Оплата высокая. Желательно со знанием русского языка. Тел: 77-29-94; 38-89-39

ვიწვევთ პირებს უმაღლესი განათლებით და ადმინისტრაციულ-საკადრო გამოცდილებით. ასაკი 28-40 წ. შერჩევა კონკურსის წესით. წინასწარი ჩაწერა გასაუბრებაზე: 29-89-18; 899 95-04-34

საერთაშორისო კომპანიას ადგილობრივი დამკვირვებლებისთვის გვესაჭიროება პარტნიორები, რომელთაც ექნებათ საშუალება, გამოიმუშაონ მზარდი შემოსავალი. თავისუფალი გრაფიკით სამუშაოდ ვიხმობთ ნებისმიერი პროფესიისა და ასაკის მსურველს რეგიონებიდანაც. ინფორმაცია უფასოა. ტელ: 38-15-64; 899 38-10-01 (18-24 სთ)

თბილისში ახალგახსნილ კომპანიას ესაჭიროება უ/გ მქონე თანამშრომლები ოფისში სამუშაოდ, 24-55 წლამდე. ტელ: 33-59-23. ლელა

კადრების შესარჩევად ცხადდება 3 ვაკანსია სხვადასხვა პროფილის ახალგაზრდა ექიმებისთვის. ასაკი 25-45 წელი. ტელ: 29-17-66; 899 19-08-09

რეალური სამსახური: საზღვარგარეთული კორპორაცია გთავაზობთ (22-57) წლის უმაღლეს და ტექნიკური განათლების მქონე კომუნიკაბელურ ადამიანებს, გასაუბრების საფუძველზე (უფასოდ) მიიღოთ მონაწილეობა შერჩევაში (დარჩა 7 ვაკანსია). უპირველესად ვიწვევთ ექიმებს, ეკონომისტებს, ჟურნალისტებს, პედაგოგებს და ბიზნესპარტნიორებს. ტელ: 64-20-32

საერთაშორისო კომპანია სამუშაოდ იწვევს პედაგოგებს, ექიმებს, ეკონომისტებს. ასაკი 30-50 წელი; ჩაწერა გასაუბრებაზე ტ: 92-31-90

სასწავლო ცენტრს ესაჭიროება პედაგოგიური ან ადმინისტრაციული სტაჟის მქონეთა თანამშრომელი. არის ერევანში მუშაობის პერსპექტივა. ასაკი 30-45 წელი. ჩაწერა გასაუბრებაზე. ტელ: 64-64-40; 64-52-13; 893 99-90-89

## მომსახურება

ნებისმიერი სირთულის ტექსტის (დისერტაციები, ნაშრომები და ა.შ.) აკრეფა, ამობეჭდვა, სტილი, კორექტურა, სწრაფად, ხარისხიანად! ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, მორჩენის სრული გარანტიით (1 სთ – 6 ლარი). ყველანაირი კოსმეტიკური მომსახურება. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე, მ. „300 არაგველი", „არამიანცის" საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტელის ქ. №15. მიღება წინასწარ ჩაწერით. ტელ: 77-86-27

კვალიფიციური ადვოკატები – შორენა ჭავჭანიძე და დალი ახვლედიანი მოგემსახურებიან სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის, სამეწარმეო, სარეგისტრაციო დოკუმენტების მომზადებასა და სხვადასხვა სახის დავებზე, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე. ასევე ადვოკატურა იწვევს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე-მეხუთე კურსის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სადვოკატო საქმიანობის შემსწავლელ კურსებზე. ტ: 95-89-57; 96-64-77; 877 75-79-13

## მკურნალობა

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თვით მეთოდზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-64-81

წამალი „მთაწმინდა" კურნავს თმის დაავადებებს: ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა); ტილები, წილები ისპობა 10 წუთში. ვმკურნალობ ფრჩხილის სოკოს გარანტიით. გვაქვს თმის მცენარეული საპნები, ნატურალური კოსმეტიკური მალამოები; ვაკეთებ მასაჟს (ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი). მის: ჭავჭავაძის პრ. 2/2 (ჩაის სახლთან), სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 893 918-917. წამალი „მთაწმინდა" შეგიძლიათ შეიძინოთ ქალაქის აფთიაქებში.

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა უახლესი გერმანული აპარატურის მეშვეობით, მაღალი შედეგებით. მის: ვაჟა-ფშაველას 16 (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს შენობა), მე-13 სართ. რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-15 სთ. ტ. 899 97-58-77; 39-58-77. ბინა

ფსიქოთერაპიული ცენტრი „არსი" (ხელმძღვანელი პროფ. გივი მერაბიშვილი) კურნავს ნევროზს, ფსიქოზს, ნარკომანიას, შიშებს, ეპილეფსიას, დიაბეტს, სექსუალურ მოშლილობას. ახორციელებს მშობელთა კონსულტაციებს, ინდივიდუალურ, ჯგუფურ ფსიქოტრენინგებს. ამზადებს სპეციალისტებს. ტელ: 93-11-05; 57-37-13

მთლიანი ორგანიზმის დიაგნოსტიკა! უახლესი მეთოდებით: ალკოჰოლიზმი, შიში, დეპრესია, ნევროზი, უძილობა, მაღალი წნევები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, ნაადრევი ამოფრქვევა, უნებლიე გამოყოფა, კონტაქტის შიში. ტელ: 893 96-94-51

საგვარეულო ხალხური მედიცინა. მწვანე მცენარეებით ვმკურნალობთ ბუასილის შემდეგ სახეობებს: პოლიპები, ნაპრალი, სისხლის დენა, ქავილი, სწორი ნაწლავის მოდუნება. შედეგი 5-10 დღეში. მის. რუსთავი, XVI მ/რ, კორპ. 5. სად. II, სართ. 2. ოთახი 33. გოგოლაძე ლალი. ტ. 8-24 17-47-41

უსწრაფესი შედეგით!!! სამედიცინო ფირმა „მონადა" გთავაზობთ ნევრალგიების, რადიკულიტების, ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობას ორიგინალური ხალხური მეთოდებით. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! შედეგი – მაქსიმალურად გარანტირებული! გასინჯვა-კონსულტაცია უფასოა! მის. რკინიგზის პოლიკლინიკა, ც. დადიანის 87. ექ. ალექსიშვილი. ტელ: 39-39-97; 61-02-97; 899 57-16-99

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 91-18-33; 877 41-50-30

ვმკურნალობ მცენარეებით: თირკმლებს, ღვიძლს, ნაღველს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ქრონიკულ აშლილობას და შეკრულობას, ბუასილს, ყველანაირ ეპილეფსიას, ნევროზს, შიშებს, მოჩვენებებს, ბრონქიალურ ასთმას, საშარდე გზებს, პროსტატიტს, კანის დაავადებებს „ვიტილიგოსაც", მუნს (3 დღეში განკურნების გარანტიით), თმის ცვენას, წვერის ცვენას, ფრჩხილის და კანის სოკოს. მის: ალმაშენებლის 115. პოლიკლინიკის შენობა. კაბ. №19. ტელ: 95-30-26 (სამს); 78-07-94 (ბინა). ლალი

ვმკურნალობ გარანტიით: თმის ცვენა, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, თმის ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ფრჩხილის სოკო გამონაყარი, ფსორიაზი, ოსტეოქონდროზი. აპარატით მკურნალობა. მის: ჭავჭავაძის პრ. 2/2, სტომატოლოგიურ კლინიკაში. მიღება ყოველდღე, 11-18 სთ. შაბათს, 13-15 სთ. ტელ: 30-94-73 35-32-62; 893 91-89-17 (საღამოს)

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც) და ანტითამბაქო, ფსორიაზი, სოკო, ბუასილი, კოლიტი, ვარიკოზი, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ნევროზი, უძილობა, შიშები, კატარაქტა, ქრ. ბრონქიტი, ასთმა – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნიათ, დამზადებულია მოსკოვის აკად. ლიხაჩოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

1). ალკოჰოლიზმი ყოველგვარი პრეპარატის გარეშე, ხანმოკლე დროში; 2). ბუნებრივი საშუალებებით: პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, პენისის ანთება, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, სოკოვანი ინფექციები, წვა, ხშირი შარდვა, შიშები, უძილობა, დეპრესია, მანიაკალური აკვიატება, აგრესია, თვითმკვლელობის სურვილი, სევდა, ნაღველი, მელანქოლია. შედეგი გარანტირებულია. ტელ: 899 49-84-23. ნონა

ალკოჰოლიზმი და მისგან გამოწვეული გართულებები. ნაბახუსევის სინდრომის მოხსნა, ჰალუცინაციები, აგრესიები, შიშები, უძილობა, ჰეპატიტები, კოლიტი, შებერილობა, ბუასილი. ალკოჰოლიზმთან ბრძოლა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად. პრეპარატები მცენარეულია, მაღალეფექტური და უსაფრთხო. ტელ: 53-08-02; 99-75-90. თამრიკო

პარადონტოზის, ართრიტების, ოსტეოქონდროზის, სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობა უძველესი აღმოსავლური მედიცინის გამოცდილების საფუძველზე მიღებული ბუნებრივი სამკურნალო საშუალებებით. ფარულად მიმდინარე ქლამიდიოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ფარული ბლასტოზის გამოვლენა. ტელ: 22-11-47

კომბინირებული მკურნალობა: 1. მანუალური თერაპია – ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი; 2 სარტყელი „სწორდი" – ხერხემლის სწორ მდგომარეობაში შენარჩუნება საკუთარი კუნთებით; 3. გასაჭიმი ტახტი – მიმართული გაჭიმვა; 4. სამკურნალო-სავარჯიშო ტრენაჟორი – ტანადობის აღდგენა, კუნთების კორექცია, ბრტყელტერფიანობა. მის: მარჯანიშვილის მოედანი. ტელ: 95-47-67

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დავი-კომპიუტერი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ბიზნესსკოლაში მიღება საკონკურსო პირობებით: ასაკი 25-50 წელი, უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება. სწავლება მიმდინარეობს რუსულ და ქართულ ენებზე. ტ: 67-61-85; 877 72-18-68

შეგასწავლით საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად. ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

წარმოებს მოსწავლეთა მიღება კოსმეტიკის კურსებზე საახალწლო 50%-იანი ფასდაკლებით. შეისწავლება კანის დეფექტები, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო); კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, რძეები, ნიღბები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ცოტნე დადიანის 26 (მ. „ვაგზლის მოედანი") ტელ: 66-53-56; 69-09-19; 893 33-09-66

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილით. მის. ლ. ასათიანის ქ. №28; მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგი-ვიზაჟისტი, 2. მასაჟისტი, 3. საპარიკმახერო (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის 115, ეზოში. შპს „ქართი". ტელ: 94-01-82; 96-22-89 (ბინა)

## იყიდება

იაფად! დიღმის მასივში, კარგ ადგილას, ცალკე მდგომი, კაპიტალურად ნაგები შენობა, მოქმედი სასადილოთი და პურის საცხობით, 300 კვმ-მდე მიშენების კარგი პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 52-68-51 (საღამოს); 899 55-67-67

ახალი კორეული ციფრული სატელიტური ანტენა. არხებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 40-დან 600-მდე ევროპული; 1-დან 4-მდე ქართული; 5-დან 18-მდე რუსული. ფასი $130-დან $$230-მდე. მხოლოდ 25 რუსული არხი. კომპლექტის ფასი – $200, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 899 27-38-99; 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

ძვლის მკვებავი ვიტამინი, რომელიც ხელს უწყობს ოსტეოპოროზის შეჩერებას. ეფექტურია მარილების, მოტეხილობის, ქონდროზის, ძვლის ცვეთის და სახსრების დაავადებისას. აჩერებს ტკივილს. ხელს უწყობს მოზარდების სიმაღლეში ზრდას 25 წლამდე. 1 თვიანი კურსით იმატებენ 4-5 სმ-ს. შედეგი 100%-იანი. პრეპარატი მცენარეულია. უკუჩვენება არ აქვს. საერთაშორისო მნიშვნელობის კონსულტანტი ქ-ნი ქეთი. ტელ: 98-86-19; 899 90-54-78

ხეხილის ყველა ჯიშის ნამყენი ნერგი, უწამლი ვაზები, ვარდები, იასამნი, ტუია, ლიგუსტრუმი, ტირიფი, ცაცხვი, ზეთისხილი, კვიპაროსი, კედარი, ფიჭვი. გვყავს მებაღე-დეკორატორი. მის. სანერგე მეურნეობის დასახლება თბილისის ზღვასთან. ტელ: 899 16-93-15; 69-97-05. გივი, ამირანი

96 ატეხის ტელეფონი, პლეხანოვზე. ტელ: 32-82-69

## შევიძენ

33 სმ-ზე გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკ. სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი", 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას. ტელ: 58-78-88; 893 32-14-12

ვიეტნამურ და ჩინურ შალის ხალიჩებს, აგრეთვე გერმანულ შალის ხალიჩას – სუპერი. ტელ: 38-89-24

## სხვადასხვა

ავტორთა ჯგუფი – მერაბ ბერაძე, ალექსანდრე ქურდაძე, თამაზ ქელიძე – მუშაობს იწყებს საქართველოს წარჩინებულ შვილთა, საქართველოს ოქროსმედალოსანთა წიგნზე, სადაც წარმოდგენილი იქნებიან ქვეყნის სახელოვანი ადამიანები, რომელთაც სხვადასხვა დროს დაიმსახურეს ოქროს მედალი ნებისმიერ სფეროში. მაგ: საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირები, სკოლის მედალოსნები, სპორტსმენები და სხვა. აგრეთვე ის ორგანიზაციები, რომელთაც ნებისმიერ დონეზე აქვთ მიღებული ოქროს მედლები. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია და ფოტომასალა. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №41. ლენინის სახლი. ტელ: 93-53-61; 98-78-18. ალექსანდრე ქურდაძე

ძვირფასო მეგობრებო! თუ გაქვთ სურვილი, გქონდეთ საკუთარი ბიზნესი და სტაბილური შემოსავალი, „გაცნობის და დაოჯახების ცენტრი" და გაზეთ „პაემნის" რედაქცია გიწვევთ სათანამშრომლოდ ფილიალების გასახსნელად, როგორც თბილისში, ასევე რაიონებში. საქმის დასაწყებად საჭიროა $180. მის: თბილისი, კოსტავას ქ. 14, II სარ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59. დათო








## ნიკა!

*შენს ნახვას ვნატრობ, ჩემო ბიჭო!*

ჩემო ნიკა, ჩემო მონატრებულო შვილო! უსასრულობიდან იწყები და მარადისობაში იკარგები შენ, ჩემო განუმეორებელო სიყვარულო. შეუძლებელია მოიძებნოს რაიმე ტკივილი, რომელიც შეძლებს შენი ფუნთუშას დაიმორჩილოს. ჩემო ვაჟკაცო, გავიდა ერთი წელი იმ უბედური დღიდან, მაგრამ შენი დედისთვის, შენი ცოლ-შვილისთვის თუ დედმამიშვილებისთვის კი დრო გაჩერდა. წამიც კი არ მიიწევს წინ შენი გახსენების გარეშე. დრო ყველაფრის მკურნალიაო – ტყუილად უთქვამთ. შეუძლებელია განიკურნოს ჩვენი გულები. შენი მონატრება უშხამესი ტკივილია ჩვენთვის და სანამ ცოცხლები ვიქნებით, ამ ტკივილის მოშუშებას ამაოდ ვცდებით. ეს ტკივილი არ განიკურნება მანამ, სანამ იმ ქვეყნად ჩვენი შეხვედრა არ მოხდება. შენს საყვარელ ოჯახსა და დედმამიშვილებს ღიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ, მაგრამ მე და მამაშენი კი შენთან შეხვედრას ვნატრობთ ყოველ წუთას. მაღალი ღმერთი რომ განაგებს ყველაფერს, თორემ რატომ იმ დღესვე არ გაუსკდა გული შენს უბედურ დედას, შენი ამბავი რომ უთხრეს. იმ წამიდან დაამთავრა შენმა დედამ სიცოცხლე და სიხარული. მაკლიხარ, შვილო, უზომოდ მაკლიხარ. შენი მოფერებით ვივსებდი ყველას სიყვარულისა და მონატრებას, ახლა კი ასე არ არის, არავის მოფერება არ მავსებს შენს სიყვარულს, შენს მონატრებას. შენ განუმეორებელი, დაუვიწყარებელი კეთილი რაინდი იყავი ერთ-ერთი ზღაპრიდან. ვინ რა იცის, როგორ თენდება და ღამდება ტირილსა და ტკივილში. რომ შემეძლოს, გავუქრობ და გავანადგურებ კალენდარში 14 დეკემბერს, ჩვენი დაცილების დღეს სამუდამოდ. რატომ მაინცდამაინც შენ შეიქნი ათენის მიწაზე მიმე და ზედმეტი. ნუთუ ვერ გზიდა სამშობლოს მიწამ შენი ფუნთუშა, მოსიყვარულე, ოჯახისა და ნათესავების მოამაგე. შენ უნდა მოგეკითხა ყველა და შენ უნდა გცოდნოდა ყველას ჭირ-ვარამი. შეუძლებელი იყო ლხინი შენ გარეშე, შეუდარებელი იყო სუფრა შენი თამადობით. ყველაფერში პირველი იყავი და იმ ქვეყნის გზასაც პირველი დაადექი. ერთი წელი გასრულდება, რაც იმ ქვეყნის შვილი გქვია და არც კი ვიცი, რა გისურვო. მხოლოდ ის მინდა, რომ შენი სული ნათელში იყოს, ნათელი სასუფეველი დაგიმკვიდროს ღმერთმა. შენი გაუბედურებული დედა კი ორი წლის თავზე შენთან ყოფილიყო. ყოველ ღამე ღმერთს ვევედრები, სიზმარში მაინც გნახო, ხელით შეგეხო, მოგეფერო, გულში ჩაგიკრა, მოგიყვე, როგორ გაუსაძლისია ჩემთვის უშენოდ სიცოცხლე, თუ სული მიდგას, ისევ შენი გაუბედურებული ცოლ-შვილისათვის. მინდა აგიხსნა და დაგაჯერო, რომ აღარ შემიძლია უშენოდ. უზომოდ მენატრები. არც შენ იქნები მშვიდად მარტო. შენ წამართვი ყველაფერი, რაც კი მქონდა, – წამართვი სიხარული, ძალა, ფიქრები, ხალისი. ძალიან შენი საცოდავი მეუღლის ყურება, გაოგნებულია, ისევ და ისევ კითხვაზე – რატომ? – პასუხს ვერ პოულობს. ვერ დაუჯერებია, რომ ისევ არ მიხვალ მასთან. ნუთუ მართლა გამოვეთხოვე ჩემს დიდ სიყვარულსო. მოგონებები ტანჯავს და რაც კი დარჩენია, მხოლოდ ისაა, რომ ისევ იმედით შეჰყურებს თქვენს ორ ანგელოზს და ისევ იმედით არის, რომ კვლავ შეაღებ მისი სახლის კარს, ისევ ექნებათ შენი იმედი. გელოდება, შვილო, უსაზღვროდ, ჰგონია ისევ დაბრუნდები. რომ გამოერკვევა, ცრემლების ნიაღვარი ახრჩობს. ვერა და ვერ შეეგუა უშენობას. გპირდები მხოლოდ ერთს: შენს ცოლ-შვილს, როგორც შემეძლება, გვერდიდან არ მოვიცილებ და მართალია, უშენობას შორნის ვერ შევუცვლი, მაგრამ ჩემთან ერთად შენი ძმიკო ლაშა, დაიკო თამთა და მამაშენიც ვიზრუნებთ მასზე. შენს შვილებს სიყვარულს და სითბოს არ მოვაკლებთ, შენ კი იძინე მშვიდად. რა უცნაური სიტყვა გაძლება, დაფარული ტკივილის ტარება, ცოცხლობ და გაზიზღება სიცოცხლე. აი ეს ყველაფერი, რაც კი დაგვიტოვე ყველას.

*შენი უბედური დედიკო – მარინა გონგაძე-კვერნაძე*



## მამუკა ძამაშვილის მონატრება

ჩვენო საყვარელო მამო, უსაზღვროდ გვენატრები. ერთი წელი გავიდა იმ აუბედითი დღიდან, როცა ტკივილის უკუნით გაელვებამ შენი თავი მოულოდნელად წაგვართვა. დრომ ვერ განელა შენი დაკარგვით გამოწვეული მწუხარება. რატომ მოაკლდი შენს საყვარელ ცოლ-შვილს, უზომოდ რომ იყავი შეყვარებული? შენს ვაჟს ახლა სჭირდება მზრუნველი მამა.

უშენობამ ერთიანად განადგურა შენი მშობლები. მაგრამ ისევ გრძელდება მწარე, ტკივილიანი სიცოცხლე, დღედაღამ შენზე ვლოცულობთ. სხვა აღარაფერი შეგვიძლია.

უფალს ვევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*დედა იზოლდა ოჯახით*

## თამაზ და თემო (ვანო) ხატიაშვილების გახსენება



*თქვენ ხომ ღმერთებმა გამოგარჩიათ,*
*მოგწყდით სიკვდილის მასხვრალი ხელი*
*თქვენ ხომ შვილები არ დაგრჩენიათ,*
*მიტომ გაცივდა კერია თქვენი*
*თქვენ ხომ იყავით მზეჭაბუკები,*
*ასე ფიქრობდა პატრონი*
*თქვენი,*
*მაგრამ წაბილით ძლიერ*
*კარიან,*
*არ შეგისრულდათ ოცნება თქვენი*
*ძმის შენი მორთეს ხელი*
*მისშვილს ტკივილი ასიათასი*
*ისევ დაგელით დაბადების დღე,*
*უთქვენოდ მიდის... არა აქვს ფასი.*



*ოჯახი*



## გია კანტიძეს!

ჩემო ლამაზო გია, თორმეტი ტკივილიანი თვე გავიდა შენი ამ ქვეყნიდან წასვლისა. სიცოცხლით და იმედებით სავსეს 37 წლის ასაკში შენი თავი წაართვა დაუნდობელმა სიკვდილმა. ჩემო სიცოცხლით სავსე შვილო, როგორი უბედური დღე გამხადა სიკვდილმა. რატომ, რისთვის შვილო, შენ ხომ კეთილზე კეთილი, ძალიან ალალი იყავი, შვილო?! რატომ დაჩაგრე შენი ძმა დაიო? წახვედი და თან წაიღე ის ლამაზი ოცნება, რომელსაც თურმე ასრულება არ ეწერა. ულმობელი ყოფილა სიკვდილი. განა შეიძლება, რომ დედას შვილი უკვდებოდეს? ჩემო ლამაზო გია, ბედმა სამარადისო სიჭაბუკე გარგუნა, მე და მამაშენს კი – მარადიული ტანჯვა. შენ დიდი ტკივილი ხარ შვილო, რომელიც დროსთან ერთად იზრდება და რომელსაც გია კანტიძე ჰქვია. 37 წელში ბევრი სიკეთის დათესვა მოასწარი ვაჟკაცმა, უფალმა ასეთი გამორჩეული თვისებების გამო გაგარიდა ამ ცოდვილ წუთისოფელს და თავისთან გიხმო. სულის ტკივილამდე მენატრები, გია, შვილო. ჩემო სიცოცხლევ, შენ ეს სიტყვები გიყვარდა, როცა გვეფერებოდი.

მსუბუქი იყოს ჩემი სამშობლოს

მეხრანის მიწა შენთვის!

*შენი ტანჯული მშობლები*

## გიორგი ანთიძის მონატრება



შვილო! შენი გარდაცვალებიდან, ვაჟი შვილის ძახილით, აუტანელი ტკივილითა და შეუშრობელი ცრემლებით სავსე ოთხი წელი გადის 7 დეკემბერს, რამაც ძალიან დამღალა, სიცოცხლე ჯოჯოხეთად მიქცია, ერთი სამლოცვში ვერ ჩავეტე, თორემ სხვა არაფერი მაკლია; ოჰ, რა მწარე ხარ სიკვდილო, შენი უკანონო განაჩენი! რა იქნებოდა, ღმერთო, ამ ქვეყანაზე უდროოდ სიკვდილი არ ყოფილიყო და ერთადერთი იმედი არ უკვდებოდეს მშობლებს. ყველაფერი შეგამკო ღმერთმა, მხოლოდ რაც მთავარი იყო ჩემთვის, სიცოცხლით – არა. ახლა რა ვქნათ? რითი ვინუგეშოთ თავი მოხუცმა მშობლებმა და ცოლ-შვილმა, რომ გაგვეძლოთ ამ საშინელ ტკივილს, რასაც უშენობა ქვია. შვილო, დედაშენს სიცოცხლეს შენი ერთადერთი შვილი, 10 წლის ანუკი უგრძელებს; შენმა ლამაზმა სულმა არ მოაკლოს ყურადღება, დაიცვას ყველაფერი ცუდისგან და ბოროტებისგან. შენი შვილის გამარჯვება, წინსვლა და მიღწევა შენს ნათელ, შეულახავ ხსოვნას ეძღვნება.

გიორგი, შვილო, შენი უკვდავი სული გვპატრონობს ჩვენც. შენი დიდი დამსახურების გამო, ისეთი სიყვარული დატოვე შენს მეგობრებში, რომ სულ ყურადღებას გვაქცევენ, რაც კი შეუძლიათ.

შენი გაუბედურებული დედა ყოველდღიურად შენს საფლავთან ვინთებ კანდელს და ვევერები შენს გაყინულ სურათს და საფლავის ქვებს. ასე მიდის და მიდის უსიხარულოდ დღეები...

ღმერთო, გევედრები ნუ მოაკლებ ღვთიურ ნათელს გიორგის ლამაზ სულს.

*მშობლები, ცოლ-შვილი, ახლობლები და მეგობრები*

## ნორა გერას ასული გოგუა-თოლორდავა

10 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, მაგრამ ტკივილი არ ნელდება. განუმეორებელი დედა და ბებია იყავი, უზომოდ შეყვარებული შვილებსა და შვილიშვილებზე, ყველას სითბოს და სიყვარულს უნაწილებდი. შენი სული ზეცაში, ისეთსავე ღირსეულ ადგილას დამკვიდრდა, როგორი ღირსეული სახელიც ამქვეყნად დატოვე.

იძინე ტკბილად, კეთილო და სიკეთის მთესველო!

*შვილები*



## ელიზბარ გრიგოლის ძე თოლორდავას ხსოვნას!

40 დღეა, განგების ნებით დაიმკვიდრე საუკუნო სასუფეველი. ვაი რომ, უძლურები ვართ უფლის ნების წინაშე, მაინც ვერ ვიოკებთ შენი არყოფნით გამოწვეულ სულის კვნესას. ღმერთს ვევედრებით, იმ ქვეყნად მოგიზღოს შენი აქ დათესილი სიყვარულისა და სიკეთის წილი.

*თოლორდავების ოჯახი*

## გოგიტა ვაშაყმაძის მოგონება

*„შენი სიკვდილი შენი ბოლო არ არის მხოლოდ,*
*ჭეშმარიტებას და მშვენებას ელის ბოლო"*



გოგიტა, ჩვენო უსაყვარლესო ადამიანო, შენმა ამ ქვეყნიდან წასვლამ ხომ ყველა ჭეშმარიტებასა და მშვენებას, ყველა იმედს მოუღო ბოლო...

გილოცავთ დაბადების დღეს, თვალცრემლიანები მოვალთ შენს საფლავზე და გულისტკივილით აღვნიშნავთ ამ დღეს პირველად შენ გარეშე.

შარშან შენი დაბადების დღის ლამაზ სუფრას მშვენიერი ვაჟკაცი თამადობდა – შოთიკო. თქვენ ხომ ერთად წახვედით ამ ქვეყნიდან... ალბათ იქაც არ შეგირცხვენს სუფრას... დაგვენგრა ყველა ის ოცნება, რასაც მომავლისთვის ვგეგმავდით. გვამაყებოდი და ვამაყობთ კიდეც შენი განვლილი გზით და ამის ხმამაღლა თქმის არ გვრცხვენია.

ძალიან გვენატრები ყველას.

შენი სულისთვის მუდამ ვილოცებთ.

*შენი მამიდაშვილები: ნატო, ნანა, ცირა და აკო გოგელიები*

## მერაბ შაყულაშვილს!



*დედის გული კი*
*ძველებურად ტირის, ტირის!*

ალბათ სულ გამოილია მადლი დედამიწაზე, ცაში რომ გიხმობთ უფალი ასე ახალგაზრდებს. თქვენ ბედმა სიბერისთვის ვერ გაგიმეტათ და ასე მშვენიერები, ახალგაზრდული სილამაზით ეახლით საუფლოს.

2001 წლის 1 დეკემბერი შემზარავი დღეა უბედური შენი მშობლებისთვის. 4 წელი მიიწურა უშენოდ, შვილო, გული მეკუმშება, ნუთუ მართლა უშენობაა, მენატრები, გაუსაძლისია ჩემი ყოფა, ვერაფრით ვივსებ უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს, გამოვიტირე, გამოვცარიელდი, სადღაა „შენი ძმაკაცი, ამაყი დედიკო", მისგან მხოლოდ ერთი გამოუსადეგარი არსებაღა დარჩა, რომელიც დღედაღამ შენს სასუფეველს ევლოლავება, შენს ყვავილებს ეფერება, უვლის, ის ხომ ჩემი უდიდესი და უწმინდესი ეკლესიაა, საიდანაც, რომ არა მარიკა და გოგა, არასოდეს დავბრუნდებოდი, იქ დავალამებდი, იქ მომიწევდა გათენებაც და ალბათ ერთ ბედნიერ დღესაც ოთარაანთ ქვრივივით შენს გულზე დამხობილს, ჩახუტებულს და გაცივებულს მნახავდნენ.

სიყვარულის თესლი ჩემო ლამაზო და უნაკლო ბიჭო, ირგვლივ შენით ამაყობს შენი სამძაკაცო, რომლებმაც დიდებული მთის წყარო შვილად დაგვიტოვეს, „მერაბის წყაროში" გრძელდება შენი სიცოცხლე, შვილო!

„ჩემ მიერ გავლილი მოკლე, მაგრამ მართალი და ლამაზი გზა წუთისოფელში არდავიწყების შარავანდედით მოსავს, ჩემი სახელი უკვდავებაა – არ დამივიწყებს ჩემი სამძაკაცო" (წიგნიდან „ხიფათით სავსე 25 წელი" – მ. შაყულაშვილი)

მერაბ, შენ ის ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება. მეგიჯღეს დედა, ჩემი იმედი და მაინც მიკვირს, როგორ ძლებს უბედური დედაშენი; ამ უაზრო გათენებას და დაღამებას როგორ უძლებს ნეტავ, ჩემო სიზმრის იმედო, მარად მეხუთეკურსელო, დიპლომაუღებელო ექიმო-სტომატოლოგო! მტკივა უშენობა, ჩემო მარად 25 წლის ღიმილის ბიჭო.

*შენი უბედური მშობლები*

## ლილი ფურცხვანიძის გახსენება



ორი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. მოურჩენელი ტკივილი დაგვიტოვე ყველას.

გვიჭირს უშენობა. დრო ყველაფრის მკურნალი არ ყოფილა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო სიკეთით სავსე ადამიანო.

*მანანა და ქუცა*

## რობერტ ჯალაღანიას თვალცრემლიანი მონატრება



17 აგვისტო, 2002 წელი. მეხის გავარდნას ჰგავდა შენი გარდაცვალების შეტყობინება. მართლაც აღარ მყავს ჩემი შვილი რობერტი, რომელიც ჩემი ოჯახის შეუფასებელი ქონება იყო. უზომო მონატრება გვტანჯავს. შენ სახელს დავიწყება არ უწერია. შენი გვარის გამგრძელებელი შენი შვილი ოთიკო, მამაზე გულდაწყვეტილი, სურათით გიცნობს, საფლავზე შენს ლამაზ სურათს კოცნის. შენს ლამაზ ოჯახში – რომელიც უსიტყვოდ, უძღოდ დატოვე – სტუმრად მისულთ, ოთიკო სურათით აცნობს შენს თავს, – ეს ჩემი მამიტაო.

ღმერთს ვევედრებით, შენი ლამაზი სული ნათელში გვამყოფოს უფალმა.

*დედა*

## გურამ კაჭარავას გახსენება



გავიდა ტკივილიანი და ცრემლებით სავსე 40 დღე, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ, გურამ.

დატოვე ალალი შრომით შექმნილი შენი ოჯახი. დაგვრჩა მხოლოდ მოგონება, შენი სითბო და მონატრება. ძალიან გვიყვარხარ, გვაკლიხარ, გურამ!

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური აბაშის მიწა.

*მეზობლები*

*და წერილი საიქიოში უდროოდ გადასახლებულ ჩემს დედას*

## თამრიკო ოთხოზორიას!

ჩემო ლამაზო დედიკო, ძალიან მომენატრე...



მე არც ისე პატარა ვარ, შენი დაბრუნების სასწაულის მჯეროდეს და არც ისე დიდი, გულისტკივილით ყელს მომდგარი, წამწამებს დაკიდებული ცრემლი შევიკავო.

5 წელია, ბებოს ხელებით შენი ხელები მეფერება, 5 წელია ბებოს თვალებში შენს მზერას ვიჭერ, 5 წელია ბებოს მკერდს ჩახუტებულს შენს მკერდზე თავმიდებულად მიმაქვს თავი.

შენი თავი უფალმა წამართვა – უიღბლო გამიდი(?!) ალბათ, ამ უიღბლობის ბრალია, მამაც რომ დამეკარგა. იქნებ ჩემი ხმა მამაჩემს იგორ ხურცილავას მისწვდეს და მოაგონოს, რომ აბაშის რაიონის ერთ პატარა სოფელ საგვაზავოში ცხოვრობს მისი შვილი გიორგი ხურცილავა. დედა, შენს თავს ვფიცავ, მე მისგან არაფერს მოვითხოვ იმის გარდა, რომ „მამას" დავუძახებ, იშვიათად კი მისი ნახვის უფლება მომცეს.

უდედო ბავშვი ცოდოა, უდედმამო – საბრალო. ჩემში გადმოსულმა შენეულმა გულზვიადობამ ნაადრევად თავმოყვარე გამხადა. ვაჟკაცობაც შენეული დამყვა და სურვილი შენსავით ამაყი, სცენაზე დავდგე და მთელი ქვეყნის გასაგონად შევძახო: მე შენ მიყვარხარ, დედა!

*გიორგი ხურცილავა, 8 წლის*

## ალიკა ბერიძის მონატრება

ჩემო ლამაზო, ხატადქცეულო ბიჭო, მინდა მოგეფერო და დაბადების დღე მოგილოცო გაზეთის იმ მტკივნეული გვერდიდან, საიდანაც ძაძებში შემოსილი დედები ეფერებიან და ულოცავენ დაბადების დღეს მარადისობაში გადასულ შვილებს.



4 დეკემბერი შენი დაბადების დღეა. ცოცხლად მინდა მოგილოცო, დედიკო, დაბადების 25-ე წელი. რა მწარეა შენი მშობლებისთვის ამ ლამაზი დღის უშენოდ გათენება, რომელსაც შენ გარეშე აღვნიშნავთ ახლობლებთან ერთად. 2002 წლის 5 აგვისტოს შემდეგ ჩვენს ოჯახში ყველაფერმა დაკარგა აზრი. შენი მშობლებისთვის დაცარიელდა სამყარო, რომელიც შავად გვეჩვენება. მწარე დაღი დაესვა ჩვენს ცხოვრებას უშენოდ. შენ იყავი ჩვენი ბედნიერი ოჯახის აზრი, უშენოდ კი ყველაფერი გაუფერულდა და გაიყინა. შენებურად აღარ ახმაურებ ოჯახს, აღარ გვახალისებ შენი იუმორითა და ლამაზი სიმღერებით. იზრდებოდი სიკეთით სავსე, შინაგანად სუფთა, ყველას მოსიყვარულე ბიჭი, იმედის თვალით შეგყურებდით შენს მომავალს და ეს დიდი იმედი ერთმა აუბედითმა წუთმა დაამსხვრია და ცას შეატოვა 23 წლის ნაფერები ოჯახის ბედნიერება. ჩვენ აღარასოდეს ვიქნებით ბედნიერები. შენ ხომ ჩვენს ცხოვრებას ალამაზებდი და სიყვარულით ავსებდი.

გვიკვირს, დედიკო, როგორ შეგვეძლო შენზე უზომოდ შეყვარებულ მშობლებს, რომელთათვისაც ასე ძვირფასი იყო შენი სიცოცხლე და ისიც გვიკვირს, შენ გარეშე როგორ ვაგრძელებთ სიცოცხლეს, მაგრამ ესეც ხომ უფლის ნებაა?

შვილის დღუპვის შემდეგ მშობლების სიცოცხლე ჯოჯოხეთის ტოლფასია. თავს ვერ ვიკლავთ, თორემ ღვთისგან ბოძებული სიკვდილი, ჩვენთვის ნეტარება იქნებოდა. დავდივარ და თან დამყვება შენი მოციმციმე თვალები, გეფერები, ჩუმად გესაუბრები, მენატრები, უზომოდ მენატრები.

გინთებ უამრავ სანთელს. სანამ ვიცოცხლებ, ლოცვას არ მოგაკლებ მარადიული ხსოვნისათვის და შენი სულის სადიდებლად. ჩვენ ისღა გვანუგეშებს, რომ მარადისობაში შენი უმანკო სული სიცოცხლეს აგრძელებს.

უფალს შევთხოვ, ნათელში მიმყოფოს შენი ლამაზი სული, ჩვენო სიამაყევ და უკურნებელო ტკივილო.

*დიდი მონატრებით შენი მშობლები – გურამ და ლილი ბერიძეები*

## ალიკა ბერიძის მონატრება

ალიკა, უშენობით მოგვრილი ტკივილი არ ყუჩდება, უფრო აუტანელი ხდება.

უკვე მესამე დაბადების დღეა, ახლობლები ერთმანეთს ვეკითხებით, ამ დღეს როგორ შევხვდეთ. 22 წლის მანძილზე 4 დეკემბერს ერთად, სიხარულით აღვნიშნავდით, ახლა კი დღესასწაული გლოვის დღედ გვექცა. ერთმანეთს დაბნეულები შევყურებთ და უხმოდ, თვალებით ვეკითხებით: რა ვქნათ, უშენოდ ცხოვრება როგორ ვისწავლოთ, ან შენს დაბადების დღეს როგორ შევხვდეთ?

თითოეული დღე შენზე ფიქრით იწყება და სრულდება. სამწუხაროდ, ახლა უკვე მოგონებებით ვცხოვრობთ. ერთად გატარებულ ყოველ დღეს, წუთს ვიხსენებთ და გვიკვირს, 22 წელში რამდენი სიკეთისა და სიყვარულის დათესვა მოასწრო.

თავის დროზე შენმა მოსვლამ თქვენს ოჯახში უდიდესი სიხარული მოიტანა. მშობლების ერთადერთი იმედი იყავი. შენთან საახლოვე ყველას სიყვარულით ათბობდა, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ შენი თავი სამუდამოდ წაგვართვა და ოჯახს, ნათესავებს და მეგობრებს უსაზღვრო ტკივილი დაგვიტოვა. გვიჭირს შენი მშობლების ნუგეშისცემა, მათთვის მთელი სამყარო ხომ შენ იყავი.

თითქოს ყველაფერი შენს მოლოდინში განაბულა, ნივთებსაც შენი სითბო აქვთ შერჩენილი. სულ გვგონია, რომ მოხვალ და მწუხარებისგან შეუბებულ ჰაერს მხიარული ხმით გაამბობ, უშენობით გაცივებული სახლის კედლებს გაათბობ, მაგრამ შავ ჩარჩოში ჩასმული შენი მოღიმარი ფოტოები საშინელ სინამდვილეს გვახსენებს და ისევ უხმოდ, თვალებით ვეკითხებით ერთმანეთს: უშენოდ როგორ ვიცხოვროთ?

ალიკა, ვერ შევეჩვიეთ უშენობას, სევდას, ტკივილს და მწუხარებას შენი სახელი ჰქვია. უსასრულო მონატრებასაც შენი სახელი დავარქვით.

ამბობენ, ღმერთის რჩეულები თავისთან მიჰყავსო, ჰოდა შენც ხომ იმ რჩეულთაგანი ხარ. ეს არის ჩვენი იმედი, ჩვენო საყვარელო ალიკა.

ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ, ჩვენი ლოცვითა და კურთხევით დაგიმკვიდროთ მარადიული სასუფეველი იმ უკიდეგანო, შეუცნობელ სამყაროში.

*შენი დეიდაშვილები: ელზა და ეკა ლომიძეები, ოჯახებით*

## აბესალომ (ბესო) გაბედავას!

*„ისე წახვედი, რომ ამქვეყნად შვილიც არ დაგრჩა,*
*რა უცებ ჩაიქროლა შენი სიცოცხლე,*
*შენი ლამაზი ღიმილი და სიცოცხლე ჩუქა".*



ჩვენო ბესო, მოვიდა შენი დაბადების დღე 8 დეკემბერი, მაგრამ არა ლამაზი და ბედნიერი, არამედ მხოლოდ სევდიანი და ცრემლიანი. ისევ უშენოდ, ისევ ცრემლებით, წარსულის მოგონებებით გადავიხდით შენს დაბადების დღეს.

მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ზეცამ, ჩვენ კი – სიხარულის ნაცვლად მარადიული ტკივილი და თვალზე შეუშრობელი ცრემლი დაგვრჩა ცხოვრების თანამგზავრად. მწარე, დაუნდობელი ყოფილა ცხოვრება. შენს მონატრებაში უნდა გავლიოთ დარჩენილი წუთისოფელი.

ბესო, გაუსაძლისი ტკივილითა და მონატრებით გილოცავთ დაბადების დღეს ზეციურ სასუფეველში და უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ჩვენო მოურჩენელო სევდავ და ტკივილო.

*ოჯახი*

## სოსო ჭყონიას მონატრება



გვენატრები, უსაშველოდ გვენატრება შენი ლამაზი ღიმილი, მოფერება.

ერთი წელია ვებრძვით უშენობას. დედის თვალებში ჩამქრალი სხივი, დისშვილის გულში ნამკვრი ხმალი, ვუგონებსა და გოის იმედი, ფიქრის ფიქრი, ტკივილი მოუშუშებელი...

*შენი ნატო*

## კახა ჯანჯალაშვილის ხსოვნას!



ორმოცი ტკივილიანი და ცრემლიანი დღე გადის უშენოდ, რომელმაც გაუნელებელი ტკივილი დაუტოვა შენს ცოლ-შვილს, მშობლებს, დას და ყველა ახლობელს.

ჩვენ გვჯერა, რომ შენი სული სამოთხეში იქნება. დაე, ჩვენმა დანთებულმა ნათელმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი ლამაზი სული.

*შენგან გულდაწყვეტილი ემზარი, ნაილი, ნანა*

## ლევან და გიგო გივიშვილების მონატრება

ამქვეყნად ყველაფერს თავისი კანონზომიერება აქვს, ყველაფერი წარმავალი და ცვალებადია; მაგრამ





უდროოდ შეწყვეტილ სიცოცხლეს, ჩამქრალ ღიმილს, აუხდენელ ოცნებებსა და მიწად ქცეულ ფიქრებს როგორ გავუძლოთ, როგორ გავუძლო?!

ახლა ყველაფერზე წარსულში უნდა ვისაუბროთ, თქვენზე უნდა ვთქვა „იყო" და ალბათ მხოლოდ თქვენ თუ გაიგებთ, რა ძნელია ჩემთვის ასე ცხოვრება.

40 წლის წინ, 12 დეკემბერს დაიბადეთ. სიმონ ნადირაშვილის ოჯახისთვის პირველი შვილიშვილები იყავით. დედაკაცმა სიხარულისა, ცხოვრებას აზრი მიეცა, ტყუპი ბიჭის მამა – შოთა გივიშვილი, რომელსაც ბედნიერება იშვიათად სწყალობდა, ახლა სხვა კაცად გრძნობდა თავს.

თქვენ იზრდებოდით, ყველგან გამოირჩეოდით ფიზიკური და სულიერი თვისებებით. ყველა სურვილს გისრულებდნენ თქვენი ბიძებიც, ასე რომ ეამაყებოდით. მე კი თქვენს უბედურ ნანა დეიდას, საკუთარ შვილზეც აღარ მიფიქრია, ჩემო ლევან და ჩემო გიგო. ჩემი ერთადერთი ბედნიერება, იმედი, ოცნება თქვენ იყავით, თქვენთვის ვარსებობდი. თქვენი ისტორიები და შეხედულებები ისეთი ახლობელი იყო ჩემთვის, მეგონა თანატოლები ვიყავით. ვაი, რომ იყო დრო ჩვენი ერთად ყოფნისა, იყო, ყველაფერი იყო...

შენ, ჩემო ლევან, 17 წლისა უერხად დაქორწინდი. ეს გიგოსთვის სტრესი იყო, რადგან უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეეძლოთ. შენ აქაც გამოსავალი გამონახე და მისი ბედიც გადაწყვიტე, ორივემ, ასე პატარებმა ოჯახი შექმენით.

ოჯახი ერთბაშად ჩაეფლო თქვენს ბედნიერებაში... მაგრამ გიგო, პირველმა შენ შეგვიწყვიტე შენთან ყოფნის სიხარული... 22 წლის ასაკში შეწყდა შენი ცხოვრება, შეწყდა, თუმცა შენს 7 თვის შოთიკოს გვიტოვებდი იმედად და ნუგეშად.

ჩემო გიგო, როგორ არაფერზე იფიქრე, შენ მაინც ხომ იცოდი, რა დიდ მართებოდა ლევანს, შენი სულისა და ხორცის ნაწილს, რომ ის უშენოდ ვერ იცოცხლებდა?! ამიტომ გტიროდით ორივეს უკვე სიცოცხლეგამწარებული დედა...

ლევანის სახლი უკვე შენი სასაფლაო იყო. მას შენ მეტი აღარავინ უნდოდა, არც თავისი შვილები – ნათია და მარიამი და არც შენი შოთიკო ახსოვდა. ლევანის ფიქრი, აზრი, გონი, არსება, შენკენ მიიწევდა. ლევანის სიკვდილმა უკვე საბოლოოდ მოუღო ბოლო თქვენი მშობლების ამქვეყნიურ არსებობას...

ახლა თქვენ, ოთხივენი ერთად ხართ. გიგო, ლევან, 12 დეკემბერს 40 წლისა გახდებოდით, მერმისაც შობა-ახალ წელს შეხვდებოდით...

რამხელა ვაჟკაცები მეყოლებოდით, რამდენი იმედი და სიხარული იქნებოდით თქვენი ნანა დეიდასთვის... მინდა გულში ჩაგიკრათ, მთელი ძალით, მაგრად, როგორც ვიცოდით და ისე მოგეფეროთ...

და მე ასეთი უბედურების შემყურე, მოლოდინით და მონატრებით გაცრეცილი, თქვენთვის ვლოცულობ, ვლოცულობ თქვენი სულის ცხონებისთვის, რომ ყოვლადმოწყალე ღმერთმა, ყოვლთა შემწყნარებელმა უფალმა, დააწესოს თქვენი სული იქ, სადაც მართალნი განისვენებენ: ადგილსა ნათლისასა, ადგილსა განსასვენებელისა...

რწმენა არის ერთადერთი ძალა, რომელიც დღეს მაძლებინებს და მავალებს, ვიფიქრო ჩემს მიცვალებულებზე, აქედან როგორღაც შევეწიოთ, გავიადვილოთ, შევიმსუბუქოთ... ეს რწმენა იმედს მაძლევს, რომ ჩვენ ოდესღაც შევხვდებით ერთმანეთს და აქ შეწყვეტილ სიხარულს, დაკარგულ ბედნიერებას უფლის წიაღში აღვადგენთ.

*თქვენი ნანა დეიდა*

## ბუთხუზ მანტუას გახსენება

ღმერთის გამორჩეული ადამიანები მიჰყავს თავისთან. მერთაზ მანტუა გამორჩეული იყო თავისი ვაჟკაცობით, კაცურკაცობით, უზომო სიხარულს და ბედნიერებას ანიჭებდა ყველას გარშემო. ურიცხ სიყვარულის თესლი. ტრაგიკულმა შემთხვევამ შეწყვიტა მისი და უძვირფასესი ბიძაშვილის – კახის ლამაზი სიცოცხლე.



ჩემო საყვარელო ბიძავ! საოცრად ძნელი აღმოჩნდა უშენობა შენი ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის. შენი მეუღლე ნანა ღირსეულად უძღვება ოჯახს და შესანიშნავად აღზარდა შენი შვილები. ვაჟიკოს და თამუნას წარმატებები და ღირსეული ქართველობა ანუგეშებს მხოლოდ დედაშენს. ყველა აღვლენილი ლოცვა გაგინათებს ცათა სასუფეველს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ნინო მელია*

## რამინ ცუცქირიძის გახსენება



*„ჩაქრა ცაზე ვარსკვლავი,*
*უდროოდ მიიზია, შეერწყა მარადისობას..."*

ცხრა დეკემბერს 54 წლის გახდებოდი...

უშენოდ პირველ დაბადების დღეს მოგილოცავთ სასუფეველში...

ძნელია საფლავზე დაბადების დღის მილოცვა...

ტკივილიანია ეს დღე უშენოდ...

გვწამს, ნათელში ხარ!..

*მეგობრები*

## გოგიტა ვაშაყმაძის ხსოვნას!

„გაჭირვებას ღვთისგან ვითმენთ და ვმადლობთ",



მაგრამ ზოგჯერ გაუსაძლისი ხდება იმ გაჭირვების თმენა, რომელსაც ახლობელი და საყვარელი ადამიანის დაკარგვა განგვაცდევინებს.

„წვიმიანი დღე იყო, როცა შენ დაიბადე, მაგრამ ეს არ იყო ჭეშმარიტი წვიმა, უბრალოდ ცა ტიროდა, რადგან მან დაკარგა მშვენიერი ანგელოზი..." მაგრამ 2004 წლის 4 მარტის მოვარიანმა ღამემ შეძლო უკან დაებრუნებინა ის მშვენიერი ანგელოზი... ბუნებამ წაგვართვა შენი ლამაზი სული და ზეცაში დაუმკვიდრა სამუდამო სამყოფელი.

დაბადების დღეს გილოცავთ, გოგიტა – 9 დეკემბერს 19 წელი შეგისრულდებოდა თვალცრემლიანები და უზომო ტკივილით დამძიმებულები მოგილოცავთ შენი ახლობლები და მეგობრები დაბადების დღეს. თუმცა, ჩვენ ასე არ ვიცოდით.

დიდი იმედი გვაქვს, რომ ზეცაში ჩვენზე ადრე შოთიკო მოგილოცავდა დაბადების დღეს, თქვენ ხომ ერთად წახვედით ამ ქვეყნიდან და დაგვიტოვეთ ისეთი მოუშუშებელი ტკივილი, რომელსაც დროის დინება ვერაფერს აკლებს... თუმცა თქვენ სულიერად ყოველთვის ჩვენთან ხართ, ამას ყოველთვის ვგრძნობთ.

ღმერთსაც კარგი უნდაო, – ამბობენ. თქვენი ამ ქვეყნიდან წასვლაც ხომ ამ სიტყვების დადასტურებაა.

თქვენს სახელს არასოდეს დავივიწყებთ, ძმებო – გოგიტა და შოთიკო. ყოველთვის ვილოცებთ, რომ თქვენი ლამაზი სულები ნათელში გვამყოფოს ღმერთმა. გვენატრებით და გვაკლიხართ ძალიან.

ღმერთმა დაგიმკვიდროთ მარადიული სასუფეველი.

*მამიდაშვილები დათო, ნუგზარი, მირზა, შენი ძმა გიგა*

## ნეკროლოგი

### ვასილ სალლიანი

გარდაიცვალა საქართველოს პროფესიული განათლების დამსახურებული მუშაკი, შ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიული ლიცეუმის, ხეზე მხატვრულად ჭრის ლეწლმოსილი საწარმოო სწავლების ხელმძღვანელი ვასილ სალლიანი.



დაიბადა 1934 წელს, დაამთავრა შ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიული სასწავლებელი. მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა კულტურის სამინისტროს შემოქმედებით სახელოსნოებში, ხეზე მხატვრულად ჭრის სპეციალობით. 1972 წლიდან თავისი მოღვაწეობა გააგრძელა შ. თოიძის სახელობის საწარმოო სწავლების ოსტატად, სადაც იმოღვაწეა სიცოცხლის ბოლომდე. მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში მისი უშუალო ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა ეზიარა ხეზე მხატვრულად ჭრის უნიკალურ სპეციალობას, რომლებიც თავიანთ მოღვაწეობას აგრძელებენ, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მისი ხელით შესრულებული, ხეზე მხატვრულად ჭრის ნამუშევრები გამოფენილი იყო საქართველოს და ევროპის ღირსშესანიშნავ საგამოფენო დარბაზებში, ხოლო უნიკალური ნამუშევრები ინახება სხვადასხვა მუზეუმში.

მოღვაწეობის პერიოდში მიღებული აქვს მრავალი მედალი, სიგელი, დიპლომი, დაჯილდოებული იყო გამოფენის ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით. ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში გაწეული ღვაწლისათვის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს პროფესიული განათლების დამსახურებული ოსტატის წოდება, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ვ. სალლიანი ერთგულად და კეთილსინდისიერად ემსახურებოდა მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. იყო გულისხმიერი მეგობარი, თანამშრომელი.

ნიჭიერი და კარგი ადამიანის, ვასო სალლიანის ხსოვნა დარჩება მისი მრავალრიცხოვანი თანამშრომლისა და ახლობლის გულში.

*თბილისის შ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიული ლიცეუმის თანამშრომელთა და მოსწავლეთა კოლექტივი*

# ყველაზე ერთგული მეგობარი



გორთან ახლოს სოფელი მაქვს. იქ ერთი უცნაური მარტოხელა კაცი ცხოვრობს — გიგლა. ჯერ ძმას იყო შეკედლებული. ის საცოდავი მოულოდნელად გარდაიცვალა. დარჩა გიგლა რძალთან და ძმისშვილებთან. მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ქვრივ-ობლებს. ბავშვები წამოიზარდნენ. ერთი რუსეთში წავიდა საცხოვრებლად, მეორე — თბილისში, რძალი უკურნებელმა სენმა იმსხვერპლა. ახლა ამიტომაც არის გიგლა მარტო. ლაპარაკი ძალიან უჭირს. იქნებ იმიტომაც, რომ როგორც კი ოჯახში შენიშნეს, გონებაგამჭრიახი არ იყო, სკოლიდან გამოიყვანეს და საქონელს დაუყენეს მომვლელად.

შარშან სოფელში მარტო ჩავედი, სურსათ-სანოვაგე ბლომად წავიღე. ხომ გაგიგონიათ, მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო. ვახშმად რომ დავჯექი, გიგლას გადავძახე, გადმოდი-მეთქი. მანაც საქმეს თავი ანება და მეწვია.

მალე სასმელიც მომეკიდა, მოვითენთე. უცებ, ვხედავ, გიგლას ზურგის მხრიდან უხსენებელი მოიკლაკნება და რუხ, პრიალა სხეულს ათასნაირად გრეხს. დიდი ფიქრის დრო არ იყო. იქვე, მაგიდასთან მიყუდებულ ბუხრის საჩხრეკს ვტაცე ხელი და ქვეწარმავლისკენ გავიწიე. გიგლა შეცბა. ახლაღა მიხვდა, რა ხდებოდა ჩემს თავს, უკან მიიხედა, მერე არაადამიანური ხმა ამოუშვა პირიდან: — არ დამღუპო, ბიჭოო და ფეხებში ჩამივარდა. გიგლა თან მე მეხვეწებოდა და თან ცალ ხელს უკან აფათურებდა. უხსენებელი უკვე მის ხელთან მიცურდა და თითქოს თავს ალერსით უდებდა ხელისგულზე.

ცოტა რომ გონს მოვეგე, გიგლას უნდობლად გადავხედე. ეტყობა, იმდენად შემცბარი და ეჭვიანი გამოხედვა მქონდა, რომ თვალებზე ხელები აიფარა და ატირდა. „ის“ კი — უხსენებელი, იქვე ფეხებთან მოუკალათდა.

— არ დამძრახო, გემუდარები, — მითხრა ისეთი გამართული ენით, კინაღამ გავგიჟდი. რომ მეგონა, ლაპარაკი არ იცის-მეთქი, თურმე სულ სხვაგვარად ყოფილა საქმე, — შენ რა იცი, რა ძალა აქვს ამ უწყინარ არსებას (ხელით გველისაკენ მიმითითა). ჩემი რძლის გარდაცვალების შემდეგ სულ მარტო დავრჩი. ავადმყოფი ბერიკაცი ვის რად სჭირდებოდა, მეზობლებმაც მიგანეს. იმ ზამთარს გავცივდი. ისე მძიმედ შევიქენი, მეგონა, სიკვდილი კარს მომადგა-მეთქი. აბა, მე პურს ვინ გამომიცხობდა, ან წყალს ვინ მომიტანდა? ვისთვის მეთქვა რამე? ჩემი ძმისშვილი ერთი სულ დავკარგე და მეორეს — წუთითაც არ სცალია. ველარც ძროხას ვწველიდი. ერთ ღამეს სიცხისაგან ვიწვოდი. შუბლზე რაღაც გრილის შეხება ვიგრძენი. მესიამოვნა. მერე ყელთან ჩამომიცოცდა. თურმე ეს იყო — ჩემი მხსნელი ქვეწარმავალი. მთელი ღამე არ მომშორებია. დილით პირველად დამიწია სიცხე, მაგრამ ლოგინიდან წამოდგომა მაინც არ შემეძლო. დავინახე, როგორ ამოსრიალდა ჩემს ლოგინზე. დღესაც არ ვიცი, საიდან და როგორ... ტუჩის კუთხესთან რაღაც დამაწვეთა... წყალი იყო. იმ საღამოს რძიანი ქილა მომაწოდა მეზობელი სოფლიდან მოსულმა ღვთისნიერმა კაცმა... ამას პირი არ დაუკარებია, სულ მე დავლიე.

გონს რომ მოვედი, დაკვირვება დავუწყე. ისე დამტრიალებდა თავს, როგორც კარგი ექიმი. რაც ყველაზე მეტად მაწუხებდა, იმ სატკივარს შველოდა. თავი ამტკივდებოდა, შუბლზე გადამისვამდა კუდს, ყელი მტკიოდა — ყელზე. იმდენი ქნა, ლაპარაკის უნარი დამიბრუნა, რომელიც ბავშვობიდან შეზღუდული მქონდა. როგორ არ მიყვარდეს? ესაა ჩემი ხსნა და პატრონი.

ვუსმენდი და გულში ვნატრობდი, — ნეტავი გიგლა ადგეს და წავიდეს. ეს გამოშტერებული ბერიკაცი ეგება შავი ძალების მსახურია-მეთქი, ვფიქრობდი.

რამდენიმე დღის წინ შევიტყვე, საცოდავი გიგლა გარდაცვლილა. მის გასაპატიოსნებლად მისულ მეზობლებს უნახავთ, როგორ ურტყამდა კედელს თავს უხსენებელი მანამ, ვიდრე ტვინი არ დაასხა...

***გურამ ბ-ძე***

# გარდაცვლილის სულმა მიხსნა...

1974-76 წლებში ჩემი ძმა საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა. 1975 წლის გაზაფხულზე მისი სამხედრო ნაწილი ყარაიაში გაგზავნეს სამხედრო წვრთნებზე. იმხანად ჩემი ძმა, სანინსტრუქტორის მოვალეობას ასრულებდა და უმცროსი სერჟანტის ჩინიც ჰქონდა. ეს გარემოება, ჩვეულებრივ რიგითებთან შედარებით, მეტ უფლებებს ანიჭებდა და ისიც, ხელსაყრელ შემთხვევას არ გაუშვებდა, ხანმოკლე თავისუფლებით რომ არ დამტკბარიყო. ერთხელ შორიახლო მდებარე პატარა ტბისკენ საბანაოდ გაეშურა. ტბამდე მავთულხლართებით შემოღობილი მომცრო ველი უნდა გადაეკვეთა. ეტყობა, მინდვრის ყვავილებმა თვალი მოსტაცა და ბალახზე წამოკოტრიალდა. მერე რატომღაც ბაბუაწვერების შეგროვება დაიწყო. „უეცრად გულმა გამალებით დამიწყო ძგერა, პირი გამიშრა და თითქოს კაშკაშა მზემ დამაბრმავა, — იხსენებდა იგი მოგვიანებით, — იძულებული ვიყავი, გავჩერებულიყავი და თვალისჩინის დაბრუნებას დავლოდებოდი, რათა გზა გამეგრძელებინა. რამდენიმე წუთი ასე ვიდექი, ბაბუაწვერებით ხელში, დაბნეული და შეშინებული, მერე კი უეცრად ბებიაჩემი ანა დავინახე... რომელიც სამი წლის გარდაცვლილი იყო! თეთრი სამოსი ეცვა და ჭაღარანარევ წაბლისფერ თმას სიო მსუბუქად უფრიალებდა. მან ხელი დამიქნია, შებრუნდა და ტბისაკენ გაემართა. მონუსხულივით გავყევი უკან. მართალია, მხედველობა დამიბრუნდა, მაგრამ მის გარდა, გარშემო ვერაფერს ვამჩნევდი. ტბასთან რომ მივედით, გაუჩინარდა. გულისცემა ჩვეულ რიტმში ჩამიდგა და დავმშვიდდი. ვიფიქრე, რაღაც მომელანდა-მეთქი... შემდეგ კი უკან, სამხედრო ნაწილისკენ გამოვეშურე. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოვასწარი, რომ ისევ გამომეცხადა ბებია და კვლავ ხელით მანიშნა, კვალდაკვალ მივყოლოდი. სწრაფად მიდიოდა. უფრო სწორად, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მიწას ფეხს არ აკარებდა, თითქოს ჰაერში მისრიალებდა, რადგან მუხლამდე ბალახი არც კი ირხეოდა.

ფეხს ავუჩქარე და უკან გავყევი, მაგრამ მანძილი ჩვენ შორის არა და არ მცირდებოდა. ასე მივედით სამხედრო ნაწილამდე და ანა მყისვე გაუჩინარდა.

ჩემს დანახვაზე მაიორ დუბინინით დაწყებული რიგითი ვლასოვით დამთავრებული, ყველა ყვირილითა და ალიაქოთით შემხვდა. ვიფიქრე, „სამოვოლკას“ გამო კარცერს ვერ ავცდები-მეთქი და ყურები ჩამოვყარე. დუბინინი კი მომიახლოვდა და მხარზე ხელი დამკრა — ტი ჟივოი? — მითხრა რატომღაც გახარებულმა. ჟივ, ზდოროვ, ტოვარიშჩ მაიორ-მეთქი, — მივუგე სულელური ღიმილით და „ჩესტი“ ავუღე. ვერაფრით მივხვდი, ასე რატომ გაუხარდა დისციპლინის დამრღვევი სერჟანტის დანახვა... თუმცა, რამდენიმე წუთში ჩემთვის ყველაფერი ნათელი შეიქნა. ტბაზე რამ ჩაგიყვანა? — მკითხა ვლასოვმა, რომელიც რუსულ გვარს კი ატარებდა, მაგრამ საქართველოში იყო დაბადებული და გაზრდილი, — როგორც კი ბიჭებმა თქვეს, რომ საბანაოდ წახვედი, აქ ისეთი ამბავი ატყდა!.. ის მინდორი, რომელიც შენ ასე არხეინად გადაიარ-გადმოიარე, მთლიანად დანაღმულია!

მივხვდი, რატომ გადავურჩი კარცერს და კიდევ... მივხვდი, რომ გარდაცვლილმა ბებიამ უეჭველი სიკვდილისგან მიხსნა!“

***ნ.კ. თბილისი***

# მოჩვენებები ჰემპტონის ციხესიმაგრეში



დღეისათვის ცნობილია არაერთი ანომალიური მოვლენა (ამოს გარდა), მაგრამ მხოლოდ ზოგიერთია დადასტურებული დამაჯერებელი მტკიცებულებებით, რაც შესაძლებლობას იძლევა, აღწერილი მოვლენა ფაქტად მივიჩნიოთ. ამგვარი შემთხვევის შესახებ მკითხველს პოლონურმა ჟურნალმა „Nieznany Swiat“-მა აუწყა.

ჰემპტონ კორტის ციხესიმაგრე, რომელიც 1525 წელსაა აგებული, მეფე ჰენრიხ VIII-ის დროს, ლონდონიდან 16 კმ-ითაა დაშორებული. როგორც სხვა ძველებური ციხეები, ისიც მუზეუმადაა ქცეული და ღიაა დამთვალიერებელთათვის.

2003 წლის ოქტომბრის ერთ დილას, დაცვამ აღმოაჩინა, რომ ციხესიმაგრის სახანძრო გასასვლელის კარი ღია იყო, თუმცა იგი არავის გაუღია! როცა მოვლენა განმეორდა, გადაწყვიტეს, დაეყენებინათ ვიდეოკამერა. მეორე დილას კარი ისევ ღია დახვდათ, ვიდეოჩანაწერის ჩვენებისას კი დაცვის წევრებმა ერთობ საინტერესო რამ აღმოაჩინეს: სახანძრო გასასვლელის კარი ნელა გაიღო და პარმაღზე გამოჩნდა ქალის ფიგურა, რომელსაც XVI ს-ის დროინდელი კაბა ეცვა. ჟურნალისტებთან საუბრისას მუზეუმის თანამშრომელმა დაეჭვებულ საზოგადოებას უთხრა: „გარწმუნებთ, ეს არ არის ხუმრობა, მსგავსი არაფერი ჩაგვიდენია. ჩვენ გაოგნებულები ვართ ამ მოვლენით“.

თავიდან დაცვის წევრებმა ივარაუდეს, რომ კართან მყოფი ქალი ერთ-ერთი გიდი იყო, რომელიც ტურისტებს დაჰყვებოდა. გიდებს ხომ ისტორიული კოსტიუმები მოსავთ. ყველა ექსკურსიამძღოლმა ქალბატონმა კატეგორიულად იუარა მომხდარში მონაწილეობა. თანაც მათი „სპეცსამოსი“ სრულიად სხვაგვარი იყო, ვიდრე ფირზე აღბეჭდილი ქალბატონისა.

როცა ექსპერტებმა ჩანაწერი გულდასმით გამოიკვლიეს, აღმოჩნდა, რომ იდუმალი პიროვნების სამოსი ფირზე მკაფიოდ ჩანდა, სახე კი გადარეცხილივით, წაშლილივით გამოიყურებოდა, ამასთან, არაბუნებრივად თეთრი ფერი ჰქონდა (ისევე, როგორც ხელის მტევნებზე). ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ეს არ ჰგავდა ადამიანის, უკიდურეს შემთხვევაში, ცოცხლის სახეს. იმავე დღეს კი, გამოხმაურების წიგნში რომელიღაც ტურისტმა ჩაწერა, რომ ციხესიმაგრეში დაინახა ძველებურად შემოსილი ქალის მოჩვენება.

თავისი არსებობის მანძილზე ჰემპტონის ციხესიმაგრე მრავალი სისხლიანი მოვლენის არენად ქცეულა. აქ, ვაჟიშვილის დაბადების შემდეგ, „გაურკვეველი გარემოებით“ დაიღუპა ჰენრიხის მესამე ცოლი ჯეინ სეიმური. ამის შემდეგ იგი თითქოს არაერთგზის უხილავთ ციხესიმაგრის ტალანებში სანთლით ხელში მოხეტიალე. მეფის მეხუთე ცოლი, კეტრინ ჰოუარდი, ქმრის ღალატის ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს. განაჩენის აღსრულებამდე იგი ციხესიმაგრეში ჰყავდათ გამომწყვდეული. ჰემპტონ ქორთში 9 წლით გამოკეტა მეფე კარლოს I ოლივერ კრომველმა და მერე სიკვდილით დასაჯა.

ამგვარი ისტორიის მქონე ციხესიმაგრეში ალბათ მოჩვენებები მართლაც ავლენენ სულის შფოთვას...

**ნლო №49**

# დედამიწაზე გახშირდა სტიქიური უბედურებები







როგორც ჩანს, ჩვენს ბებერ პლანეტას მართლაც სულ უფრო ხშირად აჟრიალებს, იგი ხან ოფლიანობს, ხან კანკალებს, ხანაც სიცხე უწევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას ამჟამად გაცილებით ხშირად ურტყამს მიწისძვრები, ქარიშხლები და უფრო ხშირად აწუხებს გამთანგველი სიცხეები. ყოველივე ამის შედეგად ათასობით ადამიანი იღუპება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბუნების მრისხანება თავს ატყდება არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს; შარშანწინდელმა მცხუნვარე ზაფხულმა თითქმის 35 ათასი ევროპელის სიცოცხლე შეიწირა. მხოლოდ საფრანგეთში 15 ათასი ადამიანი დაიღუპა! მათი უმეტესობა — 79% — 75 წლის და უფრო ხანდაზმული იყო.

გამოკვლევების შედეგებმა საგანგაშო ტენდენცია გამოავლინა: კაცობრიობას სულ უფრო ხშირად უხდება სტიქიასთან შეჯახება, რაც ბოლო ათწლეულის მანძილზე სულ უფრო მატულობს. თუკი 1994-98 წლებში მსოფლიოში ხდებოდა საშუალოდ 428 მიწისძვრა, 1999-2003 წლებში ეს ციფრი 707-მდე ანუ თითქმის 70%-ით გაიზარდა.

მეტეოროლოგიური კატაკლიზმების რაოდენობამ 1960 წლიდან 2003 წლამდე 7-ჯერ მოიმატა, გეოფიზიკური ხასიათის (ვულკანების ამოფრქვევა) კატასტროფებმა — 5-ჯერ.

წითელი ჯვრის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მსხვერპლის შემცირება შესაძლებელი იქნება, თუკი საერთაშორისო სამაშველო სამსახურები უფრო კოორდინირებულად იმოქმედებენ. ერთი საერთაშორისო სამაშველო ოპერაცია დაახლობით 50 ათასი დოლარი ჯდება.

***ეხო პლანეტი №45***

**„საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები**

I. ქვევრი.

II. 11, 6 — ა; 15, 7 — ბ; 2 — გ.

III. **აბა, გამოიცანი:**

1) — ა); 2) — გ); 3) — გ); 4) — დ); 5) — ბ).

IV. იმისათვის, რომ ჭიქა გადავაადგილოთ, ნახატი შემოატრიალეთ..

# სტალინი ბრუნდება ციმბირში

კრასნოიარსკის ცენტრში, შესაძლოა, გაზაფხულზე სტალინის ძეგლი აღიმართოს. ამ იდეას ერთხმად დაუჭირეს მხარი რფკპ-ის საქალაქო ორგანიზაციის პლენუმის მონაწილეებმა, რის შემდეგაც თხოვნა — „დაუბრუნეთ ბელადი ხალხს“ — გაეგზავნა მერიას. კომპარტიის პირველი მდივანი ვლადიმირ ბედარევი ქალაქის ხელისუფლებისაგან სრულ თანადგომას არ ელოდება — „მაინც არსებობს დაზარალებული ხალხი — მკაცრი დრო იყო“. მაგრამ იმედი აქვს, რომ ძეგლი აღიმართება ან ცენტრალურ ქუჩაზე — გამარჯვების პროსპექტზე, ან იმ სახლთან, სადაც, ისტორიკოსთა აზრით, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადები — ლენინი და სტალინი ცხოვრობდნენ გადასახლების წინ. სტალინისტებს მიაჩნიათ, რომ საჭირო არ არის ახალი ძეგლის ჩამოსხმა, აჯობებს, ძველი დააბრუნონ, რომელიც სამხარეო მუზეუმში ინახება. თუმცა, მისი მცველები ამ იდეას კომენტარს არ უკეთებენ.

კრასნოიარსკში ძეგლი არ აღუმართავთ სტალინური რეპრესიების მსხვერპლთათვის. მხოლოდ მოკრძალებული „ხსოვნის ქვა“ დადეს. როგორც სამართალდამცველები იუწყებიან, ციმბირის ბანაკებში სიკვდილით დაისაჯა ნახევარი მილიონი ადამიანი, ერთი ამდენი კი აქ გადასახლებაში იმყოფებოდა.

კრასნოიარსკელი პოლიტიკოსები, რომლებიც სტალინის ძეგლის აღმართვას უწევენ აგიტაციას, ამჟამად ადგილობრივ პრესაში აცხადებენ, რომ არ ჩატარდება მოსახლეობის გამოკითხვა, რადგან შეიძლება მოსახლეობამ ისე არ უპასუხოს, როგორც საჭიროა.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №43***

# აბრამოვიჩი ეძებს ონასისის განძს



ლონდონი გაფაციცებული ადევნებს თვალს რომან აბრამოვიჩის საქმიანობას. ახლახან გამოქვეყნებული ოლიგარქის წიგნიდან, „მილიარდერი არსაიდან“, ბრიტანელებმა შეიტყვეს, რომ მას ძალიან ძვირად, 28 მილიონ გირვანქა სტერლინგად, სამხრეთ საფრანგეთში შეუძენია ჰერცოგ უინძორის ცნობილი ვილა. ამ ისტორიულ ციხე-კოშკში უსაუზმია უინსტონ ჩერჩილს, უსადილიათ და უვახშმიათ სამეფო ოჯახების წარმომადგენლებს, პრეზიდენტებსა და პრემიერ-მინისტრებს. აქ უცხოვრია ბელგიის მეფე ლეოპოლდ -ს, იტალიის ყოფილ მონარქს უმბერტოს და ეგვიპტის მეფეს ფარუქს. შემდგომში სასახლე არისტოტელე ონასისმა იყიდა. და აი, სწორედ აქ არის დამარხული ძაღლის თავი. ამბობენ, რომ სასახლის ტერიტორიაზე ჩაფლულია ონასისის განძი — ლეგენდარული ძვირფასეულობა: რამდენიმე ათეული წლის წინ სასახლე ძლიერმა ხანძარმა დააზიანა, მის აღსადგენად იმაზე მეტი თანხაა საჭირო, ვიდრე აბრამოვიჩმა გადაიხადა, ე.ი. ოლიგარქს რაღაცის იმედი აქვს და ეს რაღაც შესაძლოა ონასისის განძი იყოს.

***ჯენტე***

# აკრძალული ხილი



დიდ ბრიტანეთში გადაწყვიტეს პროდუქტების მარკირება „მავნე“ და „უვნებელი“ ნიშნით.

მავნეა ის პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ ცხიმის ან კონსერვანტების მაღალ პროცენტს, უვნებელია — დაბალკალორიული და ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტები. ადვილად ამოსაცნობად ფიქრობენ, რომ პროდუქტებს გაუკეთონ წითელი და მწვანე ფერის ნიშნები. ამ სისტემას უკვე დაარქვეს „შუქნიშნის პრინციპი“.

***იტოგი***

# ხალხმა მიიღო დედოფლის რჩეული



ორი წლის წინ ნიდერლანდების დედოფალს, ბეატრიქსს, დიდი უსიამოვნება შეემთხვა — გარდაეცვალა საყვარელი მეუღლე. პრინც კლაუსის ავადმყოფობის პერიოდში ბეაქტრიქსმა ყველა საქვეყნო საქმე გადადო და დღედაღამ არ მოსცილებია სნეულის სარეცელს.

ახლახან დედოფალი გაბრწყინებული და ბედნიერი გამოჩნდა საზოგადოებაში, თანაც მარტო კი არა, არამედ წარმოსადეგ ჭაღარა მამაკაცთან ერთად. 69 წლის პალიუ ვან ფლიეტუ 66 წლის დედოფლის ყმაწვილქალობის მეგობარია და აი, 40 წლის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ბეატრიქსის ცხოვრებაში. ჰოლანდიელები სულგრძელად შეხვდნენ დედოფლის არჩევანს — კარგი აღნაგობის ფლიეტუ თხემით ტერფამდე ინტელიგენტია, დადებითად მოქმედებს დედოფალზე...

***მირორი***

# ოქროს ხმა



ლეგენდარულმა სტინგმა მიჰბაძა თავის მრავალრიცხოვან კოლეგას და მიიღო წინადადება, ემღერა ნიუ-იორკის ერთ-ერთ კლუბში გამართულ კერძო ღონისძიებაზე, რომელიც პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანის — კომპანია მაიკროსოფტის ხელმძღვანელის, ბილ გეიტსის დაბადების დღის აღსანიშნავად გაიმართა. ჰონორარის სახით სტინგმა, რომელმაც საღამოზე რვა სიმღერა შეასრულა, 500 ათასი დოლარი მიიღო.

***დენგი №44***

# ჯილდო უსახლკაროს ერგო

მსმენელთა წრე რომ გაეფართოებინა, კენიის რადიოსადგურმა ჩაატარა თამაში — „მიაგნე განძს“. ნაირობის ცენტრალურ პარკში, ერთ ადგილას, ჩაფლეს ზარდახშა ბედნიერი ბილეთით, რომლის წარმომდგენსაც გადასცემდნენ პრიზს — 50 ათას დოლარს. განძის ადგილსამყოფელი მსმენელებმა გამოცანის სახით რადიოში მოისმინეს. მიუხედავად დიდი სურვილისა, ვერც ერთმა მონაწილემ ვერ მიაგნო ჯადოსნურ ზარდახშას. ბედნიერი ბილეთის მფლობელი აღმოჩნდა უსახლკარო ბიჭუნა, რომელსაც რადიოსადგურის შესახებ არაფერი სმენოდა. იგი პარკში უმიზნო ხეტიალისას ბუჩქებში შევიდა ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სწორედ მაშინ აღმოაჩინა ზარდახშა. „გაოგნებული მოვარდა ჩვენთან, — ჰყვება რადიოსადგურის მენეჯერი, — ბედნიერმა ბიჭმა გვითხრა, რომ ამ ფულით შეიძენს სახლს, სადაც დედასთან ერთად იცხოვრებს“.

***ექსპრეს-გაზეტა***

# WC — სამიტი

პეკინში ჩატარდა მე-4 საერთაშორისო სატუალეტო სამიტი. აკადემიკოსებმა, სანიტარულმა ექსპერტებმა და ტუალეტის დიზაინერებმა განიხილეს ყველაზე არსებითი სატუალეტო საკითხები. ყველა ქვეყანაში განსხვავებული ტუალეტებია. მაგალითად, კორეის ტუალეტებში ისმის კლასიკური მუსიკის ჰანგები, შესასვლელში კი დგას ქოთნის ყვავილები. კორეელები, იაპონელთა მსგავსად, გამოირჩევიან ტექნიკური სიახლეებისადმი სიყვარულით: მრავალფუნქციიანი ელექტრონული უნიტაზებით აქ ვერავის გააოცებთ. არანაკლებ საინტერესოა ევროპის საზოგადოებრივი ტუალეტები. გერმანიაში ზოგიერთი ტუალეტი ლიფტის კაბინას წააგავს. იგი 20 წთ-ის განმავლობაშია თქვენს განკარგულებაში. ამ დროის გასვლის შემდეგ კი სასიამოვნო ხმა გაცნობებთ, რომ კარი ღიაა. უფრო მეტიც, რაციონალური გერმანელები აპირებენ აღჭურვონ კაბინები სიგნალიზაციის სისტემით, რათა არავინ მოიპაროს რბილი, გერმანული ტუალეტის ქაღალდის რულონები.

***ოგონიოკი №47***

# სასწაულია, აბა რა!



თავისი უსაზღვრო შესაძლებლობების დასადასტურებლად 2005 წლის „გრანდ ჩეროკის“ ჯიპი მზადაა, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, კედელზე ავიდეს. ტრასაც შესაფერისი აღმოჩნდა — ნიუ-იორკის 30-სართულიანი ცათამბჯენი.

***ეხო პლანეტი №46***

# შიფერს კონკურენტი გამოუჩნდა



ტოპმოდელს, კლაუდია შიფერს, აქამდე არ ჰყოლია კონკურენტი. ახლახან კი ავანსცენაზე გამოვიდა 19 წლის გერმანელი ჯულია შტენგერი და მაყურებლის ნებიერ მოდელს ყურადღება დააკლდა.

ჯულიას კარიერა ზღაპარივით დაიწყო. 5 წლის წინ მას ლუდის ბარში ერთი ქალბატონი გამოელაპარაკა, — მოდელობა ხომ არ გინდაო. ქალბატონი სამოდელო ბიზნესის აგენტი აღმოჩნდა. ჯულია სიხარულით დათანხმდა. სწავლისგან თავისუფალ დროს, შაბათ-კვირას კი, პოდიუმზე დაიწყო გამოჩენა — მისთვის დიპლომი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სამოდელო ბიზნესი. გარეგნულად ის ძალიან ჰგავს კლაუდიას. პირველი ჰონორარით ჯულიამ კომპიუტერი იყიდა და გაკვირვებული ჟურნალისტის შეკითხვას ასე უპასუხა, — ვინ იცის, ჩემზე, როგორც მოდელზე, როდემდე იქნება მოთხოვნა, პროფესია ხომ უნდა მქონდესო.

***დეილი მეილი***

# დედამთილი არ გიღალატებთ!

74 წლის ბრიტანელმა ჯენიფერ სტროვერმა 11 წლის წინ ბუქმეკერების კანტორაში 100 გირვანქა სტერლინგი დადო იმ პირობით, რომ მისი დედამთილი 100 წელიწადს იცოცხლებდა. ერთი წლის შემდეგ გერგილიანმა ქალმა ფსონი 50 გირვანქით გაზარდა.

დედამთილმა — როზალინდამ — რძალს იმედი არ გაუცრუა და საუკუნეს მიაღწია. ამგვარად, ჯენიფერმა დედამთილის წყალობით 12.500 გირვანქა სტერლინგი მოიგო.

გახარებული რძალ-დედამთილი მოგებული ფულით დიდი ლხინის გადახდას აპირებს.

სხვათა შორის, მისის სტროვერის მიბაძვით, იზრდება მათი რიცხვი, ვინც ფსონს ოჯახში მომხდარი ამბების გამო დებს.

***მეგაპოლის-ექსპრესი №47***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში **გოგა ხაინდრავას** სიტყვებს ამოიკითხავთ.




**დ.** ორლულიანი თოფის ორივე ლულის ერთდროული დაცლა; **ა.** კუნძული, რომლის შუაგულშიც ლაგუნა მდებარეობს; **ი.** კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი; **ს.** რაიმე ქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **ვ.** ტრამვაის მძღოლი; **ე.** საზოგადოებაში თავის დაჭერის წესები; **ნ.** ღმერთის მიერ ევას შესაქმნელად გამოყენებული „ნახევარფაბრიკატი“; **ე.** რაიმე საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **პ.** ფრანგული თეატრის კომიკური პერსონაჟი; **ა.** ცხოველი, რომელსაც აფრიკული სავანის სანიტარს ეძახიან; **ლ.** ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული; **ი.** მონღოლთა ტრადიციული საცხოვრებელი კარავი; **ტ.** მოკლე მუსიკალური მისალმება; **რ.** მდინარე გერმანიაში; **ი.** ძალა, სიქა, არაქათი; **ს.** ავღანელი ჯარისკაცი; **ფ.** მოხეტიალე მუსლიმანი ბერი; **ე.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **რ.** ლექსის სხვადასხვა სტრიქონში ბოლო ბგერების განმეორება; **ე.** მცენარე, რომლის ფესვებითაც სააღდგომო კვერცხებს ღებავენ; **ბ.** ვირის, ძაღლის, კატისა და მამლის მშობლიური ქალაქი; **შ.** კვირის წმინდა დღე ებრაელთათვის; **ი.** ჩინეთის ფულის ერთეული.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***
**დ.** დისპუტი; **ა.** არტალა; **ი.** იმამატი; **ს.** სალიერი; **ვ.** ვაიკულე; **ე.** ერნესტი; **ნ.** ნეილონი; **ე.** ერუდიტი; **პ.** პადრე; **ა.** ალიონი; **ლ.** ლიდია; **ი.** იკებანა; **ტ.** ტოსკა; **რ.** რეისი; **ი.** იზაურა; **ს.** სიდი; **ფ.** ფრანსუა; **ე.** ერმაკი; **რ.** რეიგანი; **ე.** ეპარქია; **ბ.** ბანზაი; **შ.** შაილოკი; **ი.** იტალია.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: სტალინი უდიდესი ადამიანია.**

# ტერორი, რომელიც „კვალს არ ტოვებს“

(დასაწყისი იხ. გვ. 10)




ვიქტორ იუშჩენკო ივლისში (მარცხნივ) და... დეკემბერში...

ტერორის ამ სახეობის განხორციელება თითქმის შეუძლებელია, თუ მკვლელი არ არის დაახლოებული ობიექტთან. ფაქტობრივად, მსხვერპლი იმ ადამიანის ხელით კვდება, რომელსაც უსაზღვროდ ენდობა. სხვანაირად, როგორ შეიძლებოდა მოეწამლათ ისეთი ფრთხილი პიროვნება, როგორიც თუნდაც არაფატი იყო?

ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე პასუხის მისაღებად „კვირის პალიტრა“ კომპეტენტურ სპეციალისტებს ესაუბრა:

**ბადრი ნაჭყებია**, პოლიტოლოგი, ტერორიზმის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი: — საწამლავს, როგორც პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის გამიზნულ ნივთიერებას, წინათაც ხშირად იყენებდნენ. მოგეხსენებათ, რაოდენ მძლავრი აგენტურული ქსელი ჰქონდა საბჭოთა უშიშროებას არა მარტო შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც. გახმაურებული ფაქტია ბულგარელი ჟურნალისტის, გიორგი მარკოვის მკვლელობა, რომელიც სოციალისტური ბანაკის ერთ-ერთი ქვეყნის, ბულგარეთის სპეცსამსახურმა აღასრულა — მას რიცინის შხამში ამოვლებული ქოლგის წვერი უჩხვლიტეს. ბოლო დროს მომხდარი ტერორისტული აქტებიდან, სადაც რუსული სპეცსამსახურები შხამების გამოყენების ფაქტს არ უარყოფენ, იყო ცნობილი საველე მეთაურის, ხატაბის მკვლელობა. მის გასანადგურებლად გამოყენებული იქნა ქიმიური ნივთიერება, რითაც ასე ამაყობს უსაფრთხოების ფედერალური ბიურო. არა მარტო რუსეთის სპეცსამსახურები მიმართავდნენ პოლიტიკური ანგარიშსწორების ასეთ მეთოდებს, არამედ სხვა ქვეყნებიც. 60-იან წლებში ამერიკის სპეცსამსახურებმა სცადეს ფიდელ კასტროს მოწამვლა სპეციფიკური შხამით, რომელიც უნდა ჩაეყარათ მის ფეხსაცმელში, რასაც უნდა მოჰყოლოდა თმის ცვენა. ეს კასტროს დისკრედიტაციას გამოიწვევდა. შედარება რომ მოვახდინოთ, უკრაინაში დღეს განვითარებულ მოვლენებთან, ერთ, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას. იანუკოვიჩის ერთ-ერთმა მომხრემ განაცხადა, რომ მას არ მოსწონდა იუშჩენკოს სახე, ანუ პოლიტიკურ ბრძოლაში პატარა დეტალებსაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რამაც შეიძლება მოწინააღმდეგეებს დიდი უპირატესობა მიანიჭოს. ახალი სპეცსამსახურების ხელში ტერორის ასეთი მეთოდები ზესაიდუმლოების კატეგორიას განეკუთვნება და კიდევ დიდხანს დარჩება გაურკვეველი, თუ რა მოხდა სინამდვილეში. საპირისპირო ფაქტებიც არსებობს. ისრაელის სპეცსამსახურებმა ოფიციალურად გამოიყენეს მომწამვლელი ნივთიერება „ჰამასის“ ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ იორდანიაში. მისი გადარჩენა მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდა, რაც იორდანიის მეფე ჰუსეინმა, ასე ვთქვათ, ერთგვარი როქი განახორციელა ანუ დაკავებული ებრაელი სპეცაგენტები ისრაელს მომწამვლელი ნივთიერების ანტიდოტში გაუცვალა.

**— ტერორის ეს სახეობა რით განსხვავდება ტრადიციული მეთოდებისგან, როგორიცაა აფეთქება და ლიკვიდაციის სხვა ფორმები?**

— განსხვავება იმაშია, რომ შხამების და მომწამვლელი ნივთიერებების ტექნოლოგია იხვეწება. თუნდაც მედიჩის პერიოდი გაიხსენეთ, როცა იგი ლამის ხელოვნების დონეზე იქნა აყვანილი და მოწამვლის სხვადასხვა ფორმას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. დღეს ტერორის ეს სახე ისე დაიხვეწა, რომ შესაძლოა ხელის ჩამორთმევის შემდეგ ადამიანი ინფარქტით დაიღუპოს. მარკოვის ლიკვიდაციის ფაქტი მოვიყვანეთ წელან და არის ინფორმაცია, რომ პირველ ეტაპზე მისი განადგურება სწორედ ამ მეთოდით იგეგმებოდა. მარკოვის მანქანის სახელურს წაუსვეს ისეთი ნივთიერება, რომელიც ორ-სამ დღეში გამოიწვევდა ინფარქტს, მაგრამ ბულგარელი ჟურნალისტი მაშინ იმან გადაარჩინა, რომ ხელთათმანს ხმარობდა.

**— ხომ არსებობს შესაბამისი სამსახურებიც, რომლებიც ტერორის ობიექტებს დაიცავს მსგავსი ნივთიერების ზემოქმედებისაგან?**

— რა თქმა უნდა. სპეცსამსახურების სამედიცინო ნაწილი რეგულარულად ამოწმებს ქვეყნის პირველი პირის ჯანმრთელობას. ისინი, ვიზიტის დროს, ჟანგბადის შემცველობასაც კი ამოწმებენ კაბინეტში, რათა თავიდან აიცილონ ყოველგვარი გართულება. შესაძლოა ვინმეს ჰქონდეს ინფორმაცია, რომ ქვეყნის პირველი პირი ალერგიულია რომელიმე ნივთიერების მიმართ და ვიზიტის დროს შეუმჩნევლად გაუშვას ამ ნივთიერების შემცველი გაზი. ეს განსაკუთრებით იოლია მაშინ, როცა ჯგუფური ვიზიტია დაგეგმილი. ამდენად, ანტიტერორისტული სამსახურების მუშაობას, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პირველი პირისთვის. სხვადასხვა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებს შორის განუწყვეტელი, ფარული ბრძოლა მიმდინარეობს. ერთ მაგალითს მოვიყვან: 80-იან წლებში უცხო ქვეყნის ვერც ერთმა სპეცსამსახურმა ვერ მოახერხა ბრეჟნევის შარდის ანალიზის აღება. ამით საბჭოთა კავშირის ლიდერის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზუსტი სურათის დადგენა სურდათ. საზღვარგარეთ ვიზიტისას, ამ ანალიზის მოპოვება თითქოს იოლი იყო, მაგრამ იქაც გაჭირდა. ერთადერთი ქვეყანა, რომლის სპეცსამსახურებმა ეს მაინც შეძლეს, საფრანგეთი იყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ პირველი პირების უსაფრთხოების დაცვას კოლოსალური ძალისხმევა სჭირდება.

საერთოდ, ტერორის ისეთი სახე, როგორიც არის მოწამვლა ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ნივთიერებებით, ხშირად საიდუმლოდ რჩება. ჟონავს მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომელსაც სპეცსამსახურები შეგნებულად ავრცელებენ. შესაძლოა შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ადამიანი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, სინამდვილეში კი ის ტერორის მსხვერპლი იყოს. იუშჩენკოს შემთხვევაშიც, როდესაც უამრავი ვერსია ვრცელდება მისი მოწამვლის შესახებ, მხოლოდ დრო გასცემს პასუხს, შეესაბამება თუ არა ეს ვარაუდები სინამდვილეს. ყოველ შემთხვევაში, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

**გივი კაციტაძე**, პროფესორი, საქართველოს ტოქსიკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი-ტოქსიკოლოგი: — იუშჩენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედაპირულად მსჯელობა შეუძლებელია. დასკვნისთვის პაციენტის ანალიზების პასუხებზე მაინც უნდა მიგვიწვდებოდეს ხელი. მოკლე დროში სახის ფორმის შეცვლა არ გვაძლევს იმის გადაჭრით თქმის უფლებას, რომ იგი უეჭველად მოწამლეს. საამისოდ საჭიროა მისი ბიოსუბსტრატის ანუ სისხლის, შარდის და თავ-ზურგ ტვინის სითხის ანალიზები.

**— ბრიტანელი ტოქსიკოლოგის, ჯონ ჰენრის დასკვნებით, სახის ფორმის ასეთი უეცარი ცვლილება დიოქსინის ზემოქმედებით შეიძლება აიხსნას, რომლითაც, სავარაუდოდ, მოწამლეს იუშჩენკო.**

— დიოქსინი ქრონიკულ მოწამვლას იწვევს. თუკი ბრიტანელმა ტოქსიკოლოგმა იპოვა დიოქსინი მის ორგანიზმში, მაშინ ვარაუდებისა და ვერსიების დონეზე კი არ იქნებოდა ლაპარაკი, არამედ ოფიციალურად განაცხადებდნენ, რომ იუშჩენკო ტერორისტული აქტის მსხვერპლია. ამ საფრთხის უარყოფა არ შეიძლება. ქიმიური ტერორი დიდი ხანია გამოიყენება. ასე იყო იაპონიაში, როდესაც მეტროში ზარინი გაუშვეს. ასე იყო მოსკოვში, „ნორდ ოსტის“ თეატრში. თუნდაც თბილისში, 9 აპრილს „სიესის“ და „ჩერიომუხის“ ხმარება მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ქიმიური ტერორი არ იყო? მოვლენათა ასეთი განვითარება ძალიან მაშფოთებს, რადგან საქართველო ასეთი საფრთხის წინააღმდეგ აბსოლუტურად დაუცველია. ერთი ლაბორატორიაც კი არ გაგვაჩნია, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დაგვედგინა, თუ რა ნივთიერებითაა მოწამლული პაციენტი. როგორ ვუმკურნალოთ მოწამლულებს? საქართველოში რომ მსგავსი რამ მოხდეს, კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით. წამყვან ქვეყნებს ეს საფრთხე გაცნობიერებული აქვთ და მზად არიან კიდეც ქიმიური ტერორის შედეგების სალიკვიდაციოდ.

**— ისევ იუშჩენკოს შემთხვევას დავუბრუნდეთ. ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები არსებობს. რატომ ვერ ხერხდება ამის დადგენა, თუკი ის მართლა მოწამლულია?**

— იუშჩენკო პოლიტიკურ ბრძოლაშია ჩაბმული და ეს ვერსიები სწორედ ამიტომაცაა ასეთი ურთიერთგამომრიცხავი. ძნელი სათქმელია, რა ხდება სინამდვილეში. რაკი ცალსახა დასკვნების გაკეთებას ყველა ერიდება, გამოდის, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ არის სრულფასოვნად გამოკვლეული, ანდა ეს ყველაფერი გარკვეულ დრომდე საიდუმლოდ რჩება.

P.S. პოსტსაბჭოთა სივრცეში იმდენი ტერორისტული აქტი მოხდა, რომ მათ ჩამოთვლას არაერთი საგაზეთო გვერდი დასჭირდება. ყველაზე ცნობილ პოლიტიკოსთაგან კი, გავრცელებული ხმებით, ანატოლი სობჩაკი გახდა ქიმიური ტერორის მსხვერპლი...

ბოლო დროს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მოწამვლის ვერსიებზეც ბევრს ლაპარაკობენ. ყოველ შემთხვევაში, ამას ერთხმად ადასტურებენ მისი უახლოესი გარემოცვის წევრები...

თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტერორის ეს ფორმა ის „გველეშაპია“, რომელიც უმეტეს შემთხვევაში პირველი პირების „ხორცით იკვებება“, და იმასაც, რომ მისი საფრთხე საქართველოს საზღვრებსაც მოადგა, ალბათ ურიგო არ იქნებოდა, მისთვის მეტი ყურადღება მიექციათ ქართულ სპეცსამსახურებს, მით უმეტეს, რომ საქართველოს პირველ პირს არაერთხელ უსარგებლია ქართული სუფრის სიუხვით სრულიად არაორდინარულ ვითარებაში. ეს სულაც არ არის ცუდი, მაგრამ ისიც ქართული ანდაზაა, რომ „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“ და მოწვდილი ღვინიანი ფიალა თუ შამფურზე წამოგებული ცვრიანი მწვადი, ღმერთმა გვაშოროს და, სულ იოლად შეიძლება ბოროტი „ძღვენი“ აღმოჩნდეს...

P.P.S. ცოტა რამ ისტორიიდან: მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიების უახლესი მიღწევებით „გამდიდრებული“ ტერორის ფორმა — მოწამვლა — ბოლო დროს ანგარიშსწორების ყველაზე მისაღებ საშუალებად იქცა, მას ახალს მაინც ვერ ვუწოდებთ. ამ ხერხით შეთქმულები ოდითგან უსწორდებოდნენ მეტოქეებს ან არასასურველ პირებს, რომელთა უმრავლესობა ქვეყნის მეთაურნი და საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ. ასეთი ფაქტებით სავსეა „ბებერი“ კონტინენტის, ევროპის ისტორია — ძველი საბერძნეთი, რომი, ბიზანტია... მარტო მითრიდატე VI ევპატორის გახსენებაც კმარა, რომელიც სასახლის ინტრიგათა ქსელისგან თავის დასაცავად ბავშვობიდანვე სვამდა მცირე რაოდენობით შხამს და ბოლოს, როდესაც მტრის ხელში ჩავარდნას სიკვდილი არჩია, არანაირმა საწამლავმა აღარ გაჭრა...

**ზვიად სეხნიაშვილი**





# ქართველი არბიტრი ევროპაში



მარცხნიდან მესამე ლევან ფანიაშვილი

## იქ სულ სხვა ატმოსფეროა, ჩვენთან კი მხოლოდ ლანძღვა-გინება ისმის

უკანასკნელ წლებში, ევროპული ფეხბურთის „მამები“ სულ უფრო მეტ ნდობას უცხადებენ ქართველ არბიტრებს და ჩვენი ქვეყნის „ემისრებიც“ თანდათანობით იხვეჭენ თავის წილ ავტორიტეტსა და პატივისცემას. **ლევან ფანიაშვილმა** სექტემბერში უკვე „გაქრა“ ევროპული ფანჯარა და ირლანდია-კვიპროსის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრაში იმსაჯა, ახლა კი, ათდღიან მონაკვეთში ორი მატჩის გაძღოლა მოუწევს. 7 დეკემბერს გერმანია-შოტლანდიის ამხანაგურ მატჩს, 16-ში კი უეფას თასის ჯგუფური ეტაპის უკანასკნელი ტურის შეხვედრას — „ჰართსი“-„ფერენცვაროშს“ მოემსახურება. ბატონ ლევანს გერმანიაში გამგზავრებამდე გავესაუბრეთ.

— გერმანია-შოტლანდიის მატჩის არბიტრად მიწვევა მოულოდნელი იყო ჩემთვის, თუმცა, ბუნებრივია, ძალიან გამიხარდა. ამ რანგის გუნდთა მონაწილეობით, თუნდაც ამხანაგური მატჩის გაძღოლა ძალზე საპასუხისმგებლო და ხშირად, ოფიციალურ შეხვედრებზე რთულიც კია.

— **ალბათ, ორმაგად მობილიზებული გახვალთ მოედანზე...**

— რა თქმა უნდა, რადგან ასეთ მატჩებზე სულ სხვა ატმოსფეროა სტადიონზე: უამრავი ქომაგი, ტელევიზია, პრესა, ფეხბურთის დონეც სხვაა და თუ მზად არ ხარ, ამ ყველაფრის ცენტრში ყოფნამ, შესაძლოა ფსიქოლოგიური პრობლემებიც შეგიქმნას. უეფა ცდილობს, თანდათანობით „მიგვაჩვიოს“ ასეთ მატჩებს. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი კვალიფიციური მსაჯი გვყავს, საქართველოს პირველობიდან პირდაპირ საერთაშორისო მატჩებზე გადართვა წარმოუდგენელია. ევროპულ ფეხბურთში სულ სხვა ატმოსფეროა. იქ „გასაშინაურებლად“ კი განსაზღვრული დროა საჭირო. თუმცა, რამდენიმე „ასეთი“ მატჩზე უკვე ვიმსაჯე და შესაბამისი გამოცდილებაც დამიგროვდა....

— **თანამედროვე მსაჯებიდან ვინ იმსახურებს ყველაზე მეტად თქვენს სიმპათიას?**

— საერთოდ, გერმანული სამსაჯო სკოლა მომწონს. მათ საკუთარი სტილი აქვთ და სკოლის გავლენა იგრძნობა. მსაჯის ვინაობა რომც არ იცოდე, თუ არბიტრი გერმანელია, ამას მატჩის მსვლელობისას მიხვდები. ისე კი, ძალიან კარგი მსაჯები ჰყავთ იტალიელებს, ესპანელებს...

— **როგორ გგონიათ, გერმანია-შოტლანდიის დაპირისპირება რამდენად რთული იქნება მსაჯისთვის?**

— ვფიქრობ, სწრაფი თამაში იქნება, თუმცა, არა მგონია, რაიმე სირთულე შემექმნას. მთავარია, მშვიდად, მობილიზებული გავიდე მოედანზე და საკუთარი საქმე ვაკეთო. საქართველოს პირველობაზე, თითქმის ყველა თამაში ისეთ ტემპში მიმდინარეობს, შესაძლოა მოდუნდე კიდეც. ევროპაში პირიქით — არც ბურთი ჩერდება, არც ფეხბურთელები. ასე რომ, ფიზიკურადაც კარგად უნდა იყო მზად, თორემ მატჩის ბოლოსთვის კონცენტრაციას დაკარგავ და...

— **ბოლო დროს, ქართველ მსაჯებს სულ უფრო ხშირად ანდობენ საერთაშორისო მატჩების გაძღოლას. რას მივაწეროთ ეს, ჩვენი არბიტრების კვალიფიკაცია ამაღლდა?**

— რა თქმა უნდა, მსაჯების კვალიფიკაციაც ამაღლდა, პერსპექტიული ახალგაზრდებიც გამოჩნდნენ, თუმცა მთავარი, ჩემი აზრით, ის არის, რომ ფეხბურთისაგან განსხვავებით, ქართულ სამსაჯო სკოლაში თაობათა ცვლა უმტკივნეულოდ მოხდა. ბატონ ანატოლი მილჩენკოს თაობას კვარაცხელია, გუნთაძე, მალალურაძე მოჰყვნენ და ა.შ. მემკვიდრეობას კი, ისევე, როგორც ყველა სხვა სფეროში, მსაჯობაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს.

— **რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატისა და საერთაშორისო მატჩების დროს მოედანზე ფეხბურთელთა ქცევას...**

— ქართველ და უცხოელ ფეხბურთელებს, უპირველესად, დისციპლინა განასხვავებთ. უცხოელმა, შესაძლოა, პროტესტი გამოთქვას და ეს ბუნებრივიცაა, ფეხბურთი ხომ ემოციური თამაშია, მაგრამ, შენ მუდმივად გრძნობ დისტანციას და პატივისცემას მსაჯის მიმართ. გამონაკლისი ყველგან არის, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, საზღვარგარეთ, ფეხბურთელები ზღვარს არ გადაადიან.

საქართველოში — პირიქით. ჩვენთან მსაჯის იმიჯი იმდენადაა შელახული, რომ მისი პატივისცემა ნაკლებად აქვთ და ბევრ ისეთ რამეს კადრულობენ...

— **ალბათ, კმაყოფილი დარჩებით, თუ მატჩის შემდეგ, გერმანიის და შოტლანდიის ნაკრებთა მწვრთნელები მადლობას გადაგიხდიან კარგი მსაჯობისთვის...**

— ჩემთვის ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს. შესაძლოა, რომელიმე მწვრთნელი უკმაყოფილო დარჩეს ჩემი მოქმედებით, მაგრამ მსაჯისთვის მთავარი მწვრთნელის კი არა, დამკვირვებლის აზრია, რომელიც სწორედ ამისთვის ესწრება მატჩს. მსაჯის უპირველესი მოვალეობა ობიექტურობაა, თორემ ვიღაც ყოველთვის იქნება უკმაყოფილო...

— **საქართველოს ჩემპიონატის თანამდევ ინციდენტებსაც ვერ ავუვლით გვერდს. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს, ისეთი ფაქტები რომ აღარ განმეორდეს, თუნდაც „ვიტ-ჯორჯია“-„სიონის“ „ოქროს“ მატჩისას რომ მოხდა?**

— მარტო ფეხბურთელთა დასჯით საქმეს არ ეშველება. რა თქმა უნდა, დამნაშავენი უნდა დაისაჯონ, მოთამაშეებმა უნდა იცოდნენ, რომ ასეთი საქციელისათვის პასუხს აუცილებლად მკაცრად მოსთხოვენ, მაგრამ ამასთან ერთად, მთლიანად უნდა მოწესრიგდეს საფეხბურთო მეურნეობაც. სტადიონზე სწორედაც რომ საფეხბურთო, სასიამოვნო ატმოსფერო უნდა სუფევდეს. დღეს კი რა ხდება ჩვენთან? ცარიელი ტრიბუნები, თითო-ოროლა შეძახილი, გინება... როდესაც საქართველოს ჩემპიონატში ფეხბურთის მატჩები საზეიმო ელფერს მიიღებს და ქართველი ხალხი სიამოვნების მისაღებად ივლის სტადიონზე, მსგავსი ფაქტები აღარ იქნება.

# „დინამოს“ გარშემო დიდი სკანდალი მწიფდება

„პანიონისი“-„დინამოს“ მატჩი ჩატარებიდან ორიოდ დღეში მოექცა მსოფლიო პრესისა თუ საინფორმაციო სააგენტოების ყურადღების ეპიცენტრში. თუმცა, როგორც ირკვევა, შეხვედრას დაწყებამდეც საკმაო ყურადღება დაუმსახურებია, ოღონდ... ტოტალიზატორებში მოთამაშეთა და ბუკმეკერთა მხრიდან. თავად განსაჯეთ — მთელი მსოფლიოს მასშტაბით, უამრავ ადამიანს „ესიზმრა“, რომ ყველასათვის უცნობი „პანიონისი“, თითქმის ასეთივე „დინამოსთან“ პირველ ტაიმს დათმობდა, საბოლოო ჯამში კი გამარჯვებას მოახერხებდა. უფრო „გაბედულებმა“ ანგარიშიც ზუსტად „ივარაუდეს“ — 5:2 და...

ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი, როგორც ჩინებული „ინტუიციის“ მქონე ზემოთ ხსენებულ მოთამაშეებს. თანაც, აღნიშნული ფსონების ჩამომსვლელთა რიცხვი იმდენი ყოფილა, საბუკმეკერო კომპანიების უმეტესობა იძულებული გახდა, ჯერ საგრძნობლად დაეკლო კოეფიციენტები, შემდეგ კი, სულაც შეეწყვიტა ფსონების მიღება „პანიონისი“-„დინამოს“ მატჩზე.

ბუნებრივია, ერთი და იმავე სახის ფსონების სიმრავლემ ბუკმეკერთა ეჭვი გამოიწვია, რომელიც მატჩის საბოლოო შედეგმა კიდევ უფრო გააღრმავა. გაირკვა, რომ ტოტალიზატორებმა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მხოლოდ ამ თამაშზე სოლიდური ზარალი ნახეს. სკანდალმა ჯერ პრესის, შემდეგ კი უეფას ყურამდეც მიაღწია, მისმა წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს ამ საქმის გამოძიება და ალბათ, მტყუან-მართალი მალე გაირკვევა, მაგრამ ფაქტი ერთია — ქართული ფეხბურთის გარშემო მორიგი სკანდალი მწიფდება.



ბუნებრივია, საკუთარი პოზიცია დააფიქსირა თბილისის „დინამომაც“. კლუბის პრესსამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია:

„გვსურს, საზოგადოება დავარწმუნოთ იმაში, რომ თბილისის „დინამოს“ არანაირ გარიგებაში მონაწილეობა არ მიუღია. ეს ეხება როგორც „დინამოს“ მიერ პირველ დეკემბერს გამართულ მატჩს ბერძნულ „პანიონისთან“, ასევე ნებისმიერ შეხვედრას, რომელიც „დინამოს“ გაუმართავს სხვადასხვა ეგიდით. ასე რომ, ჩვენი გუნდი, რომელსაც საკმაო რეპუტაცია აქვს როგორც საქართველოში, ასევე მის გარეთ, შეურაცხყოფილია. ჩვენი მოთხოვნა და სურვილია, უმოკლეს ვადებში იქნას გამოკვლეული ყოველივე, ნათელი მოეფინოს აღნიშნულ საქმეს და აღარ გახდეს საჭირო „დინამოს“ მოხსენიება სკანდალთან დაკავშირებით. აქვე დავძენთ, რადგან ინფორმაცია ბუკმეკერთა მხრიდან გახმაურდა, არ უნდა იყოს ძნელი კვალის მიგნება, თუ საიდან მოდის ეს თანხები. მით უფრო ადვილია იმის დადგენა, ვინ აიღებს ტოტალიზატორში მოგებულ თანხას“.

როგორც აღვნიშნეთ, „პანიონისი“-„დინამოს“ მატჩს მსოფლიოს წამყვანმა საინფორმაციო საშუალებებმა არაერთი სტატია თუ წერილი მიუძღვნეს. „REUTERS“-ის კორესპონდენტი იუწყება:

„მატჩის დაწყებამდე, ზოგიერთი ტოტალიზატორი იძულებული გახდა ამ მატჩზე ფსონების მიღება შეეწყვიტა, რადგან შემოსული თანხების რაოდენობა მოსალოდნელს საგრძნობლად აჭარბებდა. მართალია „პანიონისმა“ მატჩის პირველი ნახევარი 0:1 წააგო, მაგრამ საბოლოო ჯამში, 5:2 იმარჯვა.

„დარწმუნებული ვარ, საქმე გარიგებულ მატჩთან გვაქვს“, — განაცხადა ცნობილი ინგლისური საბუკმეკერო კანტორის — „უილიამ ჰილის“ წარმომადგენელმა — გრემ შარპმა, თუმცა იმის მტკიცებას, რომ საბოლოო ანგარიში გუნდებმა წინასწარგანზრახვით დააფიქსირეს, ვერ დავიწყებ, რადგან ხშირად ეზღუდება უჩვეულო ფსონებს, რომლებიც შემთხვევითობას უნდა მიუახლოვდნენ.

სხვაგვარად ფიქრობს საბუკმეკერო კომპანია „BETFAIR“-ის წარმომადგენელი. — „ამდენი ადამიანის ზარი, რომელთაც ფსონის დადება იმაზე უნდოდათ, რომ მატჩი 5:2 დასრულდებოდა, გასაკვირი არაა?“ „ბეთფეარის“ კოეფიციენტი „დინამოს“ მიერ პირველი ტაიმის მოგებისა და შემდეგ დამარცხებაზე, თავდაპირველად 36 იყო, მატჩის დაწყებისას კი 5-მდე „ჩამოვიდა“. ისევე როგორც „პანიონისის“ მოგებამ „იკლო“ 1,6-დან 1,25-მდე“.

ბრიტანული „SUN“-ი ამტკიცებს, რომ საეჭვოდ მიჩნეული მატჩის გამო, მსოფლიოს საბუკმეკერო კომპანიებმა დაახლოებით 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი იზარალეს.

— „საბერძნეთის „პანიონისისა“ და ქართული „დინამოს“ მატჩის დაწყებამდე ფსონი უამრავმა ადამიანმა გააკეთა. მათ „სჯეროდათ“, რომ პირველი ტაიმის წაგების შემდეგ, საბოლოოდ მასპინძელი გუნდი გაიმარჯვებდა. ამ ვარიანტის კოეფიციენტი 28-ს შეადგენდა. სხვა მოთამაშეებმა ივარაუდეს, რომ ბერძნული კლუბი 5:2 მოუგებდა მეტოქეს. ამ შემთხვევაში, კოეფიციენტი 100 გახლდათ. მხოლოდ ბრიტანეთში, ბუკმეკერებმა დაახლოებით მილიონი გირვანქა იზარალეს და გაცილებით მეტს დაჰკარგავდნენ, ფსონების მიღება დროულად რომ არ შეეწყვიტათ.

„პირველი ეჭვი მაშინ გაგვიჩნდა, როდესაც ჩვენს ერთ-ერთ ლონდონურ ოფისში, პიროვნებამ 28-კოეფიციენტიან ტაიმბოლზე 1000 გირვანქის დადება სცადა, — ეს ტოტალიზატორ „ქორალზის“ წარმომადგენლის სიტყვებია, — ამის შემდეგ, მსგავსი ფსონის გაკეთების მსურველთა არმია მოგვაწყდა. აღსანიშნავია, რომ იგივე მეორდებოდა რუსეთსა და ბოსნიაშიც“.

„ძნელი სათქმელია, რა თანხაზეა ლაპარაკი, მაგრამ სავარაუდოდ, 25 მილიონი გირვანქაა ზარალი, რომელიც ტოტალიზატორებმა ნახეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით“.

„როდესაც ვნახეთ, რომ ძალიან დიდი თანხები შემოდიოდა, „პანიონისი“-„დინამოს“ მატჩის დაწყებამდე ექვსი საათით ადრე, ფსონების მიღება შევწყვიტეთ და როგორც აღმოჩნდა, ამით დიდ ზარალს გადავურჩით“, — აღნიშნა ერთ-ერთი ინგლისური საბუკმეკერო კომპანიის წარმომადგენელმა.

„მსგავსი ფსონები უეფას თასის წინა ეტაპებზეც რამდენჯერმე დაფიქსირდა, რაც არც ისე საკვირველია, რადგან საუბარია პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, რომლის კლუბებში ფეხბურთელთა ანაზღაურება არც ისე დიდია, გაყიდული თამაშებიდან შემოსული თანხის ცდუნებას რომ გაუძლონ“.

...ჯერჯერობით, გაურკვეველია, ვის მიუძღვის ბრალი — მხოლოდ „პანიონისს“, ორივე გუნდს თუ არც ერთ მათგანს. ბუნებრივია, ყველაზე ნაკლებად ჩვენ გვსურს, „დინამო“ რაღაცით მაინც იყოს კავშირში გასული ოთხშაბათის მატჩზე გაკეთებულ ფსონებთან. არ გვინდა დავიჯეროთ და არც მტკიცებულებანი გვაქვს იმისა, რომ ქართული ფეხბურთის ფლაგმანი კლუბი გარიგების მონაწილეა.

სწორედ ამიტომ არ გავიხსენებთ ქომაგთა არგუმენტებს, რომ უეფას თასის წლევანდელ საკვალიფიკაციო ეტაპზე, „დინამომ“ ყველა გასვლით მატჩში ტაიმბოლო ითამაშა, „პანიონისის“ გარდა, პირველი ტაიმები მოუგო „ბატეს“, „სლავიას“, „ვისლას“, საბოლოო ჯამში კი ყველა აღნიშნული შეხვედრა წააგო. არ გავიხსენებთ „პაფოსი“-„ვიტ-ჯორჯიას“, „დილა“-„მარცეს“...

თორემ, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, რა გამოდის — „დინამომ“ მხოლოდ იმიტომ დაუბრუნა „შემოდგომის ფეხბურთი“ ქართველ გულშემატკივარს, რომ კლუბის (ან ცალკეული ფეხბურთელების) სალარო შეევსო? არ გვინდა ვიფიქროთ...

# შევჩენკო უკვე გამარჯვებულია?



იტალიური პრესა და საინფორმაციო საშუალებები წინასწარ აჟღერებენ ცნობებს იმის შესახებ, რომ 13 დეკემბერს, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად ანდრეი შევჩენკოს დაასახელებენ. როგორც პრესიდან ირკვევა, შევჩენკოს უკვე ესაუბრნენ „France Football“-ის კორესპონდენტები და ვრცელი ინტერვიუც ჩამოართვეს. გარდა ამისა, ანდრეიმ ჟურნალის მიერ მოწყობილ ფოტოსესიაშიც მიიღო მონაწილეობა.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ „ფრანს ფუტბოლის“ ყოველწლიურ დაჯილდოებამდე თითქმის ერთი კვირა რჩება, საზოგადოებას უკვე აქვს ინფორმაცია გამარჯვებულის შესახებ. როგორც გახსოვთ, ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა შარშანაც, დაჯილდოებამდე კარგა ხნით ადრე, პრესაში „ოქროს ბურთის“ მომავალ მფლობელად „იუვენტუსის“ ჩეხი ვარსკვლავი — პაველ ნედვედი დაასახელეს და საბოლოო ჯამში ასეც მოხდა.

ასე რომ, მოვლენები, ალბათ წელსაც იმავე სცენარით განვითარდება. ჯერ ერთი, იტალიური პრესა დაჟინებით ამტკიცებს, რომ „შევა“ უკვე გამარჯვებულია. მეორეც — უკრაინელი ფორვარდი მართლაც ჩინებულ სეზონს ატარებს და წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს ალალად იმსახურებს. კლუბის ლიდერის გამარჯვების შემთხვევაში „მილანის“ მესვეურები ამ ფაქტის შესაბამისად აღნიშვნას აპირებენ.

# „ფრაიბურგს“ დაქვეითება ემუქრება

სამწუხაროდ, გერმანული „ფრაიბურგის“ მთავარი მწვრთნელის სიტყვები — 2004-2005 წლების სეზონი ჩვენი გუნდისათვის უმნიშვნელოვანესი იქნებაო, მართალი გამოდგა, როგორც ჩანს, ყველაზე ცუდი გაგებით. ფოლკერ ფინკეს გუნდმა გერმანიის ჩემპიონატის 16 ტურში მხოლოდ 10 ქულის მოპოვება შეძლო, უკანასკნელ მატჩში კი სულაც 0:6 განადგურდა საკუთარ სტადიონზე ბრემენის „ვერდერისაგან“.

ალექსანდრე იაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის გუნდის წარუმატებლობა, უპირველესად ფსიქოლოგიურ პრობლემებს უნდა მივაწეროთ, რადგან გუნდის შემადგენლობა და ტაქტიკაც უკანასკნელ წლებში თითქმის არ შეცვლილა. ასე რომ, უსახური თამაშის მიზეზად, სპეციალისტები უფრო ფეხბურთელებს ასახელებენ, ვიდრე მთავარ მწვრთნელს, თუმცა, გამანადგურებელი მარცხის შემდეგ, იქნებ, ფინკეც მთავარი მწვრთნელის პოსტს. იმედი ვიქონიოთ, გერმანიის „ქართული“ გუნდი სასწრაფოდ მოახდენს ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებას. შეგახსენებთ, „ფრაიბურგი“ უკანასკნელ ორ სეზონში გერმანიის უმაღლეს ლიგაში ატარებს და მიუხედავად უმცირესი ბიუჯეტისა, დაქვეითებას ორივეჯერ აარიდა თავი...

გვერდი მოამზადა რატი შელეგიამ

## №48 (426) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

№48 რეიტინგის თემას — „ქართველები საზღვარგარეთ" — 602 მკითხველი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 242-მა ქალმა და 350-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„საზღვარგარეთის რომელ ქვეყანაში აქვთ ქართველებს საცხოვრებლად ყველაზე ნორმალური პირობები?"**

ბოლო პერიოდის საქართველოში ძნელი მოსაძებნია ოჯახი, რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო საზღვარგარეთ ახლობელ-ნათესავები არ ჰყავდეს. სწორედ ამიტომაც, ვფიქრობთ, რეიტინგის თემა ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მკითხველთათვის. რა თქმა უნდა, უცხო ქვეყანაში გადახვეწილ, მით უმეტეს — საშოვარს გადაგებულ ადამიანს ია-ვარდით მოფენილი გზა არასოდეს ექნება, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართველებს განსხვავებულ პირობებში უხდებათ ცხოვრება. ჩვენი მკითხველების აზრით, ქართველებს საცხოვრებლად საუკეთესო პირობები ამერიკის შეერთებულ შტატებში აქვთ. 6.52 საშუალო ქულით აშშ პირველ ადგილზეა. რესპონდენტთა 40%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით.

შემდეგ ადგილზეა გერმანია, საშუალო ქულაა 6.15. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულით გერმანია შეფასდა — მხოლოდ ხუთმა მკითხველმა (0,8%) დაუწერა მას 1 ქულა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ლედის სამშობლო 4.99 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა, მაქსიმალურ ქულათა რაოდენობის მიხედვით მეოთხეზეა და მას წინ რუსეთი უსწრებს (აღსანიშნავია, რომ სულ უმნიშვნელო სხვაობით რუსეთმა ამ ნიშნით გერმანიასაც გაასწრო). რესპონდენტთა 18%-ის აზრით, ქართველები ყველაზე უკეთესად თავს სწორედ რუსეთში გრძნობენ. თუმცა, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მაქსიმალურ ქულებს მისთვის მიკუთვნებული მინიმალური ქულები სჭარბობენ — 18,6%-მა შეაფასა რუსეთი მინიმალური — 1 ქულით.

ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური ქულა (45,3%) თურქეთმა დაიმსახურა.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორები არიან 57 წლის **ვახტანგ გოგიშვილი** (თბილისი) და 41 წლის **გია გულხადარაშვილი** (გურჯაანი, სოფ. კარდენახი).

მათ, საპრიზო ვარიანტისგან განსხვავებით, „იტალიას" ორის ნაცვლად ერთი ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნეს, ხოლო „თურქეთს" პირიქით — ერთის ნაცვლად — ორი (მეშვიდე ადგილი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზების მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა:**
**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (VIII–VII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VII–VI ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VI–V ადგილებს), 4-სა და 5-ს (V–IV ადგილებს) და ა. შ. 7-8-მდე (II–I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად, 1 და 3 (VIII და VI ადგილები), 2 და 4 (VII და V ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №49 (427) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგსა და **«მკითხველის პრემიაში»**.

**№49 (427) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 8 დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 9 დეკემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.**

**თემა №49(427) — საუკეთესო ტელეგადაცემა**

**რომელი ტელეგადაცემა მოგწონთ ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№49(427) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | გადაცემა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | „რე-აქცია" – ინგა გრიგოლია (იმედი) | |
| 2 | „სპექტრი" – დავით აქუბარდია (კავკასია) | |
| 3 | „არჩევანის ზღვარზე" – ირაკლი იმნაიშვილი (მზე) | |
| 4 | „დებატები 202-ზე" – შალვა რამიშვილი (202) | |
| 5 | „დროება" – გიორგი თარგამაძე („იმედი") | |
| 6 | „ფსიქო" – გიორგი გვახარია (რუსთავი-2) | |
| 7 | „ღამის მატარებელი" – გია როინიშვილი – (I არხი) | |
| 8 | „პატრული" – გურამ დონაძე (რუსთავი-2) | |
| 9 | „არჩევანი თქვენ" – ჯანრი კაშია (იმედი) | |

**მკითხველის რეიტინგი**

**ქართველ პოლიტიკოსთაგან ვინ იმსახურებს თქვენს რისხვას ყველაზე მეტად (ვინ გიშლით ნერვებს)?**

✔ ____________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✔ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

__________ ასაკი __________ ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

### მკითხველის რეიტინგის შედეგები

**ყველაზე სკანდალური და ხმაურიანი ცნობილი ადამიანები**

| | | ქულა |
|---|---|---|
| 1. | შალვა ნათელაშვილი | 647 |
| 2. | გურამ შარაძე | 604 |
| 3. | კობა დავითაშვილი | 278 |
| 4. | მიხეილ სააკაშვილი | 167 |
| 5. | კახა ბენდუქიძე | 133 |
| 6. | ვახტანგ რჩეულიშვილი | 91 |
| 7. | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | 39 |
| 8. | ლევან მამალაძე | 31 |
| 9-10. | ირაკლი ოქრუაშვილი | 29 |
| 9-10. | ზურაბ ჭიაბერაშვილი | 29 |

**თქვენ უნდა დაგესახელებინათ მაქსიმუმ სამი ადამიანი. პირველ ადგილზე დასახელებულ პიროვნებას მიეკუთვნება სამი ქულა, მეორე ადგილზე — ორი, ხოლო მესამეზე — ერთი ქულა. ქულები შეიკრიბა და მათი ჯამის მიხედვით შედგა რეიტინგი.**

**აღსანიშნავია, რომ მკითხველთა დაახლოებით 9%-მა რუსი ლიბერალ-დემოკრატი ვლადიმირ ჟირინოვსკი დაასახელა, ქულათა მინიჭების პრინციპით თუ დავითვლიდით, ვლადიმირ ვოლფოვიჩი რჩეულიშვილს საკმაოდ დიდი სხვაობით ჩამოიტოვებდა უკან. როგორც ჩანს, რესპონდენტების აზრით, ჟირინოვსკის სკანდალურობას „საზღვრები არ გააჩნია" და სწორედ ამიტომ დასახელდა ქართველ „სკანდალისტთა" შორის.**

***მკითხველის რეიტინგში 475-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა***

## ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____________________

„ვაკეთებ რაც მინდა, როდესაც მინდა და როგორც მინდა!"

ფოტოპალიტრის წინა ნომრის მინიშნებამ: „მე რასაც ვაკეთებ, ლაზათიანად ვაკეთებ!" მკითხველთა დიდ ნაწილს (70%) გაახსენა რუსთაველის თეატრში და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის სცენაზე ტრიუმფით წარმოდგენილი ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე" და მისი ერთ-ერთი გმირი. ეს გმირი **გურამ საღარაძის** ეფრეიტორი გახლავთ (როგორც გახსოვთ, მსახიობი სპექტაკლში ბერის როლსაც ასახიერებს), რომელიც დროდადრო „ლაზათიანად" ახსენებს მაყურებელს ზემოთ მოყვანილ სტრიქონებს...

„კავკასიური ცარცის წრის" ასოციაციით რამდენიმე მკითხველმა აზდაკი (მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე) გაიხსენა, რამდენიმემ ლაზათიანობა დიზაინერ ავთო ცქვიტინიძეს დაუკავშირა. დასახელდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც (10%), როგორც ჩანს, ბოლოდროინდელი ლაზათიანი საქმიანობის გამო. ამდენივე „ხმა" მიიღო გურამ შარაძემ (რაც ეტყობა, მის მიერ პლაკატების თუ ნახატების „ლაზათიანად" ჩამოხსნას უკავშირდება)... დასახელებულთა შორის მოხვდნენ, აგრეთვე, ვახუშტი კოტეტიშვილი, დავით კიკალიშვილი, ვიტალი ხაზარაძე(!), აკაკი ასათიანი და კახა ბენდუქიძე (ეს უკანასკნელი, ალბათ, ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში „საცეკვაო პარტიის" ლაზათიანად შესრულების გამო)...





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



**გურამ საღარაძე, 6 წლის**

C

## ფოტო განწყობილება



— ამა გოჭებმი არ იკბინებიანო?..

## ეს საინტერესოა

* * * ჯონ კუინს ადამსი აშშ-ის პრეზიდენტად ხალხმა კი არა, კონგრესის წარმომადგენლთა პალატამ აირჩია, ვინაიდან ამომრჩეველთა ხმების აუცილებელი რაოდენობა ვერც მან დააგროვა და ვერც მისმა მოწინააღმდეგემ.

* * * აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატთა პირველი ტელედებატები შედგა 1960 წელს. თეთრ სახლში ადგილისთვის იბრძოდნენ ჯონ ფიცჯერალდ კენედი და რიჩარდ ნიქსონი (შემდგომში 37-ე პრეზიდენტი). ბევრი ანალიტიკოსის აზრით, კენედიმ არჩევნებში იმიტომ გაიმარჯვა, რომ ტელეეკრანზე უკეთ გამოიყურებოდა.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ნარგილე 4. რუბრიკა; 6. სილვა; 7. აპისი; 8. ავაზა; 9. აშული; 10. იაფეტი; 13. კლიფსი; 16. სკიფი; 18. კურორტი; 19. ნაირობი; 20. ორგია; 22. ოდისეა; 23. ხაბაზი; 25. კონკა; 27. პიანო; 28. დროშა; 29. ნაიკი; 30. ინდოეთი; 31. არტისტი.

**შვეულად:** 1. ნუმიზმატი; 2. ესტაკადა; 3. ულტიმატუმი; 4. რაფინადი; 5. ალბატროსი; 11. ფორდი; 12. ტურნე; 14. ლეილა; 15. ფლორა; 16. სიო; 17. ინა; 21. გენეალოგია; 22. ოდეკოლონი; 24. იქთიოლოგი; 25. კუპიდონი; 26. ანომალია.

12/XII

ახალი მთვარე




ყოველ სამშაბათს ყველაფერი ბომონდის შესახებ





**თარაზულად:** 1. ქართველი მსახიობი, დონ კიხოტის როლის შემსრულებელი; 4. ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური ჩანაწერი; 6. მძორისმჭამელი ფრინველი; 7. ქალაქი საქართველოში; 8. რეჟისორი ფილმისა „ქალაქი ანარა"; 9. სახელმწიფო აზიაში; 10. ბიბლიის მიხედვით ებრაელთა მოდგმის ერთ-ერთი პატრიარქი, ისააკის ძე; 13. ადამიანის ნატურალური ზომის ან მასზე დიდი ქანდაკება; 16. ბანქოს ერთგვარი თამაში; 18. ბეთჰოვენის ოპერა; 19. ჯარისკაცების დაწყობა მწკრივში სიმაღლის მიხედვით; 20. ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 22. უშფოთველი ცხოვრება; 23. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 25. თეთრი ლაქა თვალის გუგაზე; 27. სპორტული იარაღი — მრგვალი ბრტყელი ლითონი მანძილზე სასროლად; 28. მექსიკური წარმოშობის ცეკვა; 29. აჩრდილი; 30. სისხლის აღრევა; 31. მდინარე საქართველოში.

**შვეულად:** 1. რაიმე ტექსტის ახსნა-განმარტება; 2. სახელმწიფო ევროპაში; 3. ორკორპუსიანი გემი; 4. მეჩეთის კოშკი; 5. ადამიანების ორგანიზებული გამოყვანა იმ ადგილიდან, სადაც რამე საფრთხეა მოსალოდნელი; 11. კინოფილმის ცალკეული ეპიზოდი; 12. ბარით მოჭრილი მიწის ნაჭერი; 14. არგენტინული ცეკვა; 15. ფეხბურთის მატჩის ნახევარი; 16. მახრჩობელა გველი; 17. სოფელი ონის რაიონში; 21. სახალხო დამცველი; 22. უსიამოვნო შემთხვევა, გაუგებრობა; 24. იტალიის ფეხბურთის გუნდი; 25. თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი; 26. გარემოსთან, ადამიანებთან ურთიერთობის საშუალების მოსპობა.

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

## სიყვარული ბრმაა

ნიკოლ კიდმანს ახალი სატრფო ჰყავს — ცნობილი მილიონერი და კინოპროდიუსერი სტივ ბინგი. გვრიტებივით მოღუღუნე შეყვარებულებს ხშირად ნახულობენ ნიუ-იორკის რესტორნებსა თუ სხვა თავშესაყარ ადგილებში.





ბატონი ბინგი ნამდვილი მექალთანეა. რამდენიმე წლის წინ მას რომანი ჰქონდა მსახიობ ელიზაბეტ ჰარლისთან, რომელმაც მას ვაჟი გაუჩინა. როცა ბინგმა შეიტყო საყვარელი ქალის ფეხმძიმობის შესახებ, გაწყვიტა მასთან ურთიერთობა. ნუთუ ჰოლივუდის მზეთუნახავი ბედს ამ ურჩხულს დაუკავშირებს?!

## ლენონი + იოვოვიჩი = ?



თავქარიანი ლამაზმანი მილა იოვოვიჩი საყვარლებს ხელთათმანებივით იცვლის. როგორც კი რეჟისორ პოლ ანდერსონს დაშორდა, მაშინვე ახალი იშოვა: რეპერ პი დიდის დაბადების დღეზე გამართულ წვეულებაზე მილამ არშიყი დაუწყო მუსიკოს შონ ლენონს, ჯონ ლენონის ვაჟს.

რეჟისორისა და პროდიუსერის, ლუკ ბესონის ცოლობამ მილა კინოვარსკვლავად აქცია, სავსებით შესაძლებელია, რომ შონთან რომანი ახალი ნაბიჯია მის კარიერაში. ნეტავ, მილას მუსიკალური ოლიმპის დაპყრობა ხომ არ მოუნდა?


ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©


### უფასო განცხადების ქვითარი

49

განცხადების ტექსტი ________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ:სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№49 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 9 დეკემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი
სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა"
გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში".